კვირა, 2 ივნისი 1929 წ. № 23 (207) წელიწადი მეექვსე ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი




ვერ დაიჭირავს პარტბილეთს, რაც გინდ ეცადოს ბევრია.
წმენდით ყოველი გასწმენდის - ჩვენი უღირსი წევრია.

# შემოწმება

მე-7-ე პარტუჯრედის შემმოწმებელ - გამწმენდი კომისია, სამი ამხანაგის შემადგენლობით, უკვე მიუჯდა მაგიდას.

კომისიის ყოველ წევრს წინ უდევს რაღაც დაბეჭდილი ქაღალდი და შიგ ჩაჰკირკიტებს.

შემმოწმებელ სამეულის ერთი წევრი საკმაოდ ახალგაზრდაა, ერთი საშუალო ხნის, ერთიც ხანში შესული.

ახალგაზრდა, დაზგის მუშაა-ო, ამბობენ.

უჯრედის წევრები თუ უპარტიოები უკვე კაი ხანია ელოდებიან სამეულის მოსვლას; სხედან ადგილებზე და უწესრიგო ბაას-მასლაათი აქვთ ატეხილი.

დარბაზში გაისმის ერთმანეთში არეული: სიცილი, ხმა-მაღალი ძახილი, ხველა, ცხვირის დაცემინება თუ ცემინება. წთქნარება.

ჰაერი მტვერით, ოფლიანი სუნით და თამბაქოს ბოლით არის გაჟღენთილი.

ჩაისმა ზარის წკარუნი. კრებას ხნის ხანში შესული და დარბაზი ყურადღებისაკენ მოუწოდებს. იძლევა შემოწმების მიზნისა და დანიშნულების შესახებ შესაფერ ახსნა-განმარტებას და სთხოვს დამსწრეთ სათანადო სერიოზულობით აღჭურვას.

— ასალო ასამბაძე.

იძახის საკმაოდ გარკვეულად ახალგაზრდა.

დამსწრეთა რიგებში სდგება ხანში შესული მუშა-მოსამსახურე.

შემმოწმებელთა შორის რაღაც ჩუმი თათბირი იმართება. ასალო იღრიჯება ამით და ისევ თავის ადგილზედვე ჯდება.

კომისია თათბირს მორჩა და რაღაც ქაღალდები ახალგაზრდა წევრს დაუდგეს წინ. თანვე ანიშნებენ, ალბათ შეკითხვების დაწყებას.

ასალოს კინკრიხოში დაჰკრა და კოჭებამდის დაუარა.

— არა, ამან თუ კიდევ შეკითხვები დამიწყო და, მეტი ჩემს გულს აღარ უნდა: გასკდება, როგორც ყუმბარა!

ასალოს გადაწყვეტილება მტკიცეა. სიმტკიცე მას მუდამ ახასიათებდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? კაცი 20 წელზე მეტია პარტიაში არის. რამდენი დევნა, გასაჭირი, ზარალი და დამცირება აუტანია, მაგრამ თავისი დაჯერებით, პარტიისათვის ერთხელაც არ უღალატნია, ერთხელაც არ გაქცევია პასუხისმგებლობას და დავალებულ საქმეს.

სულ სხვა არის, თუ როგორ აფასებდენ ამ მის მუშაობას სხვები. სხვებს უფლება აქვთ, როგორც სურთ, ისე შეხედონ ასალოს თავდადებულ მუშაობას, როგორც სურთ, ისე შეაფასონ ის.

ერთი კი არის. ასალოს გლეხური ჩამომავლობა ზოგჯერ ისეთ თვისებებს კი ამჟღავნებენ მასში, რაც, წმინდა კომუნისტური თვალსაზრისით, შეიძლება ვერ იყვეს მაინცა და მაინც გამართლებული. არც ასალო ამართლებს იმათ მუდამ, მაგრამ რა ქნას? ჩვეულება მაინც რჯულზე უმტკიცესია!

— თქვენზე განცხადება არის შემოსული, ამხ. ასალო, იწყებს გაუბედავათ კომისიის ახალგაზრდა წევრი.

— განცხადება! იოცებს ასალო.

— დიახ, უპარტიო ამხანაგების მიერ, რომელიც თქვენ სამსახურში უდიერობას გიკიჟინებს.

— უდიერება?!. რაში იხატება ეს, თუ სწერს.

—აი, მაგალითად: „ხმამაღალი ბრძანებლობა“, „ძველი ხაზეინური ტონი“, და საერთოდ ისეთ მოთხოვნილებათა წაყენება მუშების მიმართ, რომლებიც მათ მდგომარეობას დიდათ ამძიმებს და აუარესებს.

ასალოს არ ახსოვს ასეთი რამ თავისი პრაქტიკიდან. იმ ხნის განმავლობაში, რაც ის საწარმოოს გამგეთ წამოაყენეს, მას ერთხელაც არ ახსოვს, რომ ვინმე პირადი თავისი საქმისათვის გაესარგებლოს, ან ერთგული იყო საქმის და, ასეთი მუშისთვის არა თუ რამე უკადრებიოს, არამედ გულში მისი უსაზღვრო პატივისცემა არ გაევლოს და ხშირად თითონაც არ მიშველებოდეს.

ასალო, მართალია, საწარმოო დაწესებულების გამგეა, მაგრამ ძველი მუშური სისხლი ისევ უდუღს ძარღვებში, დღე ისე არ გაივლის, რომ ერთი პირი მაინც არ წამოეშველოს, ხელი არ მიაშველოს. ხელი სამუშაოს.

მაშასადამე, საიდან გაჩნდა ასალოზე ასეთი „დანოსი“ პარტიის წინაშე?

ასალო დიდხანს აწუხებდა ამ კითხვას თავს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა ზედ. მისი მცირედი ყოყმანი დანაშაულის ცნობას მიაწერეს: „დუმილი თანხმობის ნიშანია“-ო — ნათქვამია.

და კომისიის ახალგაზრდა წევრი უკვე მზად იყო ასალოსათვის „გახრწნილი“, „უცხო ელემენტი“ თუ სხვა რამ ასეთი მარგალიტები მიეწერა.

მაგრამ უცბათ ასალო შეინძრა: მას გაუელვა გულში: „ალბათ გიოა ეს, ღვინიყლაპიაშვილი“!

და უცბათვე მოისაზრა, თუ როგორი პასუხი უნდა გაეცა კომისიისათვის:

— ჰო, შეიძლება, რატომაც არა... მე ეხლა მაგონდება რამოდენიმე შემთხვევა ჩემი უდიერი მოპყრობისა. მაგალითად: ერთხელ ერთ მუშას მკაცრად შევნიშნე: „აბა, ცოცხლად გაანძრიე ხელები, როგორ მკვდარსავით გაშეშებულხარ-მეთქი“!

კომისიის წევრები ადგილებზე შეინძრნენ და გადახედეს გიოს. ასალომაც გადახედა ცალის თვალით. გიომ, კმაყოფილების ნიშნად, თავი მაღლა ასწია.

— მაგრამ იმ მუშის ისეთი მდგომარეობა მისგანვე ხელოვნურად იყო გამოწვეული, მერე ისეთი ხელოვნებით, რომელსაც „საფანელად“ დასჭირდა კერძო მედუქნიდან იმავე მუშის ხელფასით შენაძენი რამდენიმე კვარტი.

დარბაზში ისევ გადახედ - გადმოხედეს. გიომ თავი ჩაჰკიდა.

— მეორე შემთხვევაც: — ერთხელ იმავე მუშას თითქმის ბრძანებითი კილოთი მივმართე: „აი, ეს წამიღე სახლში-მეთქი“.

დარბაზში ისევ გადახედ-გადმოხედეს. გიომ ისევ ასწია თავი.

— მაგრამ მე ვუბრძანე, რომ წაეღო არა ჩემ სახლში არამედ თავისივე სახლში. ეს იყო ჩემგან ამხანაგური ძღვნად მისთვის ნაყიდი ერთი კვარტი კარგი ღვინო. ულვინოთ თუ ვერ გასძლებ, სადილის დროს ცოლშვილთან ერთად შეექეცი დღეს - მეთქი—დავავალე. დაატანა ასალომ და ცალის თვალით ისევ გიოს გადახედა. დარცხვენილმა გიომ თავი ისევ ჩაღუნა. კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მესამე შემთხვევაც! წამოიწყო ასალომ და გიოსაკენ უფრო აშკარად მიიხედა.

— მაგრამ რაღა შემთხვევებზე ვილაპარაკო. ის, რაც მე ამ მუშის მიმართ ასეთ უდიერობას მაიძულებს, სოციალისტური აღმშენებლობის ინტერესი გახლავთ და არა პირადი ჩემი, თორემ აგერ არის გიო ღვინიყლაპიაშვილი, რომელიც ყოველივე ამას მე დამიმოწმებს.

გიოს თითქოს მეხი დაეცაო, თავჩაკიდული იჯდა გაუნძრევლად და გულში ათას უშმაკსა და ქაჯს უსურვებდა იმ წუთს, როცა მან კალამს ხელი მოჰკიდა ასალოზე ბრალდებების საწერად.

აქამდის ამ შემთხვევით გაოცებული კრებაც უცბათ გამოერკვა და დარბაზში ჩამოწოლილი მძიმე ატმოსფერა უცბათ შესძრა და შეარხია გულიანმა სიცილმა.

ვისთვის უბრალო სიცილი და გართობა იყო ეს, მხოლოდ გიოსთვის კი იგი იყო მწარე დაცინვა და უზომო სინანულის, თანამგზავრად ამოძრავებული ხმაური.

ღნისიმე.

# „აწ კი მშვიდობით"

## პარტიული ოტელო წმენდაზე

ვიდრე გამაგდებთ, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა:
ჩვენი ქარხნისთვის თუმც ზიანი გამიწევია,
მაგრამ რა ვუყოთ! მე გთხოვთ მას მხოლოდ:
მაგ წერილებში, აქტებში აღნიშნოთ სწორად;
მიწოდოთ იგი, რაცა ვარ მე: ნურც რას მომაკლებთ
და ნურცარაფერს მომიმატებთ არყოფილ ცოდვებს.
სთქვით: იცოდა-თქო სიყვარული მან ქალებისა,
თუმც არ ნამდვილი, ისე რაღა, ცდუნების ზრახვით,
ვერა სძლებდა-თქო უქეიფოდ; თუმც თავს იჭერდა,
მაგრამ რაკი გულს გაუვსებდენ „კეთილ-ცხოვრებით",
არ იცოდა-თქო მან საზღვარი ფულის ხარჯვისა.
სთქვით: მსგავსათ-თქო უგუნურის გამფლანგველისა,
შორს გარდატყორცნა ქარხნის საქმე, თვისი ვალდება.
ტირილს არჩეულს უხვად ცრემლი ეხლა გადმომდის,
ვით ფისა-სითხე სამკურნალო არაბეთის ხეთ.
ეს ყველაფერი მანდ აღნიშნეთ და დაუმატეთ,
რომ, როცა ერთხელ რესტორანში გულზე მოსული
ვსცემდი ამხანაგს, ვაგინებდი უშვერი სიტყვით,
ვწვდი ყორყანტოში და კინწის კვრით გარედ გავაგდე
სწორედ ისევ, ვით მაგდებენ მე პარტიიდან.

აწ-კი მშვიდობით, პარტბილეთო, უკუნისამდე.
მშვიდობით, ჩემო მხიარულო კმაყოფილებავ.
მშვიდობით, ძმანო მჯილოსანნო, დიდნო ქეიფნო,
ჩვენი ცხოვრების ნეტარებად გარდამქცეველნო.
მშვიდობით, ჩემო თავმომწონე ავტოს გუგუნო;
გულის აღმძვრელო დაფდაფებო, ზურნის ტკბილო ხმავ;
ყურთა გამგმირო სალამურო, ბაღ-რესტორანნო.
მშვიდობით, ქალნო მღელვარება-დაუდგომელნო,
ო, თქვენც მშვიდობით, მანქანანო ჩვენი ქარხნისა,
რომელთ გადმოგქუხთ საყვირის ხმა სმენად საშიში...
აწ ჩემი ჩარხი ბედ-უკუღმა შემოტრიალდა.

ხსელი

## სწორი დიაგნოზი



— ექიმო, ეს ერთი ხანია უძილობა დამჩემდა!

— არა უშავს; გაივლის ეს წმენდა და ძილიც მოგივა:

— (თავისთვის): ამას კი მართალს ამბობს! პარტიიდან გამომაგდებენ და მერე მართლაც ძილის მეტი რა საქმე მექნება!

## ბავშმაც კი იცის



— მამილო, ალბად შენ წმენდაზე აპირებ, რომ მაგ ძველ შარვალს იცვამ!

# როსტომ გამგე

ჩასუქებულა როსტომი,
გადმოსდგომია ღიპიო;
უანგარიშო ჭამა-სმით
ლამის გაუსკდეს ტყლიპიო.
სამს პორტფელს ერთად ატარებს,
მეოთხეც სახლში უდევსო.
მარაგად ფულებს ინახავს,
ეგებ დრო გადაბრუნდესო,
დონ-ჟუანია როსტომი,
წერწეტ ქალების მტერიო;
მის ორგულს და მის უარმყოფს
ბევრჯერ ადინა მტვერიო;
გამგეა ჩვენი როსტომი,
მისი სახელიც გრგვინავსო.
არას დაგიდევს თუ მისგან
მრავალი კაცი გმინავსო.
ჯიბით ატარებს პარტბილეთს,
თავი გონია ღმერთიო.
გარედან წითლად შეღებილს,
გული აქვს ძალზე თეთრიო.
როგორღაც კომბინაციით
მანდატი იგდო ხელშიო.
ჭკოხტად დამალა წარსული,
გაძვრა-გამოძვრა ხვრელშიო.
როცა კრებებზე გამოვა,—
ხელისუფლებას იცავსო;
შიგნით კი აღმშენებლობას
თაგვივით უთხრის მიწასო.
ნლვდლებს და ძველ ვაჭრებს ქომა-
გობს,
საყდარშიც დადის ჩუმადო.
აღდგომა დილას უზმოზე
პასკას მიირთმევს უმადო.
ხუთი ოთახი უჭირავს
ამ ჩვენს როსტომა გამგესო,
და სოფელშიაც ფარულად
მაღალ შენობას აგებსო.
რომ ჩაიკეტავს კაბინეტს,
არავის აღარ უშვებსო.
კარებთან სიბრაზისაგან
გული უსკდებათ მუშებსო.
ევებ გვონიათ საქმე აქვს—
და იმან ჩააჯინაო!
მუხლებზე უზის ლამაზი
მას მეამნქანე ნინაო.
მაგრამ არ სძინავს მუშგლეხინს,
მარჯვეთ უჭირავს თვალიო;
უავე როსტომის მსგავს ნაგვებს
შემოუჭირა რკალიო.
მსუბუქი კავალერივ
ყველგან დაცოცავს ფრთხილადო;
ალბად როსტომსაც ცოდვები
ერგება ტანჯვის ხილადო.
ვაი, თუ დადნეს ეს ღიპი,
დამჭლევდეს ჩვენი გამგეო.
მიწით აევსოს ქალების
კოცნით ნასუქი ბაგეო.
ჩასუქებულხარ როსტომჯან,
მაგრამ გაგვძრება ტყავიო,
ვერ გაექცევი მუშგლეხინს,
და უშეღეგოდ ჩხავიო.

ჭირთხა.

# წ მ ე ნ დ ი ს  წ ი ნ



პოლიტ-წიგნაკს დაუძებდა,
გადაავლოს უნდა თვალი.
ეს ლენინი, ბუხარინი,
იაროსლავსკი, სხვაც მრავალი.



ჰო, მუშებთან, უნდა იყო
თავაზიანი და ზრდილი,—
თორემ ხომ ბევრჯერ გვინახავს
კოკა წყალზე გატეხილი?



ქალთა თანასწორობაზე
ცოლს კარგა ხანს ესაუბრა,
და ამრიგად შეირიგა
(ცოლთან იყო „ცოტა“ უბრად).



ან ეს ბინაც ვითომ რაო?
რა მოხდება რომ გავწმინდო,
ამ ხატისა ნაცვლად აქ მე
ეს პორტრეტი ჩამოვკიდო.



საწევრო ანარიცხები?
ამხანაგო დახეთ წიგნაკს!
გუშინწინ შემოვიტანე
თორმეტი თვის წინდაწინა!



და კრებაზე ის წავიდა
სპექტანსაცმლით.. (მაგრამ კმარა).
როგორ ფიქრობთ—წმენდის. მსხვე-
რპლი
გაჴდებოდა ის თუ არა?

დონ-კიხოტი.

# ვინ ვის გასწმენდს




კიდევ იმდენს ილაპარაკებს თავის-თავზე, რომ მთელ დარბაზს გასწმენდს დამსწრეთაგან!

## ძირულა

მუშკორების კალმის წვერზე
ბევრჯერ წამოეგო
ჩვენი დაბის სიამაყე
ახობაძე სერგო,
თემკომისა მდივანია,
მაღლა მიაქვს ცხვირი.
მისგან ცუდი საქმეები
არის ძალზე ხშირი.

სოფლად ღვარძლს და შურსა სთესავს,
ლანძღავს მუდამ ყველას,—
სოფლელები მოითხოვენ
მკაცრ ზომებს და შველას.
ღარიბ გლეხებს შესჩიჩინებს
„პოგანო"-ს და „ვირო"-ს,—
ასეთი მოღვაწე სერგო
წმენდამ შეიწიროს.

დურმიშხანი.

## გამოცანა

(ახალქალაქის მაზრა)

აღარ ფიქრობს, აღარც შიშობს
დადის ისე, თითქოს ნაზობს.
კაცმა ნაკლი პირში უთხრას—
აყოლდება, დიდათ ბრაზობს.
ბევრჯერ უთხრეს,
ბევრჯერ მისცხეს,
მაგრამ ისევ დადის, კვაჭობს;
ვინმეს ტყავსაც რომ აძრობს
უხარია, მერე პრანჭობს.

ნორცხვა.

# სათუოა?



— აბა, მითხარი: გადავრჩები ამ წმენდას თუ არა?

# პარმენის გასაჭირი.

მაცა, ბოშო, მაცა! ჩეიაროს ამ „ჩისტკამ“, იქნება ქე გავძვრე როგორმე.

— იცოდე, პარმენ, თუ გაგჩისტეს, მე შენთან ერთ ნიმუტს არ გავჩერდები.

— რატომ, ბოშო, რატომ?

— ნაკომუნისტების ცოლოვო, რომ მითხრან, ხომ უნდა გევითხარო მიწა და ჩავწვე შიდ! მერე მაკრინეს და ოლინკას ლაპარაკს ვილა გოდურჩეგა! თელათ გამომიყვანებენ შარაზე!

— ბოშო, იგენმა ილაპარაკონ, შენ რა გენაღვლება!

— უი, ღმერთო მომკალი! უყურე ახლა ამას შენე! რავა ილაპარაკონო, ბოშო, რავა! ღმერთმა ნუ ქნას, რომე ნაპარტიულების ცოლი დამიძახოს ვინმემ, თვარა ზედ შუაზე გამისკდება გული მწყერივით!

— ბოშო, რეიზა გისკდება ეგ გული! რავა, უპარტიოთ ცხოვრება არ შეიძლება თუ?

— უი, უი, უი! რას ლაპარაკობს ეს ჩემი ცოდვით დასაწვავი, ესა! დედა, დედა, რაღა ვქნა მე უბედურმა, რომ „გაგჩისტონ!“ სადა წევიდე, სად გამოვყო თავი! დევირჩობ თავს და ის იქნება!..

— რეიზა ირჩობ, შე შტერო, ხომ არა ვკვდები!

— აპა, პა, პა, პა! გაჩისტვა არ გაგაგონო, თვარა შევიშლები! კვტარო ხარ გაჩისტული კაცი, აპა რა ხარ! არალც მანდათი, აღარც ლივერი, აღარც სახელი! უი, უი, უი! ღმერთო, ნუ გააგონებ ჩემ ყურებს და თუ ქალი ვყოფილვარ, მიდღემჩი შენს დიდებაში ვიქნები!

— მეიცა, ბოშო, მეიცა! ნუ წააგდე ენა!

— აპა, რავა ვქნა, შე სასიკვდილევ, სამსახურიდან რომ გამოგაგდებენ, სადა წევიდე, შე ღვთის გლახავ, შენა!

— ნუ გეშინიან შენ, ისეც კარგათ შეგინახავ...

— რას შემინახავ შე მაიმუნო, შენა! მიდღემჩი ჯამაგირი არ აგიღია თელათ! შენი სიცოცხლე სულ ავანცებითა ხარ გაყრონწილი!

— გააჩერე ენა! არაა მაგი შენი საქმე...

— აპა, ვისი საქმეა, შე სასიკვდილევე შენა!

— ნუ ტლიკინობ თქვა, მე შენ გელაპარაკები, თვარა იცოცხლოს პარმენმა, მე შენ დაგაუთოვო გემოზე!..

— მანამ არაფერი ჭამა შენმა გვარმა, მე შენ გაჩისტულს სახლში არ გაგიჩერდე!..

— თუ გამჩისტავენ და ისიც შენი ბრალი იქნება! ის შალები რომ მაზიდვიე სახლში და ველარ მეიყიპე გული კაბებით, რავა, იგი რიყეზე კი არ ეყარა!..

**გოგია.**

# აკროსტიხი

(სად. ხარაგოული)

კომპარტიაში შემძვრალა, მიწები მოუზომია,
ახლად დაუდგამს სახლები, თავი „მორგანი“ ჰგონია.
სცხოვრობს რკინის გზის ბინაში. (ეს ვილას გაუგონია!)
რძის ყიდვით, ხარების ქირით ფულები შეუკონია.
წელს, პირველ მაისს დროშები ოდეს მიდამოს ფარავდა,
თავის ეცპახში საჯაროდ ირაკლი ვენახს სარავდა;
ამის შემხედავს გლეხებსა ეს თავხედობა ზარავდა,
იტყოდენ: ნუ თუ პარტია ასეთებს დაიფარავდა?
კრებებზე თავს იკატუნებს, მშრომელთ დამცველად გამოდის,
თუ დავალება მიეცა, ზედმეტ დატვირთვად გამოდის;
არ შეასრულებს არაფერს, დაგემალება არ მოდის,
თუ უხმე კამპანიაში, ჩხუბობს „უანწები გადმოდი“.
**ჩუ!** გვარს ვერ გეტყვი, შენ მიხვდი, მსხვილი მარცვალი იკითხე;
**ბი**ჭია ბიჭად შავ-შავი, გულდასმით ჩამოიკითხე.
**ნი** ღაბი აკრავს წითელი, თუნდ პარტბილეთში იკითხე,
**ძე** ხორციელსა არა სცნობს, გლეხებში გამოიკითხე.
მე შენ გაცნობებ ტარტაროზ, რაც მას ბუნებით სჭირია:
შენ დაუწერე რეცეპტი, რომ არ დაგიჯდეს ძვირია.

**გამვლელი.**

# სწორედ ამიტომ




— ღმერთო, შეგცოდე და მაპატიე. ეხლა თუ ეს ჯადა მარჩენ ამ წმინდას, ჭეშმარიტი მორწმუნე გავხდები.

## „მიტმასნილი“

ფოთი

ნინა:—დასწყევლოს გამჩენმა ასეთი ცხოვრება, რავა უკუღმა დატრიალდა ჩვენი ცხოვრება, მზის მთვარედ გადაქცევას კი მოველოდი და თუ ეს ასე მოხდება, ვერ წარმომედგინა. ჩვენ, კეთილშობილებს ყოველივე ღირსება წაგვართვეს, მუშების და გლეხების სამართალს დაგვიმორჩილეს. მეტი გზა არ დაგვრჩენია— ჩემმა ქმარმა, რომელმაც ოქროს მედალით გიმნაზია დაამთავრა, შავ მუშებთან უნდა იმუშაოს... ჰაი გიდი; რავა წახდა დროება; რა ღირსეული ოჯახი გვქონდა და რა დღეში...დღეს—ხვალ, დღეს ხვალო და ამ ურჯულო კომუნისტების გადაკარგვას, საშველი არ დაადგა. ახლა ძალაუნებურად ჩემი ქმარიც კომუნისტი უნდა გახდეს, (დახედავს წიგნს, რომელიც ბავშს უკავია). გოგო, ვინ მოგცა მაი წიგნი, რომელი წყეულმა?

ბავში:—ვერამ მომცა, დედი.

ნინა:— დასწყევლოს გამჩენმა! როგორ გაბედა ჩემს ოჯახში ურწმუნოების წიგნის შემოტანა. მობრძანდეს, დღესვე ავაკრევინებ ბარგს ჩემი ოჯახიდან. არ მოჰკიდო, შვილო, ხელი. კომუნისტებია დახატული შიგ კომუნისტები.

ბავში: — დედა, ვერამ მითხრა კომუნისტები კარგიაო, პიონერათ მიგიღებენო. (შემოდის ვერა კალათით)

ნინა:—როგორ გაბედე, გოგო, ჩემს ოჯახში ამ წიგნის შემოტანა ან როგორ გაუბედე ბავშს პიონერად მიღებენო? მეორეჯერ არ გამეორო იცოდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ (მოსამსახურე გადის, შემოდის, ალექსა ტიკჭორით ხელში, ჩაცმული მუშურად, სახე უღიმის).

ელექსა:—(გააგორებს ტიკჭორას მაგიდაზე) ნომერი—გავიდა!

ნინა:—რისი ნომერიო (ალექსას ამოაქვს ჯიბიდან წითელი ყდიანი კანდიდატობის მანდატი და უჩვენებს).

ალექსა:— რა ვქენი და დაიბადა ექვსთვიანი სტაჟით. ჩვენი ოინი გავიდა. ამხანაგები მყავს მოწვეული და მალე მოვლენ. შენ იცი, როგორ დატრიალდები, და მოგიკვდეს პიჭი თუ ამდენი ხნის სიმწარე სიამოვნებათ არ შეგიცვალო. სულ მოკლე ხანში გავხდები დიდი „ოტვეტსვენიკი“. დღემდის რომ ასე მოვქცეულიყავი, ჩვენი საქმე კარგად იქნებოდა.

ნინა:— რა ვიცი, შენი ჭირიმე; მოვლენ-მოვლენო, მაგრამ არავინ ჯლარ სჩანს.

ალექსა:—„ეშმაკს ღვინო არ ჰქონდა და ტიკჭორას ბერავდა“-ო მეც ასე მომივიდა, მათი მოსვლის იმედით შვიდი წელია რაც შენ შეგაწუხე და თავიც გავიმწარე. ან კი საქმეს კარგად წავიყვან. კედელზე სურათები ჩამოკიდე; კომუნისტების გინებას თავი დაანებე; ვერას ნუ აჯავრებ, თორემ ქე ეტყვის კომსომოლებს და მათ ხელში ჩავარდნას ჯოჯოხეთში ყოფნა სჯობია. ასე ჰქენი შენი ჭირიმე ასე.

ორასიანი ადგილზე წამოვსკუპდი, ჩვენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს, არ მოგაკლებ ინდიკო-კოვერკოტის პალტოებს. მხოლოდ შენი ჭირიმე ცოტა კიდევ მომითმინე, მადროვე, ეს წმინდა გიორგის ხატი (მიუთითებს ხატზე და გადაიწერს პირჯვარს) ჩვენს საწოლ ოთახში გადავიტანოთ. ცოტა პუდრი და ტუჩის ეკონომია გააკეთე და იმ შენს კოხტა ტუჩებს პილპილსავით ნუ გააწითლებ. ასე გენაცვალე, ასე.

ვაიბიელი.

# „სიტყვა სხვა.“




1. ქარიჟთ დავქროლავდი ქალაქსა და სოფელს შუა და ვამზადებდი რევოლიუციას; 2. ვაფეთქებდი თვითმპყრობელობის ბუნაგს. 3. ვებრძოდი გლეხების შეუგნებლობასა და სიბნელეს; 4. ვაღრმავებდი ქალთა შორის მუშაობას...

## შიკრიკი

— ბიჭო,—გასძახა საქმეთა მმართველმა ხრინწიან ბარიტონით შიკრიკს,— მოდი აქ. შენ წასვალ ეხლა ჩემსას, ბჳრტფელი დამრჩა და მომიტან. ჩქარა. მისული რომ არ მეგონო, მოსული გაჩნდი.

— კი, მარა, ბატონო, ბატონი გამგე მგზავნის ეხლა მუშკოოპში თეთრეულისთვის, ოჩერედი ყოფილა ტავარნი პოეზდის სიგრძე. იქედან მაშინისტკისთვის გამოვიარო უნდა გოსმედტორგში დუხის საყიდლად და ამავე მიმართულებით ბუჰხალტერისათვისაც უნდა ვიყიდო პაპიროსი.

კვანტი.

# საქმე სხვააʻʻ...



1. მართლაც ქარივით დაჰქროდა ქალაქსა და სოფელს შუა; 2. აფეთქებდა შამპანიურს; 3. ებრძოდა შეუგნებლობასა და უცოდინარობას; 4. აღრმავებდა ქალთა შორის მუშაობას.

---

## სადგ. ნავთლუღი

„ტარტაროზ“-ჯან გენაცვალე
შემოგევლე თავსა,—
სიკეთისთვის ნუ გამწირავ,
ნუ შემამთხვევ ავსა.
დავალების შესრულება
მთლად ვერ შევსძელ, მარა...

აქაური ამბავიდან
შენთვის ცოტაც კმარა.
სადგურის სისუფთავეზე
გავიფიქრებ როცა,
მყისვე თვალწინ დამიდგება
დარაჯ-ქალი როზა.
მასთან პირობით შეკრულან
მარუსა და სონა,—

კახეთიდან არაყს ზიდვენ,
შეკრეს ფულის კონა.
მწყობრად, შეხმატკბილებულად
ადიდებენ ღმერთსა,—
პარტია'ში ნუ დასტოვებ
მათგან ნურცა ერთსა.

ლუ—ნი.

# გრამიტონ

რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, გრამიტონმა ნაციონალ-დემოკრატიის რიგებში ამოჰყო თავისი მრავალმიმართულებიანი თავი და კარგა ხანს ამყოფა შიგ.

ცხრაას თერთმეტში, რაღაც მიზეზის გამო, მან იცვალა მიმართულება და სოციალ - ფედერალისტებს ამოუდგა გვერდში.

როდესაც მსოფლიო ომი გამოცხადდა, გრამიტონი ისევ გადაიქცა სოციალ - დემოკრატიულ პარტიაში და ღიარა „ომი — საბოლოო გამარჯვებამდე“.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ იგი პროვინციალურ ცენტრებში მოღვაწეობდა და სხვათა შორის იბრძოდა ბოლშევიკების და საქართველოს ბოლშევიზაციის წინააღმდეგ.

მაგრამ რალაი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, გრამიტონმა, დროსა და გარემოების მიხედვით შეატრიალა კეხი.

— გახსოვთ, ყმაწვილებო, მე რომ გეუბნებოდით, საბოლოოთ ჩვენში კომუნისტური წყობილება დამყარდება თქვა? ზოგიერთები, კონტრ - რევოლიუციონერები ამისთვის მებრძოდენ და მდევნიდენ... ეხლა რაღა პირით მოვლენ ამ ჩვენ პროლეტარულ ხელისუფლებასთან?—ამბობდა გრამიტონ.

ერთი სიტყვით გრამიტონმა მაშინვე მოინდომა კომუნისტურ პარტიაში შესვლა და განცხადებაც შეიტანა, მაგრამ არ მიიღეს. ყველამ იცოდა გრამიტონის რწმენის „სიმტკიცე“.

წარბიც არ შეუხრია გრამიტონს:

—შინაურ ღვდელს როდის ჰქონდა შენდობა, ახლა რომ ჰქონდეს? — სთქვა მან და რესპუბლიკის დაშორებულ რაიონში გადავიდა სამუშაოდ.

გრამიტონი ახალ რაიონს მოევლინა, როგორც ძველის ძველი კომუნისტი.

კომუჯრედში, რომელიც ის იყო მაშინ დაარსდა იმ სოფელში, გრამიტონმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა.

— მახსოვს ერთხელ მე და მიხა ლენინგრადში წავლაპარაკდით საფრანგეთის რევოლიუციის შესახებ!—იტყოდა გრამიტონი.

— რომელი მიხა?

— აგი, კაცო, ჩვენი ცხაკაია.

— „ძველია, ძველი“ — ფიქრობდენ კომუჯრედში მოწიწებით.

ხან იქით გადაიყვანეს გრამიტონი, ხან აქეთ, ხან ერთი თანამდებობა ჩააბარეს, ხან მეორე... კაცი გადიდკაცდა, დასახლდა, ოჯახი გაამშვენიერა, წელი მოიმაგრა.

სოფელში კოლექტივი დაარსდა.

გრამიტონს ყელის სიმები ჩააწყდა, იმდენი იქადაგა კოლექტივიზაციის მნიშვნელობაზე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა კოლექტივი.

— გრამიტონ, შენ აღარ ეწერები ჩვენს კოლექტივში?

— მინდოდა, მაგრამ არც ცოლი, არც სიმამრი, არც სიდედრი არ მანებებენ.

ხომ იცი მათში კიდევ არის გამჯდარი ძველი შეხედულება, წვრილ-ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა...

—მერე და იმათ უჯერი — კომუნისტი კაცი?!

— არა, მაგრამ ახლა უცებ ხომ ყველაფერი არ შეიძლება. ჯერ კულტურულ - პოლიტიკურად უნდა მოვამზადო ჩემი ოჯახის წევრები, რომ დამთანხმდენ კოლექტივში ჩაწერაზე... ხომ იცით, პარტიის გენერალური ხაზი გვიკარნახებს უარვყოთ ყოველგვარი ძალდატანება კოლექტივიზაციის დროს.

— ტყუილს ამბობს ეგ პირმავი. — ამბობდენ გლეხები —მაგას თითონ არ სურს კოლექტივში შესვლა, რადგანაც ცხენიც ყავს, ხარ-კამეჩიც, ცხვარიც და შინაური ფრინველიც...

გრამიტონს მართლაც არ სურდა კოლექტივში შესვლა, რადგანაც თითონ საკმაოდ მდიდარი გლეხი იყო.

ჰო-და, იმას მოგახსენებდით, გრამიტონმა არ დაიჯერა, რომ პარტიის გენერალური წმენდა იწყებოდა. მას არც ეპიტნავებოდა ეს წმენდა, რადგანაც, ძველ ცოდვებს გარდა, ახალიც ცოტა-რამ უკულმართობა ჰქონდა ჩადენილი. სახელდობრ: მას ბრალად ედებოდა საკრედიტო ამხ.-პის თავმჯდომარეთ ყოფნის დროს კულაკებისათვის კრედიტების დარიგება, კოოპერატივის ფულის გაფლანგვა და გზის ფულის გადამალვა.

მიუხედავათ გრამიტონის პროტესტისა, წმენდა მაინც დაიწყო. წმენდის კომისიამ დაიბარა გრამიტონი, რომელზედაც კარგა ბლომად დაგროვილიყო საბუთები.

— ნაციონალ - დემოკრატიულ პარტიაში იყავით ოდესმე?

— ფიქრადაც არ მომსვლია შიგ შესვლა.

— სოციალ - დემოკრატიულში?

— ვიყავი, მაგრამ ცოტა ხანს, ისიც მემარცხენე ჯგუფს ვეკუთვნოდი ყოველთვის.

— ფულის გაფლანგვა გედებათ ბრალად.

— აშკარა ცილისწამებაა...

— ფულის გადამალვაც.

— უდავოა, კერძო ინტერესით დაუსმენივარ ვიღაცებს...

— კულაკებისათვის სესხის დარიგებაც!

— ჭორია... ინტრიგებია...

— რატომ თქვენს რაიონში არ მიგიღეს პარტიაში?

— იმავე ინტრიგების გამო...

— ამ დაშორებულ კუთხეს რატომ შეკედლებიხართ?

— პარტდირექტივის ძალით: პარტია გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება დაშორებულ რაიონებს მივაქციოთ.. აი, როგორ არის ნათქვამი მე-15-ე პარტყრილობის, ცეკას ნოემბრის პლენუმის და მე-16-ე პარტკონფერენციის რეზოლიუციებში: „იღებს რა მხედველობაში და ითვალისწინებს რა, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის“..

— საკმარისია, შესწყვიტეთ და მიბრძანდით!

და... წარმოიდგინეთ: გრამიტონი, რომელმაც „მამაო ჩვენსავით“ იცოდა ყველა რეზოლიუცია - დადგენილებები, როგორც ახლა თითონ ამბობს ხოლმე, — „გამოჩისტეს“ პარტიიდან.

მოელოდით ამას თქვენ?

ტერსიტი



ვერ მოთავსდა თავის ტყავში და აფეთქდა თავისთავად.

# მომარაგებული



— აწ რა გვეშველება, რომ პარტიიდან გამოგვაგდეს?
— არ უშავს; ვიცოდი ასე მოხდებოდა და იმიტომაც მოვეწყვე ასე,
— ყველაფერი გვაქვს!

# ვერ გაჰქრა

— საით გირჩევნია? მე მგონია „სიცოცხლე“-ში ჯობია. წავიდეთ, ერთი ზორბათ ვივახშმოთ!—დაბეჯითებით და დიდი სიყვარულით დამპატიჟა ჩემმა ძველმა ნაცნობმა მიხაკომ.

მე რა თქმა უნდა, სხვის ხარჯზე ქეიფის წინააღმდეგი არასდროს არ ვყოფილვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში ყოველგვარ ფორმალისტობისა და დიპლომატიის გარეშე გავიპატიჟე და მადლობის გადახდით ვარი ვუთხარი.

— უარის თქმა არ შეიძლება. უსათუოდ უნდა წამოხვიდე.

— ვიცი, ძამია, რა მუცლის გვრემაცა გაქვს. დაპატიჟება კი არა, ქუჩაში სალამს არ მაძლევდი!—გავიფიქრე და წასვლა დავაპირე.

— შენ არ მომიკვდე არ გაგიშვებ. ერთი კვირაა დაგეძებ, შენთან ერთი სერიოზული საქმე მაქვს და... იქ გეტყვი, წამოდი!—მკლავში მკლავი გამიყარა.

წავედით...

— აბა ცოცხლათ! ჯერ საუზმე... შემდეგ სადილი. გასცა განკარგულება ჩემმა ნაცნობმა. მადლობა თვითონ იკისრა და, რა თქმა უნდა, პირველად ჩემი სადღეგრძელო დალია; შემდეგ ჩემი ცოლის, შვილების, მშობლების, დედ-მამის, ბებია-პაპუასი და სხ.

განსაკუთრებულ სასმისით და სიტყვებით დაილია ჩვენი ძველი ძმობისა და ნაცნობობის სადღეგრძელო. შემდეგ მორცხვათ და თვალების არიდებით დამიწყო:

— იცი ამხანაგო ზოსიმე, რომ პარტიაში წმენდა დაიწყო?

— მერე რა. კარგია ძალიან. შეუფერებლებსა და მიტმასნებულ ელემენტებს გამოაძევებენ!

— კი, მაგრამმმ.... ჩემი ძველი წარსულის შესახებ გამწმენდ კომისიაში ვიღაცას განცხადება შეუტანია.

— მერე რა, სიცრუე სწერია რაიმე შიგ თუ?

— საქმეც ეს არის, რომ ყველაფერი სიმართლეა.

— მაშ გინდა, სიმართლეს თუ კი სწერენ, რაღა გაწუხებს?

— როგორ არ მაწუხებს, შე კაცო! იმ მასალების შემდეგ პარტიაში ვინღა გამაჩერებს?

— მერე და, ჩემგან რა გინდა? სადაური გამწმენდი კომისიის წევრი მე ვარ, უპარტიო კაცი, რომ შემომჩივი?

— ნუ იცი, კაცო, მასხრობა!—შემევედრა მიხა და გამომშვიდებისას კიდევ ჩამელაპარაკა:—ხვალ სადილი ერთად ვჭამოთ.

უჯრედის ღია კრებაზე, სადაც წმენდა მიმდინარეობდა, მიხაკო ყველაზე გვიან გამოიძახეს.

თავისი ავტო-ბიოგრაფია დაიწყო ძალიან შორეულ რევოლიუციონურ წარსულიდან. გზა და გზა მოწმეებათ ასახელებდა ცნობილ რევოლიუციონერებს, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან.

— ამხანაგო, ცოცხლები დაასახელეთ!—უთხრა კომისიის წევრმა.

მიხაკო ინტიპარს არ იტეხს და თავისას განაგრძობს. დიდის რიხით აღნიშნავს მონაწილეობას სამოქალაქო ომში. „ნივთიერ საბუთათ“ აჩვენებს ხელს, რომელსაც აჩნია ძველი ჭრილობის ნიშნები.

— სამოქალაქო ომის სიმკაცრეს ვის ზურგზედაც გადაუვლია, ვისაც სისხლი დაუღვრია საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, ვისაც დენიკინ-კოლჩაკისა და მთელი რიგი კონტრ-რევოლიუციონერებთან ბრძოლაში შეუწირავს თავისი ჯანი, —ისინი გამიგებენ და კიდევაც დამიმოწმებენ, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ აქ არ არიან...

— აგერ ვარ; მე ვიცი!—წამოვიძახე და: დაწვრილებით ვუამბე კომისიას მიხაკოს წარსული.

— მიხაკოს, როგორც უარყოფით ელემენტს, ყველა კარგად იცნობთ, რაც შეეხება ხელზე ჭრილობას,—მიღებული აქვს არა სამოქალაქო ომში, არამედ სკროსკიპოში, სადაც თავის ამქრებს ჩხუბი აუტეხა და დასჭრეს.

— მე კი არა, მათ ამიტეხეს ჩხუბი! —თავი „იმართლა“ მიხაკომ, დარბაზში სიცილი გაისმა.

ყურჩამოყრილი მიხაკო უპარტბილეთოდ დაბრუნდა სახლში.

ტოქსინა.

# გვიანდაა

მიშა მოქნილაძემ დიდის ვაი-ვაგლახით მოახერხა პარტიაში შესვლა.

— მიმიღეს, მიმიღეს—მიაძახა მან ცოლს.

— მართლა? გენაცვალე რა მოხერხებული კაცი ხარ; აბა ეხლა შენ იცი, ისე კი არ ქნა, მეშნევიკების დროს, რომ ვერაფერი იხეირე — კაცი თითქმის მინისტრი იყავი, მარა რა შეგრჩა ბოლოს ხელში? თითქმის არაფერი.

— შენ ჯავრი ნუ გაქვს, ეხლა მეც ვისწავლე ჭკუა — უპასუხა ცოლს მიშამ.

— თქვენ არ გესმით მოვალეობა, სოციალისტურ მშენებლობის დროს კიდევ მეტი ნერვების დაჭიმვა და ენერგიაა საჭირო — ეტყოდა ხოლმე ხშირად მიშა თავისი ხელქვეით მუშა-მოსამსახურეებს. ორი-სამი კიდევაც მოხსნა სამართლიანი შენიშვნისათვის სამუშაოდან.

ერთხელ მიშა მოქნილაძე თავშეხვეული მივიდა სამსახურში.

— რა დაგემართათ თავზე? — შეეკითხა მას მორჩილი საქმეთა მმართველი.

— არაფერი, ისე ცოტა მტკივა — უპასუხა აბნეულათ მიშამ. ამ დროს გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— ალლო! ჰო მე ვარ მიშა, როგორ ვარ და ძალიან ცუდათ, წუხელი სადღაც თავი გამიტეხია, დღეს „პახმელიაზე“ წავიდეთ? კარგი წავიდეთ, მაგრამ სად? „ნად კუროი“-ში მომბეზრდა, მოდი ისევ ვერის პარკში წავიდეთ „ტამ ბოლეე უიუტნო“, მაგრამ იცოდე სონა წამოიყვანე, ანიკო მეტის მეტი ანჩხლი ყოფილა, კარგი ნახვამდე, ეხლავე ავტომობილს მოვიყვანებენ და წამოვალ.

ერთი საათის შემდეგ მიშა მოქნილაძეს ავტო ვერის ბაღებისაკენ მიაქროლებდა. გადიდკაცებულმა მიშამ თავის ოჯახში ყველაფერი განაახლა. ძველი არაფერი აღარ მოსწონდა. ბოლოს ცოლსაც აუხირდა: — მე შენთან ცხოვრება არ შემიძლია, ჩვენ უსათუოთ უნდა განვშორდეთ ერთმანეთს.

— რატომ, რისთვის, რა დაგიშავე კაცო?

— ისე, აღარ მომწონხარ, ცხოვრება წინ მიდის, ყველაფერი უმჯობესდება, მეც მინდა უკეთესი ცოლი მყავდეს. ასე თუ ისე ერთ მშვენიერ დღეს მიშამ ცოლი სახლიდან გააძევა. ცოლათ მოიყვანა ერთი კოპწია მოცეკვავე ქალი. განაგრძობდა განცხრომით ცხოვრებას.

— რამ გამოგცვალა ასე უცბათ კაცო—ეუბნება მას ხშირად ახალი ცოლი.

— რა და გლახა სიზმარები მაქვს, მე უსათუოთ პარტიიდან გამაგდებენ.

— რატომ, ვინ რა იცის შენ რას სჩადიხარ.

— არ შეიძლება დაახლოვებით მაინც არავინ იცოდეს ჩემი ამბები.

გამოიცვალა ის ტრესტშიაც: ამას წინათ მოხსენებაც კი გააკეთა საწარმოო თათბირზე სოციალისტური შეჯიბრის შესახებ.

— ამხანაგებო! ჩვენ თავი უნდა დავდვათ და შევასრულოთ პარტიის დირექტივა თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებო — რიხიანად განაცხადა მიშამ.

მუშა - მოსამსახურეებსაც მეტათ თავაზიანათ ეპყრობა ამ ბოლო ხანებში:

—ამხანაგო თქვენ ავანსი გნებავთ? ეხლავე გამოგიწერთ.

— დაჯექი კაცო, რატომ ხარ ფეხზე, ძველი დრო ხომ არ არის, გადაეჩვიეთ ამ ბიუროკრატიულ მანერებს.

— აჰა კაცო პაპიროსი მოსწიე.

ძველი.

## კამპანია, რომელიც „კამპანიისათვის“ ემზადება



— ამხანაგებო, გაუმარჯოს წმენდაზე ჩვენს შეერთებულ გამოსვლას, ჩვენი ქარხნის დირექტორის, წესიერაძის წინაალმდეგ, რათა შემდეგში უფრო დაუსჯელად განვაგრძოთ ჩვენი მოქმედება.

— უკაცრავად, ჩვენ „ამხანაგები“ კი არა, პატიოსანი მსმენელები გახლავართ, გესმის, მსმენელებო!

მზადდება

„ტარტაროზი“-ს

სპეციალური

საგზაო

ნომერი

## სიფრთხილეს თავი არ სტკივა



— კოტე, გენაცვალე, აი, ეს საჩაფხულო შლიაპა უსათუოდ უნდა მიყიდო, გესმის, უსათუოდ!

— მოიცა, ერთი ეს წმენდა ჩაატარონ და შემდეგ:

# ერთი კაცის ისტორია

### სინამდვილე

მეტად ძნელია სოფლად ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაიწყება შემოდგომის გრძელი ღამეები და დაუსრულებელი წვიმები! ზიხარ სახლში მარტოდ მარტო და გული მწარე ფიქრებით გეკუმშება! ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. მოდიან მოსაწყენი ყვითელი დღეები; რაც არ უნდა დიდი ენერგია დახარჯო საზოგადო საქმისთვის მაინც არავინ დაგაფასებს ღირსეულად!

არა, საქმის კაცს სოფლად არ მოეცდება, თუ გინდა სახელი დაიმსახურო ქალაქს უნდა მიაშურო. იქ აუარებელ ნაცნობებს გაიჩენ... არასოდეს არ მოგწყინდება აპრიალებული ქუჩები, ამწვანებული ბაღები, თმა მოკლე, ტუჩებ-შეღებილი ქალების ცქრიალი, ავტოების ნავარდი და ირგვლივ გამეფებული უსაზღვრო ბედნიერება!

ოხ! ღმერთო! როდის მოვშორდები სოფლის ჭაობს.

ასეთ ფიქრებში იყო გართული სოფ. ამაღლების (გურია) მცხოვრები გრიშა **სიხარულიძე**, რომელმაც ვერ აიტანა სოფლის „მძიმე“ ატმოსფერა და ერთ დარიან დღეს თავისი ხარახურა ჩემოდანში ჩაალაგა და ქნა „პირი ქალა[illegible]ისაკენ“.

ჩამო[illegible]ოიგ არ გაუვლია დიდ ხ[illegible]ში სოც-უზრუნველყოფი[illegible] კომისარიატის სათამაშოების პასუხისმგებელ თანამშრომლის თანამდებობაზე ჯამოიჭირა. ტკბილად ამოისუნთქა მან და მომავალ განდიდებაზე დაიწყო ოცნე[illegible] მაგრამ მეტად გულ-ცივი აღმოჩნდა დასახელებულ კომისარიატის ადმინისტრაცია, რომელმაც გაბედნიერებული გრიშა პასუხისგებაში მისცა რაღაც ასი მანეთის ჩაიმასქნებისათვის.

გრიშას აქ არაფერი ჩაუდენია უჩვეულო. 18 მანეთად ნაყიდ საათის ფასი 118 მანეთად გადააკეთა. 100 მანეთი არც ისე დიდი თანხაა რომ კაცს სამუდამოდ სახელი გაუტყდეს და აფერისტად მონათლონ.

წარმოიდგინეთ არც სასამართლომ მიიღო მხედველობაში თანხის სიმცირე და გრიშა მაინც გაასამართლა, რომელსაც 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ალბად მიზეზების გამო იმავე სასამართლომ სასჯელი გაუნახევრა, განახევრებული სასჯელი ამნისტიის ძალით შეუმცირეს და ერთ წლამდე დაიყვანეს; ბოლოს ერთი წელი ხუთი წლის პირობით სასჯელად პატიმრობა შეუცვალეს.

სასჯელს ვინ ჩიოდა რომ ყოველივე ეს გაზეთებში არ დაბეჭდილიყო და ქვეყანას არ მოფენოდა.

ვერაფერსაც დამაკლებენ... სასამართლო შეცდა... ყოველივე მოჭორილია. ტროცკისტობაც დამწამეს...

მე მეტად გულჩვილი კაცი ვარ და ვერ ავიტანე ინვალიდების და საერთოდ დასაწყლებული ხალხის ცქერა. სამსახურს ჩემით დავანებე თავი—ასე ეუბნებოდა ნაცნობებს გრიშა და მართლაც არ გაუვლია რამოდენიმე დღეს, რომ ერთი დაწესებულებიდან გაბითურებული — გაპანღურებული გრიშა მეორე დაწესებულებაში გამოიჭიმა უფრო მაღალ და საპასუხისმგებლო თანმდებობაზე, როგორიც არის: შრომის ბირჟის მთავარი კონტროლიორობა.

გრიშა უმუშევრების თვალში მალე თვალსაჩინო ფიგურად აღიმართა, საკუთარი კაბინეტიც გაიჩინა და კარებზე ნაბეჭდი მისი სახელი და გვარი გამოაკრა...

— აბა ახლა უნდა გამოვიჩინო ბიჭობა, ახლა მაქვს დრო რომ ჩემიანებს გამოვადგე —ფიქრობდა იგი და ზედი-ზედ გზავნიდა სამსახურში ურიგოდ ნაცნობ მეგობრებს. არა კავშირის წევრებს, კულაკის შვილებს და სამაგიეროდ გასამრჯელოსაც ღებულობდა სხვადასხვა „მაღარიჩების“ სახით.

მისი მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩა მუშგლეხინის ფხიზელ თვალს და... და გრიშას მიართყეს მეტად მწველი პანღური.

— ტროცკისტობას მწამობენ, მე გულჩვილი კაცი ვარ, ვერ ავიტანე უმუშევრების და საერთოდ დასაწყლებული ხალხის ცქერა, ამიტომ ბირჟაში სამსახურს ჩემით დავანებე თავი... იატყობ რომ მაგათი საქმე ხელიდან წასულია... მართლაც წასულია ხელიდან ასეთების საქმე.

**მანი.**

# ნამდვილი მიზეზი



— რისთვის გასწმინდეს მავნებლაძე თუ იცი?

— მანქანების გაუწმენდაობის გამო!

# ქამაშვილი

— „წმენდა“ ამ სიტყვის ძირი ხომ სიწმინდეა, — წმიდა. სწორედ ამიტომ დაარქვეს მარიამს წმიდა მარიამი. ულოცო უნდა მეტი რა ღონეაო, გადასწყვიტა ჭიჭიკო ქამაშვილმა. საწოლთან მარქსის სურათი ქონდა დაკიდებული. სურათის მეორე მხარეს წმიდა მარიამის ხატი ქონდა აფარებული. მარქსის სურათი შემოაბრუნა, წამოუჩოქა წმიდა მარიამს და დაიწყო:

— წმიდაო მარიამ, დღემდის შენთვის არ გამიმხელია ჩემი პარტიულობა, მაგრამ ახლა გაჭირვებამ მაიძულა, რადგან კარს მომადგა პარტიის წმენდა, მე მოველი შენგან შველას, გადმოფინე სიწმიდე შენი და გადამარჩინე პარტიიდან გარიცხვას, გევედრები მუხლ მოდრეკით!

ამ ლოცვის დროს თვალ წინ მოუდიოდა — თითქოს მანდატს ართმევდენ, ველარ მოითმინა და ცრემლები გადმოყარა. ჭიჭიკო კიდევ დიდხანს იქნებოდა დაჩოქილი ხატის წინ, რომ მასთან არ შესულიყო თავისი ცოლი ივლიტა. ჭიჭიკოს თვალეზე ცრემლები ძლიერ გაუკვირდა მას.

— რა იყო, ჭიჭიკო ეს ცრემლები რა არის შენს თვალებზე? ჰკითხა გაწითლებულმა ცოლმა. ჭიჭიკო გიჟივით წამოხტა ზეზე სურათი ისევ შეუმჩნევლად შეატრიალა.

— რა ვქნა, ჩემო მშვენიერო ივლიტა, ძლიერ კარგი კაცი იყო ის ცხონებული მამა შენი, გამახსენდა ის, ველარ მოვითმინე, მისმა მოგონებამ ცრემლებით ამივსო თვალები — უპასუხა ცოლს, გულში კი მაგრა შეიგინა — ძაღლები ჩააკვდეს სამარეში მამა შენს, შენი ჩემზე შემოტყუებისათვისო.

ივლიტას მეტად ესიამოვნა ქმარის ასეთი მოქმედება. თან უკვირდა: — მთელი ორი წელიწადი ზურგზე მახოლები გამიჩინა ნაცემით და ასე კუშად რომ მეპყრობაო.

გადიოდა დღენი, ჭიჭიკო ყოველ ფეხის გადადგმაზე წმენდაზე ფიქრობდა და ეძებდა ხალხს გადასაბირებლად, მაგრამ ვინ უნდა ეშოვნა, ღარიბებთან მას საერთო არაფერი ქონდა, მართალია პარტიული იყო, მაგრამ პარტიის ხაზის გატარება ფეხებზე ეკიდა. ღარიბების დახმარების ნაცვლად შეძლებულ და კულაკს უწყობდა ხელს, მათთან იყო დღედა ღამე. გაჭირვების დღესაც მოაგონდა კულაკი გრიგოლა — გრიგოლა, შენ ივანე გყავს ნაცნობი თბილისში, მიწერე როგორმე დამეხმაროს, დაწვრილებით აუწერე ჩემი ვინაობა, გესმის თორემ დავილუპე, — უთხრა ერთ დღეს გრიგოლას ჭიჭიკომ.

— შენი დახმარება ჩემი ვალდებულებაა, შენ რომ გაგჩისტონ, მეც ხომ ვიზარალებო — მიუგო გრიგოლამ და დასწერა წერილი.

— „ამხ. ივანე! მოგეხსენება, ახლა იწყება პარტიული ჩისტკა, ამიტომ გთხოვთ დაეხმაროთ მაქედან ჭიჭიკო ქამაშვილს. ჭიჭიკო მეტად სპეტაკია, მართალია გლეხები საყვედურობენ, თითქოს ჭიჭიკო ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, მაგრამ ეს არ არის სწორი. ჭიჭიკომ ორ სართულიანი სახლი აიშენა და მეტ სიმაღლეზე დადგომა მგონია არაა საჭირო, თუ ღარიბ გლეხებს ვერ ეხმარებოდა, მაგიერში მსხვილ მეურნეობას ხელს უწყობდა. თქვენი პარტიის ლოზუნგიც ხომ ეს არის. ჩვენს სოფელში მსხვილი მეურნეობა მხოლოდ ჩვენ გვაქვს და ჭიჭიკოც ჩვენ გვეხმარებოდა, აბა რა უნდა ექნა, მე მგონია ეს არაა გადახრა, რაც შეეხება ლოთობას და ცოლის ცემას, მას შემდეგ რაც წმენდა გამოცხადდა ხელი აიღო ამ ამბებზე და მეც ურჩიე, რომ სანამ წმენდა მოთავდებოდეს, თავდაჭერილად იყოს.

ამბობენ ჭიჭიკომ პლატფორმას გადაუხვიაო, არ არის მართალი, რადგან ჩვენს პლატფორმასთან მიწა ორივე მხარეს მის მამას ეკუთვნოდა წინეთ და პლატფორმის მეორე მხარე მან მიიკუთვნა. აბა შენ იცი ივანე, თუ მოინდომებ ამ საქმეს — ასე თავდებოდა გრიგოლას წერილი. წერილი ფოსტის ყუთში ჩააგდო და ჭიჭიკო დაამშვიდა.

— ივანე, წერილია სოფლიდან. უთხრა ცოლმა ივანეს და ახლად მიღებული წერილი გადასცა მას. ივანემ წერილი გულდასმით წაიკითხა, შემდეგ ხელი ჩაიქნია და სთქვა:

—ამ. ჭიჭიკოს გაჭირვებაზე მწერს, სიცხე მიუცია წმენდის საკითხს, მე ჩემი გაჭირვება მეყოფა, გუშინ გამჩისტკეს კაცი, გრიგოლასთანებმა დამღუპეს და ახლა პროტექციას მთხოვს.

ფეანიჯა.

# ბათუმი

სასამართლოში შევალ,
ნაცნობები მყავს ბლომად.
საკბილო მუდამ არის
იქ მუცლის გასაძღომად...
ზოგი მოვიდა ცხრაზე,
ზოგმა დაკარგა ათი,
(ალბად თუ შეეშალა
მას მისი მისამართი).
რა ვუყოთ—„ჩვენებია“
არ ითქმის მათზე ცუდი,
ცოტა კი მოუხდება
მათ „ტარტაროზის“ კუდი.

იქიდან ალმასკომში
მე გავეშურე წამსვე,
რადგანაც არის მუდამ
იქ „საქმეები“ სავსე.
კორიდორია დიდი,
და არის გასაქანი,
ხშირად დადიან უქმად,
რომ საქმეს უქნან განი.
(იქ ბევრი უნდა იყოს,
ძველი ხარისხის გვანი).

მესამე მუშკოოპში წაველ
ის ჩვენი არის სრულად,
არ არის თორემ ნარმას
მუდამ იყიდი ფულად.
ვკითხე: „როგორაა საქმე,
ხად რას ხსნით კიდევ ახალს?
მსურს პროტექცია უქნა
ჩემს ნათლიას და მძახალს“.
სთქვეს, რომ უნდოდათ გახსნა
ახალი სავაჭროსი,
მუშათა უბანშია
კარგის და სავარგოსი.
მაგრამ ვერ ნახეს ბინა
დაეწყოთ საქონელი,
და ამ მიზეზმა იმათ
დღეს შეუშალა ხელი.
ერთ შენობაში იყო
ძროხა და მისი შვილი,
ამიტომ ვერ დასცალეს
რადგან ცხოვრობდა წყვილი.
მაგრამ მომკვდარა ძროხა,
ხბო დარჩენილა ობლად,
ვერც მისი გამოყვანა
მოხერხებულა სოფლად.
ყოფილა „ოტვეტსტვენი“
(როგორც ირკვევა საქმით);
ამიტომ ფუჭი არის,
რა გაკეთდება აქ თქმით?

წითელი კუთხე შემხვდა,
კულტურის არის დარგი;
მორთული სურათებით
სასურველი და კარგი.
დავჯექი, ვითამაშე,
შეც მოვიხსენე კვარტი,
მაგრამ გამომდევს აქვე
მოხერხებული კვანტი.
მომშივდა, შევიარე
სასადილოში იქვე,
სანამ მომცემდენ საჭმელს,
გამოვიძინე პირქვე.
მოღლილმა და მოქანცულმა
გამოვეშურე სახლში...
რაც ხდება სხვაგან, მოგწერ
ყველაფერს მოკლე ხანში.

„მიმოზა“.

# ცნობათა მიღება

**„ პინგენს“** (ქუთაისი): — თუ მართლაც ზემოხსენებუ- სიმართლეა, რატომ არ ასახელებთ მომქმედ პირებს და ...მედების ადგილს? ვინ იცის — ეგებ სხვა კომუნისტ- “ იქეიფა თავისი ამქრებით ახალკვირას და მშობლებს ...ტეს დღესასწაული მიულოცა. ამიტომ საჭირო იყო ...ოვნების დასახელება.

**ტარკოლს** (ახალდაბა): — თუკი მართლაც წასული ...დღეები ხახვივით შერჩა, რატომაც არ იქნება გათამამე- ...ლი და:

> ასე მღერის სატყეოში
> თავისუფლად გმირი ილო:
> „გამიფლანგავს, ვლავ გავფლანგავ,
> ვეცდები და კიდევ ვცდილობ“.

და როგორც სჩანს მიზანსაც მიაღწევს, რადგან ადგი- ...ბრივი ხელისუფლება „არ ერევა სხვის შინაურ საქმე- ...

**კავალერისტს,** (ჯუმათი): — განა შეიძლება ასეთი ...დუპლოს გამოაშკარავება, რომ „ალმასკომის თავმჯდო ...რემ კულაკ თეოფილე გოგუას სიღარიბის მოწმობა მის- უნივერსიტეტში წარსადგენად“. და თუ ამის შესახებ ...ლხში ალმასკომის მიმართ საყვედური გაისმის—საყვე- ...რი სრულიად სამართლიანია.

**ქვიჯას,** (ხონი): — თქვენ თუ კი გგონიათ, რომ თქვე ლექსის დაბეჭდვა უშველის საქმეს, — ჰა, ვბეჭდავთ:

> მიხეილ ფულსა სესხულობს,
> ასესხებს ნასესხს ფულსაო.
> პროცენტზე პროცენტს ლეჭულობს,
> ამხიარულებს გულსაო.

შემდეგ ყოფილ პატიოსან სერგოზე — კოოპერატივის ...ქარზე სწერთ:

> ეხლა სერგომ მოინდომა—
> ავაშენებ კარგს სახლსაო.
> მაგრამ საქმე წაუვიდა—
> რევიზია სჩხრეკს დახლსაო.

რა თქმა უნდა, დახლში რომ ყველაფერი რიგიანად ...ფილიყო, არც თქვენ და არც ჩვენ სათქმელი და დასა- ...რი არაფერი გვექნებოდა, მაგრამ... მაგარიც ის არის, ...ომ:

> რევიზიამ სალაროში
> ნახა დიდი დანაკლისი.
> თურმე ქაფი გაადინა,—
> შეირცხვინა მით სინდისი.

— და პანღური ჰკრეს ჩვენს სერგოს,—ღირსიც იყო მას ...ერგოს.

**რატატას,** (ბუკისციხე, გურია): — მიუხედავად იმისა, ...ომ — ჩვენ მაინცადამაინც არა ვართ გარკვეული მაგ ...კითხებში, მაინც ვბეჭდავთ ამონაწერს თქვენი ლექსი- ...ს:

> სკოლაში რომ შევიხედოთ,
> ვნახავთ გამგეს თვისი ცოლით.
> დომენტი კი შარაშიძეს
> გვერდს უმშვენებს თვის საცოლე.
> გლეხკომში კი თეოფილე
> ვასოს ძმაა პროტექტორი;
> ყველანი და ყველა ერთად
> ცოლ-ქმრებია და სწორსწორი.

ჩვენ ვერაფერი გავიგეთ ამ სიტყვებიდან რახა-რუხში. ...ბეჭდავთ მხოლოდ იმისათვის, რომ, ეგებ, სხვებმა გაიგონ ...ა გაგვაგებინოს—რაშია საქმე?

**კავალერისტს,** (სამიქაო, სენაკის მაზრა): — რაღა ...ა გითხრათ?! რამდენიც არ უნდა დავსწეროთ, გლეხკო- ...ის სასადილოში მაინც იქნება ღვინის სმა და ქეიფი. ეს ...კითხი ადგილობრივ ალმასკომში უფრო ადვილად მოგ- ...არდება.

**ზოსიმეს:** — ეჰ კაი კაცო, მადლობის მაგიერ საყვე- ...ურს უებნები? მართალი გითხრათ — ამ მასალის გასწო- ...ება დავიწყეთ, შუამდე მივედით და შემდეგ საჭიროთ ...ცანით არ დაგვებეჭდა.

**ციკლონს,** (გორი): — ვერაფერი შეილო ყოფილა თქვენი წითელი მეთაური პლატონი, თუ ამბობს:

> „მე როგორი წითელი მეთაური ვარ, თუ წითელი
> კვერცხი არ მექნა აღდგომას“.

ალბად, პლატონს დიდი მსგავსება აქვს რედისკასთან (ესეც ხომ გარედან წითელია!).

**ქაილას,** (ს. ალერტი, სენაკის მაზრა): — ალბად თქვენს ექიმ-ფერშალ-პროვიზორ პლატონზეა ნათქვამი ხალხური თქმულება: „უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებ- დენო“.

**არტაშანს,** (გუბი, ქუთაისის მაზრა); — ვასრულებთ თქვენს თხოვნას:

> სიმონიკა სვანიძემ მოიხმარა უნარი.
> არ დაზოგა: საწყალი, მეზობელი, სტუმარი.
> ტარტაროზო, მიირთვი დამღუპველი ქალისა;
> დამღუპველი მასთანვე ნორჩი მომავლისა.

**შალითას,** (სოფ. ღები): — თუ კი დარწმუნებული ხართ, რომ ტარტაროზში“ მოთავსებით საქმე გამოკეთდე- ბა, ჰა, ვბეჭდავთ თქვენს ლექსს:

> მხეიძემ თვის საქციელით ყველა გაჰგვაშეშა;
> რომ სკოლიდან მოიპარა მან ღრობით შეშა.
> ერთხელ ვნახე ის პიორას მეტისმეტად მთვრალი;
> ქუჩაში არ გაუშვია უკოცნელი ქალი.

**ალის,** (რაჭა): — რაღა გამოცანაა;

> უყვარს ქეიფი, ღრეობა
> რიონის პირათ ბორანთან,
> ყველა შვილები მან თვისი
> მღვდელ-დიაკვნებით მონათლა.

ეს ხომ ნესტორ მკერვალიშვილია?!

**ვლადიმერ მიქაბერიძეს,** (შროშა): — გიდასტურ- ...რებთ, რომ ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოს შესახებ მო- თავსებული წერილი თქვენ არ გეკუთვნით.

**ალის,** (მუხრანი): — ჩვენ არა გვგონია, რომ ასეთი ლექსით მიზანს მიაღწიოთ:

> გაზაფხულია. ხარობს ბუნება,
> ფერადფერადად ირთვება ველი,
> და ამიტომაც მომეგუნება
> წუთით გავართო ჩვენი მკითხველი.

ალმასკომს რომ პატრონობა შესძლებოდა, არც სკოლა იქნებოდა ასეთ დღეში.

**ტლინკაძეს,** (ცხემლის - ხიდი, ოზურგეთი): — თქვენი თემის მრავალ უარყოფით მხარეებიდან, ჩვენ აღვნიშ- ნავთ ამ შემთხვევაში იმას, რომ:

> ვერ ურიგდებით ღმერთმანი
> შვიდწლედში ჩხუბს და ყაყანსა.
> მასწავლებლები ერთმანეთს
> თავში ახლიან სტაქანსა.

თუ სტაქანი არ ტყდება, ხოლო თავი კი, — მაშინ კი- დევ არა უშავს მასწავლებლების ჩხუბს. (ზოგი თავი ერთ ჭიქადაც არა ღირს). გატეხილი თავის გამთელება ადვილი საქმეა; ხოლო გატეხილ ჭიქას არაფერი ეშველება.

ამის შემდეგ არც გასაკვირია, თუ:

> ილარიონი შორიდან
> უცქერის ამა ამბავსა
> (კავშირის თავმჯდომარეა)
> და უფრთხილდება ის თავსა.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა. რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში სჯობია თავი შორს გეჭიროს და სეირს შო- რიდან უყურებდე.

**№ 100-ს,** (სადგ. სურა): — რატომ არ ასახელებთ იმ „კომუნისტს“, რომელმაც:

> თითქოს აღდგომას ებრძვისო, შეჰყარა ულვთოთ რაზ- მია
> წარმოდგენაზე მოვიდნენ, სუყველა არის ნასმია.
> მეორე დღეს კი სხვა სოფლად დღესასწაულზე წავიდა
> ასეთი კაცი ვაშოროთ პარტიის რიგებს თავიდან.
> ალბად დაკმაყოფილებული იქნება ჩვენი წინადადებით

**შაკოს,** (კიათურა); — ამის შესახებ აქ იყო!

უკანასკნელად უთხრა „მშვიდობით“ და.....



და სამუდამოდ გამოეთხოვა.

პოლიგრაფტრესტის მე-5 ს ტამბა. კამოს ქ. № 68.,

კვირა. 9 ივნისი 1929 წ. № 24 (208) წლიწადი მეექვსე ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

## ინგლისის ახალი ჩემპიონი




სამი „დევ-გმირი" შეიბა,
გრძოლა დაიყო ცხარია:
გაჰკრეს, გამოჰკრეს ერთმანეთს
ცხვირში ადინეს ძმარია.

მათში მაკდონალდს ჰქონია
მუშტი მაგარი, მკვრივია.
მან გაიმარჯვა შეჯიბრში,
ამით დასრულდა კრივია.




**ეხლა** მეტი მორიდება გვმართებს მაკდონალდის მიმართ (კაცი პრემიერია) და ამიტომ ცოტათი შორიდან დავიწყებთ.

**ჰენრიხ ჰეინე** ინგლისს ადარებს კასტორის ზეთს, გამოწერილს დამზღვევ სალაროს ექიმის მიერ და ნაყიდს საავთიაქოს სამმართველოს აფთიაქში.

ადარებს და ასე ახასიათებს:

**„ქვეყანა, რომელსაც სიძულვილისაგან ამდენ ხანს გადაულაპავდა ოკეანე, კუჭის აშლის რომ არ ეშინოდეს".**

ჰეინეს მხედველობაში, რასაკვირველია, ბურჟუაზიული ინგლისი ჰყავს. ეს ჩანს მისივე იქვე მოთავსებულ სიტყვებიდან:

**„...რუხი, მთკლემარე საშინელება, რომლის ყოველი ხუნთქვა მხრჩოლავი გაზია და სიკვდილის დანახვა... ბოლოს, ალბად, თავს ჩამოიხრჩობს თავისი ხომალდის ვეებერთელა თოკზე"**

**ჰეინეს** ეს ოქმა (და ბაირონისაც, რომელმაც უწანასწარმეტყველა ბურჟუაზიულ ინგლისს დამხობა), ალბად, ამდენ ხანს ახდებოდა, რომ სარეცელზე სასიკვდილოდ გამზადებულ ბურჟუაზიისათვის არ მიესწრო ისეთს დახელოვნებულ დასტაქარს, როგორიც არის მაკდონალდი.

„სულზე მისწრებაო" რომ იტყვიან, სწორედ ეს არის.

**ხუთი** წლის წინედ, როცა ბურჟუაზიული ინგლისი ავად იყო, მაკდონალდს მიართვეს სამკურნალოდ. ხოლო როცა მომაკვდავმა მოიკეთა და ძალღონე მოიკრიბა, ამ ჩვენს მაკდონალდს უცბად ისეთი მაგარი პანღური ამოჰკრეს, რომ პრემიერობის პორტფელი ხელიდან გააგდებინეს.

**ეხლაც** ავად არის ინგლისის კაპიტალი, რომელიც თავს იკატუნებს კარგად ვარო,—მაგრამ მაკდონალდის მოწვევა აშკარავებს მის დაავადებას.

**ვის** გუხარდა მაკდონალდის გამარჯვება?.

უწინარეს ყოვლისა თვით მაკდონალდს.

შემდეგ... შემდეგ, ეგებ, ჩვენს ემიგრაციას, რომელსაც, (როგორც თავისი ხუთი თითი ისე ვიცი), ასეთი საუბარი ექნებოდა:

— ჩვენმა ძმამ და პირის ზიარებამ თუ კი გაიმარჯვა, რაღა გვიჭირს! გაგვიხსენებს ძველ პურ-მარილს, რომელიც ჩვენს დროს მიიღო საქართველოში.

— გაგვიხსენებს კი არა, სალამის მოცემასაც არ იკადრებს. არ გახსოვს, რა იმედი გვქონდა როცა პირველად პრემიერი გახდა,—მაგრამ, შენც არ მომიკვდე; მოგვეხმარა კი არა, გამოაცხადა: საბჭოთა კავშირს ჩვენ ვცნობილობთ იმ ტერიტორიაზე, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობსო... აი ჩვენი საქართველო ზედ მიაკერა... ეს არის მისი კაი ბიჭობა!? ერთი კაი კაცი მე ვარ, მეორე—შენ და მესამე—ის.

— მოიცა ძია. მაგას მე კი არ ვფიქრობ! მე იმას ვამბობ: ისე რავა წახდება, რომ ნასუფრალი მაინც არ გამოიმეტოს ჩვენთვის!

შეიძლება (და უფრო) კიდეც ეწყინა ჩვენს ემიგრაციას:

— ჩემბერლენი მეომარი ბიჭი იყო... უყვარდა წყლის ამღვრევა. ამღვრეულ წყალში ადვილად დავიჭერდით თევზს!

— ამღვრეულში რას დავინახავთ და რას დავიჭერთ?! ამღვრეულში კი არა, დაწმენდილში ვერაფერი სიკეთე ვქენით!

**ეგებ** ახალშენებში დამონავებულ ხალხებს იმედი მიეცათ, რომ მაკდონალდი მათ შეუმსუბუქებს მონობის მძიმე უღელს?!.

არა.

ახალშენებში ეხლა აღარ არიან ასეთი გულუბრყვილონი.

**ვის** ეწყინა მაკდონალდის გამარჯვება?.

არავის.

წარმოიდგინეთ, არც კონსერვატორებსა და არც ლიბერალებს სწყენიათ! არ ეწყინათ, იმიტომ, რომ, სულერთია, მათ საქმეს მაკდონალდიც კარგად გააკეთებს, როგორც დახელოვნებული და ერთგული მსახური.

**ეგებ** მეფე გიორგის ეწყინა?!.

მეფე გიორგი არც ისე სულელია, რომ მაკდონალდში მტერი და მოწინააღმდეგე დაინახოს. მართალია: მოხუცებულია და წისქვილში ნაჯდომ კრუხივით გამოტვინებული, მაგრამ მაკდონალდს მეფე უკეთესად იცნობს, ვიდრე, სამწუხაროდ, მუშები იცნობენ და მათ ჯერ კიდევ სჯერათ ახალი პრემიერის.

როცა არჩევნების გაცხარებული კამპანია იყო, მეფე გიორგი ასე ლოცავდა კონსერვატორებს, ლიბერალებსა და „მუშათა" პარტიას:

— ღმერთსა ვთხოვ თქვენს გამარჯვებას!

— ესენი ხომ არჩევნებში ერთმანეთის მოწინააღმდეგენი არიან და ასეთი დალოცვა როგორ შეიძლება?! — უკვირდა უელსის პრინცს.

— ჩვენთვის სულერთია ამათში ვინც გაიმარჯვებს. არც არაფერი მოგვემატება და არც არაფერი დაგვაკლდება. რატომ უნდა ვაწყენინოთ ან ერთსა და ან მეორეს?! — ინგლისური დიპლომატიური ლოღიკით მოუჭრა მეფემ სიტყვა პრინცს.

**გაგვიხარდა** თუ გვეწყინა ჩვენ მაკდონალდის გამარჯვება?. — აი ეს არის მკითხველისათვის უფრო საინტერესო.

ვიტყვით გულახდილად: გაგვიხარდა, გაგვიხარდა არა იმიტომ, რომ მაკდონალდიდან ჩვენ თითქოს სარგებელს მოველოდეთ, ანდა ის ჩვენი მეგობარი იყოს. არა ჩვენ იმიტომ გაგვიხარდა, რომ ერთხელ კიდევ ინგლისის მუშათა კლასი თავისი თვალით დაინახავს სინამდვილეში მაკდონალდის სიტყვასა და საქმეს, რომელთა „შუა უზის დიდი ზღვარი".

**ისელი.**

# ნეოპოეტური პოეზია

ბიჭმა უმტყუნა გოგონას
და გოგომ დაიკვნესაო;
სჯობს ხიცოცხლესა ნაძრახსა...
პარასკევია დღესაო.
გოგოს პოეტურ სიკვდილსა
ეს ლექსი მივახალეო;
გოგო სხვა. სატრფოს მოძებნის,
შაბათი დღეა ხვალეო.
გოგომ დაიწყო ხელახლა
მაღლა ტურების გზეკაო;.
მოუნდა ისევ ხვანხვალი.
ორშაბათია ზეგაო.
ამტობს: „არ ვარგა ესაო“.
ვანკის აფთიაქს მიმართოს...
პარასკევია დღესაო.
ბიჭი გოგოს ეუბნება:
— გოგო ნუ გაქვს ღვარძლი გულში!
წადი ნახე—ახმეტელმა
„ღვარძლი“ დადგა შენთვის გუშინ!
გოგომ უთხრა::—ბიჭო რადგან
მიღალატე, დამსვი ობლად;
ვიყო მართლაც დედაკაცი
თუ არ გითხრა ერთ დროს „ჰოპლა“.
ბიჭმა უთხრა: შარს რისთვის მდებ,
ჩემგან არ გყავს შენ ეს ბუში;
დამეხსენი თუ ღმერთი გწამს
გენაცვალე „კაკალ გულში“!
გოგომ უთხრა:—მოღალატევ,
რად აკოცე სხვა ქალს გუშინ?
ქვა და მეხიც დაგაყარე
მაგ უმადურ „კაკალ გულში“.
ბიჭმა უთხრა: გოგო მოდი,
კვლავ შევვერთდეთ წყით და დაგვით!
შენს გულში და ჩემს გულშიაც
ხომ „გუგუნებს ლიანდაგი“!
გოგომ უთხრა: „რად არ იცი,
დაბადებით რომ ვარ ევა?
ვერაფერი მომაბრუნებს,
რადგან მოხდა უკვე „რღვევა“!

ვირთხა



საღამო გარეუბანში

# წ მ ე ნ დ ა

წინდაწინ ვიცოდი მაგ ენა გატლიკინებული ლევანტიეს საქმე რომ ვერ წევიდოდა კარქათ. რავა, ქოყანა მთლად ისე კი არაა დაფსებული, რომ მაგისთანა ტუტუცების საჯირითოთ გახადონ.

პარტიულ ვარ და ვერაფერს მიზამენო. ასე ფიქრობდა მაგი გლახა, მარა ახლა ხომ ჩოუვარდა კობზი ნაცარში. რავა ეგონა აბა მაგას... ამდენ ცოდვებს რავა შეარჩენდენ. ჯერ ერთი მამა მისი ნიკოლოზის დროს „სტრაჟნიკი“ იყო და ვინ იცის რამდენი ხიავე და წახდენის დღეი დაგვაყენა თავზე. ახლაა და, იჭიმება და ჯოგიდან გამოყვანილ მოზვერივით შტიმავს თვალებს.

მაგის შვილი დააყრიდა ქოყანას ხეირს.

არა, ერთი მითხარი—კაცი მთლად ისე რავა დაკარქავს სინდისს, რომ შენს მეზობლებს სალამი არ მისცე; მთლათ ისე რავა გაგიწყრება ღმერთი, რომ გუმბრაში შენთან გაზრდილი ბალნები ველარ იცნო?

ლევანტიე დაგლახებული რას ფიქრობდა, რომ ახლოს არავის იკარებდა. ფულს ისესხებდა—არ გადაგიხდიდა; კოპერატია და გლეხკომი მთლად მაგან გაატყავა. რაც კაი რამე მევიდოდა, ყველე მაგას მიქონდა სახლში; ყველე დაშინებული და დალახვრული ჰყავდა. ეზოში უშველებელი ოდა გამოიჭიმა. ანდრიე ერისთავის სასახლე ჰუჰული გეგონება მის სახლთან.

თუ არ ქაფავდა, საიდან მოახერხა ამდენი ქონების შეძენა?

სინდისას ნატამანი მაგის თავში არცა როის არ ყოფილა. დათვრებოდა და დედის გინებით აგვილებდა ყველას; ეტყოდი რამეს და აყრიდა კვინტლებს სიმონ ხუცის ჯორივით, წაატანდა ხელს წელზე ჩამოპროწიალებულ ლევერს და ასტეხდა ერთ ვაი უშველებელს. მთელი სოფელი აწიოკებული იყო მაგისგან.

ჯერე ნიკოიეს გოგოის ცოდვა რას უზამს მაგას. ცოლად წაგიყვანო ხუთ წელიწადს რომ პირდა და ბოლოს სხვა შეირთო, ვინ ჩამოთვლის მაგის ცოდვებს. მაგან პირდაპირ მოჯაყა ცოციალისტი კაცის სახელი. არავინ უჩანდა თვალში, მარა ახლა... ახლა რომ გამოაბუნძულეს პარტიიდან... დაჯდეს აწი და ქექოს ნაცარი.

ᲓᲐᲜᲝ

# დაკარგულ დროსა დაკარგულ ადამიანებზე

(გადმოკეთებულია) მ. კოლცოვიდან

ეს ჯერ კიდევ მაისიდან იწყება. ივნისში უკვე აღწევს თავის უმაღლეს წერტილს. ოქტომბრის შუა რიცხვებში თუ მის ბოლოში კი თავდება.

ამ რიგათ, სრული ხუთი თვე; თორმეტიდან—ხუთი; თითქმის მთელი წლის ნახევარი.

თქვენ გინდათ შექმნათ წესრიგი ქარხანაშა გინდ დაწესებულებაში? რა თქმა უნდა, კეთილზე კეთილი სურვილია, რომელიც თქვენ დაგებადათ გულში, ალბათ, გაზაფხულის საეროთო სიხარულის დღეებში. მაგრამ ფუჭი იმედია. პარქტიკული ხალხი ქარხანასა თუ დაწესებულებაში, ხელების გაშლით, გეტყვის თქვენ:—ამჟამად უკვე ზაფხულია, შვებულებათა პერიოდი. მაშასადამე, დაწყებას აზრი არ აქვს. დაუცადოთ ისევ შემოდგომას.

თქვენ გაოცებითა და ცოტა აღშფოთებითაც იჩეჩთ მხრებს, მაგრამ, მცირე დაფიქრების შემდეგ, ეთანხმებით:

— დიახ, თქვენ მართალი ხართ... ზაფხული... შვებულებები... ისევ შემოდგომიდან... ასე სჯობს...:

თქვენ გინდათ შეამციროთ სამუშაო დროის ვაცდენა; აღაგმოთ უსაქმურები და დაუდევრები; ასწიოთ შრომის ნაყოფიერება—იგივე პრაქტიკული ხალხი გაოცებით გეკითხებათ:

— როგორ? როდის? ახლა? შვებულებათა პერიოდში? თქვენ, ჩემო კეთილო, იმისიც მადლიერი იყავით, რომ წარმოება სრულიად არა სწყდება... საკვირველი კაცი ხარ, ჩემმა მზემ!..

ივნისის გამოცემაში, რომელსაც „მწვანე სიძველე" აწერია სათაურად, თქვენ ხედავთ უნიჭოთ დაწერილ ხალტურას, რომელიდაც რომანის ნაგლეჯს, რომელსაც არც თავი გააჩნია და არც ბოლო. და რომელსაც თანა სდევს აშმორებული რეცენზიის სანელებელი. თქვენ აღშფოთებული ხართ. მაგრამ გაბედეთ წინააღმდეგის თქმა. მაშინვე შეუდგებიან თქვენს მოგურიებას, როგორც მომაბეზრებელი ბუზებისა:

— ზაფხულია ხომ! შვებულებათა დროა! რა ლიტერატურა გინდათ ზაფხულში? რომელ იდეოლოგიაზე ლაპარაკობთ, როცა ხუთი რედაქტორისაგან—ერთი შვებულებაშია, ორი ახლა ემზადება ამისათვის, ხოლო ორი ეს-ესაა ახლახან დაბრუნდა? სასაცილოა თქვენი პრეტენზია.

აბა, რაღა გასაკვირია, როცა, თქვენ თავი დაახწიეთ რა ზაფხულს, ეწვიეთ, როგორც იყო, სატახტო ქალაქს, შესდგით ფეხი სახელმწიფო თეატრში და იქ კი სცენაზე ხვდებით თქვენს ძველ ნაცნობს, ტაგანროგელ ავტორ-კუპლეტისტს, რომელიც თქვენ გიმღერის თითქოს პირველად თავის სიცოცხლეში თავის მომაბეზრებელ „ახ, ქალებო, ქალებო, თქვენ ჩემო თვალებო"-ს და სხვ. გასაგებია სავსებით.—ზაფხულია... გასტროლები...:

სულ ტყვილად მოჰყვებით თქვენ ხელებისა და ფეხების ქნევას, წყლის ტოპვას, კუდის ტყლაშუნს, მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვას, ტალღები თქვენ დაგწევენ უკან, მიგასილავს ზაფხულისა და შვებულებათა ნაპირში, სადაც ისმის მხოლოთ ერთფეროვანი საუბარი მაცესტის უპირატესობაზე პიატიგორსკის წინაშე და ბაიადერსკის კარობქის საგზაო ბუფეტის ღირსებებზე. და, როდესაც უკვე თქვენთან მოვა რომელიმე მოლოუშული მთხოვნელი უბრალო ცნობისათვის, თქვენ მას უპასუხებთ მთელის თქვენის გულუბრყვილობით:

— ახლა, თქვენ ჩემზე უკეთ გესმით, — ზაფხულია, შვებულებების დრო... მოითმინეთ ბარემ შემოდგომამდის, მაშინ გვინახულეთ!..

მთხოვნელს, რაღა თქმა უნდა, პირი წყლით ევსება. ის მწუხარე, მაგრამ მაინც შეგნებული სახით, გშორდება თქვენ, რათა, თანახმად თქვენივე რჩევისა, შემოიხედოს თქვენთან შემდეგ, შემოდგომაზე, ნახევარი წლით უკვე მოხუცებულმა.

თქვენ კი, ჩამოიფერთხავთ რა ყოველგვარ პროზაიკულს მტვერს თქვენი ფეხებიდან, აუწერელი სიმხნით შეუდგებით თქვენი შვებულების გაჭიანურებას: უკვე სამი კვირით ადრე დაიწყებთ ნივთების ჩალაგებას, ათი დღით ადრე ჩააბარებთ საქმეებს, ერთი კვირიდანვე შესწყვეტთ სამსახურში რეგულიარულად სვლას, ხოლო ხუთი დღით ადრე ოფიციალურ შვებულებამდის გასწევთ კურორტისაკენ.

კავკასიაში თქვენ თვალსა და გულსა გხვდებათ კურორტებზე საერთო ხაოტიური მდგომარეობა, უექიმობა და სხვ. თქვენს გაოცებას ზედმეტი გაღიზიანებით გაფანტავს სანატორიის ადმინისტრაცია:

— რას ამბობთ, მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდნილხართ? ახლა ხომ ზაფხულია, შვებულებათა პერიოდი! ექიმები ყველა ყირიმშია წასული დასასვენებლად.

თქვენს მეზობელ ოთახში კი ამ დროს ყირიმელი ექიმები სულელური სიყეყეჩით ჰკლავდენ დროს: ზაფხულის გატარებას ისინი კავკასიაში რჩეულობენ, ისე როგორც კავკასიელები ყირიმში.

მოსკოველები საზაფხულო დროს ვოლგაზე აჭიანურებენ, ვოლგის პირელები—მოსკოვში, ლენინგრადელები—ოდესაში, ხოლო ოდესელები ლენინგრადში.

ასე და ამნაირად ნახევარი წელიწადი თითქოს წყალს გაჰყავო. ეს ნახევარი წელიწადი მიჰყვება ჩვენში რბილს, ფართოდ გაშლილს, როგორც საზაფხულო, სააგარაკო პერანგის გაღეღილი საყელო, ლოზუნგს:

— ზაფხული! დრო შვებულებათა!..

საზღვარგარეთ იღვრება რევოლიუციონური მუშების სისხლი. ჩვენში იმუშნება კლასობრივი მტერი, მშრომელები მას სოციალისტური შეჯიბრების მრისხანე ალლუმით—უპასუხებენ. მაგრამ ამავე დროს—ასეულ მილიონიან ხალხის საზაფხულო ქაპანწყვეტის ხუთი თვის განმავლობაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი აპარატი, თავიდან ბოლომდე ლოკოკინასავით რბილდება, მჟავდება, მძაღდება—თითქოს „ქრისტეს ტირილიაო"—სწყვეტს ნორმალურ მუშაობას.

მთავარი უბედურება იმათგან კი არ არის, ვინც თავის საეშმაკო ორი კვირის დასვენებაში წავიდა, არამედ იმათგან, ვინც რჩება ადგილებზე: წარმოებებსა და დაწესებულებებში. იმათგან, ვინც ბურტყუნებენ: „ვმუშაობ ოთხის მაგივრად!".

იმათგან, ვინც „ჰგალობს": „შვებულებამდის კიდევ ცხრა დღე მიკლია, ფეხებზე ველარ ვსდგები, ლახდათ ვიქეცი!".

იმათგან, ვინც წუწუნებენ: „ვერც კი მოვასწარი რიგიანად დასვენება ამ მოკლე შვებულებაში!".

იმათგან. ვინც ფართო-ფართო კომპენსაციები მიიღო, ხოლო თითქმის ნახევარი წლის შვებულება კი ისევ დაწესებულებაში გაატარა, სადაც გახრწნა და გაათხელა ყოველგვარი მუშაობა.

მაისი გათავდა, ივნისი დადგა, მოდის ზაფხული, შვებულებები, დასვენებანი, კურორტები!..

მაშ, მოდით და ოქტომბრამდის ბარემ ნურაფერს ნულა-გავაკეთებთ!..

ანისიმე.

# მ ა ლ ა ზ ი ა შ ი



—უი, ჭაი!

# ს უ ლ თ ა ნ ი

ქუთაისი

დიომიდე სადგურში დასეირნობდა.

თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს. მეხუთეჯერ შენიშნა ის ქალი სადგურში.

პირველ დანახვისთანავე აენთო დიომიდეს გული უცნობ ქალის სიყვარულით, მიუახლოვდა და კიდეც გაიცნო.

— პირველ დანახვისთანავე ისე შემიყვარდით, რომ დღესვე ცოლათ უნდა შეგირთოთ!—უთხრა დიომიდემ ახლად გაცნობილ ქალს და თავმომწონების ნიშნათ პორტფელი ხელში შეათამაშა. (საკვირველია: მემანქანე და პორტფელი!).

— თქვენ ვინ ბრძანდებით?—შეეკითხა ქალი.

— დიომიდე პაიჭაძე...—და ფართოდ გააცნო დიომიდემ ქალს თავისი თავი.

— ნუ თუ თქვენ ცოლიანი არა ხართ?

— როგორ გეკადრებათ! ცოლიანი კაცი გკადრებდით ამას?—იცრუა დიომიდემ, რომელმაც სამი დღის წინეთ ცემა-ტყეპით გააგდო მეშვიდე ცოლი.

მალე დიომიდეს მდიდრულად მორთულ ოთახში დატრიალდა დიომიდეს მერვე ცოლი.

შეიძლება გაგიკვირდეთ: კომუნისტი და მდიდარიო?! მაგრამ გასაკვირველი აქ არაფერია. შვიდ ცოლს რომ თითო სამარილე მოყოლოდა მზითევათ, მაინც გამდიდრდებოდა დიომიდე პაიჭაძე, რადგან გაგდების შემდეგ ცოლს არაფერს უბრუნებდა.

ორი თვის შემდეგ ცოლ-ქმარის მშვიდობიანი ცხოვრება მუშტებმა დაარღვია.

მერვე ცოლი ქმარზე მძლავრი გამოდგა. ჩვენს დიომიდეს ხშირად გაჰქონდა იატაკზე ბრაგვანი. გასაშველებლად მისული მეზობლის ქალები დიომიდეს ნიშნის მოგებით დასცინოდენ.

— ეს დალუპული ჭიდაობაში მერია, ველარ ვცემ უწინდელ ცოლებივით. სახლიდანაც რომ ველარ მოვიშორე! ასე არც ერთი ცოლის გაგდება არ გამძნელებია. აქ „კვაჭობაა" საჭირო, თორემ სხვა ხანა არ არის!—ასე ფიქრობდა ყოველ დღე დიომიდე.

და მართლაც ერთხელ დილით ადრე დიომიდე აღელვებული შევარდა სამილიციო უბანში და განაცხადა:

— არიქა, მიშველეთ, 200 მანეთის ობლიგაციები მომპარა ცოლმა. დევილუპე და დევიბსე კაცი!

მილიციის თანამშრომლები სასწრაფოთ შეუდგენ დიომიდეს ოთახის ჩხრეკას. ნახეს ყუთი, რომლის გასაღები დიომიდეს ჰქონებოდა ჯიბეში. „დაკარგული" ობლიგაციები ყუთში აღმოჩნდა.

— ალბად მაგან ჩამალა ყუთში და გასაღები მე ჩამიდვა ჩუმათ ჯიბეში!

ასეთი პასუხი გასცა დიომიდემ მილიციის უფროსს.

მაგრამ „კვაჭობამ" ვერ გასჭრა და ცილისწამებისათვის სამილიციო საკანში (ჩვენებურად—ვირის აბანოში) ამოაყოფინეს თავი.

საკანი ხულიგნებით იყო საფსე.

დიომიდე ერთ სერიოზულ ხულიგანს მოუყვა თავისი თავგადასავალი:

— რა უბედური კაცი ვარ ცხოვრებაში. რვა ცოლი მყოლია. შვიდი გამომიცვლია, გამილოტია და მიწამებია. მერვემ მე გამლოტა და მომიყვანა აქ. მაგრამ ყველაფერს რო თავი დავანებოთ, ერთი მითხარი თუ ძმა ხარ, მაინც ხომ მე ვარ მოგებული? მითხარი, თავი ნუ მოგიკვდება, ხომ მე ვარ ნაჯობნი?

— ყოჩაღ და მალადეც ჩემმა მზემ!—დაუდასტურა ხულიგანმა.

— აბა, რა უნდა მექნა, კომუნისტი კაცი ვარ და ვებრძოლა მეშჩანობას.

ჭირულელი თალა.

## არ ეშინიათ

ტარტაროზ ჩემო ძამია;
ნუ გამომაკლებ მასაში.
რაც ხდება დამზლვევ კასაში
ფრთხილათ შემოდი... ხაჩიძემ
არ მოგამტვრიოს ცხვირია.
ყვირილით, ფეხის ბრახუნით
ვასო განთქმული გმირია
მხოლოთ ამ რიგათ იქცევა
კაკარდოსანი ძველია
პარასკევს კილამ მოგვიკლა
წითელი არმიელია.

—

მისთვის ერთია: მოხუცი,
ბრმა, ხელმოჭრილი, კუტია;
ვერა სძლებს ისე, თუ მაღლა
საწყლებს არ შემოუტია.
იგი არ ჩადის იმას, რაც
მართლაც მდივანის ვალია.
მაშინ დაპრაწავს თვალებსა
თუ ნახა ტურფა ქალია.
ინვალიდისთვის ორ საათს
არ, აიხედავს ზევითა.
ტარტაროზ, ჩამოუწიე
ცხვირი ხაჩიძეს ქვევითა.

„ხვლიკი“.

## ამაო ძებნა

„განათლების კომისარიატი უმუშევარ მასწავლებლებს აგზავნის საკალატოზო კურსებზე“.



— რას შვრები, კაცო? დროს რად კარგავ? იმუშავე!
— დაიცა, ეგებ აქ სწერია თუ როგორ უნდა დავაშენო აგური აგურზე!

## მ ი ნ ა გ ო

ს. ობჩა (ქუთ. მაზრა)

იყო ობჩაში (და ეხლაც არის) ვინმე კოხოძე მინაგო. კაცი ფრიად შეძლებული. მაგრამ ეს შეძლება მას ვერ აკმაყოფილებდა. ან როგორ დააკმაყოფილებდა, როდესაც მის ზედმეტ ქონებაში მთავრობაც უზიარდებოდა: ეს საგზაო ბეგარა, ეს სას.-სამ. გადასახადი, დაზღვევა, სკოლა და მრავალი სხვა. ასე, რომ რაც გასესხებული ფულებიდან სარგებელი შემოდიოდა, თითქმის ამ გადასახადებს უნდებოდა და ხეირი ცოტა-ღა რჩებოდა.

— მოდი ვსინჯავ, გავხდე პარტიული, სოფლის ხელმძღვანელებს დავიახლოვებ. რაც ზედმეტი შემოსავალი მაქვს, ზოგ მათაც ჩავახეთქვინებ და ამით ბევრ გადასახადებს ავიცილებ!—გაიფიქრა მინაგომ.

მართლაც მელასავით გაძვრა-გამოძვრა, და 1927 წელს შიგ შუაგულ პარტიაში ამოჰყო თავი.

შეიარაღდა პარტბილეთით, ვინტოვკით და, ისე მალე მოგშორდათ ყოველი სატკივარი, როგორც მან მალე მოიშორა ზოგი გადასახადები.

ამის შემდეგ საბინაო ფრონტზედაც მაგრათ სდგას მინაგო. თუ უწინ მას მისი ანტი-მეზობლურ საქციელისათვის ყველა ემდუროდა, ეხლა ყველა სალამს აძლევს, ვინ გაუბედავს დამდურებას.

წელს მინაგომ ორ სართულიანი (ერთს არ დაჯერდა) სახლის კეთება დაიწყო. საძირკველის ჩაყრის დროს, ათიოდე ვაზნა ესროლა ეშმაკებს, რათა ეს უკანასკნელნი არ შემოჩვეოდნენ მის ახალ სახლს.

მორწმუნე კაცია მინაგო და ღმერთი დაიფარავს მას გაწმენდისაგან.

აქვს ამისი იმედი.

მაგრამ ვნახოთ.

დაუზოგველი.

## ბათომის ქრონიკები

აპარტორგმა მიიღო ეკლიანი მავთული.
სახლი ააშენა კომხოზმა ორი სართული.
კარებში მართალია ვერაფერს შეიტან,
მაგრამ სამაგიეროდ ვერც გამოიტან
იესა ვიწრო,
კავშირმა მიიღო ორმოცი წევრი,
მაგრამ გარიცხა უფრო ბევრი.
— ფანჯრიდან შეიპარა გიტოსას ბაცანა
და მოფიქრებაც აღარ აცალა,
რომ ყველაფრიდან უცებ გასცალა.
— თავი მოიწამლა ელენემ როანის ნიადაგზე.
— ნინა სასიკვდილოდ გაუწვა მატარებელს ლიანდაგზე,
მაგრამ მიღებულ ზომებით ორივე გადაარჩინეს.
საავადმყოფოში მიიყვანეს და დააწვინეს.
— პეტრეს გაექცა თავისი თინა,
მაგრამ რომ ვერ ნახა ვერსად ბინა,
ისევ დაუბრუნდა პეტრეს სახლში
(თუმცა ღამეებს ეხლაც ატარებს სხვებთან ბალში).

### ხელოვნება

— მწერალთა რიცხვმა ამჟამად აიწია,
სიცხისაგან ტვინმა გაიწია
და გადმოხეთქა როგორც მდინარე.
ბევრი სახლში სწერს ლექსებს მძინარე,
ხოლო მთაველიტი ჩავარდა საფრთხეში
ხუთასში ლექსის წიგნი მიდის ერთ დღეში,
რომლის განხილვა არ შეუძლია არვის,
ზოგი ეცილება შექსპირს, ზოგი—დარვინს.
ასეა ამბავი აქაური, ამ კუთხის,
მღვდლებს იმედი ქონდა წელს საკურთხის.—
მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში,
ფოფოდია კი წააფრინდა ფაფარში
და პუტავს, როგრც წიწილს
მე კი ვერ ვიკავებ სიცილს.

შ. ობოლი.

## გლეხი ციხესთან

გლეხი ვირებს მიდენიდა,
მოქნარებით და ზმორებითა;
ციხის გვერდზე ჩაიარა
ნახშირიან ტომრებითა.
ფიქრობს:—ჩქარა დაღამდება,
აშერევა გზა და ხიდი...
„ნახშირ უგლი... ნახშირ უგლი.
აბა, ეფად გასაყიდი!“...
— გამარჯობა შენი ლექსო!
კიდევ დარჩი ეგრე გლახა?!
რკინით შეკრულ ციხის ფანჯრით
პატიმარმა გადმოსძახა:—
მე რამდენჯერ შენთვის მითქვამს
აწ სხვისათვის მოიცალე!
მართლა ვირო, ვირის დევნა
ჯერ კიდევ ვერ მოიშალე?
გლეხმა ზევით აიხედა,
თვალი მოჰკრა კაცს მდგომარეს,—
და მყის იცნო გამფლანგველი
აღმასკომის თავმჯდომარე...
— კოწია ხარ?.. ვერ გიცანი,
გამარჯობა შენი კაცო!,
რაც ბულბული ბრძანებულხარ,
ისეთი გაქვს გალიაცო!..

მუზე

## მისი სახე



ჩვეულებრივი თვალით — გადიდებული შუშით

# ნეტავი მართლა კორესპონდენტი ვიყო

### ალგულალი

დეილოცა იმის ენა და პირი, ვინც მე კორესპონდენტობის სახელი დამიგდო. არასოდეს კორესპონდენტი არ ვყოფილვარ.

წერილების წერა კი არა, ჩემი ცოლისათვის ორი ღერი სიტყვა ვერ დამიჯღაბნია.

ჯერ იყო და გადამეკიდა აღმასკომის თავმჯდომარე **გრიშა კაზაროვი**:—შენ თურმე ჩემს შესახებ რაღაცა დაგიწერია, ფრთხილად, თორემ აქედან აგბარგავ.

ვუფიცე, უნაბდე—მე არაფერი დამიწერია მეთქი; ლექსის წერის შნო ვინ მომცა, მაგრამ არ იქნა ვერ დავაჯერე.

დალონებული მივიჩქარი სახლისკენ.

გზაში შემომეფეთა პარტკომის მდივანი — **კაზაროვი მარტიროსი**. შემომიბღვირა და მითხრა: შენ წერილების წერას თავი დანებე, თორემ ისეთ ხრიკებს გამოგიგონებთ, რომ პანღურის კვრით გაგაგდებთ აქედან!

თავზე მეხივით დამეცა ეს სიტყვები.

— კაცო, რის წერილი! რა წერილი? რა გინდათ ჩემგან?

— მე ვიცი რაც მინდა!—ჩაილაპარაკა და გამშორდა.

დავიბენი ბატივით. რაღა მექნა აღარ ვიცოდი. გავიხედე და გამომძიებელი **ნოზაძე** ელაპარაკება საშა ცაგურიას:

— კაცო, იმის დამწერი თუ ჩამივარდა ხელში, მე ვიცი მერე!

დამინახა, შემომხედა და თანაც შემომიბღვირა: მე შიშისაგან გარეტიანებულმა, გზა განვაგრძე.

ვნახოთ, რაისკოლების გამგეს ხელში უჭირავს „ტარტაროზი“ და გაცეცხლებული ჩემსკენ მორბის.

— როგორ, ეს თქვენი ხელობაა, ვაუბატონო?, ამისთვის მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!

ვნახოთ: ერთ დღეს მოგრიალდა ავტო.

— მუშგლეხინის კომისია.—გაისმა ალბულალში და დიდი ხნის დამყაყებული ატმოსფერა შეირყა. მოუსვეს რკინის ცოცხი: ზოგი გამსახლში გაავზავნეს, ზოგი ტფილისში. გაიწმინდა მიდამო.

დავდივარ ქუჩაში, რაღაც არაჩვეულებრივ თანაგრძნობას ვხედავ ყველასაგან. ყველანი მიღიმებენ, მიცინიან, მეალერსებიან.

შევდივარ აღმასკომში:

— მობრძანდით, დაბრძანდით! რას ინებებთ?, როგორ არის საქმე?

შევდივარ რაიკომში. მეკითხებიან სხვადასხვა საპირობოროტო საკითხებზე.

მივუახლოვდი სკოლას. რევოლვერების სროლა შემომესმა. სკოლის შენობის წინ არიან: მილიციის უფროსი **ხაჭაპურიძე, პოლიკარპე ძიძიგური და გრიშა ავაქოვი**. სამთავეს ხელში უჭირავთ მიშვერილი რევოლვერები და ზედიზედ სროლილობენ. გეგონებათ—სკოლას მტერი შემოსევიაო. დამინახეს, რევოლვერები დამალეს, ცხენები დააბეს და მომესალმენ მეგობრულად.

— ახ! ვინ მობრძანებულა,—დაიძახა მასწავლებელმა ქალმა და დაერია დასაჭერათ სკოლაში გაშვებულ თხებს, ცხვრებს და გოჭებს.

აფრინდა ერთი ქათამი და ფანჯარას დაეჯახა. ეწყინა ეს ძიძიგურს: როგორ თუ გაბედა ქათამმა თავხედობა ასეთ პატივცემულ სტუმართან!—და ჩაგანი შიგ თავში დაახალა ქათამს. მას არ ჩამორჩა ავაქოვიც და ბატკანს შიგ დუმაში დაარტყა.

გზაზე, სირბილში ფეხსაცმელები დამხეოდა. მივუტანე კოლექტივში დასაკერებლად.

— რას გვიბრძანებთ? მობრძანდით!—მომაძახა ხელოსანმა.—არა გვცალიან, მაგრამ თქვენთვის ამ წუთშივე იქნება. თუმცა „ტარტაროზში“ გაგვიშვი, მაგრამ არა უშავს რა, მაინც კარგად გავაკეთებ.

მომშივდა. სასადილოში შევედი.

— არ არის პური, მეგობარო, თორემ პური საჭმელადაა და მოგცემდით!—ეუბნებოდენ მუშტარს.

— უპურობაა.—ჩავილაპარაკე და უკან გამოვბრუნდი. უნახოთ კარებში მომეწია სასადილოს გამგე და მომაბრუნა:—მობრძანდით. თქვენთვის პური კი არა, ჩიტის რძეც არის.

— ვისადილე.

მივდივარ.

გზაზე შემხვდა რაიკომის მდივანი და მეუბნება:—თქვენ მოწვეული ხართ პლენუმზე, სადაც გვესაუბრებით კორესპონდენტის როლის შესახებ სოციალიზმის მშენებლობაში.

— გიახლებით.—იყო ჩემგან პასუხი.

თავი სერიოზულად მიჭირავს. ყველას კორესპონდენტი ვგონივარ. ტკბილი სიტყვა, თავაზიანობა, მეგობრობა, ამხანაგობა, პატივისცემა, დაპატიჟება. მოდი და ამის შემდეგ ნუ დალოცავ მის გაჩენას, ვინც მე კორესპონდენტობის სახელი დამიგდო!

**უსინდისო.**

## მცირე შეცდომა



— ოოო, ჩემო ნიკიფორე; მადლობა ღმერთს, რომ ერთმანეთს შევხვდით... როგორ ხარ?.. როგორ ცხოვრობ?

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ... მე თქვენ ვერ გიცნობთ!

— ჰო, მართლა, ვერც მე გიცნობთ... სრულებით არ ჰგავხართ ნიკიფორეს!

## გამოცანები
### ჩოხატაურისათვის

ალმასკომში მსახურობდა
თითქმის სამი წელიწადი.
მიწა დროზე შეიყიდა,
რომ ჰქონოდა ბლომად მჭადი.

საქმე უკვე გამოირკვა.
ვფიქრობთ არც ვინ აპატიებს..
ბანკში ვინლა გაიყვანა
რომ მუსრს ავლებს კოლექტივებს.

2.

უდროო დროს დავაქკაცდა,
იკბინება როგორც გველი.
კომკავშირის წარმოდგენის
თანხის შემყლაპ - გამფლანგველი.

მაღლა მაღლა იყურება,
გაყოყოჩდა, გაიბერა;
რა საქმეა სხვას სცოდნოდეს,
კაცი ფლიდი გაიძვერა.

3.

„გულკეთილი“ კაცი არის,
უფრო მეტი საქმის ღირსი,
თუ სხვას სდევნის, მაგიერში
ებრალება ძმა და თვისი.

ძმა მოაწყო სამსახურში,
მასთან სიძეც მისი ილო,
აშენდება მაშ რას იზამს
აწი „ეპოს“ სასადილო!.

4.

ამას წინედ ჩხუბს შევესწარ
ძლივ ძლიობით გააშორეს.
ვერ გავიგე რას ერჩოდენ
„პატიოსან“ ისიდორეს
არის კაცი სხვა თემისა
უხეში და ანუ ყბედი.
ქურამ უნდა გადასწყვიტოს,
მისი სვე და მისი ბედი?!

უკულმართი.

## მოხერხებულსაც მოუხერხეს

— არა. ეს ოხერი ქვეყანა უკუღმა ტრიალებს. თუ შნო და მოხერხება გაქვს, შენს ბედს ჩვენი დიმიტრის გრძელ-ყურებიანი ძაღლიც არ დაჰყეფს. ისხოვრე არხეინად და განცხრომით. უეჭველად პარტიული უნდა გავხდე, მორჩა და გათავდა!—მტკიცე გადაწყვეტილებით წარმოსთქვა პავლე ხვრელაძემ.

მართლაც დიდხანს არ გაუვლია, რომ პავლე ადგილობრივ კომუჯრედის ღია კრების წინაშე წარსდგა.

— რა მიზნით შედიხართ პარტიაში, ამხ. პავლე?

— ღმერთი ხომ არა გწამთ?—აქლევდენ შეკითხვებს პავლეს.

— ვაი, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და კუდიანი, ცეცხლი წაეკიდოს მღვდლებსა და მის ანაფორმას, რაც მე ის არ მწამდეს. მე მსურს მხოლოდ თქვენთან მუშაობა, პარტიის წევრობა...

პავლე მიიღეს პარტიის კანდიდატად.

პირველ ხანებში პავლე ბეჯითად მუშაობდა პარტიის რიგებში, ასრულებდა დავალებებს და თითქმის სისტემატიურად ესწრებოდა კრებებს.

გაიარა ხანმა.

პავლე პარტიის წევრად გადარიცხვასთან ერთად დააწინაურეს და დანიშნეს ადგილობრივ კოოპერატივის გამგის თანამდებობაზე.

— ახლა კი ავშენდი კაცი, უკვე მივაღწიე მიზანს; რა გინდა სულო და გულო, ყველაფერი ჩემ ხელშია, ქვეყანა მე შემომნატრის.—ფიქრობდა პავლე.

პავლეს სახელი მალე მოედო მთელ სოფელს. თემს, თუმცა პავლე აღარც ისე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ბევრი გასათხოვარი ნატრობდა მის ცოლობას,

ბოლოს, პავლემ მაჭანკალი გაუგზავნა იმავე სოფელში მცხოვრებ კულაკ ივანეს 18 წლის ქალიშვილს—მაროს.

— ჩემო პავლე. შენს სიძეობაზე უარს არ ვიტყვი, მაგრამ თუ ჯვარი ეკლესიაში არ დაიწერეთ, ისე არ შეიძლია ქალი მოგათხოვო!—განუცხადა სასიმამრომ პავლეს.

— ეკლესიაში ჯვრის დაწერაზე არც მე ვიტყვი უარს, მაგრამ... რომ გამიგონ! არა და, რა ვქნა. კარგი ქალია, კარგი მოყვარე შემეძინება!—ფიქრობდა თავისთვის პავლე.

ნაშუადღევის პირველი საათი იყო, პავლე და მარო ხელიხელთ გაყრილი ჯვარს იწერდენ მეორე სოფლის ეკლესიაში.

ეს ამბავი „შემთხვევით გამოეპარა“ პარტიულ ორგანიზაციის იმ წევრებს, რომლებმაც მთელი კვირა იქეიფეს პავლეს ქორწილში კულაკ ივანეს სახლში.

გავიდა ხანი.

პავლეს შეეძინა მემკვიდრე ვაჟი.

— ამის მოუნათლავად დატოვება შეუძლებელია წაწყმედაა, ნამდვილი წაწყმენდა. სამწუხაროდ, ჩვენს ოჯახში ეს არ მოხერხდება... უნდა მოვაწყოთ პორფილესას, შენ ბიძასთან, უპარტიო კაცია და ვერავინ ვერაფერს გაიგებს.

ესეც მოხდა.

მხოლოდ ამის შემდეგ ეხლახან ის მოხდა, რომ პავლეს პარტბილეთი ჩამოართვეს და სამუდამოდ გამოისტუმრეს პარტიიდან.

დურმიშხანი.

# ტარტაროზის კალენდარი

## მაისი 29 ოთხშაბათი



1922 წ. სავაჭრო ხელშეკრულების დადება იტალიასთან.

მართალია, ოფიციალურ კალენდარში ნათქვამი არ არის, თუ ვის მიერ დაიდო ეს ხელშეკრულება იტალიასთან, მაგრამ ფაქტიურად ამით მაინც დიდი არაფერი იცვლება საქმის ფორმალურ მდგომარეობაში, თუ ჩვენ თვითონ ჩავურთავთ ტექსტში უკანასკნელი სიტყვის წინ, რომ ხელშეკრულება დადებულ იქნა „საბჭოთა ხელისუფლების მიერ“, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბევრ სახელმწიფოსთან და მათ შორის იტალიასთანაც დადებული სავაჭრო ხელშეკრულება ნიშნავს პროლეტარულ და ბურჟუაზიულ მსოფლიოთა შორის ერთნაირ მშვიდობიან დროებით თანამშრომლობას, თუ ამ თანამშრომლობას ბუნებრივად თან მოსდევს ერთნაირი ურთიერთი სარგებლიანობა. ეს გახლავთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბურჟუაზიულ სამყაროს წინაშე, თუ გნებავთ, ერთნაირი დროებითი დათმობა.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა კაპიტალისტურ - მტაცებლურმა სახელმწიფომ (მაგ., ინგლისმა) სიტყვას — „ხელშეკრულება“-ს მისცა მეტისმეტად ტლანქი გაგება, როცა მოინდომა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლებისათვის არა მარტო ხელების, არამედ ფეხების შეკვრაც, რაც, თავისთავად ცხადია, არც ერთი სავაჭრო ხელშეკრულებით არ შეიძლება იქნას წინასწარ ნაგულისხმევი.

## მაისი 30 ხუთშაბათი



1896 წ. მოხდა კატასტროფა ხოდინკაზე.

ეს გახლავთ რუსეთის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზ ტვინთხელაძის გვირგვინის კურთხევის დღეს მომხდარი უბედური შემთხვევა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა კუთხიდან მოწვეულ იქნა ხალხი მეფის გვირგვინის კურთხევის ბრწყინვალე შემთხვევაზე დასასწრებლად. ამ ხალხისათვის, რომელიც მილიონობით მოგროვდა ამ დღისთვის, სახელდახელოდ გაკეთებულ იქნა რამდენიმე სართულიანი ხის კარავი. მაგრამ ეს კარვები ისე ცუდათ და დაუდევრად იყო გაკეთებული, რომ ზედ შემდგარი ხალხის სიმძიმე ვერ აიტანა, ჩასკდა და აუარებელი ხალხი იმსხვერპლა.

ამ რიგათ აღნიშნულ წელს ხოდინკაზე მოხდა სამი უბედურება:

პირველი და უდიდესი უბედურება იყო თვითონ ნიკოლოზის გვირგვინის კურთხევა; მეორე — ის, რომ ამ შემთხვევამ ასე იმსხვერპლა ამდენი უდანაშაულო ადამიანი; ხოლო მესამე და უკანასკნელი უბედურება, თუ გნებავთ, იყო ის, რომ ხალხის ამ საპედისწერო კარვების აგებით ვერაგი მოიჯარადრეებისა თუ ინჟენერთა ჯიბეში, ალბათ, აუარებელი მოგება ჩალაგდა იმავე ხალხის ქონებისაგან.

## მაისი 31 პარასკევი



1924 წ. ჩინეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა.

რა თქმა უნდა, ამ ცნობით გაბედნიერებულ საბჭოთა კავშირს მადლობის მეტი, აბა, რაღა ეთქმის ჩინეთის მიმართ, რაც დრო გადის, საბჭოთა კავშირს მცნობელი არა თუ არ აკლდება, ემატება კიდეც, რადგან ემატება თვით საბჭოთა კავშირს, იგი თანდათან უფრო მტკიცდება, წინ იწევს და ძლიერდება.

ქება და დიდება ჩინეთს, რომელმაც ეს პროცესი დროზე შენიშნა და ბევრ სხვა უფრო მოწინავე ქვეყანას დაასწრო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს იყო ერთნაირი სამავიეროს გადახდის მსგავსი რამ იმის საპასუხოდ. რომ თავის მხრით საბჭოთა რუსეთსაც ნაცნობი ჰყავდა ჩინეთი, რომლის ცნობაც იმ დროებაში ასე თუ ისე, მართლაც შეიძლებოდა.

სამწუხაროდ, თავისი ვერაგი გენერლების გადამკიდე ჩინეთი დღეს უკვე აღარ წარმოადგენს ჯერ-ჯერობით ისეთ რამეს, რომლის ცნობაც შემცდარ-შეუფერხებლად რამდენიმე მაინც იყვეს შესაძლებელი.

## ივნისი 1 შაბათი



პირველი დღე, როცა უკვე აღარ არის მაისი ანუ თიბათვის პირველი დღე.

თიბვა ნიშნავს მოკვეთას, მოჭრას, რაც პოლიტიკურ ენაზე უდრის დაახლოებით პარტიიდან გარიცხვას, ანუ გაწმენდას.

ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, როცა საკავშირო კომუნისტური პარტია სწორედ ამ თვეში იწყებს თავისი რიგების გენერალურ წმენდას.

## ივნისი 2 კვირა



1381 წ. გლეხების დიდი აჯანყება ინგლისში.

ინგლისი უმთავრესად ზღვის ქვეყანაა: ამიტომ სრულიად ბუნებრივია იქ ყოველგვარი, მათ შორის გლეხთა ჯანყისა და აჯანყების დაწყება თუ არსებობდა ძველთაგანვე.

მაგრამ არ მოიპოვება არც ერთი ხმელეთიც დედამიწის თითქმის არც ერთ კუთხეში, სადაც ინგლისს თვითონ არ შეჰქონდეს ეს ჯანყისა და მოუსვენრობის შხამიანი ბაცილა და არ იწვევდეს იქ ადგილობრივ მცხოვრებთა სიჯანსაღის გახრწნასა და დაავადებას.

სამაგიეროთ, თვითონ ინგლისი, ამ ნაადრევი გლეხთა ჯანყის გამო, ახლა უკვე შეპყრობილია ერთნაირი „ზღვის ავადმყოფობით“, რომლისგანაც მისი საუკუნოდ განთავისუფლება მხოლოდ ისევ აჯანყებულ მუშებს-ღა შეუძლია.

## ივნისი 3 ორშაბათი



1814 წ. დაიბადა ბაკუნინი.

ცნობილი ანარქისტი და რევოლიუციონერი, ბაკუნინი დაიბადა რუსეთში, მაგრამ მოღვაწეობდა უმთავრესად დასავლეთ ევროპაში. იგი შეურიგებელი მტერი იყო მონარქიზმისა და ძველი არისტოკრატიულ-პლუტოკრატიულ მთავრობებისა, რომელთაგან არა ერთს „უტირა ყოფა“.

რატომღაც არც პირველ ინტერნაციონალს სწყალობდა ბაკუნინი და როგორც ისტორიიდან ვიცით, მარქსსაც დიდხანს უბაკუნებდა ფეხებს, თუმცა დიდი რა უნდა დაეკლო ანარქიზმის ამ აფთარს სოციალიზმის სწორ-უპოვარი ლომისათვის?

## ივნისი 4 სამშაბათი



1906 წ. კავკასიაში დაწესდა პოლიციის გამგის თანამდებობა.

რუსეთის თვითმპყრობელი მეფის მთავრობა რომ ყოვლად უტვინო და უტიფარი იყო, ამას დღეს აღარავისათვის მტკიცება არ ესაჭიროება. მაგრამ ზევით აღნიშნულ სიუტივრე ამ მთავრობისა, მაინც გასაოცარია. რუსეთის ორას მილიონიანი ხალხი რევოლიუციაში იყო ჩაბმული. იგი ქვეყნის ძირითად გარდაქმნას ლამობდა, ხოლო მეფის უჭკუო მთავრობა კი ლაფში ჩაწოლილი კომეჩივით არხეინად ილოხნებოდა. ახეთი ყოვლად უტვინო რეფორმებით, როგორიცაა პოლიციის გამგის დანიშვნა, იმ დროს თითქმის ყველაზე უფრო რევოლიუციონურ მხარეში, კავკასიაში.

აკი პოლიციის ახეთი მეთაურის, გენ. გრიაზნოვის ჰაერში აფეთქებით უპასუხა ამაზე თბილისელმა მუშა-რევოლიუციონერმა, არსენ ჯორჯიაშვილმა.

ჰაზირა

# ახალდაბის სკოლაში



მოწაფე გარტყმამდე — მეტრეველის გარტყმის შემდეგ — ჯბრამიშვილის გარტყმის შმდეგ

# მოხსენება ქიათურიდან

მივიღე თქვენი ფიცხელი განკარგულება და შეუდექი ჩემდამი რწმუნებულ რაიონის დათვალიერებას. მაუხედავად კოკისპირული წვიმისა, გაუდექი გზას. წვიმამ თანდათან იმატა და იძულებული გავხდი სადმე შემეფარებინა თავი.

შევხედე ლადიას, რომელიც გულხელ დაკრეფილი იდგა მისი დუქნის წინ და დაღვრემილი შესცქეროდა უშველებელ ლუქს, რომელიც მისი დუქნის კარებზე იყო ჩამოკიდებული. მივედი, მიუსამძიმრე და შევყევით მუსაიფს.

შემოგვემატა ერთი მოქალაქე, დამზღვევ სალაროს პენსიონერი, რომლის დაღონებულმა სახემ ჩემი ყურადღება მიიპყრო და ვკითხე მიზეზი დაღონებისა. ჩემს შეკითხვაზე, უცნობს გული აუჩუყდა და ცრემლ-მორეულმა მითხრა: „ჩემი საპენსიო დოკუმენტებს წყალს დაულპია დამზღვევ სალაროში და აღარ ვიცი რითი მივიღო პენსია!“-ო.

უცნობის დაღვრემილმა სახემ და ტირილმა კაკალი გული მომიჯეჯვა და გადავწყვიტე რიგს გარეშე დამეთვალიერებინა დამზღვევი სალარო. მსწრაფლ მივატოვე ჩემი მოსაუბრენი და გავსწიე დამზღვევ სალაროსაკენ. მივდივარ ამ წვიმაში და გზაში ვფიქრობ: რა უნდა დამზღვევ სალაროს საბუთებთან წყალს!? ალბათ წყალსადენის მილი თუ გასქდა და იმან წალეკა დაწესებულება თქვა, მარა უცებ გამახსენდა, რომ ჩვენი ქალაქის წყალსადენი მხოლოდ ღამით იძლევა წყალს და ზემოხსენებული ამბავი კი მომხდარა დღისით. ახლა უფრო მეტად დავინტერესდით და ელვის სისწრაფით მივვარდი სალაროს კარებს! მინდა შევაღო კარები, მარა ფორტეპიანოს ხმა შემომესმა და შევჩერდი. ვიფიქრე,—ნამდვილათ გზა ამერია, თვარა დამზღვევ სალაროში ფორტეპიანოს რა უნდა თქვა! ის იყო ვბრუნდებოდით უკან, რომ ამ დროს კარები გამოაღო და გამოვიდა გარეთ პატივცემული ექიმი ლევან არუთინოვი, რომელიც სრულიად დასველებული იყო და თავიდან ფეხებამდე წურწურით გასდიოდა წყალი! გაჯავრებულმა ჩააქნია ხელი და ჩაილაპარაკა:

„ვა, ეს რას მოვესწარი, ყაცო! სტრახკასაა, თუ ატლანტიჩესკი ოკეანეო! ასე ხომ დაცივდებიან მთელი „სლუჟაშჩები“ და საკამისიო გახდებიანო!“.

ესა სთქვა და წავიდა. მე ვიფიქრე: რაღაი სალაროს ექიმი გამოვიდა ამ კარიდან, ალბათ ესაა სწორედ ის სტრახკასა, რომელსაც მე ვეძებ თქვა და შევაღე კარები.

შევედი, მარა მისთანა ფორტეპიანო დეინახა ჩემმა მტერმა, მე იქანა დევინახე!... ყოველ კედრით ჩამოდის დაწესებულებაში წვიმა! დოუკაპიწებიათ თანამშრომლებს და შეუდგამთ: ზოგან ტაშტი, ზოგან ქიქა, ზოგან სამელნე, ზოგან საფერფლე და ზოგან საფურთხებელი! აგი წვიმა რომ ეცემა: ტაშტზე, ქიქაში, სამელნეში, საფურთხებელში და საფერფლეზე, ისეთი აწყობილი ხმა მოისმის, რომ გარედან მე ფორტეპიანო მეგონა!

წავიწიე ცოტა წინ და ერთ კუთხეში, მაგიდის ქვეშ დავინახე გაწუწული და სიცივით აკანკალებული კატუშა, რომელიც აბუზული წიწილასავით ყვლიპავდა თვალებს! მეორე კუთხეში კი ჩამჯდარიყო: ჩუმი და წყნარი ნანა ნესტოროვა, რომელსაც წვიმის თავიდან ასაცილებლად ჩამოეხურა თავზე „უნდერვუდის“ მანქანის ფუტლიარი და ერთობ მოწყენილი იყურებოდა!

რაა, ეს ქალიშვილები რომ მიმალულან ამ კუთხეებში თქვა, შევეკითხე გროგოლს.

„დღეს სამი წუთით დეიგვიანეს სამსახურში და სირცხვილით გარეთ თავი ვერ გამოუყვიათ!“-ო.

ამ დროს წყალმა იმატა, გამომიშალა ფეხები და ტყლაპანი მოვადინე წყალში! შეშინებულმა დავიწყე ცურვა და ვეძებ გასავალ ფონს. დავინახე, ვინცხა შემძვრალა კაფედრაში და ლობეში გაკვეხებულ კატასავით ჭყიტავს თვალებს! დამიქნია ხელი უცნობმა და მომაძახა: „აქეთ მობრძანდით, ამხანაგო, ამ კაფედრაში წყალი არ ჩამოვა და სხვამ კისერი იტეხოს“-ო. მოგეხსენებათ სიცოცხლე ყველას უნდა და მეც თავის გადარჩენის მიზნით გავეშურე უცნობისაკენ. შევეკითხე: გვარი და სახელი და აღმოჩნდა მიხეილ ლაბაძე, ამ დაწესებულების ბუღალტერი, რომელსაც იმდენი გამბედაობა კიდევ შერჩენოდა, რომ ამ წარღვნაში კაფედრის ქვეშ გადაემალა დავთარი და საანგარიშო ჩოთქის კაკლებს ძლიერად არახუნებდა! მადლობა გადაუხადე ასეთი ერთგული სამსახურისათვის, გამოვემშვიდობე და დავეშვი თავდაღმა.

ვაგონის მტვირთავ მუშების საადგილკომოსთან რომ მოვედი, რაღაც ხმაურობა და აურ-ზაური შემომესმა! ვიკითხე: რაშია საქმე თქვა და მითხრეს, რომ ადგილკომის თავმჯდომარემ ყბების მასაჟი გაუკეთა ერთ ახალ გაზრდა კომკავშირელსო. მაგრამ... ამაზე მერე.

გოგია.

---

ხელის მომწერი (დამტარებელს): — ერთი კვირაა გაზეთი გამოვიწერე და თქვენ ჯერ ერთი ცალიც არ მოგიტანიათ.

დამტარებელი: — დაილევა ეს თვე და ყველა ნომრებს ერთად მოგიტანთ.

## ჭიათურის კინოში



# ოლონდაც...

— ამიხსენით, თუ ძმა ხარ, რატომ ხარ შენ ულმერთო?—შეეკითხა მიხა ვანოს.

— იმიტომ, რომ ულმერთოთა კავშირის წევრი ვარ.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა გინდა, კაცო?

— ხო, მაშინ მე მომღერალი ვყოფილვარ, ან მოცეკვავე!

— ხა-ხა-ხა-ხა, შენი სიმღერა ვის გაუგონია, ან ცეკვის თავი სად გაქვს, ძლივს დაათრევ ფეხებს.

— რატომ, კაცო, შენ თუ ულმერთო ხარ მიტომ, რომ ულმერთოთა კავშირის წევრი ხარ, მე ხომ კიდევ ხელოვნების კავშირის წევრი ვარ და რატომ არ უნდა ვიყო მომღერალი?

— არა, კაცო, საქმე მაგაში კი არ არის.

— აბა რაშია?

— საქმე იმაშია, რომ ღმერთი არ მრწამს, ეკლესიაში არ დავდივარ, დღეობებს არ ვმართავ და სხვა.—

— დღეობებს როგორ არ მართავ, ძალიან დიდი ქეიფი იყო შენთან, ყმაწვილო, თამაროპას?—

—მართალია, იყო, მაგრამ ამ დღეს ჩემი ცოლის დღეობა იყო და არა ღმერთის. მე კი შენ ქრისტიანულ დღესასწაულზე მოგახსენებ: „აღდგომაზე", „შობაზე" და სხვა.

— მაშ მეც შემიძლია გავხდე ულმერთოთა კავშირის წევრი არა?

— რატომაც არა შეგიძლიან და კიდევაც ჩაეწერე ულმერთოთა კავშირში.

— კი, მაგრამ საწევრო გადასახადს იხდი ამ კავშირში?

— ვიხდი ცოტას.

— მაინც რამდენს?

— სულ ცოტას—ერთ მანეთს წელიწადში.

— ხო; იაფი ყოფილა ულმერთოთა წევრობა, ეგ სჯობნებია სხვა კავშირებს.

— უსათუოთ სჯობია. აქ უფრო ცოტა გადასახადია საწევრო.

— ხო, ამ საწევროზე გამახსენდა, მითხარი, თუ ძმა ხარ, რამდენს იხდი შენ სულ საწევროს თვეში?

— მაგის თქმა რომ შემეძლოს, მაშინ ყოველ ჯამაგირის მიღების დროს ხომ აღარ მექნება ცოლთან ჩხუბი.

— ცოლი რა შუაშია, კაცო- ისიც ოჯახის წევრობისათვის ფულს გახდევინებს თუ?

—არა კაცო, იმან იცის, რამდენი მაქვს თვეში ჯამაგირი, მაგრამ არ იცის, რამდენი მეძლევა ხელზე. ატეხავს ერთ ალიაქოთს, ყვირის:—შენ ჯამაგირს რესტორანებში ხარჯავ, ვილაც-ვილაც ქალებსაც პატიჟებ აქეთ-იქითო.

— ასე, რომ ზოგი ჭირი მარგებელი ყოფილა!

შენ რომელ ჭირზე ლაპარაკობ?.

— რაზე და... პარტიიდან რომ „გაგჩისტავენ", საწევრო თანხებიც შეგიმცირდება და ცოლიც ასე ხშირად აღარ წაგეჩხუბება!

— მაშინ სულ არ შემიშვებს სახლში და გარედ გამომაგდებს.

ძველი.

# დეპეშები

### ჭიათურა

— დაწესებულება - წარმოებების უფროსებმა დაადგინეს: 1. თავაზიანად მოეპყრან მოქალაქეებს და აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა რიცხვში შედიან შიკრიკები და დამლაგებლებიც.

2. მემანქანეს და სხვა ლამაზ თანამშრომელ ქალებს არ გაეკარონ.

3. ჩაიცვან უბრალოდ და სადათ.

4. შესწყვიტონ ყოველგვარი მივლინებები და ზედმეტი საათების გასამრჯელოს მიღება.

ეს დადგენილება ძალაში შევიდა დღიდან მსუბუქი კავალერიის შეტევისა. დადგენილება გაუქმებულ იქნება კავალერიის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ და საქმე ისევ წავა ჩვეულებრივი მიმდინარეობით.

— კოლექტივის წითელ სასადილოში გამგესა და მსახურთ შორის მომხდარმა ჩხუბმა იმსხვერპლა რამდენიმე ბოთლი და საინი.

— დამზღვევ სალარომ თავის შენობაში მოაწყო წვიმის ვანები. ამატომ არ აპირებენ შენობისათვის გაცვეთილ სახურავის გამოცვლას, და მიზეზად ასახელებენ, რომ „ავდარში შეუძლებელია სახურავის გამოცვლა, ხოლო კარგ დარში—წვიმაც აღარ ჩამოდისო!".

(შაკი).

### დიდი ჯიხაიში

— წითელ სასადილოში გამრავლდა ისპანიური ჯიშის ვირთხები, რომლებსაც ნაგანის რევოლვერით ომი გამოუცხადა საკრედიტო ამხ-ბის თავმჯდომარემ.

ზვლიკი.

### ქუთაისი

— მუშკოოპმა გადაჭყარა 150 ფუთი ნედლი ზუთხი, რომელიც ერმილემ შეისყიდა აზერბეიჯანში. მთვრალ ერმილეს ჩამოსძინებოდა დამპალ თევზებში და ისიც კინაღამ ზედ მიაყოლეს. (რა ეშველებოდა მაშინ მუშკოოპს! ვინ-ღა გააძრობდა ტყაპს მივლინებებით?).

ხლოპუშკა.

### სენაკი

— ამას წინედ მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება სანიტ-კომისიასა და ადგილობრივ ძაღლებს შორის. გაიმარჯვა სანიტ-კომისიამ მეურზას მეთაურობით. მოჰკლეს რამდენიმე ძაღლი.

---

— კაცო ეს კატლეტი როგორ შარშანწინდელივით გაშმარა?

— სცდებით. შარშანწინდელი კი არა, გუშინწინდელია.




## უკუღმართი ლოღიკა

მართალია, ამ შემთხვევაში ჩვენ კონკრეტიულ მაგალითზე მივუთითებთ, მაგრამ ასეთი ამბები თითქოს ყველგან ხდება.

ანაგაში (კახეთის მაზრა) არის საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც დახმარებას უნდა უწევდეს ღარიბ გლეხობას მეურნეობაში.

მაგრამ ამხანაგობის მესვეურთ სხვა გვარად ესმის ეს საქმე და ღარიბ გლეხებს ხშირად ისტუმრებენ ასეთი პასუხით:

**— შენ სესხი როგორ უნდა მოგცე, როცა ღარიბი ხარ, — ეგებ გადახდა ვერ შესძლო. გააშენე ბაღი, და როცა გარანტია გვექნება, მაშინ მოგცემთ!**

ამავე დროს კი კულაკები და შეძლებული გლეხები, რომლებსაც აქვთ ბაღები და ძლიერი მეურნეობა, ღებულობენ სესხს, რადგან მათ „გარანტია“ აქვთ. (ისრელი)



ასეთია ამხანაგობის მესვეურთა ლოღიკა. ის კი არ იციან, რომ—თუ სესხის სახით დახმარება არ აღმოუჩინდათ, ღარიბი გლეხები ვერ გააშენებენ ბაღებს.

აქ საჭიროა: ან საკრედიტო ამხანაგობის მესვეურთა ლოღიკის გამოცვლა, ანდა თვითონ მათი გამოცვლა. (ჩვენის აზრით საქმისათვის უკანასკნელი საშუალება აჯობებს!).

## „მიზანი ამართლებს საშუალებას“

ასე გაუგონიათ (ეგებ კიდეც წაუკითხავთ როგორც „სოციალისტებს“) ხაშურის სადგურის უფროსს და ძირულელი ერმანოზ ებანოიძეს.

ეს ორი გმირი ერთად იმიტომ მოხვდა, რომ ორივე ერთი ჯურისაა.

პირველს მიზნად ჰქონდა დასახული—რაც არ უნდა მომხდარიყო — ჩაეჯდარიყო სადგურის უფროსის სავარძელში.

ამ მიზნით მან შეთხზა თავისთავზე რევოლიუციონური ზღაპარი 1001 სიცრუიდან, გაძვრა - გამოძვრა თავისებურად და ერთ მშვენიერ დღეს (ასე იტყვიან ყოველთვის ასეთ შემთხვევაში), პარტბილეთი ჯიბეში ჩაიდო.

ამით ფარდა გადაეფარა მის საეჭვო და ლაქიამ წარსულს.

კიდევ ერთი ნახტომი და უკვე წამოიჭიმა ხაშურის სადგურში უფროსის კაბინეტის სავარძელში. წამოიჭიმა და ღიღინებს:

პარტბილეთი მისთვის მინდა—
გზა მიკაფოს სამსახურში
და არავის ჩააწვეთოს
ჩემი ძველი საქმე ყურში.

(მტკვრისპირელი).

მართალია, „ტარტაროზი“-ს ამ ნომრის შემდეგ აღარ იქნება ღიღინის ხასიათზე, მაგრამ იკმაროს რაც აქამდეხანს იღიღინა.

═ • ═

ერმანოზ ებანოიძესთან უკაცრავად ვართ, რომ ჩვენი ყურადღება პირველად მას ვერ მივაპყარით, მაგრამ არ იფიქროს — დაგვავიწყდა.

მისი ბიოგრაფიიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ:

განა, ძმებო, არ იცით—
რა დრო მჭონდა წინათა?
ნიკოლოზის მთავრობის
იყო თვალის ჩინათა.

(ძირულელი თალა)

მენშევიკების დროს აქტიური მენშევიკია. გვარდიაში დიდი თანამდებობის კაცია და ბოლშევიკებს „ღირსეულად უმასპინძლდება“ (მისი სიტყვებია).

გასაბჭოების პირველ ხანებში ყურები ჩამოჰყარა — ვაი თუ გაიგონ ჩემი ცოდვებიო.

მაგრამ შემდეგ ხდება სასწაული და, როგორც ძველ რევოლიუციონერს, დამსახურებულს, მაზრკომის განათლების განყოფილება უნიშნავს პენსიას.

ამბობენ: ვიღაც მფარველი ჰყავსო, თორემ კაცი, როგორც საეჭვო პიროვნება, სამსახურიდან მოხსნეს და... პენსია კი დაუნიშნესო.

რომც არ ამბობდენ, ეს ალბად ასე არის. მაგრამ ამიერიდან ეს ასე არ უნდა დარჩეს.

## 18 მაისი

ეს რიცხვი ტრაურში იმიტომ არის ჩასმული, რომ სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა სოფ. მუხიანის იმედი და მიზანი: სოფლის შარა-გზა გაყვანილიყო საჭირო ადგილზე, რასაც ხელს უშლიდა ადგილობრივი კულაკი.

კულაკი რისი კულაკია, თუ სოფლის კეთილმოწყობას ომი არ გამოუცხადა.

საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

— დედას გიტირებ ყველას, მთელს სოფელს! — იმუქრებოდა კულაკი.

— ხახვსაც ვერ დაგვაჭრი თავზე, საბჭოთა სამართალი—ეს ჩვენი სამართალია! — უპასუხებდენ გლეხები და იმედოვნებდენ, რომ გამარჯვება მათ დარჩებოდა.

18 მაისს კულაკის ოჯახში გოჭებსა და ქათმებში დიდ განგაშს ჰქონდა ადგილი.

ბევრი დაჰკლეს საწყლები:

— რაშია საქმე?—კითხულობს გაკვირვებული სოფლელები.

— სასამართლოს სესიას ელოდება და..

— არ გასჭრის მისი ხერხი: კოვზი ნაცარში ჩაუვარდება!

მაგრამ მოხდა პირიქით.

მოსამართლე კუჭუხიძემ, რომელსაც გვერდს უმშვენებდნენ: აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი, აილო კოვზი და:



კულაკის გაშლილ სუფრაზე
მიირთვი რაცა გინდაო.
სამართალს ისე ვაბრუნებ,
როგორც და საით მინდაო.

(„ჰიუგენ“)

გლეხის შეკითხვაზე:—რატომ ასე უსამართლოდ გადასწყვიტეთ სოფლის საქმე კულაკის სასარგებლოდ—თავმჯდომარეს და მოსამართლეს ასე უპასუხნიათ მათთვის:

**— სანამ სუფრაზე დავჯდებოდით, თქვენი პლანი გზის გაყვანის შესახებ სწორად და სამართლიანად მიგვაჩნდა, მაგრამ, როცა ღვინო თავში შევიდა, ჩვენ უფრო სწორად მოგვეჩვენა კულაკის პლანი და... გზის გაყვანაც სხვა მიმართულებით დავამტკიცეთ:**

სიტყვა პროკურორს ეკუთვნის.

## მფარველი ხელი

კავთისხევის თემის (გორის მაზრა) ფოსტის გამგეს რევიზიის დროს დააკლდა 500 მანეთი, მაგრამ „დიდი კაცის“ წყალობით მისთვის ხელი არავის უხლია.

მსუბუქი კავალერისტი.



მფლანგველი: — ჩემი მფარველის ხელის ბრწყინვალება თვალს მოსჭრის მათ და ისინი ვერც კი შეამჩნევენ.

## ბათომი

ჯაფარიძის ქ. № 18-ში ცხოვრობენ „დიდი კაცები“ რკინისგზელები: ბოკუჩავა და შათირიშვილი, რომლებსაც ფართოდ უყვართ ცხოვრება და ბინის გაფართოების მიზნით ავიწროებენ სხვებსაც და ერთმანეთსაც. (საბინაო კომისიაში თვითონ შედიან). მათ ცოლებს ყოველდღე მოსდით ჩხუბი და ცემა-ტყეპა.

ბაბინეშვილი.



ნოქარი: — რაშია საქმე, რომ ყოველ-დღე მიგაქვთ ცოლებისათვის საკაბე?

ბოკუჩავა და შათირიშვილი: — ჩვენს ცოლებს ყოველ-დღე მოსდით სამზარეულოზე ჩხუბი და ერთმანეთს ტანზე ახევენ.

## ზესტაფონი

რკ. გზის მუშათა კლუბში დადგეს რადიო, მაგრამ რად გვინდა, მისი ხმა არავის გაუგონია.





ავადმყოფისათვის სისხლის გასინჯვა ზესტაფონის საავადმყოფოში

## დომენტის აღსარება

ლაშე-ღვერკი

ფხიზლად ვერასდროს ვერ მნახავთ, ცხადში ვიყო თუ ძილშია.
ორჯერ მომაწერა უფროსმა უგონოდ ვეგდე თხრილშია.
ამ გაკვეთილმაც ვერ გასჭრა, მე როგორ დავთმობ ღვინოსა,
თუ პარტბილეთი ხელთა მაქვს, ვინ უნდა შემაშინოსა.
ვაზის წვენს დავენაცვლები, დამათროს, დამაძინოსა;
თუ გალეშილი ცხვირს ვიტეხ, ვინც უნდა გაიცინოსა.
წარსულ წელს, ექსკურსიაზე ბათომს ვიყავი ვაგონით,
ბუფე ლოქებით ავესოთ, გზაში ვიცოდი გაგონით.
სხვანი ქალაქში წავიდენ, ღვინოს დავესხი ქორივით.
ჩემსავე ნაწრწყევში [illegible] [illegible]
ყოფა [illegible]
რას გადავეჩ[illegible] დაცინარებს! როც [illegible]!

ძირ[illegible].

მილიცელი: — მოქალაქევ, თქვენ დაჯარიმებული ხართ, რადგან ტრამვაიდან ჩამოხტით, ვიდრე ვაგონი გაჩერდებოდა.

მოქალაქე: — უკაცრავად, ტრამვაი ჩემს ჩამოხტომამდე დაიძრა.

რა ბედნიერი კაცი ყოფილხარ ამდენი წერილები, რომ მოგსვლია, ნუ თუ ყველა ესენი მეგობრებისაგან არის.

— რის მეგობრები ჩემო ძმაო, ჩაუბარებელი წერილებია... შეუძლებლად დარიგება.

— მერე და რათ დაგიგროვებია.

— თავისუფალ დროს ვკითხულობ და თავს ვირთობ, ეს [illegible] ჩემი კინოც და თეატრიც.

# დათვის გასტროლი

... წოვ დაბებში დაჰყავთ გაწვრთნილი დათვი და გზა მოჰყავთ ადგილობრივ კლუბებში.

პროვინციელი.



მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე



კლუბში დათვის თამაშის დროს

## სამტრედია

ლექსები ამ ჩვენს ქალაქზე
არ იწერება ხშირადა!
მიზეზი კალმა არ იცის—
მიზეზი არ ვარ პირადათ.
რა ვქნა, როდესაც ტატიშვილს,
არ ესმის ცის, არც ბარისა!—
ვოსტაც ყოფილა სხვა „ვინმე“,
სხვა ჯიშისა და გვარისა.
ბალი დაიხსნა. ამ ბალში,
ისმის ბუკი და ნაღარა!
ვწუხდებით და ამ წუხილის,
ხსნა - შველა არ სჩანს, აღარა.
გლეხკომზე, საკრედიტოზე,
ყური ვერ უძლებს სმენასა!
(თუ კიდევ ასე გაგრძელდა
ვერ ვიგრძნობთ აღმაფრენასა).
პაწია ბავშთა ბალებზე
კლუბებზე, სამკითხველოზე,
მზრუნველის სიტყვა არ გვესმის—
არ სჩანან სადარაჯოზე.
„ეპო“-ზე, სასადილოზე —
(აქ კი დუმილი მჭირია!—
ტარტაროზ, შემდეგ მოგმართავ:
მაცდურს, კუზიანს, ჭირიანს)..

ჭაგნელი ბზიკი.

---

მოსადილე. — ეს დანა-ჩანგალი კარგად არ არის დასუფთავებული. აგურის ფხვნილი ისევ ზედ დარჩენილა.

ოფიციანტი. — ეგ აგური კი არა ნაცარი გახლავთ, რადგან დღეს ნაცრით გავწმინდეთ დანა-ჩანგალი.

## ზუგდიდი

პროფკავშირთა კლუბის რეჟისორი დამთვრალიყო და მთვრალს ქუჩაში დასძინებოდა. ქურდებს ტანზე გაეხადათ და გაეძარცვათ.

კაკლარი



— პატიოსანი ქურდები ყოფილან! პერანგი დამიტოვეს!

## ჩოხატაური

რაც რომ დაბა მივტოვე
თვეა ერთი, ანუ ორი,
შორს ვარ, მარა ცნობათ მაინც
მესმის ყურში რაღაც „ჭორი“-
ვითომ ვაჟი იგი, ზარგათ
ჩვენს „ეპო“-ზე ანაკადი, —
არის „ნეჟნი“, ფრიად „წყნარი“-
,მარა თურმე... ფრიად ფლიდი..
თავის პირად „მე“-ობისთვის,
რომ აცოცდეს უფრო ზევით,
„წამალს“ ეძებს უფროსებთან
ლაქუცით და... კუდის ქნევით...
ხო და, ვეჭვობ ამ ყმაწვილსა,
რომ ჩემ-ჩუმათ უყვარს ხრიკი,
უცბად ზევით ანალერი,
არ მოაჭრან კუდის რიკი..
თორემ შემდეგ, რას უშველის:
ან ფერშალი, ან დოქტორი“.
ან თუ ერთი, ან მეორე
ან თვით „ნეჟნი“... ინსტრუქტორი.
და, ეს ლექსიც მან იკუთვნოს,
ვინც შიგ თავი თვისი ნახოს;
სხვამ თუ არ სთქვას—რას დაეძებს,
მანც „ნამუსად“ შეინახოს....

წავილა.

---

— თქვენს ფურნეში გამომცხვარ პურში აი ეს ამოვაჩინე.

— რა არის მოქალაქე ეგ?

— ვერ ხედავ რომ თაგვის კუდია.

— ეს ხომ ტარაკანაა და არა თაგვის კუდი. მეც არ გამიკვირდა. თაგვის კუდს ვინ ჩააგდებდა პურში. ჩვენთან, ამხანაგო, სანიტარული გეგიენა დაცულია...

# ცნობათა მიღება

**ნივი-ოღლის, (გორდი, ქუთაისის მაზრა):** — რატომ გგონიათ, რომ ერთს პიროვნებას (და ისიც ნაიფიცრალს) არ შეუძლია ორი თანამდებობის ასრულება, როგორიც არის. მასწავლებლობა (შვიდწლედის გამგეთ ყოფნა) და ტყის უფროსობა. „ორი ნესვი არ დაიკავება ხელში“, თორემ ორი თანამდებობა თამამად შეიძლება „დაიჭიროს“ კაცმა, მით უმეტეს, როცა მხოლოდ ფულის მიღებით არის დაინტერესებული და არა საქმის გაკეთებით. ისიც მართალია, რომ გიგილო ჩიქოვანს, ალბად, ვინმე „დიდი კაცი“ უწყობს ხელს, თორემ ადგილობრივ მცხოვრებთა სამართლიანი საყვედური ამდენხანს დაკმაყოფილებულ იქნებოდა.

**მირზაანელს, (მირზაანი):** — იხილეთ ამავე ნომერში მე-10-ე გვერდზე სურათი ახალდაბის სკოლისა და მისი მასწავლებლების შესახებ. ერთ-ერთ იმათგანის გვარის მაგიერ წაიკითხეთ თქვენი მასწავლებლის (მალხაზ ტოკლიკოვი) სახელი და გვარი. ამგვარად თქვენი მიზანიც გამართლებული იქნება და ჩვენაც რეჟიმეკონომიას დავიცავთ: არ გავაკეთებთ ერთი და იმავე შინაარსის ორ სურათს.

**უბედურს (პატარა ჯიახაიში):** — თქვენი უბედობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ხოლო ამ წერილზე კი შეიძლება ამისი თქმა.

თქვენ ბრალს სდებთ თქვენი კომკავშირის მდივანს ლოთობაში და უსაყვედურებთ, რომ:

**სხვას დასცინის ქეიფობას,**
**ვინაიდან დიდ - კაცია;**
**ის არ ახსოვს, რომ აღდგომას**
**ბოთლი ღვინო წააქცია.**

ალბად იმიტომ „წააქცია ბოთლი ღვინო“, რომ ებრძოდა ლოთობას და ატარებდა ანტირელიგიურ კამპანიას. ვინ იცის — ბოთლი ღვინო რომ არ წაექცია, მას წააქცევდა ბოთლი ღვინო.

**შეპარენკილს:** — თქვენი „იუმორი“ ასე თავდება:

**შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა**
**განას სუყველას სმა უნდა?**
**პირში მოსულსა სიტყვასა,—**
**განა სუყველას თქმა უნდა?**

ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ შავ ლუდსა და წითელ ღვინოს ორივე სმა უნდა (სათრობად კი არა),— ხოლო პირში მოსულ სიტყვას. კი ენაზე კბილის დაჭერა უნდა. ეს სავალდებულოა ყველასათვის და, აგრეთვე, თქვენთვისაც.

**შუბელს::** — ნუ თუ საეჭვოთ მიგაჩნიათ, რომ გვწერთ: **„თუ ამ წერილს მარილი აკლია, თქვენ მოუმატეთ“-ო.**

თქვენ რომ თქვენს წერილზე იცინოთ, ეს სხვა რამეს ნიშნავს. ნუ დაიგვიანებთ და მიმართეთ ფსიქიატრიულ ექიმს.

**ხლოპუშკას (ქუთაისი):** — გრ. ქკუასელის შესახებ ერთხელ უკვე გვქონდა „ტარტაროზში“, რომ:

**სულით - გულით კულაკი—**
**ამუშავებს სოფლად გლეხებს.**
**კაცი ვარო პარტიული**
**და ვინ მომჭამს ნეტა ფეხებს?**
**„ზაკტპო“ თბილი სამყოფია,**
**ბლომად ვილებ ჯამაგირსა.**
**ქალაქშიც ვარ, სოფელშიაც,**
**მიტომ ვიწევ მაღლა ცხვირსა.**

აწეულმა ცხვირმა (და ისიც პარტიის წმენდის დროს) ჩამოშვება იცის.. და არა მარტო ცხვირმა, — ყურებმაც იცის ჩამოყრა.

ჩვენ როგორც გვახსოვს, არტემ ტაბიძის შესახებაც იყო ჩვენს ჟურნალში.

ხოლო რაც შეეხება ბელიკოვს, რომელსაც გლეხების ნაცრობაზე დახარჯული აქვს 60 ტყვია და თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულია, — მისი განიარაღების შემდეგ საკითხს დავსვამთ მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც შეიკრიბება ერთი ლიგის ინიციატორობით ჟენევაში.

**სანის:** — წმენდა ყოველთვის და ყველგან საჭიროა, ჟურნალიც უნდა გაიწმინდოს ასეთი მასალისაგან და ის უნდა მოთავსდეს ჩვენს უფსკრულ გოდორში, ე. ი. ხვდეს ისეთივე ბედი, როგორიც ზოგ ყოფილს პარტიულს.

**იალას:** — ვერ მივხვდით, რას ნიშნავს „მგლის ბილეთი“.

**წვეტს (სადგ. ავჭალა):** — ბუფეტის მეპატრონეებზე: მალაქიასა და ჯაბიაშვილზე გვწერთ:

**ჩიტის პორციას მოგართმევს,**
**ფასს კი აიღებს არწივის.**
**ნეტა, არამი ფულები**
**იმათ ჯიბეში არ წვის?**

ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამაში ეჭვი არ შეგვდის, მაგრამ ის კი საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ:

**სუყველა ცუდ ხორც ტფილისის**
**ჩვენი ბუფეტი ასაღებს.**
**და ასეთ ხორცში, ცხადია,**
**მრავალს ფულს ნახავს ასაღებს.**

ცუდი ხორცი აქაც ბევრია. ასე, რომ ყველა ცუდ ხორცს მაგენი არ ასაღებენ.

**მაძიებელს (ფოთი):** — გვწერთ, ამ წერილის აზრი აღებულია. თუ აღების დროს ამის მეტი არაფერი იყო, — რაღას იღებდით! ხოლო თუ იყო და თქვენ ამახინჯებთ, ეს უარესი დანაშაულებაა. საერთოდ ყოველთვის სჯობია ადამიანი თავისი თავით აზროვნებდეს, (თუ რასაკვირველია, თავს აქვს ამისი უნარი).

**შევარდენ (ალბულაღი):** — ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩნეული; როცა საჭიროა კიდევ მათზე წერა, მით უმეტეს ამ ნომერში ალბულაღზე მიდის ერთი წერილი.

**ბარიშვილს (მალლაკი, ქუთ. მაზრა):** — როგორც ამ თქვენი ლექსის გამოსწორება არ შეიძლება, ისევე არ შეიძლება თქვენი „წითელი“ სასადილოს გამოსწორება, შე კაი კაცო, ასეთ ნაკლს ასეთი ცუდი ლექსი კი არა, ალმასკომიც ვერ ასწორებს.

**მაზზაკუნას:** — გავვირვებით გვეკითხებით:

**რაშია საქმე ტარტაროზ,**
**რომ არ დაბეჭდე ლექსიო?**
**გამოსაგზავნი მაქვს კიდევ**
**ბარემ ხუთი თუ ექვსიო.**

ნუ თუ ასე ძნელი იყო იმისი მიხვედრა, რომ ის ლექსი გოდორში წავიდა? (არც ისე მიუხვდომელი გვეგონე!). გიცხადებთ — თუ გამოსაგზავნი ხუთი - ექვსი ლექსი ისეთივეა, როგორიც უწინ იყო, — არ დავბეჭდავთ და ტყვილად ნუ აგზავნით. ჩვენ ისედაც გვეყოფა საგოდრე მასალა.

**მოწიფულს:** — ავტორიტეტად მოგყავთ თავისი ცოლი და ამბობთ, რომ მას ძალიან მოეწონა ეს ლექსიო. თქვენი ცოლის გემოვნება თქვენს არჩევაშიაც ნათლად სჩანს. ამიტომ ჩვენ სრულიად არ გვიკვირს, რომ მან ასეთი ლექსი მოიწონა.

**უტიფარს:** — ვერ შეგვაშინებს თქვენი მუქარა:

**სანამ არ დაგვიბეჭდავ, არ მოგეშვებით. წერილს წერილზე მოგაყრი; დაბეჭდავ, აბა რას იზამ!**

რაკი ჯიბრზეა საქმე, ჰა, ბურთი და მოედანი

P. 7/133

# სულერთია



ბოლდუინი:—ხედავ, მეფე გამარჯვებას ულოცავს მაკდონალდს—მუშათა პარტიის ბელადს!

ლოიდ-ჯორჯი:—მერე რატომ გიკვირს? ჩვენაც რომ გაგვემარჯვა, ჩვენაც მოგვილოცავდა... არც ერთ შემთხვევაში თავნიდან არაფერს ჰკარგავს!

ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე

ფასი 10 კაპ.

კვირა, 16 ივნისი 1929 წ. № 25 (209)

# ოცნება და...

იხ. უკანასკნელი გვერდი.



ქართულ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციის მიერ „საქართველოს დამოუკიდებლობის" გამოცხადების აღსანიშნავად ვარშავაში გამართულ „დღესასწაულში" მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პილსუდსკის მთავრობის წარმომადგენლებმა.

— ვერწმუნეთ, ბატონებო, საქართველოში ხალხი მე ხელით მატარებდა, რომ...



ყსთქვი: თუ რაა, რას ჭამსწავსო, ტყვე ვინმეა ან მხეცი?
მუშკოოპის „ტაჩკა“ იყო, გარს ხალხის ზღვა მრავალ-კეცი,
კაცნი მას წინ მოზიდვიდეს, თვალში მას მეც დავეცეცი::
სიგრძე იყო, მშიერივით, ვით მგელი—თხას, ისე ვეცი!..

# წყალწაღებულები ხავსს ეკიდებიან

— რას მიბრძანებთ! შემოუშვა მთხოვნელები?

— რის მთხოვნელები? წადი, წაიღე ეს ფული, ამალამდელი, სალამოს ბილეთები მიყიდე და სახლში მიუტანე ჩემს მეუღლეს.

— მთხოვნელებს როდის მიიღებთ?

— ვინ მთხოვნელებია?

— ვინ არ გინდათ; სოფლელებიც კია, აქაურებიც ბევრია და, ჯავრობენ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში წავალთ და ვიჩივლებთო. სამი დღეა დადიან.

— კარგი. მესმის. მივიღე ცნობათ და სახელმძღვანელოთ „თქვენი“ ინფორმაცია და ეხლა რომ გითხარი, ისე მოიქეცი.

— არ გამიშვებენ. სხვას რომ გადაურჩე, ერთი ქალია ვიღაცა, ანნა ანდრეევნა ვარო და იმას ვერ გად...

— ანნა ანდრეევნა?! მერე და, კარიდორშია გაჩერებული? ეხლავე სთხოვე!

კარებში შემოედა თეთრი ფინიას თანხლებით ქალი.

— ჩემი გულითადი სალამი ქ-ნ ანნას! კარებში მიგებებით მიისალმა გამგე, და ხელზე ამბორის შემდეგ სავარძელში მიიპატიჟა.

— ილიკო, რა უზრდელი დარაჯი გყოლია! სხვებთან ერთად მეც არ მაიძულა კარიდორში გაჩერება? ალბათ ვიღაცა ვიგინდარებსა. და მოსარიდებელ პირებს ერთმანეთში ველარ არჩევს.

— თქვენი საქმე მიკვირს, ქალბატონო ანნა. ვითომ არ იცით რა დროში ვცხოვრობთ!?

— მართალი ხარ! სადღა არის მორიდება და პატივისცემა. ეეჰ. რას იზამ, ჩემო ილიკო, თორემ ამათთან საშსახური ღირს? „უკანანი წინ და წინანი უკანაო“, სწორედ ჩვენზედ ჭარულდა ქრისტეს ეს სიტყვები. ისეთი მუშა მოიყვანეს და მმართველად წამოგვისკუპეს, რომ უწინ ჩვენს დროში, სალამსაც არ მივსცემდი!

— რას ვიზამთ, მათია ეს ქვეყანა და... სხვა ადგილკომთან როგორ განწყობილებაში ხართ, ქ-ნო ანნა?

— ადგილკომთან? ძალიან ცუდ განწყობილებაში. მაგრამ ყველაზედ უფრო მსუბუქი კავალერია მიჭირვებს საქმეს. გამიშრო სისხლი იმ შეჩვენებულებმა: აგვიანებო, სამუშაო საათებს აცდენო, მთხოვნელებს ცუდათ ეპყრობიო და სხვა. ის კი არ იციან, რომ უწინ ყავას ლოგინში მივირთმევდი და მთელი დღე ლოგინზე ვკოტრიალობდი. აბა გლეხებთან, დღეს რომ მაწუხებენ, რა საქმე უნდა მქონებოდა გარდა იმისა, რომ ბაზარზედ, მათ გამოტანილ კვერცხს და ქათამს ვყიდულობდი.

— მოვითმინოთ უნდა. ქ-ნო ანნა, მოვითმინოთ. ხომ იცით როგორ დროში ვცხოვრობთ.

— ქე ვცდილობ, ჩემო კარგო, მაგრამ... მაგრამ მაინც ვერ ვითმენ. ნერვები მეშლება.

— მიიღებთ მთხოვნელებს?—იკითხა კარებიდან მეორე დარაჯმა

— რის მთხოვნელები? სად მცალია მთხოვნელებისათვის?

— გიორგი ვარო.. უშველებელი პორტფელი უჭირავს ხელში.

— სთხოვე, სთხოვე მობრძანდეს!

კაბინეტში შემოვიდა მაღალი ტანის საკმაოთ შეჭაღარებული კაცი.

— რა მოგივიდა, გიორგი, რომ ცხვირი მუცლამდე ჩამოგიშვერია?

— რაღა რა მომივიდა, ჩემო კარგო; ჩემი დათხოვნა დაუდგენიათ საბჭოთა აპარატის გამწმენდ კომისიას.

— ეაი ამ დღეს, მე შენი იმედი მქონდა: თუ დამითხოვეს, გიორგი მომაწყობს—მეთქი!—დაღონდა ილიკო.

— „წყალ წაღებული ხავს ეკიდებოდაო“, სწორედ ისეა ჩვენი საქმე!—ამოისვენეშა ანნამ.

ტოქსინი.

# ჩვენი დროის კრილოვი

## მუხა და ლერწამი
## ანუ
## გამგე და შიკრიკი

ერთხელ გამგემ უთხრა შიკრიკს:
—გიყურებ და მტკივა გული,
რომ უკულმართ ბედისწერას
მაგრე ჰყავხარ დაჩაგრული.

ყველა შენი უფროსია—
დარაჯიც თუ მემანქანე;
გიბრძანებენ: ,,აბა, ჩქარა
ბუტერ-ბროტი მომიტანე!"

დამლაგებელს რაღა უნდა?
იმასაც ვერ უმაგრდები!
ყველას თითის ჩვენებაზე,
შენ ჩიტივით გაფრინდები.

აბა, ახლა მე მიყურე
როგორა ვარ გაჯგიმული?!
მყავს მფარველი, პროტექტორი,
საგულეში მიდევს გული,

ყოველი მხრით მედიდურად
ხელები მაქვს გადაშლილი,
ყველა ჩემი მორჩილია,
საყვარლად მყავს კოხტა ლილი.

ვინ რას მიზამს? რას დამაკლებს?
სიმაგრითაც კლდე ვარ სალი,—
და მუშკორმა თუ გამწერა,
მაშინ ვაი მისი ბრალი.

შენ რომ იყო ჩემი რამე—
ცოლის-ძმა თუ ნათესავი,
მფარველობას გაგიწევდი,
გექნებოდა ქუდში თავი.

ხშირად ხდება: შტატის წმენდა,
შემცირება თუ სხვა რამე.
ჯავრისაგან დნები კაცი,
ფიქრებში ხარ დღე და ღამე.—

—:—

შიკრიკმა სთქვა: მე რა მიშავს?
მე ეს წმენდა არ მაშინებს!
მე მშვიდობით გადურჩები,
არაფერსა მაწყენინებს!

—:—

შენ კი მაგრე რომ იბერვი—
სიფრთხილე და შიში გმართებს.
გაგიგებენ, რაც შვილი ხარ,
გამოგკრავენ მაგარ ხლართებს.

—:—

შტატის მწმენდავ კომისიას
ვერ აუხვევ ეხლა თვალებს;
რა გინდ თავი შეაბრალო,
იცოდე არ შეგიბრალებს.—

—:—

ეს რომ უთხრა, სწორედ ამ დროს
შემოაღეს უცბად კარი—
შემოვიდა კომისია
თავს დაეცა გამგეს ზარი.

—:—

სცადა მალვა ცოდვებისა,
მაგრამ მაინც ვერ დამალა...
კომისიამ ჩვენი გამგე
გადააგდო ყირამალა.

ზმუკი.

## შემშურთ



— ბედნიერი კაცი ყოფილა ეს ჩვენი ივო-ლიტე—გადაურჩა წმენდას!

# განმარტება გაუგებრობაზე



— ეს რა კლუბი გაუხსნიათ, თუ იცი?!
— კლუბი კი არა, სხვავის შრომის სკოლის სამასწავლებლო ოთახია!

# მოქ. ზურაბის აზრი წმენდაზე

— გაგონილა, ადამიანო! ღმერთი და ხატი მაგათ არ სწამთ, გვარი და გვარიშვილობა.

— რაშია საქმე, ბ. ზურაბ, რამ გაგაგულისათ ასე?

— რავა რაშია, ჩემო კეთილო! ისე მეკითხები, თითქოს პარიზიდან ახლად მოსული ბრძანდებოდე. ჩემს სიძეს კი იცნობ შენ, პლატონს.

— პლატონს როგორ არ ვიცნობ, თუმცა არც ისე ახლოს...

— ჰო, და, ამ ჩემს პლატონზე მოგახსენებთ. დიდი კეთილშობილი ჩამომავლობის გახლავთ. მაგის მამა ვეზირის მარშალი-იყო და მთელ ჩვენს მხარეში დიდი სახელით და გავლენით სარგებლობდა.

— კი, „სარგებლობდა“-ო, გამიგონია...

— ჰო-და, რა მოგახსენოთ... დროს რა ვუთხრა, თორემ არც ჩემი სიძე იქნებოდა სხვებზე ნაკლები. ბარემ რავა კლასი ქე აქ გათავებული მაშინ, კლასი რომ კლასობდა და კაცი კაცობდა... რაცხა ულივერსია თუ მისი დაქცევა, იქაც ქე აპირობდა წასვლას, მარა მოუწია ომიანობამ და ჯარში გაუძახეს. კაი კაცი ყველგან კარგ კაცად დარჩება: იმავე დღეს რა დღესაც ჯარში გაანწესეს, „იუნკრის“ პაგონები გადააკერეს ფხრებზე.

— ბიჭოს? ალბათ, კეთილშობილი რომ იყო, იმიტომ!...

— იმ დროში, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყველაფერს თავისი ფასი და მოწონება ჰქონდა. გვარი და სახელი გვარიათ და სახელად იყო, პირი—პირად და სიტყვა-სიტყვად. ჩემი სიძე —მაშინ ჯერ კიდევ სიძე არ ყოფილა, მხოლოთ ლაპარაკი იყო—ომში ისე არ წავიდა, სანამ ჩემი ქალი არ დანიშნა. მაშინ დანიშვნა ჯვრის წერას უდრიდა. ორი წელიწადი გაატარა ომში და შინ „შტატის კაპიტანის“ ჩინით დაბრუნდა. დაბრუნდა თუ არა, ინავე დღეს ეკლესიაში წაიყვანა ჩემი ქალი და თავისი დანიშნული.

მთელ ერთ კვირას ჩემსას „ჩარი“ და „ჩარირამა“ არ შეწყვეტილა. ქორწილის შემდეგ, ცოლითურთ ბორჯომში გეახლა. ზაფხული იქ გაატარეს. შემდეგ იმდენი მოახერხა, რომ მთელი ნახევარი წლის დასვენება მისცეს. ამასობაში მოხდა ასვარ-დასვარიე და ეირია ყველაფერი წყალსა და ღვინოსავათი. ცოტა ქე შემაფიქრიანა სიძის მდგომარეობამ, მალე იპრიანა ჩვენი ქვეყნის ცაზე, დიდი დღეი მისცეს ღმერთმა ჟორდანიას და მის ხელის შემწყვეს.

— როგორ? მენშევიკი იყო თქვენი სიძე თუ?

— არა, პარტიაში არ ყოფილა, მარა რა ჯობია, როცა შენი ქვეყნის მიწა-წყალზე კაცს ადგილი და სამსახური მოგეპოვება. აფიცერს და გვარდიელს მაშინ, შენც ქე გაგეგონება, რაც პატივი და მოწონება ჰქონდა. სამსახური და საკეთებელი მაშინ თუ არ იყო, აბა, სხვა დროს როდის ყოფილა?

სამ წელიწადში ჩემი სიძე „პომპოლიკის“ ჩინით დაასაჩუქრეს და „გენერლობაზეც“ წაყენებული იყო, ღმერთი არ დააყენებს ფეხზე „ბალშევიკებს“, მაგინმა ჩვენი ქვეყანა ასვარეს და ააფორიაქეს.

— საზღვარ-გარეთ ხომ არ გაქცეულა თქვენი სიძე?..

— ნეტაი, წასულიყო, შენი კარგა ყოფნით და აქანა არ ჩავარდნილიყო ამ ტანჯვასა და ჯოჯოხეთში.

ჯერ იყო და ერთხანს ამცხურეს, შემდეგ ჰკრეს პანღური და ქე გამოაგდეს გარეთ. ოცდაოთხში ბეწვზე გადამირჩა დახვრეტას. ციხეში რომ არ მჯდარიყო ამ დროს, დახვრეტდენ კიდეც. აბა, შინ სახლი არ შეუჩენიათ და კარი. იმის ნაქონ სახლში ჯერ შკოლა გამართეს და ახლა აღმასკომი აქვთ მოთავსებული.

ამის შემდეგ, იპრიანა: ციხიდან ქე გამოუშვეს, მარა დარჩა კაცი ქვეყანაზე უმისაფაროთა და ულუკმაპუროთ. ერთხანს, უშველა ღმერთმა ქაშვარდი ქიშმიშაშვილს, იი რაცხა მიწის კომისარიატი რომაა, იქინე მოაკიდებია ფეხი ღვინოების საქმეში. პური და ღვინო ჩემ სიძეს იმ თავიდანვე უყვარდა და ქიშვარდისაც არა ერთხელ მოსწევია მის სუფრაზე თამადობა. კაცი კაცით არის, ჩემო კეთილო, და ქიშვარდისაც კაი უნდოდა იმ ჩემი სიძისათვის, მარა ამოუჩემეს და აღარ მოუსვენეს. რაღას იქდა? იძულებული იყო—აეკრა პარგი და ბარხანა.

კიდევ რამდენიმე წელიწადი იწრიალა იქით-აქეთ. ბოლოს „კომპერატიაში“ მისცა თხოვნა. ღმერთმა უშველოს ნიკიფორე ფორეჯიშვილს: ჯერ თევზის ბუდკაში დააყენა და შემდეგ მთავარ მაღაზიაში გადაყვანაც კი მოუნდომა, მაგრამ მაგათ კაცის დაფასების შნო ვინ მისცა? ასწიეს და ჩემ სიძეს საცხა ბნელსა და დამპალ სქლადში უკრეს თავი.

სქლად და თავზე საყრელად. ნუ გეშინია, არც აქ ყოფილა ბევრი რამე. ერთი-ხუთიოდე ტომარა შაქრის ფხვნილი, ამდენივე ნატეხი შაქარი, ორიოდ იაშიკი სპიჩკა, გაკეთებული პაპიროსი და სამიოდე თოფი ბრაკი შალეული,—აი მთელი ავლა-დიდება, აქიდან რა უნდა წამოიღოს კაცმა, რომ ოჯახს თვალი დაეტყოს და დოვლათი გაუჩნდეს.

ოუტყდენ, ბოშო, აქაც: სისტემატიური ქურდობისათვისო, კეთილშობილი კაცი, სახელოვანი ჭვარიშვილი და ისიც „საგერენალოთ“ გამზადილი „პომპოლიკი“, განა, მაგათ სქლადში ქურდობას იკადრებდა, რო!.. მარა ვინ მისცა მაგათ კაცისა და გვარიშვილობის გარჩევის უნარი?

ჩემი სიძე, პლატონ პანტიპუნტიაშვილი. ჩემი სიძობით რა ვაქებ და საგერენალო პომპოლიკი, დიდი გვარიშვილი ვინმე კი გახლავთ, აი!..

**ონისიმე.**

# ფიქრები ხოჯავანქის სასაფლაოზე

ათაბაბიდან დაწყებული ჩვენს ტვინში მარტო ერთი ფიქრი ტრიალებდა—პატივით უცქიროთ სხვის სიმდიდრეს, მდიდრებისაგან ჭკუა და ხერხი ვისწავლოთ და ჩვენც ერთი ორიოდე გროშის პატრონი გავხდეთ.

მელიქ-აზარიანცები, არამიანცები, სარაჯიშვილები, სესიაშვილები, მანთაშოვები—ჩვენი პატარა ღმერთები იყვნენ. ყველა იმათ ნაბიჯები, სიარული, მიხრა-მოხრა, ლაპარაკის კილო და ცხვირის დაცემინებაც კი ჩვენთვის მთელი აკადემია იყო.

ცხვრის ხორციდან ძროხის ხორცზე გადავედით, რადგანაც მანთაშოვის პოვერი უფრო ძროხის ხორცს ეტანებოდა. ცხონებულ მამიჩემს საყვარელი ჩალაყაჯის ნაჭრიდან ხელი აველეთ და ძვლის ბულიონს შევეჩვიეთ. ჩითახოვს ბულიონი უყვარდა თავის პიროჟოკებით. ჩემმა ბიძაშვილმა არშაკამ, რაც რომ დოშლუღიანი ახალოხი კრახმალიან ვარატნიკზე გაცვალა, დანა-ჩანგლით ლობიოს კიტკაშის და ჯონჯოლის ჭამა დაიწყო.

ერთი სიტყვით, ამ ჩვენ ბობოლებს ხელებში და თვალებში უცქეროდით და იმათ მაგალითით აგურს აგურს უმატებდით.

მაშინ ჟამანაკიც ხელს გვიწყობდა. მდიდარი ყველგან მიღებული იყო. ნაჩესტნიკთანაც და ესპიკოპოსთანაც. ხალხიც ხმის ამოღებას ვერა ბედავდა. ვინც ბევრსა ყბედობდა, ის ნაკლებს სჭამდა. აგიტაციას და სხვა ამნაირ რამეებს კუჭის ტკივილი მოსდევდა თან.

გადაბრუნდა ჟამანაკი. ნიკოლოზს ტახტის ფიცრები დაულპა, ხალხმა ალვირი აიყარა. ნიკოლოზთან ერთად ფულიანი ხალხიც იმეკილიდან ჩამოაკუპეს და სათავეში მჭედლები, დურგლები შოფერები და მექისეები ჩადგნენ.

ჯერ ჩვენ დუქნებს ჩურგენი მოუხდინეს, მერე მამულები გაინაწილეს. ბოლოს სახლების რემონტი გვაქნევინეს და ისე ჩამოგვართვეს.
(ალბად მექისე ბაღდოას ოჯახი ურემონტო სახლში ცუდ ნასტრაენიეზე იქნებოდა).

ხმა არ ამოგვიღია. მახლას გული ქეისა გავიხადეთ. ჩვენი მორჩილობით და ახალი ვლასტის უვაჟენიით მე ერკოპის პრიკაჩიკათ ჩავარდი და ბაღდან სტეფანიჩი ტყავების სპეცი გადიქცა. ადგილს კბილებით ვებღაუჭებით. მუშტარს პოჟალუსტებით ველაპარაკებით. მე და ჩემი ბაღდოა დღე ვირისავით ვმუშაობთ, ღამე კი ჩაიდანიებზე და საბრანიებზე დავდივართ. ისე ყაიდაში გვაქვს საქმე დაყენებული, რომ ვერც ერთი ჩისტკა ჩვენ ვერას დაგვაკლებს რას.

ვცხოვრობთ როგორც მუზეუმაკი ცხენის კუდის ქვეშ. კრინტს არ ვკრებთ ამ ქვეყანაში არაფრის იმედი აღარ დაგვრჩენია. ჩვენ პრაკტიჩნი ხალხნი ვართ და ტუტუც მენშევიკებივით ბოლშევიკების წასვლაზე არც კი ვფიქრობთ.

ჩვენი სიცოცხლე წარსულშია. ეს ქვეყანა ჩვენში აღარ არის. ჩვენ ყოფილი სპეკულიანტები ვართ და ამ სახელს სამარეშიც თან ჩავიტანთ. აი სწორედ იქ ვიქნებით არხეინად და სამარე ყველას გაგვათანაბრებს. ხოჯავანქში კლასები არ არსებობს. იქ ყველოფრადის ნორმა ყველასათვის ერთია—ოთხი არშინი სიგრძე და არშინ ნახევარი სიგანე (ბეზ კუხნი, გალერეი, ვანი ი ასვეშჩენია).

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა, რომ ბაღდან სტეფანიჩმა თავზარ დასაცემი ამბავი გამომცა: — არამას სასაფლაოს შიგაში ხუთი თუმანი გამაართვეს, რადგანაც ის დიდ ჯამაგირს იღებდაო. კომუნხოზს აქაც კლასებათ დაუყვია მიწები—ვისაც პატარა ჯამაგირი აქვს, ის ცოტას იხდის და ვისაც შემოსავალი მეტი აქვს, ის მეტს იხდისო.

ვა, მუხის თავი ვარ. ცირკში ვირებს, როიალზე დაკვრას ასწავლიან ვისწავლე. ტო, ყურუმსალ, ბოლშევიკებო ამ ქვეყანაში ჭკუა ვერ კები რა ბოლშევიკები იქნებიან თუ რომ ჩვენისთანა ბიჭში ხალხს სამკვიდრებაში მისცემენ. ბაღდან სტეფანიჩჯან, შენი იმ საიქიოზე იმედები დაიბჯირე გაქონილ ძველ ბაღდადის ხელსახოცში და ლამბარდში მიაბარე შესანახად. რის ფლავი, რის ბოზბაში! აქაც წვალებაში ვართ და იქაც მოსვენებული ვერ წახვალ. განა ამნაირი ცეცხლი გინახავს—კვდები, სული ამოგდის და სიკვდილისა გეშინიან. ახრა, ჩვენც ცოდვის შვილები ვართ: ერთიც ვნახოთ ჩემი ვარსენიკა ბეზბოჟნიკი გახდა და ათ თუმნიანი მიწა არ გიყიდა ხოჯავანქზე. მაშ კვდარი სახლში უნდა ავყროლდე? მაშ სულის ამოსვლის დროს შტკვარში გადავარდე? მაშ ტყეში წავიდე, რომ ჩემი ხორცები მგლებმა და ტურებმა შეჭამონ?

ვართან ბულდანიჩ, პასლედნი პრედუპრეჟდენიეს გაძლევ: ხოჯავანქში რაინაპრავიე გამოაცხადე, თორემ მოვალ და შენ პადეზდის წინ მოვკვდები და შენ დაგამარხინებენ თავს. აბა აბა ნუ დამმარხავ. ისე აგიყროლო მთელი ეზო, რომ კარში ველარ გამოხვიდე.

**ვინმე.**

## საკმაო ვადა



— მოახლოვდა წმენდა, ორი კვირის შემდეგ დაიწყებენ თურმე!

— არა უშავს! ამ ხნის განმავლობაში სხვაგან მოვეწყობი სამსახურში,

# „რაციონალიზაცია“

არტემი ერთ-ერთ განყოფილების გამგედ იყო.

მას ზედმეტ სახელად თანამშრომ-ლები ფოლცხვერაძეს ეძახდენ. (რასაკვირველია პირს უკან, თორემ აშკარად ვინ გაუბედავდა).

ფოლცხვერაძე მართლაც რომ ზე გამოჭრილი სახელი იყო არტემისათვის, რადგან ულვაშები მართლაც ფოლცხვერს უგავდა. ბევრმა ურჩია მოეპარსა ულვაშები, მაგრამ წინააღმდეგი იყო, (როგორც ამას თვითონ იტყოდა ხოლმე) „კომუნისტების ჯინაზე“.

— ნიკოლოზის დროის ეს ერთი დიდება-ღა შემრჩენია და როგორ შევეშლევიო!—ამბობდა ხოლმე თავის აფსონებში.

მაგრამ არტემს სხვა „ღირსებაც“ შერჩენოდა—ბიუროკრატიზმი. მისი კაბინეტის კარებზე დიდი ასოებით ეწერა „დაუკითხავად შემოსვლა აკრძალულია“. შიგ კაბინეტში კედლები წარწერით აჭრელებული ჰქონდა: **„ხმა მაღლა ნუ ლაპარაკობთ“, „განცხადება დატოვე და უსიტყვოთ გადი“** და სხვ.

თანამშრომლის ყოველ მაგიდაზე ელექტრო ზარი ჰქონდა გაყვანილი, თანამშრომლები ისე ყავდა დაშინებული, რომ თითო ზარის ხმაზე ყველა ერთბაშად და გიჟივით წამოხტებოდენ ზეზე. (ორ თანამშრომელს კმ ნიადაგზე გულის სიგანიერეც კი მოუვიდა).

მართალია, გაზეთებს წინეთ არ კითხულობდა, მაგრამ რაც წმენდა გამოცხადდა, სისტემატიურად დაიწყო გაზეთების კითხვა.

— ბოშო, კარგი არ ვქენი პარტიაში რომ არ შევედი, თორემ ახლა ისე გამაგდებდენ, როგორც ბორჯომის ბოთლიდან პროპკას!—უთხრა არტემმა ცოლს.

— ჩაყევი მაგ გაზეთს ქვევით და ნახავ, როგორ გადარჩები!

არტემიც ასე მოიქცა.

„საბჭოთა აპარატი უნდა გაიწმინდოს ნიკოლოზის ყოფილ მოხელეების, ბიუროკრატების, საქმის გამჭიანურებელთაგან“ — ...ამოიკითხა გაზეთში ფოლცხვერაძემ.

გაზეთი შორს გადისროლა, შუბლზე თითი მიიდვა, რაღაც გაიფიქრა, წამოხტა ზეზე და გაიქცა.

— შენ გენაცვალე ჩქარა მომაშორე ეს ულვაშები.—უთხრა არტემმა პარიკმახერს.

— რათა! აკი შენ ძლიერ გიყვარდა ეს ძველი „დიდება“?—ნახევრად ირონიით შეეკითხა პარიკმახერი.

— ზაფხულია. რა საჭიროა, ზედმეტია. სიცხე მომცა!

სულ სხვა არტემი გამოცხადდა სამ

—:—

— არტემ ივანიჩ, პირდაპირ მსახიობს გევსართ, თქვენი სახე გამოჭრილი მარმალილოა, თვალები ჟუჟუნა წვიმა!—მიუქათინაურა მემანქანემ.

— აბა, ჩემო კარგებო,—მიმართა არტემმა თანამშრომლებს,—მუშაობის რაციონალიზაციის მიზნით ჩვენი დეკორაცია უნდა შევცვალოთ, შენ ამხანაგო დარაჯო, მოხსენი კარებზე წარწერა. შენი სკამი შემოიტანე და შიგ დაჯექი. ზარები არ არის საჭირო. ლენინის სურათი გამოიტანეთ იმ ოთახიდან და ჩემს მაგიდასთან ჩამოკიდეთ. ასე ამრიგად, მეგობრული მუშაობით წავსწიოთ წინ საბჭოთა ქვეყნის საქმე!—ეუბნებოდა თანამშრომლებს ტკბილი და გემრიელი სიტყვით.

კაბინეტში ძველი წარწერები ჩამოიღო და ახალი გააკრა: **„სასტიკი ბრძოლა ბიუროკრატიზმს“, „ილაპარაკე თავისუფლად და დაწვრილებით“** და სხ.

—:—

თანამშრომლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— შევბულება გავანაწილოთ?— შეეკითხა საქმეთა მმართველი.

— უსათუოდ, მართალია, ორი კვირის ერგებათ, მაგრამ წელს თითო თვისას ვაძლევ, ეს გადაეცი თანამშრომლებს. მხოლოდ ისე მოაწყვე საქმე, რომ ილიკო, პეტრე და ლუკა ამ თვის დამლევს გაუშვი სამივე ერთად. სხვა თუ რომელიმე არის კიდევ შემჩნეული მუშკორობაში, ან კავალერისტობაში, ისინიც შეარჩიე და ახლა მიეცი შვებულება, ხომ იცი წმენდა იწყება და მოვიშოროთ ისინი თავიდან!—უთხრა არტემმა საქმეთა მმართველს.

მიუხედავად იმისა, რომ არტემმა გარეგნულად ამოფხვრა ბიუროკრატიზმი თავის დაწესებულებაში, შიგ-ში მაინც დღე-დღეზე უმატებს სიცხეს.

**ივანიკა.**

30 ივნისს გამოვა
„ტარტაროზი“-ს
სპეციალური საგარაკო ნომერი

# ორი ფერფლი

## (ნაშთი ძველი ნიხვისა)

ერთხელ მუშამ უფულომა
შეუხვია ერთ დუქანში.
ვაჭარს ხილზე შეევაჭრა,
სურს წაიღოს ის ოჯახში.
და ვაჭარმაც ჩვეულებრივ
შეუხვია სქელ ქაღალდში.
და ნისიაც ამ მუშისა
ჩაიწერა მან დავთარში.
გაეცალა ვაჭარს მუშა
ილლიები აქეთ იქით
ტოპრაკებით დაიმშვენა
გზას გაუდგა სახლისაკენა.
მიდის მუშა, მიდის წყნარათ
და არ ესმის არრა ხმები,—
მაგრამ უცებ ილლიაში
ასაუბრდენ ტოპრაკები:
— მეი, დაო, მოიხედე!—
გასძახოდენ ერთ - მეორეს,—
— რა პატივსა და დიდებას
მე უდროოდ გამაშორეს!
— რასა, დაო, მითხარ კარგად:
რამ დაგწყვიტა აგრე გული?
შენ არა და, მე კი სწორედ...
მე ვარ ძალზე დაჩაგრული.
დამეკარგა ეხლა ფასი
და შევიქენ ფუჭი, ხავსი.
მხოლოდ ვარგვარ მე ტოპრაკათ,
რაც არც კი ღირს ლაპარაკათ.
უწინ „დროში“ სულ სხვა ვიყავ:
„სახარება“ მერქვა მეცა.
ყველა ნატვრით მახსენებდა....

იყო ჩემი ფურცელთ კეცა.
მღვდელი ჩემზე ლოცულობდა,
დიაკვანი კი გალობდა,
გლეხი ჩემწინ იჩოქებდა,
და ცხონებას თხოულობდა..
მაგრამ ეხლა რაღა ვარ მე!
ტოპრაკად მკვრენ ეს ვაჭრები.
ჩემით ხილსა ასაღებენ,
და მათაც კი ვეჯავრები.
იძახიან:—ამ ქაღალდში

ფული მივე ძალზე ბევრი,
წვერს დავაგლეჯ, თუ კვლავ შემხვდა
მომყიდველი ამის ბერი.
...და მას განა კი დავინდობ,
აქ რომ მომცა იგი ბერი.
მე იმისგნით დამეკარგა
პატივი და ყველაფერი.
მოი, ღმერთო დიდებულო,
გადმომხედე ნდობის თვალით;
მე ხომ შენთვის ვქადაგებდი,
ვარწმუნებდი ყველას ძალით,
გადმომხედე ამ ქვეყანას,
დაუპყრია რომ სატანას!—
...ამ სიტყვაზე ხილის ტოპრაკს
ვადმოდინდა ცრემლი ცხარე,
ღმერთს შესთხოვდა: „ამისრულე,
რაც კი გულში გავიტარე“.
— მოი, დაო, შენებრ მეცა
ვარ ამ დროსგან დანალონი.
ალბათ შენ სამოციქულო
კი გექნება გასაგონი.
მეც შენივე შემხვდა ბერი,
გალარიბდა მამა მღვდელი
ჩემებრ სხვები ბევრი მყიდა,
რომ გაეძლო მით მუცელი!“.
და ამ წუთში ამ ტოპრაკმაც
გადმოყარა ცრემლი ცხარე.
მაგრამ მუშა, ფიქრ მორგმული
მიდიოდა კვლავ მდუმარე.
რა იცოდა, ილლიაში
ცრემლს თუ ღვრიდა „სახარება“
და სამოციქულოს ნაგლეჯს
ტლანქად ხელს თუ აკარებდა.
სახლისაკენ გაჩქარებულს
აწუხებდა დენა ოფლის.
თორემ მისთვის ეს წუწუნი
ამაობა იყო სოფლის.

**ბახბო.**

## ძალაუნებურად

გურჯაანში ბინის კრიზისის გამო მოსამსახურე თანამშრომლები დაწესებულებაშივე ცხოვრობენ.



— საწყლები! როგორი მუყაითი ყოფილან! ალბად ღამითაც მუშაობენ და სახლში წასვლას ვერ ასწრებენ!
— მუყაითი კი არა, ბინა არა აქვთ და აქვე იძინებენ!

## „ჟაკტში“

— ამხანაგო, ვინ არის აქ ან გამგე, ამ კომენდატი, ან საერთოდ „ჟაკტის“ სახლების ბატონ-პატრონი?—შეეკითხა მიხა საქმის მწარმოებელ ქალს, რომელიც გართული იყო სატუალეტო საქმიანობით.

— ვი კაო ხატიტე?—შეეკითხა მას დაგვიანებით წითელ-ტუჩება მანდილოსანი.

— მე მინდა ისეთი კაცი, ვისთანაც შეიძლება მოლაპარაკება საქმეზე.

— კომენდატი აქ არ არის. გამგეობის წევრები იშვიათად მოდიან აქ. მე მითხარით რაც გინდათ, გადავცემ მათ და პასუხისათვის ერთი კვირის შემდეგ შემოიარეთ.

— არა, თქვენ ვერ გენდობით!

— ჩტო ზა ნევეჟესტვო! რატომ ვერ მენდობით?

— თუ შეიძლება ზრდილობიანათ ილაპარაკეთ, ამხანაგო, ვერ გენდობით იმიტომ, რომ ამ ერთი თვის წინათ აქ თქვენ ადგილზე სხვა იჯდა, ისიც ასე დამპირდა, მაგრამ როგორც ხედავთ, ჯერ პასუხი არ მიმიღია.

— თქვენი ნებაა, შეინახეთ საიდუმლოთ. ვპროჩემ კომენდანტიც აგერ მოვიდა და იმას მოელაპარაკეთ.

— რა აყალ-მაყალია! რაშია, ამხანაგო, საქმე? —იკითხა მრისხანეთ კომენდანტმა.—სთქვით რა გნებავთ, არა მცალია; ნახევარ საათში კრება მაქვს, დღეს კიდევ ბინის ქირა მაქვს ასაკრები. შემდეგ მოხსენებაზე უნდა წავიდე, იქიდან....

— ვიცი, ვიცი, რომ ძალიან ბევრს მიდი-მოდიხარ ეს „ჟაკტ“-ის ხალხი, მაგრამ აკეთებთ რამეს?—შეეკითხა მას მიხა.

— მაშ შენ უვლი ამ სახლებს?

— რაში გამოიხატება ეს მოვლა? იმაში, რომ: მობრძანდეთ, ბინის ქირა აკრიფოთ და ამ თქვენ გაბერილ შტატებს აულაპოთ?

— თქვენ, ამხანაგო, გეტყობათ საჩხუბრათ მოსულხართ, მე კი ამისთვის არა მცალია. თუ საქმე გაქვთ მითხარით.

— დიახ, საქმე მაქვს. სახლი თავზე მენგრევა, წვიმა ჩამოდის, აქ რამოდენიმეჯერ ვიყავი, თქვენდან არაფერი ხეირი არ გამოდის.

— ხო, ვიცი მე თვენი სახლის ამბავი, იმას რემონტი სჭირია, შეტანილია სმეტაში, როცა ოჩერედი მოუწევს ცოტათი მაინც შევაკეთებთ. თუ წელს ვერ მოვასწარით, გაისათ მაინც მოვახერხებთ, თუ გაისათაც ვერ უშველით, შემდეგ მაინც რაღაც იქნება. ეხლა კი ძალიან მეჩქარება, ნახვამდის!—ამოიღლიავა კომენდანტმა პორტფელი და გაუდგა გზას.

ძველი

## „შეჯიბრი“

(ჭიათურა)

შეჯიბრები დაიწყო, ახმაურდა ყველანი.
კორესპონდენტთ არ ყოფნის დღეში ფუთი მელანი.
ზოგიერთი ბარიშნა თავისას ვერ მოიშლის:
ვცონებ იცნობთ ყველანი ოლია კაკოიშვილს.
ის და ილო წინათა იყვენ „მოკავშირენი“.
(ტარტაროზჯან, ორივე არის კომკავშირელი),
ოლამ თავის მიჯნურსა ცოლათ აღარ გაყვა და...
სიყვარულის მაგიერ სიძულვილი დამყარდა.
ისინი აქ ცხოვრობენ, მუშათა სასახლეში,
(ვშიშობ, რომ არ გაებან „წმენდის“ მაცდურ მახეში)
კოტიკო „საპერნიკათ“ მოევლინა ილოსა,
ილოც, რა ქნას, სიბრაზით ვერც სვამს ველარც ლხინობსა.

და ერთ ღამეს, როდესაც მუშებს ტკბილად სძინავდათ,
ილო გაცოფებული დერეფანში ღრინავდა.
დაინახა კოტიკო; და ეძგერა ხახეში....
აიშალნენ დაღლილი მუშები სასახლეში.
მუშტით ცემამ გასტანა მთელი ერთი საათი.
(აქ საჭირო არ არის ზედმეტი მასლაათი)...
ცენტრი ამა შეჯიბრის ოლა არის, ოლა და....
ორი მოტრფიალე კი იატაკზე გორავდა.

შაკო.




სოფ. უდურთე რკ. გზის ბაქანთან ახლოს არის. არც ქალაქიდანაა მაინცდა მაინც დაშორებული. უდურთედან ქალაქამდე „ექსპრესი“ დადის ყოველ დღე.

არდადეგებზე ჩამოსული საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები ამ „ექსპრესის“ ცხენების ჩონჩხზე სწავლობდნენ, თურმე, ცხენის ანატომიას და გამოცდებს „ფრიად“-ზე აბარებდნენ.

რამდენიმე დღით მომიხდა უდურთეში დარჩენა.

ეს იყო გასაბჭოების პირველს ხანებში, როცა საბჭოთა ხელისუფლება, პატარა ბალღივით ფეხს იდგამდა სოფლად.

უდურთეს ბაზარს (იგივე — „სატახტო ქალაქს“) შეადგენდა ყავრით დახურული რამდენიმე ხის დუქანი, თემასკომის ოროთვალიანი სალოდავი ოდა და წმ. კვირიკეს ეკლესია.

ძალიან გამიკვირდა ამ სოფლის სახელი: „უდურთე“.

— „უდურთე“ ნიშნავს: „გაიქეცი“, „თავს უშველე“... მამა პაპიდან გაგვიგონია: „ძველად გლეხები ბატონს აუჯანყდნენ თურმე. მოურავმა შეატყობინა ბატონს და მიაძახა: — ბატონო, უდურთე, თორემ გლეხები მოგკლავს!-ო. — ამიხსნეს გლეხებმა.

ასე იყო თუ ისე, ამ უცნაურ სახელწოდებას, მართლაც, ნამდვილი რაიმე ანალოგიური ფაქტი უდევს საფუძვლად.

სოფლის დედაკაცები და ბავშები ბაქანზე მატარებელს ხვდებოდნენ და ჰყიდდნენ: ხილს, მწვანეულობას, კვერცხს, ქათამს, ყველს და სხვა. მაგრამ მატარებელი მალე იძროდა და...და ზოგი მათგანი თუ მოასწრებდა გაყიდვას.

უმეტესობა ადგილობრივ ჩარჩ-ვაჭრებს უვარდებოდა ხელში.

—:—

იყო ერთს სალოდავ დუქანში კოოპერატივი „ჩვენი ნუგეში“, მაგრამ გლეხებს ვერაფერ ნუგეშს აძლევდა.

— თუ არაფერი გაქვს, ბიძია, რა გინდა აქ რომ დაეხეტები?! ვერ წახვალ სახლში და კრუხს ფეხს. ვერ [illegible]

დაუდგამდა გახვრილ თევშებს ცალ-ცალკე და „კატუშა“ მაშინვე შეუდგებოდა „რეცხვას“. (დაჭერილ თაგვის ჰამასაც კი თავს ანებებდა!).

ხშირად გაკრეჭილი თმაც კი ჩავარდებოდა კერძში, რადგან მიკიტან სიკოს დალაქის ახლოს უნდა გაევლო, რომ მუშტრისათვის კერძი მიეტანა.

დალაქი კიკო არა მარტო დალაქობდა, — კბილის ექიმობასა და ხირურგობასაც ეწეოდა.

რა ავადმყოფიც მისულიყო მასთან, ყველას „ჰკურნავდა“ წურბლებით, რომელსაც კეფაზე მიუსევდა ავადმყოფს და სისხლს ართმევდა მანამ, სანამ ავადმყოფი არ დარწმუნდებოდა, რომ — სატკივარი გაუარა და მორჩა.

წურბლებს იოლად შოულობდა: სოფლის ბიჭები ღელეში იჭერდენ და მოჰყავდათ კიკოსთან.

უდურთეში ბევრს ნახავდით ღრანჯმოქცეულებს, ყბა - ამოგდებულებს.


სოფლიდან ქალაქამდე „ექსპრესით დადიან“.

ეს კიკოს წყალობა იყო.
[illegible]

ჰო, ეს იყო გასაბჭოების პირველ ხანებში.

ეს საკუთარი ჩემი თვალებით, უსათვალეებო თვალებით, ვნახე.

ახლახან ისევ მომიხდა სოფ. უდურთეში, უწინდელ „უდურთე“-ში, ეხლანდელ „ახალ სოფელში“ რამდენიმე დღით ყოფნა და ვნახე:

თემასკომის მაღალი ოდა
დახურულია ახალ კრამიტით.
(უწინ შიგ წვიმა ჩამოდიოდა,
როცა არ იყო კარგი ამინდი).
ზედ მიაშენეს კლუბის დარბაზი,
ამაყობს თემი ასეთ შენობით.
თავმჯდომარეზე არ მოსდის ბრაზი,
ლაპარაკობენ მასთან „შენობით“.
ავადმყოფობამ რომ ვერ დააკლოს,
აქვთ საექიმო სოფელში პუნქტი.
აფთიაქია იქ პუნქტის ახლოს,
და წამლობა აქვთ ქერივ-ობლებს მუქთი.
უნდოდათ სკოლა და განათლება,
ერთბაშად დასძახა სუყველამ „ურა“.
არ იყო მალვა და დამადლება,
მთელი სოფელი გამოეშურა.
ყველა უსდიდა სკოლის ეზოში,
მუშაობის დროს არ სწამდათ უქმე.
„გასწყვიტა ხალხი წელში, თეძოში“, —
მაგრამ დასრულდა შენობა უკვე.
კოოპერატივი მთლად იპყრობს ბაზარს,
უფრო მეტი აქვს პერსპექტივები.
ვაჭრებს აყენებს შავ დღეს შესაზარს,
მათ გასაცურად მზად აქვს ტივები.
მხოლოდ ჯიბრშია ნიკო ვაჭარი;
ვაჭრობს, თავნიდან ჟუმცალა აგებს.
(სხვისებრ არ არის იგი „ლაჩარი“,
„გამძლეობაში“ თავისთავს აქებს).
[illegible]

კოოპერატივიდან გამოსულ გაწბილებულ გლეხებს ადგილობრივი კულაკი - აზნაური გერასიმე. — დალოცოს ღმერთმა ჩვენი ნიკო, ყველაფერი აქვს. წადით, კაცო, და ნიკოსთან იყიდეთ რაც გინდათ!

მართლაც გლეხები ყველაფერს შოულობდენ უდურთეს „უნივერსალურ მაღაზია“-ში.

ეს „უნივერსალური მაღაზია“ მოთავსებული იყო ერთ დიდს, ახალ შეკეთებულს დუქნის შენობაში.

რამდენიმე განყოფილება ჰქონდა ამ „უნივერსალურ მაღაზიას“: საფართლო - საბაკალეინო, სამიკიტნო და სადალაქო - სამკურნალო.

ნიკო (საფართლო - საბაკალეინო განყოფილება) რუსეთში ნამყოფი ვაჭარი იყო. იცოდა, თუ როგორ გააქვრეს ტყავი ბოლშევიკებმა გადასახადებით... იცოდა ეს. და სწორედ ამიტომ გახსნა მისი თაოსნობით სოფ. უდურთეში ასეთი ტიპის „უნივერსალური მაღაზია“.

— თავი მოვისაწყლოთ... ხელოსანიცა გვყავს შიგ... თითქოს ლუკმა პურის ძლივს ვშოულობთ... გადასახადს ცოტას შეგვაწერენ!.. — ეუბნებოდა ნიკო კულაკ-აზნაურ გერასიმეს, რომელიც უნივერსალურ მაღაზიის“ მთავარი, მაგრამ ჩუმი, მონაწილე იყო; (ხელს უწყობდა გარედან ფულით და „აგიტაციით“.).

როცა სოფელში აბრეშუმი და თხილი შემოდიოდა (ეს არის სოფლის მთავარი შემოსავალი), „უნივერსალური მაღაზია“ სოფელს ხელს უმართავდა“ — ნისიათ და ფულის სესხს აძლევდა გლეხებს.

ხერხი სჭრიდა — მუქთად იგდებდენ ხელში სოფლის ნაწარმოებს.

— ნარმა კი მაქვს, მაგრამ „გარეშე მუშტარზე“ ვერ გავყიდი, ჩვენ ვშოულობთ საქონელს მხოლოდ ჩვენი მუშტრებისათვის, რომლებიც თავისს ნაწარმოებს ჩვენ გვაწვდიან. თქვენ კი, მგონი, კოოპერატივის წევრი ბრძანდებით და კოოპერატივი ვალდებულია ყველაფერი გიშოვოს? — ეტყოდა ნიკო იმ სოფლელს, რომელიც უნივერსალურ მაღაზიაში“ არ ჰყიდდა თავის ნაწარმოებს.

სამიკიტნოს განაგებდა სიკო.

მოსამსახურედ, თეფშების მრეცხავად უკან სამზარეულოში ჰყავდა რუხი კატა, რომელსაც კატუშას ეძახდა; (მხოლოდ რამდენიმე კბილი ერთად).

— კაცო, ეს რა მიქენი, რომ კარგი კბილიც ამომთხარე? — უსაყვედურებდა ავადმყოფი.

—შემდეგ ესეც აგტკივდებოდა და იმიტომ; წამხდარი იყო. ნუ გეშინია, საჭმელს თუ კი იშოვი, სხვა კბილებიც გვყოფა! — ეტყოდა კიკო დინჯად.

— კაცო, ეს რა გიქნია, რომ ჩემი ცოლისთვის გუშინ კბილის ამოღების დროს ცალი ყბა მოგიღრეცია?!.

— შენ კიდევ მეჩხუბები! მადლობა შესწირე ღმერთს, რომ მეორე ყბაც არ მოეღრიცა!

— რაღ მინდა ყბა-მოღრეცილი ცოლი?! ისედაც არაფერი შვილი იყო!

— შენთვის უკეთესია, ნაკლებს სჭამს. — ანუგეშებდა კიკო დაზარალებულს. — თუ არ მოგწონს, ქე გაუშვი სახლში!

მაგრამ კიკო შესანიშნავი იყო, როგორც დალაქი-„პარიკმახერი“.

მისი სამართებელი კი არ პარსავდა, ძირიანად იღებდა თმას, რომ ხორცში არ დარჩენილიყო მისი ფესვები და შემდეგში კიდევ არ ამოსულიყო.

ერთგულად პარსავდა. ხელზე დაიფურთხებდა და სველი თითებით ეძებდა მუშტრის ლოყაზე გაუპარსავ ადგილებს. აღმოჩნდებოდა თუ არა ასეთი, ლევდზე ზორბად დააფურთხებდა ხერხისებური სამართებელს „პირს უწყობდა“. საწყალ მუშტარს სიმწარისაგან ცრემლები სდიოდა თვალთაგან; დაჩეხილ სახედან სისხლი წვეთავდა. (ასე გეგონებოდათ — მახსეი-ვახსეი შეუსრულებია).

„უნივერსალურ მაღაზიას“ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ახლოხელ ეკლესიასთან და მის მღვდელ პავლესთან.

პავლე ღვდელი მორწმუნეთაგან ნატურით იღებდა გადასახადს. ფოფხდია ჩამოიარდა სოფლად და აგროვებდა სურსათს, რომელსაც შემდეგ „უნივერსალური მაღაზია“ იძენდა.

ყველაფერი ეს ქმნიდა რაღაც ისეთს მთლიან ერთეულს, რომელიც ადგილობრივად ნორჩ საბჭოთა ხელისუფლებას ხელიდან სტაცებდა მთავარი საომარი იარაღს და ფაქტიურად რიყავდა ნაპირზე.

მოაქვთ თესლები და ბარალი.
უწინ მოსავალს ზედ აჯდა ჩარჩი,
მიჰქონდა თხილი და აბრეშუმი.
ბეებს აძლევდა წინდაწინ მარტში,
რომ ეცემოდა მას ადრე სული.
ეხლა თავს ირთობს სახლში მახათით,
დიდი ხანია მოაბეს ქესტი;
წელში გასწყვიტეს გადასახადით.
სოფლად ყველაფერს ყიდულობს ტრესტი.
სოფელში ყველგან გათხარეს არხი,
სადაც კი იყო ტბა და ჭაობი.
ბაღად აქციეს ძველი სამარხი,
დახავსებული და დანაობი.
გერასიმესაც მოეკარი თვალი,
აბალახებდა ეზოში ძროხას.
წელზე ეკიდა ძველი ხანჯალი,
შემოსცვეთოდა კალთები ჩოხას.
მას ჩამოართვეს: მამული, სახლი...
შურით უცქერის გლეხების ყანებს.
დარჩა: ის ძროხა, ეზო და ძაღლი,
და ამიტომაც ასე ყაყანებს.
იმედს არ ჰკარგავს; (თუმცა იმედი,
უკვე მიხვდა, რომ არის ამაო!).
ან რა ჰქნას? რა დარჩა მეტი?
თანაც ამხნევებს პავლე მამაო.
პავლე კი დაიარონ და ფოფოდია
მთელ სოფელს სდებენ რადიო-ჭორებს:
„თურმე ჩვენები უკვე მოდიან!
მოიყვანებენ ინგლისის ჯორებს!“.
მაგრამ, ვაი, რომ ხვრელი აქვს ყურებს,
და მეორედან ისევ გამოდის.
იმათ რადიოს არავინ უყურებს,
დიდი ხანია არვინ არ მოდის.

ისელი.



# ბოდბის საავადმყოფოში



ავადმყოფი: — სადილი მომიტანეთ, თორემ შემჭამეს ვირთხებმა..., როცა სადილი მაქვს, მას ესევიან და მე მასვენებენ.

---

# შეჯიბრი

(წერილი სახლიკაცთან)

გამარჯვება, ილარიონ შენი! რა ამბავია, კაცო, რომ ჩაჯედი მაგ სოფელში და აღარც წერილს იწერები, არც მოდიხარ აქეთ!.. რაშია საქმე, რამ ჩაგიგდო მაგ ენა! ვაი, შენს პატრონს უბედურს! ამისთანა დროს ჩაჯდება კაცი სოფელში, ამისთანა დროს მიაკვდება თოხს! გაახილე მაგი დასაფსები თვალები და დეინახე რა ამბავია ქვეყანაზე! დიდი და პატარა, ქალი და კაცი, პარტიული და უპარტიო, ყველა ახლა ცოციალისტობს, ყველა ახლა ეჯიბრება ერთი-მეორეს და შენ ახლა დეიდუმე ენა! ძველი ცოციალისტი! შენ ვინ გაჯობებს შეჯიბრში, მარა რომ აღარ შორდები მაგ გვარ ამოსაფშუკავ პელაგიას! ბიჭო, ქალი სხვასაც ქე უთხოვია, მარა ხალხი და ცოციალისტობა კი არ დავიწყნია. ტიფლისი-ქიათურას ეჯიბრება, ქიათურა-მოსკოვს, მოსკოვი- ტიფლისს და რა ვიცი კიდო... გეიფხიკე მაგე ყურები და გეიგე რავალი ხალხი ეჯიბრება ერთი-მეორეს და შენ კი დამჯდარხარ მაქანა და პელაგიას ეჯიბრები! პელაგიას შეჯიბრება რა ხელს მოგცემს შე უბედურო, შენა, როდის იყო, რომ კაცმა ქალს აჯობა!!. რაც უნდა თავი მეიკლა, რაც უნდა იხვარხვალო, რაც უნდა გეიწელო, ქალთან შეჯიბრება ტყვილია, ძამია. თავს დეიღალავ ტყვილა, პელაგიას ვერაფერს დააკლებ და შეჯიბრებაში წაგებული გამოხვალ. ე, ბიჭო, მიატოვე მაგ სოფელი, ნუ გეშინიან, არავინ მოგტაცებს მაგ თეძო მონგრეულ პელაგიას და ჩამოდი აქანა. შენისთანა პოვარი ფრანციაში არაა და ამერიკაში. შენ რომ ფხალს გააკეთებ და ლობიოს ამოზელ ნიგვზითა და ძმრით შეკაზმულს, რომელი ფრანცუცი იქნება, რომე ჭკუა არ დაკარგოს. ე, კაცო, ილარიონ! ჩამოდი ტფილისში, გავხსნათ ერთი გვარიანი ცოციალისტური რესტორაცია და გამოუცხადოთ მუშკოოპის სასადილოებს ცოციალისტური შეჯიბრი, ვნახოთ აპა, ვინ გეიმარჯვებს. რომ შეხვალ აქანა ამ ტიფლისის სასადილოებში და სამ საათს უცდი, სანამ მოგხედავენ, რავა, ჩვენ ვერ ვიზამთ ასტე თუ?! შეჯიბრი თუა, ჯიბრი მე მკითხონ რავალი უნდა. იგენი თუ სამ საათს არ მიხედავენ მუშტარს, ჩვენ ექვს საათს ნუ მივხედავთ. ჯიბრში არაა საქმე?!. იგენი თუ ბორშს მოგიტანებენ ჩამხვრჩვალი ბუზებით, ჩვენც ავდგეთ და ტარაკანები ჩავახრჩოთ შიით, ჯიახჭველები და პეპლები. თუ ჯიბრია, ჯიბრი იყოს. ჯიბრში და ჯინაში ჩვენ ვინ გვაჯობებს! ვაი, შენ დაგეფსო თვალები! შენისთანა ჯიბრიანი ვინ იყო წინეთ! მთელი სოფელი გადამტერებული გყავდა და ყველას ჯინაში უდექი! ნიფადორე ქინქილაძის ქვრივმა რომ ლობე გადაგირღვია, რავა, შენ არ იყავი დვაინოვათ რომ გოურღვიე მერე მას! დიომიდე ძინძიბაძემ რომ ღორი მოგიკლა და შენ კი მაგიორში: ღორიც მოუკალი, ძროხაც, ცხენიც, და ქაქი თხაც ზედ მიაყოლე. რავა, არ გახსოვს შენ აგი?!. ჯიბრში, იცოცხლე, შენ ვერავინ გაჯობებს, მარა რომ ვერ გამოეტიე მაგ სოფლიდან შე უბედურო! ახლა, ჩემო ილარიონ, კაცი ის არის და ქუდიც მას ხურავს, ვინც შეჯიბრებაში გეიმარჯვებს. მთელი ქალაქები და სოფლები ჯიბრში უდგიან ერთი-მეორეს და იწვევენ ვაჟკაცურად და შენ, რავა, ახლა წახდი, შე უკულმა დაბადებულო! რა უყავი ის შენი ვაჟკაცობა? ნეუჟელი პელაგიას შეალიე ყორისფელი! რა ვიცი, მანობამდე შენ იწვევდი ყველას და ახლა რა ღმერთი გიწყრება! ქუჩაში კაცს არ გაარონიებდი, რომ შმოთი არ აგეტეხა და არ გამოგეწვია და ახლა დაგეხა ფლაგი, შე უბედურო! ქა ბიჭო, ჩვენც ხალხნი ვართ. ჩამოდი აქანა, ჩემთან, ამიბი ფხარი და ჩვენც გამოჩვდეთ საზოგადოებაში, თვარა გლახას დაგვიძახებენ და სწორეთ არ მინდა რომე მამიჩემის სახელი შევარცხვინო და გვარი მევიჯაყო. გამევიწვიოთ ვინცხა, გამოუცხადოთ ჯიბრი, დავტრიალდეთ ჩვენებურად, ჩალხივით და ჩვენი ბიჭობაც ვაჩვენოთ, თვარა სწორეთ მევიჯაყეთ ესაა და შევარცხვინეთ ჩვენი სოფელი! ბიჭო, მე მეშინოდა კამუნისტების, თვარა რალაი თითონ დეიწყეს გამოწვევა, რავა, უკან დევიხევ თუ! არ შეგჭამოს ქირმა! ვაი, ჩემო დღეო! აპა, მე გლახა ვყოფილვარ, აპა, მე სისხლი არ მქონებია! მოგიკვდეს მაშინ სილიბისტრო ტყლაპაძე... ისტე დავტრიალდე, რავარც ზოსიმე ხუცესის ჯორი!..

ვოგია.

# ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲗᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

„ტარტაროზი“-ს ეს გვერდი (მეთერთმეტე) დროგამოშვებით (მასალების დაგროვების მიხედვით) დაეთმობათ ახალგაზრდა მხატვრებს, რომლებიც თანამშრომლობენ სხვადასხვა კედლის გაზეთებში.

ნახატი შესრულებულ უნდა იქნას ტუშით (და არა უბრალო ფანქრით) სახატავ (ვატმანის) ქაღალდზე სუფთად და მხატვრულად.

სურათი უნდა შეეხებოდეს უმეტესად ადგილობრივ ცხოვრებას.

სხვა ჟურნალებიდან ამოღებულს წარწერებზე შესრულებულ ნახატს ჟურნალი არ დაბეჭდავს.

წარწერა და სწორი მისამართი მოაწერეთ ოვით ნახატზე.

სამი სურათის მოთავსების შემდეგ ყველას მიეცემა გონორარი.

თუ წარწერა მისაღებია, ხოლო ნახატი არა, რედაქცია უფლებას იტოვებს წარწერაზე ავტორის დაცვით დაახატვინოს თავის მხატვარს სურათი.

## ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲘᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲔᲡ

ნახ. ვონფასელის, ხონი.



— პარტიიდან გამომაგდეს!

— ეს კიდევ არაფერი... მე პარტიიდანაც გამომაგდეს და ბიუროკრატობისათვის სამსახურიდანაც მომხსნეს.

## ᲬᲧᲐᲚᲬᲐᲦᲔᲑᲣᲚᲜᲘ




— ხედავ: გურიაში ჯანყი ყოფილა!

## „ᲨᲮᲐᲛᲐᲓ ᲐᲮᲚᲝᲕᲡ“

ნახ. დევნილის



—ამბობენ: ჩვენს მიმღებ რადიოს ხმა არა აქვსო!

— ტყუილი იქნება; ჩემზედაც ასე ამბობდენ: „ხმა დაეკარგაო“.

## ᲡᲐᲐᲒᲐᲠᲐᲙᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ნახ. რეზოს. ტფილისი.



— წმენდის არ გეშინია?

— რას ამბობ, კაცო! მეშინია კი არა, გული ისე გამიხდა, რომ ექიმის რჩევით ხვალვე მივდივარ აგარაკზე.

## „ᲛᲐᲙᲣᲚᲐᲢᲣᲠᲐ“



— ამხანაგებო, ეს შეკითხვები ჩადაეცემა ქაღალდების შემკრებ კომისიას.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## შორაპნის რადიო როგორ შევიცხადიო?!

„შეცხადებას“ ჩვენში ეტყვიან ჭირისუფლის მიერ ახლო ნათესავის გარდაცვალების შეტყობას და მასთან შეკავშირებით მჟღავნებულ ანუ ცხადებულ პირველ გლოვას.

ახლა მკითხველი გაიოცებს: როგორ შეიძლება რადიოს „შეცხადიყბაო“?!

თუ არსებობს თქმულება: „ორი ძიძის ხელშუა აღსაზრდელი ბავში უთუოდ გამოიხრჩობაო, რატომ არ შეიძლება ითქვას და მით უფრო—იქნას, რომ ცხრა მომვლელის ხელში სრულიად დაიღუპოს ისეთი ნაზი ქმნილება, როგორიც არის რადიო.

სწორედ ასე მოუვიდა შორაპნის რადიოსაც, როგორც იქიდან გვატყობინებს ჩვენი კორესპონდენტი „ნიშადური“, აი, რას იწერება იგი სწორედ ამ მომენტის შესახებ:

„განსვენებულს ჩვენს რადიოს
მემანქანე ჰყავდა ცხრა:
ვანო, ვასო, გრიშა, მიშა,
ვანიჩკები, კოლაცა“-ო.

მემანქანეთა ყოლის პრაქტიკამ იშვიათად იცის ცხრა მემანქანის ერთად ყოლა და ისიც მამაკაცების. ცხრა მემანქანე ქალი და, თუ გნებავთ,—ცოტა მეტიც, კიდევ გვესმის, მაგრამ ცხრა მემანქანე მამაკაცი —ჩემს მტერს და მოძულეს. ამას ვერა თუ „ნაზი“ რადიო, „ელდორადოს“ ხშირი სტუმარი, ზოგი ჩვენებური გამგეც კი ვერ აიტანს. საქმე კიდევ აბსოლიუტური სიმრავლით იმდენათ არ გაჭირდებოდა, რამდენადაც ვანიჩკათა შედარებითი სიმრავლით უნდა იყვეს წამხდარი, ჩვენის აზრით. მოგეხსენებათ, რომ ისეთ დაბაში, როგორიც შორაპანია, მრავლად იქნება, არა მარტო ვანიჩკები, არამედ ვანიაებიც, ვასოებიც, გრიშებიც, მიშებიც და კოლებიც. მაშ, რაღა მარტო ოთხმა ვანიჩკამ მოიყარა თავი ერთად რადიოს ირგვლივ? ცხადია, ყველას ერთად ერთი მიზანი ჰქონდათ: სოციალისტური შეჯიბრის ჩატარება რადიოს —გადაჭარბებულ „მოვლაში“ ... არების მიხედვით. მართალია, ჩვენთვის გამოურკვეველი რჩება, თუ, სახელდობრ, რომელმა გვარმა ისახელა თავი რადიოს დამუნჯებაში, მაგრამ, სამაგიეროთ, ყველა ამ ცხრა პირის ხელებს კი ერთვავად ეკუთვნის პრემია იმ კრიმალ-ჩხირმალისათვის, რომელიც მათ, ერთმანეთის ჯიბრით, რადიოს გაუნიადავეს, არ მოუსვენეს და სიკვდილის პირზე მიჰყარეს.

სავსებით მრათალია ხალხი, როცა ამბობს:

„ყველაფერი ზომის არის:
ალაბა თუ ალაგაო;
ნამეტანი „ხიცი-ხიცი“-თ
დაფეხმძიმდა ქალაკა“-ო,

დაფეხმძიმებას არ იჩივლებდა რადიო, სულ რომ არ ჩაეწყვიტათ მისთვის ხმა.

## ხელით ვატარებთ ბუფერის ფანრებს, რაიცა რა თქმა უნდა, რკინის გზას არ ავნებს!...

ასე „მღერიან“ კონდუქტორები შორაპნიდან ჭიათურამდე და ჭიათურიდან შორაპნამდე.

სიმღერა და მხიარულება კაი საქმე არის. კონდუქტორებმა „იმღერონ“, რამდენიც უნდათ, გზაც სწორედ იმისათვის არის, რომ კაცმა ის ან სიმღერით განვლოს, ან კიდევ—ტკბილი მუსაიფით. შორაპან-ჭიათურის კონდუქტორებსაც თამამად შეუძლიათ სთქვან:

„კარგი არის ეგ სიმღერა,
რომ არ გვკლავდეს ფანრის ჭერა“!

მაგრამ ნამეტანი გულცივი უნდა იყვეს რკინის გზა, რომ მას არ ესმოდეს ამ სიმღერის ნამდვილი, მინორული ტონი. სხვა რომ არა იყვეს რა, რკინის გზის ეს შტო ხომ საჩხერეზე გაივლის, ჩვენი სულმნათი მგოსნის, აკაკი წერეთლის სამშობლო მხარეზე. ჰო და ამ უკანასკნელის პატივისცემა მაინც უნდა ჰქონდეს კაცს იმდენი, რომ მოაგონდეს იმის ცნობილ ლექსიდან ერთად ერთი ტაეპი მაინც:

„ვინ არ იცის,
რომ ეს გული მკვდარია,
რომ სიცილი
ზოგჯერ ცრემლზეც მწარეა“-ო.

და ვინც ეს სიტყვები მოიგონა, იმისთვის უკვე დიდ გასაჭირს არ წარმოადგენს სიტყვა „სიცილის“ „სიმღერით“, ხოლო „ცრემლის“ „ტირილით“ შეცვლა. მაშინ ეს ტაეპიც სწორედ ზედ გამოჭრილი იქნება შორაპან-ჭიათურის რკინის გზის კონდუქტორებზე.

## მდივანმა ღვინით საფსე ჭიქას დაადო ტორი და ჩაითრია შიგ თესვის ორგანიზატორი.

— სად მოხდა ეს ამბავი? აღელვებით გვეკითხებით თქვენ.

— დაიცადეთ, ამხანაგო, მოუსმინეთ ჩვენს კორესპონდენტს „მღელვარეს“;

„წელს გიორგობას აბაშის ა. ლ. კ. კ. უჯრედს უნდა ჩაეტარებია ანტირელიგიური კამპანია, თესვის კამპანიასთან მოხდენილად დაკავშირებული. ადგილობრივ უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად, კომკავშირელები გიორგობას უნდა მისულიყვნენ ეკლესიაში, ჩაეტარებიათ იქ ანტირელიგიური აგიტაცია-პროპაგანდა და იქვე შესდგომოდენ წინასწარ არჩეული მიწის ნაკვეთების კოლექტიურად დამუშავებას“,

სამოქმედო გეგმა, როგორც ხედავთ, ისე ეშმაკურად არის შედგენილი, რომ ტარტაროზსაც შური შეუფრინდა გულში.

მაშ, რამ გამოიწვია ამ უკანასკნელის ულვაშებში ეს გრძნეული საცილი?

სწორედ იმან, რომ ის, რაც ზოგჯერ გეგმით მშვენივრად არის წარმოდგენილი, სინამდვილეში ხშირად ისე არა სრულდება.

აქაც სწორედ ასე მოხდა.

ა. ლ. კ. კ. უჯრედის მშვენიერ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ამ უჯრედის მდივნის ხელები გადაეღობა წინ; ცალი ხელი მან თესვის კამპანიის ორგანიზატორს ჩაავლო და სახლში მიიყვანა, მეორე ხელით ღვინო დაუსხა, თვითონაც დაისხა და გადახუხ-გადაახუხვინა, ორივენი ძალზე გამოითვრენ, ხოლო საქმე რომ მოაგონდათ, ეკლესიაზე მივიდნენ უკვე როგორც მიცვალებულები...

საღვთო წერილში სწერია: „რომელმან ხელმან აცდუნოს, კიდე და მოიკვეთე“-ო.

ამ შემთხვევაში მდივნის ორივე ხელია მოსაკვეთი, მაგრამ, ვინაიდან ამას საკვეთის მთელი ორი დარტყმა სჭირია, რაც ზედმეტად დაამძიმებს სოციალისტური მშენებლობით გატაცებულს პარტიასა და კომკავშირს, ჩვენი რჩევა ასეთია: აიღონ და ბარემ ერთი დაკვრით ჩამოაშორონ ამ მუშაობას ასეთი, უკაცრავად პასუხია, მდივნები, როგორიც ზევით აღნიშნული ტიპია.

## ბავშვის დაკვირვება



— მამილო, ფული მომეცი, ჯამბაზირი აგილია!

— არა, შვილო... ვინ გითხრა?

— აკი ღვინის სუნი გდის!

## „კვიცი გვარზე ხტის“




— მამაშენი მოანგარიშე ყოფილა... ჩემი მამილო-კი გამგეა... მე აწი შენთან არ ვითამაშებ!

წმენდის დროს მამაშენს დაითხოვენ, კუმუშე საქმე ექნება... მე არ ვითამაშებ შენთან.

# ბესო

## (ამაღლების თემი გურია)

ჩვენი მხარე გასაბჭოვდა... პარტიაში შედის ბესო,
გაიფიქრა: „ჩემი დროა, რაც რომ მაკლდა, დღეს მერგოსო“.
რალაც ხერხით შეიპარა სანაპირო შრომის ნადში,
იქ პირველად მუშა იყო, თავს მეკურტნეთ რაცხდა ხალხში.
შემდეგ ცოტა აიწია გამოჩნდა კარიერა,
საპასუხო საქმე მისცეს, გზები გაიგანიერა.
მაგრამ მალე იმ ჯგუფიდან აზარგეს და გამოუშავნეს.
წამოსვლის ხანს ძმა-კაცებმა ეს ერთი რამ დააბარეს:
„ბესარიონ წადი ძმაო, აქ შენ არ გამოგვადექი
მიდი ისევ შენს სოფელში, მიწის თოხნას შეუდექი“.
რაღას იქდა.. წამოვიდა, თუმც დაკარგა ლუკმა ტკბილი.
რაც რომ სჭამა ორ წელიწადს, მადლიერი რჩება კბილი.
ჩამოვიდა ისევ თემში და პარტთემკომს მიაშურა,
აქტივობა დაიჩემა და შრომა არ დაიშურა.
ხალხის თვალში ისე სჩანდა, ვით ხალხისთვის მზრუნველი.
პარტთემკომათ აირჩიეს ყველა იყო მსურველია,
მაგრამ მალე ფერ-შეცვლილი ჩაჯდა ბესო მსუქან კანში::
სესხებით თუ სხვა საფცქვნელით გაიწია სიგრძე-განში.
წინაზე თუ ქოხი ჰქონდა და შიგ წვიმაც ჩადიოდა
ეხლა ოთხი, ხუთი თვალი მან პალატზე დასდგა ოდა.
გასულ წელში თუ სიმინდი აქ ფასობდა კერძოთ ძვირად,
ბესარიონ კოოპერატივს კარზე ადგა ერთობ ხშირად.
იქ ნოქარი ვიქტორი მას აუვსებდა ტომარს ძმურად.
როცა ხალხი წავიდოდა, გაატანდა სახლში ჩუმად.
და როდესაც ღარიბ გლეხზე ნორმა იყო ერთი ფუთი,
ბესოს სახლში ფქვილით სავსე ვაპერთელა ედგა ყუთი.
თუმცა ამას ბევრი გრძნობდა საქმე იყო გაგებული,
მაგრამ არვინ არ ამბობდა, ზავი იყო დადებული.
ეხლა ვნახოთ, ეს წმენდა თუ მას პარტბილეთს ჩამოართმევს.
ვფიქრობ, რომ ჩვენს ბესარიონს აგი ზაფრა არ მოარჩენს.

„შარიანი“

# ლიპი

— მეგობარს ილიკოს ვახლავარ სამას სამოცდაცამეტ ცხენოსანით.

— სამას სამოცდა სამი ცხენოსანით კი არა, ბიუროკრატების მთელი ბატალიონით რომ მეახლო, მაინც ვერაფერს მიშველი, ჩემო რეზიკო!

— რეიზა ბიჭო! რა მოხდა მაგისთანა? დედა ხომ არ მოგკვდომია, ან მამა?

— დედ-მამა კი არა, სუყველა ამოხოცილიყო ვინც ჩემიანია, ოღონდ ეს არ დამმართოდა.

— ფარსაგი რაცხა არაა შენს თავზე, ბიჭო! სულ ჩამომდნარხარ; დიანოზა მღვდელის ჯეხრეკ ჯორს, დამგზავსებიხარ! რო უყავი, ბიჭო, შენს ლიპი?

— ლიპს თავი ჯანდაბას, ოღონდ მე თითონ არ გადავვარდე ჯანდაბაში.

— კი, მარა შენ ხომ დიდი პოსტი გექირა, ბიჭო! გამგე კაცი იყავი. ფულების ზღვაში ბანაობდი.

— მიტომაც მადგია შვილოსან კაი დღე, რომ ფულის ზღვაში ვბანაოდი. ამისთანა ბანაობას თურმე ხრანიჩესკი სურდო ცოდნია!

— ვერაფერი გამიგია ჩემს ცოლს ვფიცავარ!

— ქურში ხომ არ ზიხარ, ყმაწვილო! რავა ვერ გაგიგია ვერაფერი? არ იცი, რომ გოსაპარატის ჩისტკა მიდის?

— მერე სიმშილობა აქ რა შუაშია, კაცო!?

— აი გამოგატკინა შენმა გამჩენმა ღმერთმა! იმ შუაშია, ბიჭო, რომ ჩისტკას გაჩისტული უნდა შეხვდე უსათუოდ.

— ე, ბიჭო გამაგებინე კარგად; რაცხა კაი რაღაც გამოგიგონია მგონი!

— აბა დამიგდე ყური და გეტყვი!

— დაგიგდებ კი არა, მთლათ ხელში მოგცემ ამ ყურს თუ გინდა!

— შენ იცი თუ არა, რომ ყოველი ჩვენგანი ვინტია გოსაპარატის. ჩვენი სხეულიც აპარატია, ჩემო ძმაო! ისიც მუშაობს, ჭამს, სვამს, დროს ატარებს და ამ აპარატის ცენტრია კუჭი. ჩისტკა ყოველთვის უნდა დაიწყოს ცენტრიდან და მეც კუჭიდან დავიწყე ჩემი თავის ჩისტკა. მინდა, გაჩისტული წარვსდგე გოსაპარატის ჩისტკის წინ! როცა დაინახავენ, რომ ასეთი მჭლე და გამხდარი ვარ, ფიქრადაც არავის მოუვა, რომ მე ძველი გამფლანგველი ვარ. თანაც ადვილად გავძვრებ-გამოვძვრები ყველგან. საწყალ კაცად ჩამთვლიან და ქე დამტოვებენ ჩემს ადგილზე.

— ვაიმე, ჩემო თაჭო დალუპულო! აბა მე რა მეშველება ბიჭო, რომ ეს ლიპი ისეთ გოდორივით მადგია ცხვირთან? რეიზა არ მითხარი ბიჭო, თუ მაგისთანა ხერხი იცოდი? მეც ვისიმშილებდი? ეხლა რო დავიწყო სიმშილობა, ვაი თუ ლიპის დავარდნამდის მიწიოს ჩისტკამ, ყორთხა.

## სამტრედია



— ახალი ამბავი გაიგე?: ფოსტის გამგეს თავისი ნაცნობი და ნათესავები მოუწყვია სამსახურში!

— ეს ახალი ამბავი კი არა,—ძველი და ჩვეულებრივი ამბავია!

(წიფნარელი).

# ტფილისი--ნავთლუღი

ჯერ კიდევ აზრადაც არავის ჰქონდა სოციალისტური შეჯიბრება, რომ სადგ. ტფილისი და ნავთლუღი ნამდვილ ხელ-ჩართულ ბრძოლას აწარმოებდენ ერთმანეთთან, ყოჩებივით ეჩხუბობდენ და ეჯიბრებოდენ ერთმანეთს—მატარებლების მიღება—გაშვების საქმეში.

შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ კი ეს ბრძოლა ერთი ათად გაცხოველდა, მიუხედავად იმისა, რომ ნავთლუღის ბალავჯარამ გაიწვია შეჯიბრებაში, ნავთლუღმა—განჯა, ხოლო ტფილისმა —სხვა სადგურები.

უკეთესია მოუსმინოთ სადგურ ტფილის-ნავთლუღის მორიგეებს და დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად ხელსაყრელ ობიექტიურ-ტეხნიკურ პირობებში აწარმოებენ ეს სადგურები შეჯიბრებას.

— ცენტრალური, ცენტრალური! შემიერთე მე-40 ნომერი!... ა? ტფილისი ხარ? კოლია! აბა შენ იცი, ახლა თუ შეშველი რამეს, თორემ დამელუპება დღევანდელი მუშაობის გეგმა; გუშინ და გუშინწინ გამზადებული მატარებლები გამოუგზავნელი დამრჩება. სახელხო მატარებლის შენთან მოსვლისთანავე უეჭველად უნდა მიიღო გადაცემა, მე კი ახლავე დავტრიალდები ჯარასავით, გავამზადებ ორთქლმავლებსა და კონდუქტორთა გუნდს იქ, რომ ხელის აქნევის მეტი არაფერი დასჭირდეს.

— კოტე! გადამცემი ორთქლმავალი და კონდუქტორთა გუნდი რომ აქ მყავს, რითი გამოგზავნი გადაცემას?

— შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს. 10-15 წუთში ჩემთან მოვა ველიდან მშრალი ტვირთიანი მატარებელი, რომლის შემადგენლობა მთლიანად დარჩება აქ, ხოლო ორთქლმავალს და კონდუქტორთა გუნდს რამენაირად დავითანხმებ და გამოვატან გადაცემას, რომელიც უკვე მიღებული აქვს მებარგე კონდუქტორს.

— დიდი ოხერი ვინმე ხარ, მაგრამ არც მე გახლავარ ნაკლები! მოვიდეს სახალხო და მერე ვილაპარაკოთ...

— შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, კოლია! მე კი დავტრიალდები...

— იტრიალე, იტრიალე ბზრიალასავით, თუ კი მაგითი გაკეთდება რამე...

* * *

— ცენტრალური, ცენტრალური! შემიერთეთ მე-40-ე ნომერი!... კოლია ხარ? ა? რას შვრები, კაცო? დანა მაინც არა გაქვს ჯიბეში, დანა?! მომეცი გზა გადაცემისათვის!

— ვერა, ვერა, ჩემო კოტე! არც ერთი ლიანდაგი თავისუფალი არა მაქვს. სადგური გაიჭედა მატარებლებით, რომ თაგვი კუდსაც ვერ საღ მოიქნევს... შენი გადმოცემის მიღება არ შემიძლია.

— რას ამბობ, რას? დიდი ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ, როგორც ჩქნა, დავითანხმე ორთქლმავლისა და კონდუქტორთა გუნდი, გავამზადე ყველაფერი, შეჩერებული მაქვს სამანევრო მუშაობაც. ე ბიჭო რამენაირად მიიღე, წყალში ნუ ჩამიყრი ამდენ შრომას.

— კაცო, რა ახირებული ადამიანი ხარ! ერთმანეთზე ხომ არ უნდა შევაჯინო მატარებლები? არა მაქვს თავისუფალი ლიანდაგი და ვერ მივიღე, გესმის?

—მესმის, მარა ისე დაგენგვრა სახლ კარი, როგორც შენ ჩემი გეგმა დაანგრიე. აბა, ორთქლმავალს მაინც ნუ გამიჩერებ, მომეცი გზა!

— ორთქლმავალს მივიღებ, გამოუშვი!

* * *

— ცენტრალური, ცენტრალური! შემაერთე ნავთლუღის მორიგესთან. რომელი ხარ? კოტე, რატომ არ ღებულობ ჩემ გადაცემას, რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, რომ მისაღები ადგილი არა მაქვს. თუ შენ არ მიიღებ—არც მე მივიღებ. ხელმა ხელი დაბანა და ორივემ პირიო, ხომ გაგიგონია. იმიტომ ერთი კვირის კრავივით, აბა რას იზამ, ვერ დაგინახავ?!

— კოტე, რა დროს ხუმრობაა, კაცო! დანა კბილს არ მიხსნის, მიიღე როგორმე, შენ გენაცვალე, თორემ დავიღუპე კაცი, ველარც შენგან მივიღებ საგეზო მატარებლებს და ვეღარც დიდუბიდან..

— არც მე გახლავარ, ძმაო, ხუმრობის გუნებაზე.

— თუ აგრეა, ეხლავე შევატყობინებ განყოფილებას.

* * *

— წკრრრრრ... წკრრრრ...

ნავთლუღი გისმენთ. სადგურის მორიგე. რას გვიბრძანებთ? ა? რატომ არ ვღებულობ? რატომ და იმიტომ, რომ თავისუფალი ლიანდაგები არა მაქვს. ოთხი გადაცემა მზადაა, არც ერთი არ მიიღო ტფილისმა. მესამე ლიანდაგზე ორი საათია, რაც სდგას და ტფილისში წასვლას ელოდება. რაო? მინდა თუ არა უნდა მივიღო?! რას ბოდავ, კაცო! აი, მის ოჯახს წაეკიდა ცეცხლი, ვინცხამ შენ განყოფილების დისპეტჩერათ დაგაყენა... მივიღო რომელია? ერთმანეთზე შევაჯინო, თუ? მიიღოს იმან და მეც მივიღებ!

—:—

— ცენტრალური! შემიერთეთ ნავთლუღი! კოტე ხარ? რა გითხრა, ბიჭო, საშამ? მიიღ...

— რა უნდა მითხრას, როცა ჩემი სადგურის მდგომარეობას სრულებით არ ითვალისწინებს. ყველა ჩიხი და მთავარი ლიანდაგი დაკავებულია. ოთხი გადაცემა გამზადებულია; შენ კი დღეს ერთიც არ მიიღე. თუ შეჯიბრებაზეა საქმე—ვეჯიბროთ ერთმანეთს. ვერ მიიღებ—ვერ მიიღებ, მორჩა და გათავდა. ვნახოთ რა შედეგს მოუტანს ჩვენი შეჯიბრება ტრანსპორტს!!!!

**დურმიშხანი.**

## საექსტრენო გამოცდები



მასწავ.: — აბა, მითხარით—რა არის პასკალის კანონი?

— პასკა... პასკა... პასკას აღარ აცხობენ, მასწავლებელო... ეს წერილი მარომ გამოგიგზავნათ ჩემს შესახებ, ბატონო!

— ჰოო... კარგი, კარგი... კმარა წ ვით. (უწერს კარგ ნიშანს).

# ფოსტა

**კომკავშირელს.** მარტო დროშესაფერი ფსევდონიმის მოწერა დაწერილს ვერასოდეს ვერ შესძენს ღირსებას. საჭიროა შესაფერი შინაარსიც.

თქვენი ლექსი კი სწორედ ამ მხრით არის უნუგეშო მდგომარეობაში, მიუხედავათ იმისა, რომ გვპირდებით „ხვედრი ჰონორარის რედაქციის საჭიროებისათვის დატოვებას“. ეს სულგრძელობა მეტის მეტია, მაგრამ ჟურნალში ვერ ჩაეტია...

მადლობის გრძნობა კი არა,— თქვენი ლექსი!

**გამორჩენილს.** თქვენს ფსევდონიმს, რომ დავხედეთ, ვიფიქრეთ: იქნება ლექსშია რამე გამორჩენილ-გამოტოვებული-თქვა, კარგათ ჩავათვალიერეთ, მაგრამ იქ ზედმეტი თქმა უფრო შევნიშნეთ, ვიდრე გამოტოვებული და გამორჩენილი. აბა, სიტყვა „გამორჩენა“ (სარგებლის მიღება, „წვენის გამოდენა“) თუ უდევს საფუძვლათ ფსევდონიმს—თქვა, გავიფიქრეთ, მაგრამ ჩვენ, ტარტაროზს და „უხილავს“, აბა ვინ რას გამოგვრჩება?!... მხოლოთ მეორე ფურცელზე რომ ვნახეთ მინაწერი:

**„დასაბეჭდია საჩქარო,**
**თქმა რათ უნდა ვაჩქარო“-ო**

აი, მაშინ მივხვდით მხოლოთ, რომ ფსევდონიმი ენის ყბებიდან გამორჩენილობაზე უნდა იყვეს დაფუძნებული. ასეთი ხელოვნური დაგრძელება ენას, როგორც ვიცით, დიდათ ავნებს. ყოველ შემთხვევაში ვეცდებით თქვენს ლექსში, ამის გამო, შეპარული ნაკლი ჩვენ ხელოვნურადვე გამოკლოთ და ლექსი ისე მოვაცილოთ.

**ტარიელას.** გადავათვალიერეთ ...ნდის შესახებ გამოცემული სახელმძღვანელო ინსტრუქციები და იქ „კულაკის“ წმენდის შესახებ არაფერი არ სწერია. „კულაკი“ თავისთავად გაწმენდილია ყოველივე საბჭოებიდან, არა თუ პარტიის რიგებიდან. მაშასადამე, შეიძლება ლაპარაკი რომელიმე კონკრეტულ მაგალითზე, სადმე შემთხვევით „გამძვრალ“ „კულაკზე“, და არა საზოგადოთ, როგორც თქვენ სწერთ.

**სავილ გოგიას,** თქვენი „ნაგამგარის დილინი“ ერთობ კარგი ნაწარმოებია, რადგან მართლაც გადმოგვცემს ზოგ მომენტებს ნაგამგარი ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან. მაგალითად, ეს ადგილი:

**„გამგე ვიყავ,**
**მყავდა ავტომობილი,**
**დიდკაცები**
**იყო ჩემი ძმობილი!“**

და რაღა გასაკვირია, თუ ასეთი ნაგამგარის ცოლიც სრულიად სამართლიანად მოითხოვს მისგან კოვერკოტს, ხოლო ნაგამგარიც ამდენადვე ბუნებრივად უჩვენებს მას თავის ჯიბეს, კოტრს.

მიუხედავათ ბევრი ასეთი ღირსებისა, ლექსი მაინც ვერ წავა.

**ტევრელს.** თქვენ თქვენს ლექსს: „პატარა ნაგლეჯი“-ს ასე იწყებთ:

**„გაზაფხულდა, მინდორ-ველზე**
**მოეფინა ია-ვარდი“-ო**

თქვენ მამა-ცხონებულო, უკვე ზაფხული შედის თავის ძალაში კელოგის პაქტით და თქვენ ახლა იძახით: „გაზაფხულდა“-ო,

მაგრამ გასაკვირი არ იქნება, თუ ლექსს ბოლომდი ჩაიკითხავთ, რადგან, სწორი ხაზისა და გეზის გატარების მაგივრად, მაქციერა ჩიტის კისერივით იგრიხებით და ისიც უბრალო საკითხის შესახებ. ვინც პალტოს ჰყიდის, ალბათ, თავის საქმე მას უკეთ გაეგება, რასაც შვრება. თქვენ კი ეს საკითხი ქვეყნის სიმძიმედ გეჩვენებათ, მარტის თვესავით იცვლებით და გგონიათ, რომ ახლა გაზაფხულდა!

**წეროს.** საოცარია თქვენი ფსევდონიმი. ბუნებაში თქვენს სეხნიას, როგორც იცით, გრძელი ფეხები და კისერი ახასიათებს. თქვენ კიდევ— გრძელ-გრძელი ლექსების წერა. გადავათვალიერეთ მთელი თქვენი რვეული და ისეთი ვერაფერი აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი „გათლილი შამფური“ ხელშივე არ შეგვრჩენოდა ამაო იმედით რაიმე ზედ წამოსაგების აღმოჩენაზე.

რვეული ინახება სარედაქციო გოდრის ჰსკერში.

**ნაგარეველს.** წავიკითხეთ თქვენი „სიზმრის ახსნა“, ახსნილი აჰ თუ აუხსნელი შიგ ვერაფერი აღმოვაჩინეთ, რამდენიც არ ვეცადეთ, და გამოვიტანეთ ასეთი დასკვნა, რომ ამ თქვენს ნაწერში უნდა იყვეს მხოლოთ სიზმრის ერთი მხარე, სახელდობრ: ის ბოდვა, ანუ ბორგვა რომელიც თან სდევს ხოლმე ზოგ სიზმარს. სჩანს კიდევ, რომ თქვენი სიზმარი ერთობ ხანგრძლივი ყოფილა, რაც სავსებით გამომდინარეობს ამ თქვენი ნაწარმოების სიგრძისაგან თავისი სათაურის შეფარდებით.

**გო-ძე-ს.** თქვენ ასე იწყებთ:

**„ჰოი ტარტაროზ, ტარტაროზ,**
**ტარტაროზ შენი ჭირიმე,**
**ამ საქმის გახსენებაზე**
**დღე და ღამ სულ ვსტირი მე“-ო.**

ამავე დროს იმხელა პიროვნებას ამხელა რევოლვერით ქალის დახვედრაში, როგორიც არის უჯრედის მდივანი.

ასეთ გმირს ჩვენს დროში მეტი რამ მოეთხოვება, ვიდრე ტირილი.

**გუზ-გუზს.** ბოლომდე ჩავიკითხეთ თქვენი „წერილი იმას“. ვითომ სასიყვარულო ბარათია, მაგრამ ნამდვილად იმდენად სერიოზული ტონით არის დაწერილი, რომ საბუთიანი ეჭვი აღგვეძრა: ასეთ სერიოზულ წერილს თქვენ მიერ აღნიშნული ჯგუფის მოწაფე, განა, დასწერდა, სხვის დაუხმარებლად-თქვა? ეს დახმარებაც, შესაძლოა, თქვენ გაუწიეთ მას, მაგრამ რა შუაშია ტარტაროზი? მოწაფე—ნიკას ის ვერც ზაგსში წაჰყვება, „მოწმედ“ და ვერც მის მიერ დამთავრებას დაუცდის იმ იმედით, რომ ის ამ დროისათვის მაინც შესძლებს ქკუის მოკრეფას.

**სურამელს.** ჩვენთვის სურამი თუ სამტრედია, ასეთი განსხვავება არ არსებობს. არჩევანს დასაბეჭდი მასალა სწყვეტს და არა ჩვენი ან თქვენი კარგი თუ ავი სურვილი.

# სინამდვილე

პოლონეთის ფაშისტური მთავრობის ანტისაბჭოთა პროვოკაციული გამოსვლის გამო მთელს საქართველოში გაიმართა მშრომელთა მრისხანე დემონსტრაციები.




პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.

ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე

ფასი 10 კაპ.

კვირა, 23 ივნისი 1929 წ. № 26 (210)

# ბიუროკრატის გასაჭირი




გამოიგონეს ეს რაღაც მსუბუქი კავალერია,
ეს მუშგლეხინიც მე მწიწკნის, შიკრიკიც ჩემი მტერია.

# პატიოსანი გვამი

სახელმწიფო აპარატის წმენდის გამოცხადების შემდეგ ექვთიმე ჯერ ცუდ გუნებაზე დადგა და მერე თანდათან ავად გახდა.

— როცა გამწმენდი კომისია მივიდა დაწესებულებაში, ექვთიმე სახლში იწვა და ორმოცდაერთ გრადუსიან სიცხისაგან ბოდავდა::

— რას მერჩით თქვენ მართლა ულმერთოებო!? გეცლიათ ოცი-ოცდაათი წელიწადი და მაინც მოვკვდებოდი; მუდამ ხომ ვერ ვიცხოვრებდი? ა? რაო? ჰოო...ვიცი, ვიცი.... ჩვენს დაწესებულებაში არც-ერთ თანამშრომელს არ ვუყვარვარ, ყველას ვეჯავრები იმიტომ, რომ მეც მეჯავრება ისინი... მათი დათხოვნა მინდოდა და მათ ადგილზე ჩემიანების მიღება... ეს იმიტომ, რომ შენიანები არაფერში მოგატყუილებს... სირცხვილს არ გაჭმევს... ჰო-და, ჩემი თანამშრომლები ჩემზე კარგს არაფერს იტყვიან... მე ხომ კაი კაცი ვარ, ამას დაადასტურებენ იმ დაწესებულების თანამშრომლები ჩემზე კარგს არაფერს იტყვიან... მე რომ ლამდე... ჰკითხეთ მათ, ბატონო კომისია... ისინი მე ყველა პატივს მცემს... რაო? ისინი ჩემი მოყვრები არიან და ჩემი მოწყობილი და ამიტომ იტყვიან ჩემზე კარგს? სწორედ ამისათვის მოგხსნეს მაშინ? ხა-ხა-ხა-ხა... ეს მეც ვიცი... მაგრამ.., საზოგადოდ:::: ეგერ რომ კაცი მოდის, შეხედეთ! თავი ზურგს ქვევით აქვს გამომბული... ხელებით დადის და ფეხებით სჭამს.... დაიმტვრა, დაიმტვრა ჭრელი კატა.... ხა-ხა-ხა... ვაი..: ვაი!:::

ტილოს გამოუცვლიდენ თავზე და ავათმყოფი ცოტათი მშვიდდებოდა

ჰო-და, როცა ექვთიმე ასეთ ბოდვაში იყო, დაწესებულებაში რევიზია მიდიოდა.

— თქვენ რას იტყვით თქვენი გამგის, ექვთიმეს შესახებ?—შეეკითხა ბოლოს რევიზიის წევრი ალექსის (ექვთიმეს თანაშემწე).

— ორჯერ მეტს იმისა, რასაც ჩვენი თანამშრომელი მოგახსენებდენ!—ოფიციალურად უპასუხა ალექსიმ და თანაც ფიქრობდა: „ეგებ გადაურჩეს ექვთიმე ამ წმენდას და გაიგოს ვინ რა სთქვა მასზე. მე საყვედურს ვერ მეტყვის, რადგან მე, თითქოს, მეგონა, რომ თანამშრომლები კარგს იტყოდენ მასზე და ეს „კარგი“ მე ორჯერ გავადიდე, მაშასადამე, მე ცუდი არაფერი მითქვამს... თანამშრომლები კარგს არაფერს იტყოდენ ექვთიმეზე... მიაბრძანებენ... და, ვინაიდან გამგე აღარ გვეყოლება, ეგებ მე დამნიშნონ ექვთიმეს ადგილზე.

— კმარა! გამოაცხადა კომისიის თავმჯდომარემ.

ოქმში ასე ჩასწერეს:

**„... განყოფილების გამგე ექვთიმე ბაჯბაჯაძე მოხსნილ იქნას თანამდებობიდან, როგორც გაუსწორებელი ბიუროკრატი და არასაიმედო პიროვნება. ეცნობოს პროკურორს დაუყოვნებლივ დააპატიმროს იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც აღმოჩნდა რევიზიის დროს“.**

როცა მდივანმა უკანასკნელ სიტყვას წერტილი დაუსვა, ცნობა მოვიდა: „**ექვთიმე გარდაიცვალა**“.

თითქმის ყველას გაუხარდა, მაგრამ ზოგიერთებმა („დიპლომატებმა“) გარეგნულად კიდეც მოიწყინეს. მხოლოდ რამდენიმე მეტიჩარა თანამშრომელი (მემანქანე და მისი ამფსონი) აკუნტრუშდნენ და აცეკვდენ.

ამ სამწუხარო ამბის გამო მუშაობა შეწყდა.

ყველა დაღონდა.

ექვთიმეს კაბინეტის ღია კარებთან საპატიო ყარაული (დარაჯი და შიკრიკი) დააყენეს. თანამშრომლები შორიდან იჭყიტებოდენ ცარიელ კაბინეტში. ყველას შიში იპყრობდა, თითქმის ექვთიმე, უხილავი ექვთიმე, ექვთიმეს სული დაფრინავდა მათ თავზე. ბუზსაც კი არ იგერიებდენ —ვინ იცის ეგებ ექვთიმეს სულიაო. (გაგონილი ჰქონდათ ინდოელების რწმენა: „**ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ სხვა არსებაში გადადის**“).

შესდგა დამკრძალავი კომისია ალექსის თავმჯდომარეობით.

მეორე დღეს გაზეთების უკანასკნელ გვერდზე სამგლოვიარო განცხადებები იყო მოთავსებული:

...ტრესტის განყოფილება აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ენერგიული, გულშემატკივარი და სამაგალითო მუშაკი

**ექვთიმე ბაჯბაჯაძე**

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

**გულდამწვარი და თავზარდაცემული თანამშრომლები ვაუწყებთ საზოგადოებას და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი და საყვარელი**

**ექვთიმე ბაჯბაჯაძე**

**რომლის დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.**

დასაფლავების დღეს გაზეთებში ექვთიმეზე მოთავსებული იყო ნეკროლოგი სურათით.

მოასვენებენ!..

სამგლოვიარო პროცესია გაუპირდაპირდა იმ შენობას, სადაც აივანზე ყვავილებში, წითელსა და შავი აბრეშუმის არშიებში გამოკიდული იყო ექვთიმეს გადიდებული სურათი.

აქ მსახურობდა ექვთიმე.

პროცესია შეჩერდა.

დაწესებულების სახელით ადგილკომის წარმომადგენელმა სიტყვით მიმართა ექვთიმეს:

— ამხანაგო ექვთიმე! გხედავ, რომ მიცვალებული ხარ და წევხარ კუბოში. ეს ჩვენთვის აქსიომაა და ანბანური ჭეშმარიტება. გხედავ, მაგრამ არ მჯერა და არც მინდა დავიჯერო, რომ შენ მართლაც მკვდარი ხარ. არა, სიკვდილი ჩვენ ვერ შეგვაშინებს. ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ; ასეა ადამ და ევადან მოყოლებული... ჩვენ არ დაგტირით შენ, რადგან შენ ჩვენს გულში ცოცხლობ და იქნები მუდამ. ჩვენ გვატირებს დღეს მხოლოდ ის გარემოება, რომ დღეს, როცა საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, რომელიც შენ ეგზომ დიდად გიყვარდა, აწარმოებს ასეთ გიგანტიურ აღმშენებლობას ახალი ცხოვრების, ახალი სახელმწიფოს შესაქმნელად,—აი, ასეთ დროს, ჩემო ძვირფასო ექვთიმე, გამოგვაკლდი რიგებიდან... როგორც არას დროს, ეხლა გვჭირდება შენი ჭკუა, ცოდნა, გამოცდილება, ერთგულება, თავდადება და სიყვარული მთავრობისადმი. ძნელია, ძნელი, ბატონო ექვთიმე, როცა ახალგაზრდა სახელმწიფოს შენისთანა განცდილი და ერთგული მუშაკი აკლდება... მაგრამ ფიცს ვსდებთ შენს კუბოსთან, რომ საბჭოთა პროლეტარიატი დააქცევს ქვეყნად სოციალიზმის სამოთხეს და მაშინ, ჩვენო ექვთიმე, ზეციურ სამოთხედან, სადაც შენ ეხლა მიემგზავრები, ჩვენს მიწიერ სამოთხეში გადმოხვალ საცხოვრებლად. მაშინ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და დანარჩენს მაშინ გეტყვი... იცოცხლე, ჩვენო ძვირფასო ექვთიმე, და მარადიული იყოს შენი ხსოვნა მსოფლიო პროლეტარიატის გულში!—დაასრულა სიტყვა და ცრემლიანი თვალები ცხვირსახოცით ამოიწმინდა.

— საწყალ ექვთიმეს თუ ესმის ეხლა ეს სიტყვები, ალბად იგინება: „თქვე მამაძაღლებო, ასეთი კაი კაცი თუ გეგონეთ, რაღას მიხეთქავდით გულს?!—გადაუჩურჩულა საქმეთა მმართველმა ალექსის.

— ხომ გაგიგონია: „მკვდარზე ან კარგს იტყვიან, ან არაფერს“!-ო... მკვდარი ყოველთვის პატიოსანია და მართალი!.

გაისმა სამგლოვიარო მარში და დაიძრა პროცესია.

ისელი.

# მოგონება



— დედი, რამ დაგაღონა? აკი შენ წინედ ძალიან გი უყვარდა სამხედრო ვარჯიშობა?!
— სწორედ იმიტომ დავღონდი, შვილო, რომ გამახსენდა ძველი დრო, როცა მამაშენი ასე ავარჯიშებდა ჯარს. ეხლა კი მოსაზვევში ირისს ჰყიდის.

## „შეთანხმება“

იმის შემდეგ, რაც პარტიის წმენდა გამოცხადდა, საქმეთა-მმართველს მოსვენება დაეკარგა.

— რა ვქნა,—ფიქრობდა ის,—გამოვამჟღავნო პარტიულ წმენდაზე ჩვენი ვამგის ოინები, ვაი თუ აპარატის გაწმენდის დროს მე კიდე უარესი დღე დამაყენოს! დავდუმდე და არაფერი ვსთქვა, ვაი თუ მაინც არ დამინდოს და ტყვილა უბრალოდ ჩამიაროს მოხათრებამ? ოხ, რა კარგი იყო, რომ ჯერ აპარატის წმენდა ყოფილიყო და მერე—პარტიის!

დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ მან გადასწყვიტა წინასწარ მოელაპარაკებოდა გამგეს.

— სად მაქვს, მოლაპარაკების დრო, ხომ ხედავ რამდენი საქმეები მაქვს! ხელმოსაწერი ქაღალდები თუ გაქვს, დამიტოვე და მოვაწერ.

— არა, პირადი საქმე მაქვს.

— აბა, სთქვი, ამხანაგო, მალე!

— როგორც ჩემი, ისე თქვენი ინტერესები მოითხოვს გამოვნახოთ საერთო ენა, მოვახდინოთ წინასწარ შეთანხმება, რომ ბოლოს არც თქვენ ჩნანოთ და არც მე.

— კაცო, არაფერი არ მესმის, რომელ შეთანხმებაზე ლაპარაკობთ, მითხარი რაშია საქმე?

—საქმე იმაშია, რომ... შეიძლება ეს კაბინეტი თვალითაც ველარ იხილოთ.

— თქვენ ცდებით ამხანაგო, როგორ მიბედავთ თქვენ ასეთი კილოთი ლაპარაკს! რო არ არის; ამით საქმეს არაფერი.

— დამშვიდდით ალელვება საჭიეშველება, უკეთესია შევთანხმდეთ.

— სთქვი კაცო, რაში უნდა მდგომარეობდეს ეს შეთანხმება!

— იმაში, რომ მე ყველაფერი შენი ვიცი, მაგალითად შენი კომბინაციები ტრესტის დირექტორთან. ისიც ვიცი, თუ როგორ ცხოვრებას ეწევი და სხვა.

— შენ ეს ყველაფერი საიდან იცი?—

—დაიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა გამგემ.

— საიდანაც ვიცი, ეს სულ ერთია, თავი და თავი ის არის, რომ...

— მემუქრები არა?!

— არა, მუქარა რა შუაშია? უკეთესია შევთანხმდეთ. შენ პარტიული ხარ, მე უპარტიო, ხომ გაგიგონია ქართული ანდაზა; „ხელი ხელს ბანს და ორივე პირსაო“ თუ მომცემ სიტყვას, რომ აპარატის წმენდის დროს შენ მე დამიცავ, მაშინ მე კრინტსაც არ დავსძრავ. თუ არა,—მაშინ ყველაფერს მოვუხსნი თავს და უამბობ შენს შესახებ პარტიის მწმენდავ კომისიას.

— ამხანაგო; ამდენი ხანია ერთად ვმსახურობთ და შეთანხმება არ გაგვიჭირდება. აპარატის წმენდის დროს ისე დაგიცავ, როგორც ჩემს საკუთარ თავს. მიუხედავათ იმისა, რომ შენს წინაამდეგ მთელი დაწესებულება ამხედრებულია.

ძველი.

## ექიმბაში

ავადმყოფნი მოგროვდენ
ალათიას ეზოში.
ზოგსა ჰქონდა წელკავი
და ზოგს ქარი თეძოში.
შეაზავა ალათიმ
საგანგებო წამალი:
მდოგვ—წიწაკას შეურიოთ
„სპანქცის ბუზი“ მამალი.
სადოსტაქრო ოთახში
და დაუწყო გრძელ დანას
ქვაზე ლესვა-ხახუნი.
ავადმყოფმა წინასწარ
მისცა ხუთი მანეთი.
ფიქრობს: ალბად მომარჩენს
კაცი მცოდნე ასეთი.
აგერ ბავშვიც მოგვარეს,
აკრული აქვს თვალები
თავზე წუნბელს ასვამს,
მას ლოცავენ ქალები.
აგერ მოდის ვილაცა,
ანთება აქვს წელების;
აგურ-წყალი გალესა
წამალია ხველების.
მზად აქვს მუდამ ალათის
„სელის ზეთი, ჯულაბი“
ყველას ასმევს ამაყად
ექიმბაში გულადი.
ამბობს: ჩემი წამალი
მკვდარს, აცოცხლებს ხშირადაც!
მაგრამ მაინც არ ვყიდი
მე მას ასე ძვირადა.
ეგებ მკვდარი გაცოცხლდეს,
ნუ დამარხავთ ჩქარადა;
ორ კვირასა ინახეთ.
უტიროლად და წუნარად.

[illegible]

# ტელეფონთან

**(აცანა, გურია)**

ტრ... ტრ...რ..რ..აცანა::: აცანაა? გამარჯობა, აქვსენტი! როგორ ხარ, კაცო? რა ამბავია აცანაში ახალი? რაო? ემელაი მოხსნესო! კარგი ხანია მოსახსნელი იყო და გვიან მოუხსნიათ... რა ბრალდება დაუყენეს, ნეტა? ააა? რაო? ხმამაღლა თქვი, არ ისმის კარგად... ტაკიძის და შიშინის ქალის მოხსნა და მათ ადგილზე მისი ძმაი—ქილაიე და ცოლის ძმაი—სერგიე დაუნიშნავსო! ეს არ უქნია კარგი... ახალ ქარხანაში „ძველი რევოლიუციონერი“ ბიძამისი დანიშნა მალაქიე ჩხაიძე? რათ უნდოდა იმას საშაანური, კულაკია, კაცო? მარა არაფერია... ბეგლარაი ხომაა კარგად. ნუ გეშინია არ მოაკლდეს მისგან მფარველობის ხელი...

ნაგომარი?!? ნაგომარი?.. შაცალე, ჩემი დაიე, ცოტა...

აცანა!... აცანა!.. აქვაენტი, სად დაიკარგე კაცო, რაიო? ბეგლარამ ორსართულიანი ოდა აშენა და 200 მანეთიანი მაგიდა შეიძინაო!.. ხეტაი, სად ჰქონდა ამდენი ფულები... თვეში 65 მანეთს ღებულობს... არ იცი? აბა რა გეცოდინება შენ—სად ჰქონდა ამდენი ფული, თუ კომბინაციებს არ აკეთებს საკრ. ამხანაგობაში? შენ ხომ არ გეტყოდა ამას? კომუნისტი კაცი და ასე უცბად გამდიდრება, რაღაც არაა ლამაზი, მარა რას იზამ კაცი.

აქვსენტი, თუ ძმა ხარ, ესეც მითხარი: ქარხნის ადგილკომის თავმჯდომარეთ ვინ აირჩიეს, ემელაის მაგივრად? ზაქარიე ჩხაიძეო! ეს ვერ უქნიან კარგი, რაც მართალია, მართალია... ეგი საბჭოთა არჩევნებზე გააშავეს და ეხლა ადგილკომის თავმჯდომარეთ აირჩიეს? ეგი ვერაა რაღაც ლამაზი... კაცი ხომ არ დალევიან, მარა რა გაეწყობა.

— რაო? რას ამბობს ხალხი? ახალ ქარხანაში უთავბოლოდ იხარჯება ფულებიო? მეურმე დღეში 15—20 მანეთს აკეთებსო. ეს იმიტომაა, რომ საშუშაო არაა, ალბად დახარისხებული და არც ხელფასის ნიხრია სწორად შემუშავებული... ააა? ტეხნიკ ორპოვია გადაიკიდა ხალხიო? რატომ ასეთებს არ ატანს თვალყურს, რომ სხვის საქმეს ეპოტინება? ემელიმ რომ ამის წინად ბირჟიდან გამოწვეული კავშირის წევრები მოხსნა სამუშაოდან, იმის ადგილზე ვინ მიიღო ნეტაი? რაო? არტელი დაარაესო! მერმეთ ვინ ხელმძღვანელობს იმას, კაცო? ალიმენტი მეავანაძე? აი, კონტრაბენდისტი რომაა? ვერ დავიჯერებ მაგას და თუ მაგრეა, მაქ მაგარი რკინის ცოცხი ყოფილა საჭირო.

— აცანა!.. ბაბვი!.. ჩოხატაური!.. მაცალე, ჯერ ლაპარაკი არ გამითავებია და გამომთიშე? თუ ქალი ხარ, მაცალე ცოტა...

# ბიუროკრატი ჩასუქებული



— როგორ ეტელენის გაზით ნაა დრევათ მომწიფებულ ქილსავით ჩასუქებულა ეს ჩვენი პეტრე!

— ეტელინის გაზისა რა მოგახსენო და „წმენდის“ გაზს რომ ვერ გადაურჩება ამ ზაფხულში, ეს კი დანამდვილებით ვიცი.

— ალანა, სად ჯანდაბაში დამეკარგე, კაცო... ჰო, დამაყურე, კაცო არ გესმის? რატომ არ გესმის, კაცო? გლეხკომის სასადილოში ქეიფია და იმიტომ არ გესმის? რა დროს ქეიფია ამ ორშაბათს!.. სამიკიტნო ხომ არ არის, რომ ყოველდღე ჩხუბი და აყროზაურია მაქ?! სხვას არაფერს არ აკეთებს გლეხკომი?.. ეს მეც კი ვიცი, რომ არაფერს არ აკეთებს.

სხვა, შემნახველ სალაროს საქმე როგორ მიდის შენთან?.. თემკომის მდივანმა არ დაგვეხმარა კამპანიის ჩატარებაში?.. მაგან რა უნდა დაგეხმაროს, როცა სამი თვეა კომკავშირის კრება არ მოუწვევია. ააა! რაიო?.. ჩხუბია და ჩემი ლაპარაკი არ გესმის? ვინ ჩხუბობს, კაცო? დამთვრალი ხალხიო!... მიდიხარ გასაშველებლად? კარგია, წადი, ძმაო, თორემ თავი რომ გატყდეს, ნუ გეშინია ჩვენ საექიმო პუნქტში ექიმი არ იყოს... სამი თვეა რაც მივლინებაში წავიდა და დღესაც არა ჩანს მისი არაფერი.

ჰო, აქვსენტი, ერთი მითხარი და შემდეგ წადი. თუ იცი, რატომ დაინგრა 7 წლედის შენობა?.. ნეტა ვიცოდე, რა უყვეს შარშან რომ სასწავლებლის რემონტიზა ფული აკრიფეს სოფელში? გაიმასქნესო!... ააა! აცანა..... აცანა..

ნაგომარი... ნაგომარი... რა ამბავია, რომ არ მაცლი ლაპარაკს? მართალია, აცანის ამბები ასე უცბად არ გათავდებოდა, მარა ცოტა კიდევ გეცლია, შე ოჯახ-აშენებულო.... რაო? თავისუფალ დროზეო? მაშ, კარგი, დანარჩენი შემდეგში იყოს.

ტალო,

# „გულმავიწყი"



— როცა დავითვრები, მაშინ ყველაფერი მომაგონდება.
— წამოდი, დაგათრობ, — ეგებ ჩემი ვალი გაგახსენდეს და გადამიხადო!

## „მგელი და კრავი" (კრილოვიდან)

ერთ ეზოში ცხოვრობდა
სპეცი თავის ცოლითა.
ცოლი ეზოს იკლებდა
ჩხუბითა და ბრძოლითა.
ბინა ჰქონდა იმათს ქვეშ
მეეზოვე მუშასა.
გრძელი ცოცხით ხვეტავდ
ეზოსა და ქუჩასა.
ქალმა უთხრა ზემოდან:
— „თავს ნუ მაყრი მტვერსაო,
თორემ მოვალ მაქა და
აგაქილავ წვერსაო.
ვერა მხედავ, შე ბრიყვო,
პატიოსან ქალსაო,
რომ არ იცავ კანონებს
და არც სამართალსაო?!
ხელში ცოცხი გიჭირავს,
ხვეტავ უწმინდურსაო;
ამიმტვერე ოთახი,
არ იბერტყავ ყურსაო!"
— „ქალბატონო, რას ბრძანებ!
ვერ მოაღწევს მანდ მტვერი.
ქუჩა არის მორწყული,
უსამართლოდ მიბღვერი!".
— „გახსოვს: გადმომაფურთხე,
თავს დამასხი წყალია;
პირიდანაც ასაქმე,
როცა მოდი მთვრალია?".
— „ეს რომ არ მოხდებოდა,
ამაში თქვენც ერკვევით:
ღვინოს წვეთსაც არა ვსვამ,
თქვენ ზევით ხართ, მე—ქვევით!?
— „მაშ მე ვსტყუი? დაჩუმდი,
შენ გრძელი გაქვს ენაო,
შარშანდელიც კი მახსოვს
ენვან ბევრი წყენაო!".
— „ჯერ ხუთი თვეც არ არის
ბინა რაც აქ ვნახეო!"
— „მაშ შენი ძმა ყოფილა,
მთლად მიგიგავს სახეო!".
— „ძმა არა მყავს, ბატონო,
ტყვილად მდებ ბრალსაო!"
— „მაშ მეგვარე ყოფილა,
გადაგიხდი ვალსაო..
თუ გინდ ესეც არ იყოს,
ხმა გაკმიდე ჩქარაო.
რომ მსურს შენი გაგდება,
ჩემთვის ესეც კმარაო.
შენი ბინა - სარდაფი
მინდა შეშის საწყობად;
შიგ ქურასაც გავმართავ
ტკბილეულის საცხობად!"
უთხრა და სამართალში
უჩივლა საწყალ მუშას:
„ლოთობს"... ყვილაფერს მისვრის
მიმტვრევს კარებს და შუშას!!.
სახამართლო დაჯდა და...
მომჩივანი გამტყუნდა.
კუდამოძუებული
ქალი სახლში დაბრუნდა..
დღეს ნურავინ იფიქრებს:
„კაცი არ მყავს ბადალი"...
პატარა კაცს „დიდ-კაცთან"
ეხლა გასდის მართალი. **ზმუკი.**

## ტარტაროზს ცნობად

ტარტაროზო, შენს შხანკოლას
მოევლინა რისხვა ცისა:
წავხთი, რომ არ დავიჯერე
დარიგება დიაცისა:
— ნუ ჩხრეკაო გაზეთებში,
შენ რას აწყენ მიხაკოსო,
კაცი არის კომუჯრედი
და ორმოცი ბაბა ყავსო.
ვსთქვი: გლეხკორი კაცი ვართ -
ქვა,
ხელს მომიწყობს მთელი ძალი,
რა ვარ, მიხომ, თუ ვხედავ, რომ
კოლექტივი გამოსცვალა.
ხელში კეტი, თავში რეტი,
უგეგმობა, უვიცობა, —
მაგრამ მიხომ მის ძმა-ბიჭებს
წამოხტა და მისცა ცნობა.
აქეთ მორბის აგრონომი,
კუდში მოსდევს ტეხნიკოსი,
მიწას ზომვეხ ერთს სამ-ოთხად,
გაჰყვირიან „ბეწარს მოსწი".
აქეთ მორბის ალმასკომი,
მოუშვლეპავს თავზე ქუდი.
ვადვირიე კაცი: ყველას
რომ აუწვათ ასე კუდი.
მათ იმსჯელეს, მათ დასწერეს,
გამოვიდნენ ყველა მტრედი,
რევიზორებს, ტფილისელებს,
მათ აუხსნეს „სუდი-ტუდი"..
მღერის ანდრო აგრონომთან,
სოფლის ტუზიც ბანს უჩივა;
და ეს ყველაის ხელი ერთად
მიხაკაის სახის მუროს ჰბანს...
გლეხკორებსა მუშტს გვიღერენ,
აუმაღლეს ეხლა ტონი,
ტარტაროზო, ცოცხლას მოვითხოვთ,
თუ გლეხკორებს გვყავს პატრონი..
შხანკოლა.

## გ ო მ ი

(ქუთ. მაზრა)

გომის თემის პედაგოგთა
არა ეთხელ ვნახე კრება,
ეფიცებით: მისი ნახვა,
გულს მიკლავს და მეჯავრება.
რადგან იგი მომაგონებს
ტრადიციულ ქორწილს, ტირილს,
სადაც ხშირად ადგილი აქვს
ურ-ზაურს, და თან ყვირილს.
წასულ კრებებს შედარებით
ამ დაბოლოს „სჯობდა მგონი",
რომელსაც ხელმძღვანელობდა
პედაგოგი იულონი.
მალე ისიც წარმომიდგა,
ვით თამადა ქორწილისა:
გაუქირდა დაწყნარება
პედაგოგთა ორი წილისა.
მათ კრებიდან საეჭვოა
წამოიღოთ მთელი თავი,
რადგან უყვართ: ხმარებაში
რომ გაუშვან მუშტი, მკლავი.
შურდულ.

# ბრაზიანი მდივანი

(ტფ. სისხ. სამ. სამძებრო განყოფილება)



თუ მივა ვინმე მასთან
და იქნა ის ცუდგულზე,
გინებას ფერად-ფერადს
გოდრით აჰკიდებს ზურგზე.

ერთხელ მეც ვნახე იგი
გაჯავრებული მწყრალი:
თანამშრომლების რიცხვში
სტიროდა ოთხი ქალი,

ჰაჰკრავს მუშტს მაგიდაზე,
(ჰგავს იერიქონის საყვირს).
ტარტაროზ, მხოლოდ შენ თუ
ამოსდებ პირში ალვირს.

მ—ლი.

# კბილებ გაკრულ-გამოკრული რამე-რუმე

## 1. მოძრავი არარაობა თუ უძრავი კერპები

— ამბობენ, თქვენ, მწერლობაში ვითომც რეაქციონერი იყვეთ.

— ვითომ რატომო?

— იმიტომ, რომ თავის ნაწერებში ხანდახან ღმერთს ახსენებთ ხოლმე.

— მერე და რა არის აქ ასეთი მომაკვდინებელი?

— როგორ? ახლანდელ ანტირელიგიურ მოძრაობის ხანაში ღმერთის ხსენება ზიანს არ მოუტანს აღნიშნულ აქციას?

— თუ კი ქრისტიანობისათვის თავის დროზე ზიანი ვერ მოუტანია ძველი ღმერთ - კერპების, მაგალითად: ეგვიპტის ოზირისის, რას და სხვათა ხსენებას, მაშ უღმერთოთა მოძრაობას ღმერთის იშვიათმა ხსენებამ რა უნდა დააკლოს.

— მაკვირვებს ტარტაროზის ასეთი მსჯელობა!

ღვთის ხშირი ხსენება ხომ ღვთის შიშს აძლიერებს ხალხში. ამ შემთხვევაში ამ შიშისაგან ვერ თქვენ იქნებით დაზღვეული.

— ნუ სწუხდებით. მე თუ ღმერთს ვახსენებ, უკვე ასე აღარ ვახსენებ, რომ ის ვინმეში კიდევ შიშს ან რიდს იწვევდეს, რაც შეეხება თვითონ მე, ღვთის შიში და რიდი უკვე იმ თავითვე აღარ მქონია. მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ღვთის შიშის ნაცვლად, ვინმე უბეირო მოლაპარაკის ან მჯღაბნელის შიში ჩავიგდო გულში და, რასაც ის იტყვის ან დასწერს, იმის მეტი ატარა ვიწამო რა. ჩემთვის ყოველი კერპი, გინდ—ძველი, გინდ—ახალი, ყველა კერპია. საშიშია არა მათი ხსენება, არა მათი არარაობის მოძრაობა, არამედ მათი უძრავი სიმკვიდრე და ნაძალადევი არსებობა.

## 2. „დედაბერო, თუ არაფერი შეგიძლია, საყადული მაინც დააყენეო". (გურული ანდაზა)

— ელიშუს ვახლავართ, ელიშუს!..

— სიახლე და დღეგრძელობა ნუ მოგეშალოს, ჩემო ასალო!

— რასა იქ, როგორ გიკითხო, ელიშუ ჩემო?!

— რაღა რასა ვიქ, ჩემო ასალო, ბიჭი ჩამოვიყვანე აგერ სოფლიდან, მაგრამ რომ არაფერში გამოდგა?!.

— როგორ, ბოშო, აღარ მეტყვი?!.

— რავა არ გეტყვი, ასალო ჩემო, რავა არ შეგებრალო ჩემ თავს შენისთანა გამოცდილ კაცს, ეგება მიშველო რამე მაინც.

— ჰო, რაშია საქმე?

— რაშია, ბატონო ჩემო და, ჯერ, რაცხა ტეხნიკუმაო, იმაში ატეხდა თავს, მაგრამ თავიც მთელი გამოჰყვა და ძველი უვიცობაც. მერე იყო და, რაცხა „მუშფაკიო", იქინე შევიდა. მაგრამ შკაფში რა უნდა იქნას, შიგ თუ არაფერს შედებ. ისე ჩემი ბიჭის თავში არაფერი არ შევიდა. მერე უნივერსიაო თუ რაცხა იქ ცოდვილობდა ერთ შვიდ წელიწადს, მაგრამ ვერსი კი არა დღეობით და თვეობით გადასასვლელები რომ ქე გადაიარო ერთი ასეთ კაცს არაფერი გშველის. ვერც ეს მოგეხმარება. ახლა მითხრეს, რომა ხმა აქვს კარგიო. მივიყვანე რაცხა კონსერვატორიაო, კონსერვატორია მე, ინგლისს აქეთ თუ იყო არც ის მეგონა, მაგრამ აგერაც ქე აღმოჩნდა ქალაქში. ჰო და მივიყვანე შენ ხარ ჩემი ბატონი და, გაშინჯეს.—ხმა ქე ქონია კარგი, მარა სმენა არ აქვსო მითხრეს. მეც ქე ვიცი, რომ ჩემი შვილი ვირის ჯლოყინს ვერ არჩევს კატის კნავილისაგან. ამაზე რაღა იგინის „ტრასტი" მინდოდა მე. ჰო და ქე მიმყავს ახლა ისევ სოფელში ასე გულდაწყვეტილი ისიც და მეც.

— მოიცა, მოიცა, ელიშუ ჩემო, თუ ასე კია შენი შვილის საქმე, რომ კონსერვატორიისთვის აღარ გამოდგა. აგერ სამუსიკო განყოფილების გამგეთ მაინც დააყენე ან და ოპერის დირექტორათ წამოაყენე. ამას არც დიდი შრომა და ტანჯი უნდა, რადგან ამისთანა ხალხს სწორედ—იქ უძებენ, ჩემო ელიშუ!..

ალიბუხარი




ბათომის მატარებელზე, რომელიც დაახლოებით წვიდს საათზე გადის ტფილისიდან, ბოლო ვაგონს ქესტის აპრაზე „ტფილისი-ოზურგეთი“ აწერია.

მეც ამ ვაგონში მოვდავსდი, რადგან ოზურგეთში მიემგზავრებოდი.

ვაგონში შესვლის დროს ბილეთები უნდა წარუდგინოთ კონდუქტორს, რომელიც ქერუბიმივით სდგას ასავალთან, თორემ „ოზურგეთის სამოთხეში“ (ასე უწოდა იმ დღეს ერთმა მგზავრმა) არ შეგაპაჭანებენ.

— კი ვყოფილვართ ბიჭები რო უნდა იმისანა: საკუთარი ვაგონი გვქონებია გურულებს!—ლაპარაკობდა ვიღაც.

— მე შენ გეტყვი და არ ვართ ღირსი თუ?— გამოელაპარაკა მეორე.

—რო არ ვიყოთ, აპა ისე ვინ მოგვცემს რამეს!— დაუდასტურა მეორემ.

მატარებელი დაიძრა.

გამცილებლები დაემშვიდობენ მგზავრებს.

რამდენიმე სადგურის გავლის შემდეგ, ვაგონში თითქმის ყველას სძინავდა.

მე შუა თაროზე ვიწექი.

თვალი დახუჭული მქონდა, მაგრამ არ მეძინა. (მატარებელში მაინდამაინც არ ვიცი ძილი).

ჩემს ქვეშ ლაპარაკი ისმოდა.

—... დასწყევლოს ღმერთმა ახლანდელი ყაზილარები და ჩონი სიყვარულობიე. ქალს მესამე ქმარი მიუტოვებია და ჩემს შვილს ჩამოჰკიდებია კისერში—შენ მიყვარხარ და შენ გენაცვალოს ჩემ ქმარ-შვილიო. სად არის ახლა ერთი დამხრჩვალი კატა, რომ ჩამოჰკიდო კისერში და მის სუნში დაახრჩო.

ჰო-და, ჩამოვედით მე და ჩემი ცოლი კელასი—(მე მალაქო მქვია, ბატონო) ისე, რომ შვილიზა აფერი მოგვიწერია მოვდივართ-ქვა.

ჩავედით ქალაქში, მარა გზა არ ვიცით.

ვდგავართ მე და ჩემი კელასი და ვუცდით: ეგებ ვინმე ნაცნობი შეგვხდეს-თქვა.

ამ დროს ქე არ გევიგონე:

— მალაქო... მალაქო!—იძახის ვინცხა.

— ე კაცო, ვინცხა ნაცნობი გიძახის—მითხრა კელასიმ.

მეძახის! „მალაქო“... „მალაქო“, მარა ვერიკაცს ვხედავ. იქით ვეცი, აქეთ ვეცი, მივიკითხე, მოვიკითხე, მარა არ შეგვჭამოს ბალავერას გომბაქმა.

— გომბაქი რა არის კაცო!—ჰკითხა თანამოსაუბრემ.

— გომბაქი, ბატონო, დიდი შურა-ძაღლია ჩვენში...

ჰო-და დავადექით შუა გზას და წავედით.

— მალაქო... მალაქო!—მომესმა კიდევ.

დავედევნეთ ხმას. კიდევ გვესმის... კიდევ.

— ვინცხა დიდი მამაძაღლია, რომ ეშმაკივით შენს სახელს იძახის და არა სჩანს. დალახვროს ღმერთმა!—სთქვა ცოლმა და პირჯვარი დეიწერა.

— ან შასეა, ანდა, ხომ გაგიგონია: კინტოებია ქალაქში და მოტყუილება იციანო.

ამ ლაპარაკში რომ ვართ მე და ჩემი ცოლი კელასი, ქე არ ჰყვირის ვინცხა:

— კელასი... კელასი!

—უი, უი, ნამდვილად ეშმაკია, თვარა ჩემი სახელი საიდან გაიგო? მალაქო, ნუ მივსდევთ მათ ძახილს, თორემ სადცხა ტყეში წაგვიყვანს და, დევღუპებით!—შეეშინა კელასის.

— მალაქო.... კელასი..., მალაქო... კელასი!— გვესმის ყოლგან ძახილი.

— ალბად ვინცხა ქრისტიანმა გეიგონა, ჩვენ შვილს ვეძებთ და მთელ ქალაქს უძახის, რო ჩვენმა შვილმაც გეიგოს ჩვენი ჩამოსვლა!—გამოვსთქვი ჩემი აზრი.

— დასურ, დასურ მასე იქნება იცი?!—დამეთანხმა ცოლი.

ამ „მალაქო-კელასის“ ძახილში, მართლაც ქე არ შეგვხდა ჩემი შვილი კოზაიე.

— ვინ იყო ის დალოცვილი, რო ჩვენი სახელი მთელს ქალაქს მოსდო, ქვეყანა შეაწუხა და შენ შეგატყობია? — ვკითხე სახლში ბიჭს.

ამ დროს კიდევ ქი არ გევიგონე „მალაქო-კელასის“ ძახილი.

— ვნახეთ, ვნახეთ ჩვენი შვილი. მადლობელი ვართ, აწი ნუღარ ჰყვირით!—გადავძახე აკოშკიდან.

თურმე, ნუ იტყვით! „მალაქო“ რძე ყოფილა და „კელასი“—ნავთი. თურმე ეზოებშიატარებენ, ჰყვირიან და ჰყიდიან. მე კი მეგონა: ჩემსა და ჩემი ცოლის სახელებს „მალაქო-კელასის“ იძახის-მეთქი.

მარა ერთი მაინც კაი ამბავი გეიგე.

დიდი მოწონება ჰქონებია ქალაქში ჩვენებურ პარკლობიოს. გათენდება თუ არა, მთელს ქალაქში ჰყვირიან: „გურული ლობიო... გურული ლობიო“... ჩვენში აბუჩად აგდებულია ეს ლობიო, ქალაქში კი—პირდაპირ მისწრება ყოფილა.

დალოცვილია და სახელგანთქმული ჩვენი გურია ყოლიფერში... ახლა, ქეა ძილის დრო!—სთქვა და კუთხეში კედელს მიეყრდნო დასაძინებლად.

აფთარი.

# ერთგული დარაჯი
(ქორეთი—შორაპნის მაზრა)



— ილიკო, შემიშვით აღმასკომში, თავმჯდომარესთან საქმე მაქვს.

— მოითმინეთ, აფხანაკო... თავმჯდომარეს ჯერ სეკრეტნი საქმე აქვს,—არ იცი, რომ შეუყვარებულია?!

(თ—სი)

# ანაგა-ვაქირის ბაქანი

ანაგა - ვაქირის ბაქნებზე მატარებელს ისე ცოტა ხანს აჩერებენ, რომ მგზავრები მატარებელში შესვლას ვერ ასწრებენ და რჩებიან.






— კაცო, ბასა! სადლა მიხვალ, შე კაი კაცო? საცაა მატარებელი მოვა!

— სულერთია, ასვლას მაინც ვერავინ მოასწრებს; წამო, შემოჯექ ვირზე, ნუ იგვიანებ!

# მოხსენება ქუთაისიდან

## (ორჯონიკიძის ქუჩაზე მცხოვრებთა მოთქმა)

„ჩემო თავო ბედი არ გიწერია"-ს ხმაზე

ჩვენო ქუჩა, ბედი არ გიწერია:
ჩვენ დაგტირით ორმოც წელზე მეტია,
ვერ გიშველა ვერც „უპრავამ", ვერც „დუმამ",
თბოენის წერამ თავს დაგვასხა რეტია.
წინად შერქვა „ძველი ლაგირის" ქუჩა,
და შემდეგ კი—„რაფიელის" სახელი,
არასოდეს არ გღირსა მოკირწყვლა,
ვერ მოასწარ დაგეამნა მნახველი.
როცა დადგა საბჭოთ-ხელისუფლება,
გახდი „ქუჩა სერგო ორჯონიკიძის",
გაგვეხარდა და მოგვეცა იმედი,
აწი მაინც შენი გამოკეთების.
დავსვით კითხვა ორჯერ-სამჯერ საბჭოში,
დაიწერა, ამის გამო ოქმები;
შევაწუხეთ „ნოე" და „კაპიტონი"
მოაელინეს ინჟენერ-ტეხნიკები.
გაგიზომეს მეტრით სიგრძე-სიგანე,
ჩაიწერეს ანგარიში დავთარში;
სიხარულით გული ჩვენი აივსო,
ვიძახოდით: „აღარ გვიშავს ზამთარში".
მაგრამ გადის შემდეგ სამი წელია,
დავავიწყდით კომუნ-განყოფილებას.
ჩვენო ქუჩა, ბედი არ გიწერია,
შენ არ გწყალობს გრიშა გიუიძყრელია.
რას დაგვეძებს ტეხნიკი ტურზილაძე,
მახვილაძე, ან თუ გინდ გვანცელაძე,
ან რა უთხრათ ზედამხედველს ფხაკაძეს,
რომელსაც რომ გზების ზომა გადაავლეს.
საბჭომ თუმცა ჩაგნიშნა ბიუჯეტში,
მაგრამ ფული შენთვის ვერ გაიმეტა
და ამიტომ შენზე „დადგენილება"
უდროვადოთ უჯრაში ჩაიკეტა.
„გაბაშვილის მაღლობიდან" წვიმის დროს
მორბის ღვარი, მოაქვს ნეხვი, ტალახი,
არხი არ აქვს „ოლაკურა—რიონ"-ში",
გვივსებს ეზოს, დაგვისილა ბალახი:
„ზდანოვიჩის" ქუჩას დღეს ამაღლებენ
და იქიდან მოგვიძვირეს ღარები,
რომ მთავარ გზას, წყალტუბოსკენ მიმავალს,
აალიონ ნაგავი და ღვარები.
გზას არ გავხარ, წყალით ავსებულიხარ,
მგზავრი ხედავს მას გონიხარ არხია,
ორივე მხრით სიბინძურე ბევრი გვაქვს,
მკვდარი ძაღლი თუ კატები მარხია.
ჩვენო ქუჩავ, ბედი არ გიწერია,
ვხედავთ არის ყველა შენი მტერია,
შენს მეზობლად ქუჩებს ასუფთავებენ,
შენ კი გახრჩობს ნაღვარი, მტვერია.
ნეტავ როდის ეშველება ჩვენ ქუჩას,
ან ვიცოდეთ, ვინ დადებს წამალსა,
ვინ დაგვიხსნის სიბინძურე-ნეხვისაგან,
გადაიყვანს რიონში ნაღვარსა.
ტარტაროზო, თუ შენ არ დაგვეხმარე,
უნდა ვთხოვოთ მოსკოვშია სერგოსა,
პატივი სცეს ჩვენს ქუჩას, თავის სახელს,
რომ საზამთროდ შეკეთება ერგოსა.
განათება ჩვენს ხარჯზე გავიყვანეთ,
ეს ხელს გვიწყობს აღარ ვიტეხთ კისერსა,
ისიც კმარა, ქალაქს რომ შორს ვახლავართ,
ვუძლებთ ღამით ხულიგნებს და ქურდებსა.

**ქიტესოღლი.**

## ფოთი

მე ვარ უფროსი სახანძრო რაზმის,
ფოთის წყლოსანთა ვარსკვლავთ რგული,
და ქურჩურ ლანძღვის ტკბილ არაზმით
ყველა მეხანძრე მყავს მონათლული.

ბევრსაც ხომ კარგად ემახსოვრება,
„მიყვარს ღვინო და გინება დედის“
და რადგანაც ჩემთვის ვარდობს ცხოვრება,
მსურს ალავერდი დავლიო ბედის!

ფოთში საბჭოთა სავაჭრო ფლოტის
მე სახელმწიფო შევსანსლე ფული,—
და იმღერიან ფულები, შფოთვით,
„კლემენტის ღიპში ვართ დაკარგული“!

ხშირად მაშინებს ფულების მღერა,
ქონი მეცლება და თითქოს „ვხდები“,
და გამარჯვების თუმცა მე მჯერა,
მაგრამ ხანდისხან ღმერთს ვევედრები!..

მფარავს და ფოთი დამფარავს მუდამ,
ვეხვევი, მგონი, ვარდისფერ ქსელ'ში,
დასაბამიდან ვიმღერო უნდა,
უნდა ვამღერო ხელადაც ხელში!..

ვანო ლეონიძე.

## გაუგებრობა





— ხალხნო, სად გარბიხართ? ნუ გეშინიათ, გიჟი არა ვარ. ქურდებმა გამძარცვეს!

## ცხელი რადიო გურიიდან

თხებმა თიკნები უკვე დაზადა,
რძეშ გაავსო ქილა და ქოხი,
გვალვამ მიწები ისე გახადა,
რომ ზედ ნაპერწკლებს აყენებს თოხი.
მეჯოგემ ჯოგი გარეკა მთაში,
აქ არ დასტოვეს ერთიც „ბარანი“,
ტყემლის მოსავალს კარგი პირი აქვს,
შემოიტანეს ფხრად ტარანი....

ამ ჩვენ ალმასკომს ვენაცვალები,
ყველგან გათოკა მკითხავი ქალი.
გუშინ ტფილისში გამოაგზავნეს
ოთხი ვაგონი მაისის ბალი.
გააქვს გუგუნი ავტო-მანქანებს,
დროს ატარებენ ჩვენი ბიჭები,
ასე ამბობენ, რომ —„ატაკაზე
მალე გადავლენ იზვოშჩიკები“,

ჩნელოელი.

# ა ი, მ ი ზ ე ზ ი!

— გენაცვალე სანდრო. ძალიან უკეთესად ვგრძნობ თავს. საავადმყოფოში ყოფნის დროს ისტერია სულ ორჯერ მომივიდა. ისიც წინა ხანებში. შემდეგ აღარ უქნია. ექიმებმა მითხრეს რო აწი ალარაფერი გიჭირსო... მორჩებიო?.

— აბა, რა საკვირველია, ჩემო ნადია! შენს ნერვებს დავინახვიდე ნორ-



მალურ მდგომარეობაში, თორემ მეტი რაღა მინდა.

— კი გენაცვალე, კი... მოვრჩი... აწი ვიცხოვრებთ მშვიდათ, ტკბილად და სიყვარულით.

**

— ნადია, გეყოფა... კარგი... დაწექი ეხლა; კარგი ხანია გასული; უძილობა გაწყენს!

— არა... არ მეძინება. იცი სანდრო, ნერვების გაჯანსაღების მხრივ ძალიან ცვლილებას ვატყობ; თუმცა უძილობა ისევ მაწუხებს, მაგრამ დღეს როგორც ვატყობ, უნდა დამეძინოს. თუ დამეძინა, შემდეგ ვფიქრობ გადავეჩვევი უძილობას და სავსებით განკურნებული გეყოლები.

— პიანინოს დავუკრევ და იქნებ უფრო მალე დაგეძინოს.

— არა, შენ დაწექი და დაიძინე. მე დილისკენ თუ დამეძინა, ისიც კარგია!.

ის იყო ალმოსავლეთში ალიონმა სწვერა, რომ ნადიას ტკბილად ჩაეძინა.

— ოხ ბედნიერებავ!.. რა ტკბილად სძინავს. იძინე, ჩემო კარგო, იძინე!— ბუტბუტებდა სანდრო და მძინარე ცოლს უცქეროდა.

***

— თუთა, შაქარა თუთაა... თუთა, თეთრი თუთაააა... ტკბილი თუთაააა.., თუთა, ცივი თუთაააა..

— სანდრო მიშველე! დაიკივლა და ისტერიული ტირილით ამოესკვნა გული.

სანდრო გიჟივით წამოვარდა და ფანჯარასთან მივარდა.

— ეი, შენ, რა ამბავია რომ ყვირი?

— ექვსი შაური ხაზეინჯან გირვანქა, ექვსი შაური. თუთა კი არა, შაქარია.. ცერის ოდენაა ჩემმა მზემ, აი!

— რა გაყვირებს შე ოჯახ-დაქცეულო! მძინარე ცოლი გამიღვიძე..

— ქალბატონს გაეღვიძა ხაზეინ? მიართვი თუთა..

ვალერიანე — ჰოფმანის კაპლებმა ნადია დაამშვიდა და მას კვლავ ჩაეძინა.

— ლობიოო.. ლობიოოო... გურული ლობიოოო.., ტარხუნა, ბოლოკი, მალადოი კარტოშკა. გურული ლობიოოო, მალადოი ლობიოოო...

— მაწონი, მაწოოონი... აცე ქირო მაწოოონი..

— ბუბლიკი გარიაჩი... ბუბლიკი გარიაჩი..

იეიცი... იეიცი.. სვეჟი იეიციიი..

— მალადო წიპლიატ... მალადო წიპლიატ..

— ბალი, ალუჩა, ჩერეშნი..,

— კეროსინ ერკოოოპ... კეროსინ ერკოოოპა..

— ხაროში უუგლიიი. სვეჟი უუგლიიი!

„სასწრაფო დახმარება" ფსიქიატრიულ საავადმყოფოსაკენ მიაქროლებდა ნადიას.

ტოქსინი.





ლიხის მორიგე: — წკრ-წკრ-წკრ! ხაშური. ჰა, რომელი ხარ ტელეფონთან?

ხაშურის დარაჯი: — დარაჯი ვარ. რაშია საქმე?

ლიხ. მორიგე: — მორიგე სად ეშმაკშია?

დარაჯი: — აგერაა ბაქანზე, ვიღაც ქალს ეარშიყება.

ხაშ. მორიგე: (მოდის ტელეფონთან)—რაშია ყმაწვილო საქმე? რა გინდა?

ლიხ. მორ.: —რა მინდა და შენი გამონაცვალი ხალათი.. კვერთხი მომეცი 3001 ხიდურ მატარებლისათვის.

— ვერ მოგართმევ პატრიჯანი ჯერ შენ მიიღე 3018 და მერე მე მოგცემ კვერთხს.

— კაცო, სად მივიღო, როცა ოთხივე ლიანდაგი დაკავებული მაქვს?

— სადაც გინდა იქ მიიღე, ჩემი ხოშა ასეა.

— კაცო, რავა ხოშიო! რას მიედებ-მოედები? მატარებელს ნუ იჭერ გირჩევნია, თვარა ხომ იცი ახლა რავარი დროა? ხელად მოგხსნიან სამსახურიდან.

— მოშხსნიანო! ლიხის მორიგე კი არა ვარ. შენ ვერ გიცვნიხარ მე რა ბიჭი ვარ.

— გიცნობთ რა ბიჭიც ხარ, შენ სურამის მატარებელს, რომ აჩერებ ხუთ საათობით ნიშანსვეტთან, ახლა აქითაც ხომ არ აპირობ მის გამეორებას?

— გევიმეორო, თვარა ხახვი არ დამაჭრა კისერზე შენი მუქარით.

— შე ოჯახ დასაქცევო, მომე კვერთხი, თვარა სადაა წიფა მომთხოვს კვერთხს. სახალხო მატარებელი 65 თვეს და სად მივიღო.

— სად მიიღე და ყანებში; შენს გარშემო ცოტა ყანებია თუ? მიიღე; იქ ცოტას წეიბალახებენ ორთქლმავლები, მოშავებული იქნებიან, მადლია შენთვის.

# ფოწასწორობა

სამტრედიის აბრეშუმის საქსოვ ნადის „დგიმი“-ს გამგეს სარეწკოოპკავშირის ვალად დაედვა 1.800 მანეთი.

*ფ. მიხელაშვილი*



ფ. ჯაში:—მინამ ესენი ყოველმხრიდან თავისკენ მექიჩავებიან, ჩემი საქმე კარგად არის, ვერაფერს დამაკლებ , ძრასაც ვერ მიზამენ ადგილიდან.

# უსაქმონი

## გუბნის თემი (ქუთ. მაზრა).

ლეხი ბუჭა ქოლაძე
კადმოვარდა ფარცხიდან.
გრძნობდა მწვავე ტკივილებს
სამწუხაროდ მარცხიდან.

საექიმო პუნქტისკენ
მიდის დახმარებისთვის.
არ არჩია მკითხავი
რჩევა დარიგებისთვის
იქ ექიმის არ ყოფნამ
მოწყენილად აქცია.
მაშინ ორმა მოაწყო
ერთი კომბინაცია.

დაუძახეს: „შემოდი,
გვყავს ექიმი ახალი
და მაშინვე მოგარჩენს,
შენ ამისა წამალი“.
დააწვინეს ტიტველი,
საყვირი აქვთ სასინჯავი;
ერთს ექიმის როლი აქვს
და ასრულებს მას დინჯად
ოთხმოცი წლის მოხუცი
აქეთ-იქით აგორეს.
თუ მას ატყუილებდენ,
აბა რა მოაგონებს!
მას ქაღალდის ნაგლეჯზე
დაუწერეს რეცეპტი,
(ამ რეცეპტის რაობას
კარგა ხანი ვეძებდი):
„შენ ჩემო ბუჭა
რამ გაგაფუჭა“...

სოფლის კულტუროსნებ
რათ სჩადიან ასეთებს,
მოაშორეთ ჩვენ რიგებს,
ვინაც გლეხებს აფეთებს...

*არტაშანი.*

---

— მაშ მცინი კიდეც ხომ? აწი მე მიყურე, ისეთი დღე დაგაყენო, რომ შენივე ხორცს სჭამდე, მარა მაინც არ გიშველონ. (გაჰოუძახებს განყოფილების უფროსს და ამცნობს საქმის ვითარებას).

გან. უფრ. წკრ-წკრ-წკრ... ხაშური... ხაშური.

ხაშ. მორიგე: — გეირლვე მუცელზე, კვერთხს არ გაღირსებ, სანამ ხოშს არ მევიკლავ.

განყ. უფრ. თქვენ გელაპარაკებათ გან. უფროსი. რას ნიშნავს შენი ხოშის მოკვლა? რისთვის არ აძლევ ლიხს კვერთხს?

ხაშ. მორგ. — უკაცრავად, ბატონო, სხვა მეგონეთ... რას გვიბრძანებთ? რით გემსახუროთ?

გან. უფრ.: რათ არ აძლევ ლიხს კვერთხს? შენის დაუდევრობით ხუთ საათობით დგანან ლიხში მატარებლები.

ხაშ. მორ: — მერე ვინ ეუბნება უარს! ზიარებას გეფიცებით, ბატონო, მთელი სამი საათია ვეხვეწები ლიხს; მიიღე კვერთხი და გამოუშვი საგზო მატარებელი თქვა, მარა ასე მიძახუნა: რა მეჩქარება, იდგენ ცოტა, შეისვენონ, ალმართი აქვთ ამოვლილი.

გან. უფრ. — ვიცი რა შვილი ბრძანდები. მე უკვე დაჭერილი მყავხარ ტყუილებში. ამას გარდა შენზე და შენ ამხანაგებზე ათზე მეტი ოქმი მაქვს სურამის მატარებლის ტყუილა-უბრალოდ ხუთ საათობით ნიშანშვეტთან გაჩერებისათვის.

ხაშ. მორ.: — ეს ერთი შეცდომა მაპატიეთ, ბატონო, როგორც ძველი მოსამსახურეს და თუ მეტი ჩავიდინო, რაც გენებოსთ ის მიყავით... (გამოუძახებს ლიხის მორიგეს) დედას გიტირებ თუ ბიჭი ვყოფილვარ. რაფერ უნდა დამსმენა, მე გასწავლი.

ლიხ. მორ. — შეგიოგაწვა, ყმაწვილო? არა უშავს! ჭკუაზე მოხვალ.

ხაშ. მორ. — შეგარცხვინა ღმერთმა, არ გრცხვენიან, ბიჭო? ძველი პურ-მარილი მაინც გეიხსენე.

*ცირილე საფიჩხიშვილი.*

## ორმაგი დარდი



— შენაც გამოგაგდეს პარტიიდან?
— ამას იმდენად არ ვდარდობ, რამდენადაც იმას, რომ ორი წლის პარტ. გადასახადი დამეკარგა — უკან არ დამიბრუნეს!

## ვედრება ერმოსათვის

### ფოთი

გუშინ პლატონ გაჯავრდა,
ავარდა და დავარდა:
ვინ გაბედა ერემიას
ავად მოხსენებაო.
ჩვენს ჯგუფს იგი შველის და
კარგად ეხმარებაო.
ბანკის თავმჯდომარეა,
პიგვიძლევება წინაო,
ბევრი მოწინააღმდეგე
დასცა, გააწვინაო.
ღმერთმა მისცეს დიდი დღე
და გვიმყოფოს კარგადო,
რომ უშიშრად ადგამდეს
მიწაზე ფეხს მაგრადო.
მან უშველა სოლომონს,
საქმე გაუჩინაო,
არც არშაკა დასტოვა,
პირი დაუფჩინაო.
უთხრა: სჭამეთ, რაც გინდათ,
ნუ იქნებით ვარზეო,
პადოშები, ტყავები,
მოგაყარეთ კარზეო.
გაიმართა ქეიფი,
სმა-ჭამა და ბუქნაო.
ალექსანდრეს ხელი ჰკრა,
და მოგვერდი უქნაო.
რა ვუყოთ, რომ არ უყვარს
მისი მსგავსი მრავალი,
ჩვენი „ვიზის" გარეშე
ხელოსანი მრავალი..:
ღმერთო, ერმო გვიცოცხლე,
ერმო გაგვიხარეო;
იმის მტრებს და ორგულებს
თვალი ამოსთხარეო.

**უცნობი.**

## ქუთაისი

სამალარიო სადგურში
(წითელი ჯვრისა რომ არი,
ტარტაროზ, შემოიარე,
თან წამოიღე ტომარი.
ისეთ ტკბილ კერძსა იშოვი,
დესერტად გამოგადგება.
ჩაახრამუნე, ძმობილო
ის ყელზე არ დაგადგება.
გამგეა ვალერიანე.
და იულია ფერშალი.
(გამგესთან გამიჯნურებულს
თავი ჰგონია მარშალი).
საწყალი ავადმყოფები—
თავგანწირულნი ლოდინში,
წამლის მიღებას უცდიან
მთელი დღე-ღამე ლოდინში.

**ავადმყოფი.**

## ღორეშა, (მორაპნის მაზრა)

მოკლეთ გეტყვით: ამ სიცხეში
სოფლისაკენ ვქენი პირი,—
ტარტაროზმაც გამატანა
ჩანგალი, მწყობრ-მონაპირი.
გლეხთა კეთილდღეობისთვის
სწავლა არის გზა და ხიდი,
მაგრამ სკოლის ააგებად
აქ დავაა დიდზე დიდი.
ზედა კუთხე ქვედას არ სცნობს
ცხოვრობენ თვისკენ ითლის;
სკოლა სოჯვარეზე უნდა,—
მოუთმენლად დღეებს ითვლის.
ქვედა კუთხის მცხოვრებნი კი,
— ბოდიშ ვიხდი, უკაცრავად,—
ჩხირსაც არ გაიმეტებენ
მტრების ქინის მოსაკლავად.
დავა მაშინ გათავდება,
ჩაიმღერებს ყველა გულში,—
როცა სკოლა დაიდგმება
სოფლის მხოლოდ შუაგულში.

**კოლოლო.**

# ჯოჯოხეთის კუთხე

## საჭილაოს ექიმბაში ივანე ხოფლისთვის თვით მუწუკია მტკივანი!

ამ ივანეს, როგორც კორესპონდენტი მარან-ჭალელი გვწერს, დაჩემებული აქვს შექანებულის (ნერვებ-აშლილის, გადარეულის) მკვლელობა.

არა ვინ იცის, თუ რა ცოდნა, ან დიპლომი მოეპოვება ამ, უკაცრაულო პასუხია ეს კულაკს (ექიმს) თავისი ხელობის დამდასტურებელი. ხალხმა იცის მხოლოთ, რომ იგი არის ყოფილი აზნაური, ოდესმე თითონ ნერვებ-აშლილი გლეხებსა და სოფლის ღარიბებზე. ამ ჟამად მას, საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, ამ „ძველი სნეულების“ ნაშთიც აღარ მოეპოვება და ძველ წოდებრივ პრივილეგიებისაგან სრულიად ხელ-დაბანილი, რაღა თქმა უნდა, ნერვებიც სავსებით „დამშვიდებული“ აქვს. მაგრამ, განა, მარტო ეს საკმარისია იმისათვის, რომ ივანე ასეთ საპასუხისმგებლო საქმეში, როგორიცაა, შექანებულთა მკურნალობა, თავს სრულიად უპასუხისმგებლოდ გრძნობდეს. სოფელ საჭილაოს ევალება, პირველ ყოვლისა, „განიკურნოს“ სწორედ ასეთი მკურნალისაგან.

## სარეწაო კოოპერაციის ნადებს, კულაკი ხელს ამაოდ ადებს!

როგორც კორესპონდენტი № 72 გვწერს, ფოთში მოეწყო წვრილ ხელოსანთა ნადები თუ სხვა და სხვა სახის არტელები და ამხანაგობანი. საბჭოთა თვალთა ხედვის ისრით, ეს მოვლენა ფრიად პროგრესიულია, თუმცა პროგრესი ეს წინსვლას ნიშნავს, ხოლო ფოთის ამ მხრივ ძალიან დაუგვიანია, რაც ნაწილობრივ თითქმის ეწინაღმდეგება პროგრესს. მაგრამ რუსები იტყვიან ხოლმე: ლუჩშე პოზდნო, ჩემ ნიკოგდა“-ო, რაიცა ქართულად ნიშნავს: „უმჯობესია იყვეს თუნდაც დაგვიანებით, ვიდრე არასოდესო“. და ფოთის წვრილმრეწველ ხელოსანთა მოქმედებაც ამ დამატებით სავსებით გამართლებულია.

მაგრამ ნათქვამია მგოსნის მიერ: „ღმერთმა ერთი რამ აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმიდოს“-ო.

და აი, წვრილ-ხელოსანთა „ცხონება“; ე. ი., მათი შეკავშირება და ამხანაგობებათ შედუღება გულს შურით უდუღებს ფოთის ზოგ ბობოლა ხელოსნებს, რომლებიც წვრილ ხელოსანთა შეკავშირებაში თავიანთ მსხვილი მადის შეკვეცასა და საბოლოო ანგარიშში სრულიად ალაგმვასაც ხედავენ, რისთვისაც ყოველი საშუალებით სცდილობენ ამ ახლად დაწყებული საქმის შეფერხებას.

დიდ ბოდიშს ვიხდი მათი „სიმსხვილის“ წინაშე და, ფოთის ამ „მსხვილ“ ხელოსნებს წართლაც მსხვილი და ძნელად შესასრულებელი საქმე განუზრახავთ თავიანთ წვრილ ეგოისტური ზრახვებისათვის, ვინაიდან ხალხის მიერ მშვენივრად არის გამოთქმული:

„არასოდეს არ დალპება
წყალთა შუა ხეთა ძირი“-ო
—არასოდეს არ წახდება
წვრილმრეწველთა ეს კავშირი“-ც.

დავუმატებთ ჩვენ, თუნდაც რამდენიც არ უნდა ამღვრიონ წყალი ფოთის „მსხვილფეხა“ ამ „წვრილების“ ფესვების ირგვლივ.

ასე იცის საბჭოთა ხელისუფლებამ!..

## მკლავი-მკლავში ჯოხი—თავში!..

მკითხველი იფიქრებს: ალბათ, თვითონ ტარტაროზს შეემთხვა ეს ამბავიო. ჩვენი კორესპონდენტი შურდული კი იწერება, რომ ეს შეემთხვე გომის (ქუთაისის მაზრაშია) სკოლის მასწავლებელ ჯინჭარაძეს. კაცი რომ მასწავლებელია, ეს, რა თქმა უნდა, არაფერი, მაგრამ უბედურება იქ იწყება, სადაც თავდება ჯინჭარაძის „სილამაზე“. სილამაზე, როგორც ვიცით, ორნაირია: გარეგნული, ანუ ფიზიკური და შინაგანი, ანუ ზნეობრივი. გარეგნული სილამაზე ჯინჭარაძეს, კორესპონდენტის ცნობით, ფრიად უხვად გააჩნია, თორემ პირადათ ჩვენ, ღმერთი, რჯული—დალრანჯული, არც კი გვენახულება მოქ. ჯინჭარაძე. მაგრამ გარეგნული სილამაზე ხშირად შინაგანი სილამაზის სიმახინჯეთაც იქცევა თურმე. ჩვენ არც ამისი უტყუარი საბუთი მოგვეპოვება ხელში, მაგრამ შურდული არ ისვენებს და ჩაგვჩიჩინებს: ჯინჭარაძე ისე გაიტაცა ფიქრმა თავის-გარეგნობაზე და იმდენად გაგულზვიადდა, რომ, როცა სამასწავლებლო ოთახში შესულმა მან იქ ტურფა ქალი შეამჩნია მარტო, აიღო და მკლავი მკლავში გაუყარაო. ვინ იცის რა გრძნობით და ზრახვით გამოუყარა მკლავი მკლავში ჯინჭარაძემ ტურფა ქალს?! ვინ იცის?! მხოლოდ აქ ზრახვებთან გვაქვს საქმე... ზრახვებს კი, როგორც მოგეხსენებათ, ზოგჯერ ჯოჯოხეთისაკენ მივყევართ ხოლმე. მართალია, ტურფა ქალისთვის მაჰმადის სჯულის კოდექსით მხოლოდ სამოთხეა დაწესებული და განწესებული, ხოლო ჯოჯოხეთთან მას რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს. მაგრამ უბედურების ნახევარიც სწორედ ამაშია. როგორც საღვთო სჯულით, ისე ყურანით, ვიცით, რომ სამოთხე სავსეა სხადასხვა ხეხილითა თუ დეკორატიული მცენარეულობით. ამიტომ ტროსტი ანუ ჯოხი ტურფა ქალის ხელში სრულიად გასაკვირ მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. წახალისებულმა ყოველივე ამით, ხოლო უმეტესად ჯინჭარაძის მიერ მკლავის მკლავში გამოყრით.—ტურფა ქალმაც ასწია თავისი თავისუფალი ხელით სამოთხის ნაჭერი კვერთხი ანუ ჯოჯოხი საარშიყო ენაზე—ტროსტი და გააწნა ჯინჭარაძეს შიგ შუბლში.

საკითხავათ და ამოცანად აქ მხოლოდ ერთი-ღა რჩება ტარტაროზისათვის: რატომ მაინცა და მაინც შუბლში და არა სხვა რომელიმე ადგილას?! ზრახვა თუ რამე ცუდი ედო მას ამ დროს, არა იმდენად შუბლში, არამედ უფრო გულში.

მაგრამ ერთი გამამართლებელი მოსაზრება ტურფა ქალის სასარგებლოდაც მოიპოვება ამ შემთხვევაში: სხვის გულში არა თუ ჯოხის, ხელის ფათურიც არ არის ეთიკით დაშვებული!..



წყლის საკითხი სადგურ ხრესილში

# უკვე დაიწყო ხელისმოწერა

# ივლისისათვის

მასიურ მუშურ გაზ. **მუშა** -ზე

გაზეთი ღირს
თვეში 50 კაპ.

**ყოველკვირეულ იუმორისტულ**

ჟურნალ **ტარტაროზი** -ს

**დამატებით 70 კაპ.**

ტფილისში ხელისმოწერა მიიღება გაზ. „**მუშა**"-ს

**მთავარ კანტორაში**

ჯორჯიაშვილის ქ. № 6—ადგილობრივად

პროვინციებში გაზეთზე ხელისმოწერას აწარმოებენ:

**განყოფილებები,**

**რწმუნებულები**

**და ფოსტა.**

იზრუნეთ გაზეთის დროზე ხელისმოწერისათვის.

# ცნობათა მიღება

**გიორგი ალექსის ძე ლალუაშვილს.** თუ საშურის რაიკომისა და გორის მაზრკომის წევრი დანიელ ქანაშვილი გადაცემულია სასამართლოზე და არა დაპატიმრებული და გამსახლში მოთავსებული იმ აშკარა დანაშაულისათვის, რომლის შესახებაც თქვენ იწერებით, ცხადია, უნდა დაველოდოთ სასამართლოს განაჩენს. ბრალდების წაყენება ადვილია ადამიანისათვის, მისი კარიკატურის მოთავსება უფრო ძნელი. მაგრამ საქვეყნოთ თავის მოჭრა უსამართლოდ, ხოლო თუ ვინიცობაა, გამართლდა, შემდეგ მისივის სამართლიანად ისევ თავის მობმა კი — ყოვლად შეუძლებელი.

**უსინდისოს.** თქვენ სინდისიერად იქცევით, როცა სიმულანტ - თანამშრომლის შესახებ სახუმაროს სწერთ. მაგრამ ვერ მივხვდით, თუ რისთვის დაასათაურეთ თქვენ ეს ზოგადი ხასიათის ლექსი „ქეთოს სიმღერა“-დ, როცა ცნობილია, რომ ქალებზე უფრო მამაკაცები იჩენენ ასეთ აუათმყოფობას. მაშასადამე, თუ ...უსიც, ე. ი., სინდისიც კაი საქონელია“, მაშინ თქვენი ლექსისათვის სათაურად რომელიმე მამაკაცის სახელი უნდა აგველოთ და არა ქალის.

აგრეთვე ჩვენი სინდისიერი შეფასების შემდეგ, მივედით იმ დასკვნამდეც, რომ აი, თუნდაც ასეთი ადგილი თქვენს ლექსში:

> „ჩამგეს ყათხოვე შვებულება,
> ორი დღეი ანუ სამი,
> სარეცხი მაქვს გასარეცხი
> და მტვრიანი სტოლი-სკამი“-ო.

ურიც თუ ფორმალურედ არის მაინცა და მაინც გამართლებული.

ყოველივე ამის შემდეგ, „უსინდისობა“ ჩვენი იკითხეთ, რომ არ ვბეჭდავთ თქვენს ლექს თორემ თქვენ ჩვენთან „ჯვარი გწერიათ“!..

**ფაქტს.** თქვენს ფსევდონიმს რომ დავხედეთ უნებლიედ წამოვიძახეთ: „ახლა კი ეშველა: მოსწმინდა შუბლზე სირცხვილის ოფლი ყველა ჩვენს პროვინციელ კორესპონდენტს ამ ერთმა-თქვა“. და ჩვენი ეს წამოძახებაც ჩვენ გვეგონა მართალი, რადგან ვფიქრობდით, რომ „ფაქტი“ ხომ კი მაინც დაამყარებდა თავის წერილს ფაქტებზე-თქვა. მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. ბოლომდი ჩავიკითხეთ თქვენი საკმაოდ გრძელი ლექსი და იქ ძლივს - ძლივობით აღმოვაჩინეთ, რომ თქვენ ამ ქალის წინააღმდეგ რაღაც პირადი ანგარიში უფრო გალაპარაკებთ, ვიდრე საზოგადო ინტერესი.

ფაქტია, მხოლოთ დიდათ სამწუხარო!..

**უროს.** თქვენ ლექს სუფსის მუშაკთა შესახებ ჩვენ დიდის სიმოვნებით დავბეჭდავთ, რომ ერთი, თვითონ ლექსი ლექსად ვარგოდეს და, მეორეც, მართლაც და ურიხსავით რომ არ ურტყამდეს თავში ყველას განურჩევლად: მრუდსა და მართალს. თორემ დასაჯერებელია, განა, რომ სუფსაში არც ერთი დაწესებულების ხელმძღვანელი არ ვარგოდეს? სანიმუშოთ ერთ ტაეპს მაინც ვათავსებთ თქვენი ლექსიდან აქვე:

> „სასადილოში გლეხკომის
> მსახურობს სერაპიონი,
> ლუკმებს იმოდენს იტენის,
> ნახოთ, სთქვათ: „არს ჩემპიონი“!.

ასეთი რომ იყვეს ყველა ტაეპი, აქვე მოვათავსებდით ერთი მეორეს მივაყოლებდით სწორედ ისე, როგორც სასადილოში ლუკმას ლუკმებს აყოლებს სერაპიონი.

**მსუბუქ კავალერისტს.** თქვენს გრძელ ლექსს რომ ვკითხულობდით, ასე გვეგონა, თითქოს თვითონ ჩვენ ვიყავით ეს მსუბუქი კავალერისტი, ანუ ცხენოსანი. რა თქმა უნდა, ჩვენი სიმსუბუქის მიზეზი ამ შემთხვევაში თქვენი „ცხენის“ სიარული გახლდათ. ჯაგლაგმა ცხენმა, თქვენც იცით, მხედრის რა ნაირი რყევაც და რხევაც იცის. საბედნიეროდ ჩვენ ამ მოგზაურობას გადავრჩით, რადგან ამ მართლაც ყველაფერი „მსუბუქი“ აღმოჩნდა: ლექსიც, რითმაც, შინაარსიც და ფაქტების მნიშვნელობაც. ასეთი „მსუბუქი“ მგზავრობის შემდეგ, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ერთი ადგილი არ აღვნიშნოთ თქვენი ლექსიდან, სახელდობრ, ის, სადაც ლაპარაკია დალაქების არტელზე რომ სწერთ:

> „ჩემი ცული კარგად სჭრის,
> ვიდრე მათი დანები“-ო.

ეს გარამოება, სხვათა შორის, ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევაც არის. ალბათ, სამართებელ დანებზე იქნებოდა ლაპარაკი, რომ ესენი უბრალო დანები არ იყვენ. ახლა რაღა უნდა იყვეს თქვენი ცულის სიმახვილე, როცა ის ამ დანებზეც უფრო სჭრის?!.

**უსტაბაშს.** თქვენ რა მოგიგონიათ ეს „ცხოვრების გრამასები“? „ჩავაგრამასეთ“ ბოლომდის, შემდეგ „ამოვაგრამასეთ“ თავამდის, „გადავაგრამასეთ“ იქით - აქეთ, მაგრამ რომ არაფერი გამოდნა მათგან, ავიღეთ და ისევ სარედაქციო კალათში „გადავაგრამასეთ“. — „იგრამასეთ“ ახლა იქ-თქვა — დავატანეთ ზედ.

**ზოსიმეს.** როგორც გატყობთ, თქვენ გაგიტკბათ ჩვენ მიერ თქვენს შესახებ „ცნობათა მიღებაში“ მოთავსებული აზრების მოსმენა თქვენს შესახებ, რომ გვთხოვთ: „კიდევ მომათავსეთო“. თქვენს ფეხის ხმას ჩვენ არ ავყვებოდით, რომ საქმის ინტერესი არ მოითხოვდეს ერთი თქვენი „ნაწარმოების“ შესახებ ამ ცნობის მოთავსებას. საქმე შემდეგშია: ჩვენ არ ვიცით, თუ რას ჰფიქრობს მაკდონალდი. თქვენ ეს კი არა, საჭირო რომ დარჩეს, იმასაც ადვილად გადმოგვცემთ, თუ რას ჰფიქრობს ამერიკელი გუვერი, ჩინელი ჩან-კაი-ში, გინდ ავღანელი ბაჩე-ი-საკაო. მაგრამ, განა, ყველა თქვენი „გადმოცემა“ სწორი იქნება?, იქნეთივე სწორი, როგორიც არის თქვენ მიერ „მაკდონალდის სიზმარი წითელ მსოფლიოზე“-ში გადმოცემული მაკდონალდის აზრი, რომელიც ვითომც იმას ამბობს, რომ აღმოსავლეთ ერს, ე. ი., რუსეთს დასავლეთ „ერების“ ჩანთქმა უნდა. რა გარანტია გვაქვს, რომ ეს თქვენი „გადმოცემა“ სავსებით შეეფერება მაკდონალდის ნამდვილ ფიქრსა და აზრს?!.

**ემეგს“-ს.** თქვენ სწერთ პირველ სასადილოს დამლაგებელ ქალზე, მარომზე, რომ ის სამსახურში მანკიერობს და რომ ეს მისი მანკიერობა გამოწვეულია მისივე პირადი ყოფაცხოვრებისაგან. ბრალდება როგორც მთელი ქვეყანა ხედავს, ფრიად მძიმე არის. ამას სათანადო საბუთები ეჭირვება, თუნდაც კონკრეტიულ ფაქტების დასახელების სახით. მარტო იმის განცხადება კი, რომ სახლში მისულ მარომს ეკითხებიან თუ „ვინ არიან ესენი, შენთან რომ დადიანო“, ან ის კიდევ, რომ მარო ტუჩებს ილებავს და პუდრითაც ითხუპნება, დამერწმუნეთ, საბუთად ან საბაბად მასზე ცნობის მოთავსებისათვის ვერ გამოდგება.

ჩვენ უფრო მეტს „ვეძებთ“.

✱✱✱

### რედაქციისაგან

ჟურ. „ტარტაროზი“-ს № 24—(208)-ში მოთავსებული წერილი: „არ გეშინიათ“ არ შეეხება ბორჯომის ტერიტორიალურ დამზღვევ კასის თავმჯდომარეს ხაჩიძეს.

„ტარტაროზი“-ს № 24—(208)-ში მოთავსებულია ცნობა მუხიანიდან პიუგენის ხელმოწერით: „კუპუხიძეს გვერდს უმშვენებდენ: აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი“. უნდა იყოს „...სასამართლოს მდივანი“.

გრ. რუსიას (სოხუმი). გიდასტურებთ, რომ ნიკოლაიშვილზე მოთავსებული ცნობა თქვენ არ გეკუთვნით.


„ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი
სპეციალური
საგარეკო-საზაფხულო
ნომერია

# წინათგრძნობა




ცოლი: — წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე... ჩვენი ბიჭი პარტიიდან კი არ გამოაგდონ!
ქმარი: — ბაიყუში ხარ! შარშანაც რაღაცა ცუდი სიზმარი ნახე და აგვიხდა: დუქანი დამიკეტეს, სახლი ჩამომართვეს და შრომის ბირჟიდანაც მომხსნეს!

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.

კვირა 30 ივნისი 1929 წ. № 27 (211) წელიწადი მეექვსე ფასი 10 კაპ.

ტარტაროზი

# წმენდის ბრალია



— როგორ არის—შარშან შენ აქ გასახდომად იყავი,—წელს კი—სიმსუქნის შესამატებლად!?
— ეჰ, არ იცი, რომ შარშანს აქეთ უკვე მეორე წმენდას გავდივარ?!

# ჩემი საკურორტო იდილია

ნათქვამია: „ორ ერთგულ ძმათა შორის ყმაწვილი ამოირჩიო"-ო.

მე ანდაზების დიდი მოტრფიალე ვარ, მაგრამ თანაც ძალიან ალმაცერადაც უყურებ მათ და უკრიტიკოთ, კბილ-გაუსინჯავათ ანდაზას კი არა, გლავბუხსაც არ ვენდობი, თუნდაც ეს უკანასკნელი მუდამ მხოლოთ მისაღებ თანხას მიწერდეს.

აბა, მოლარე ხომ რა... ნდობისა და ბრმა დაჯერების ყოველ საბუთს ძირშივე მოსპობს და მიქარწყლებს თითქმის ყოველს სალაროს სარკმელის თავზე შავით თეთრზე ანუ ხშირად თეთრით შავზე გარკვეულად მინაწერი: „სალაროდან მიღებული ფული უთუოდ დაითვალეთ"-ო.

ამრიგად, ყოველგვარი ნდობა ანუ როგორც ხშირად იტყვიან ხოლმე, „ზეპირად რისიმე რწმენა" ჩემი პროგრამიდან საუკუნოდ არის ამოფხვრილი.

ყოველივე ქაღალდზე დაწერილის, დაბეჭდილის და ალნუსხულის კი უსაზღვრო რწმენა და დაჯერება მაქვს.

გამონაკლისი, მოგეცათ ლხენა, აქაც აუარებელია. მაგალითად, მაგონდება ძველი დროის ნამსახურობითი სიები, ეგრედ წოდებული— „ფორმულიარები", რომლებიც სწორედ ისეთ ხალხს უქმნიდა „სახელს" და, რაც მთავარია,— „საბრავს", რომლებიც შემდეგ თითქმის ყოველი დაწესებულებიდან ნაგავსავით გარეთ გამოსაყრელი შეიქნა.

მაგრამ მაინც მარტო ამით არ განისაზღვრება ჩემში ყოველგვარი დაწერილისადმი სიტყვის შეუბრუნებელი რწმენის უქონლობა. არის ჩვენს დროშიც „მწერლები" თუ „ნაწერები", რომლებიც ქაღალდზე დაწერილისადმი ნდობას დიდათ არყევენ და აფერხებენ.

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ მე ქართველი კრიტიკოსები და მათი „ქართული" კრიტიკა მაქვს მხედველობაში? აბა, რა სათქმელია ასეთი ეჭვი ჩემზე, რომელსაც არც კი სჭამს ამ დარგის მწერლობის ამ ცოტა ხანში რამოდენიმედ მაინც გამოჯანსაღება.

მე მინდა მაგალითისათვის ავიღო ისეთი სფერო, რომელიც სიჯანსაღის მხრივ რაც შეიძლება ნაკლებათ საეჭვოა

— ეს ხომ ჯანსახკომია!—წამოიძახებს გულუბრყვილო მკითხველი.

ეჰ, მოიცა, ამხანაგო! მთლიანად ჯანსახკომიც ვერ დააკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნილებას ამ მიმართულებით. რაც შეეხება მის ერთ საწილს, საკურორტო დარგს, აი, აქ კი ჩემი რწმენა მტკიცე და ურყევი არის!

აი, საბუთიც! ინებეთ ჩემი „საკურორტო ფურცელი", რომელსაც მე ძველ „ფორმულიარზე" უფრო მეტი სიფრთხილით და მზრუნველობითაც კი ვინახავ. აქ, ამ ფურცელზე, რომელსაც დართული აქვს აგრეთვე ჩემი სიჯანსაღის ქრონოლოგიური ნუსხაც, შავით თეთრზე შემდეგი ურყევი ცნობებია აღნიშნული, ისეთივე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:

1921 წ. 1 მარტს, ექიმთა „სამკურნალო-საექსპორტო" კომისიის დასკვნით, მე აღმომაჩნდა ცოტაოდენი ქარის ნიშნები ფეხის ფრჩხილებში. მიუხედავათ ჩემი ცდისა ახტალაში მაინც გავეგზავნე, ვისგანაც ეს ჯერ იყო, საკურორტოდ და სამკურნალოდ, საქმე მაინც რაღაც მეტად ნაზი „მაზების" მხოლოთ გამოწერით დამთავრდა, ვინაიდან მახლობელ აფთიაქებში არსად არ აღმოჩნდა ამ „მაზების" შესამზადებელი ნაზი წამლები.

იმავე წლის იმავე მარტის 15-ს, ქარებმა უკვე მუხლებამდის ამიწია. მოგეხსენებათ, თუ წელიწადის ამ დროს ქარები რა ნაირადაც ირევიან და მოძრაობენ საზოგადოთ ბუნებაში!

კურორტზე აღარა და ალექსანდრეს ქუჩაზე არსებულ საავადმყოფოში კი ვიქენ გაგზავნილი ახტალიდან ჩამოზიდულ ტალახში „საქვანქლავად".

მარტის ბოლოს კი, როცა ქარები უკვე გულბოყვში მომაწვა, გადაწყდა ჩემი ახტალაში გაგზავნა. და მეც უთუოდ წავიდოდი ახტალაში, რომ მაშინდელ აპრილის ამბებს არ მოესწრო ჩემთვის, როგორც რევოლიუციონერისათვის და აქვე არ დავებანდებინე.

მაისში ქარების ნიშნები უკვე თავშიაც აღმომაჩნდა და მეც გაგზავნილ. ვიქენი წყალტუბოს კურორტზე 15 დღით. მაგრამ იქ ყოფნით კანტრაბანდათ ივნისის ბოლომდე რომ დავრჩი, ამან არა თუ თავიდან, მგონი, ფრჩხილებიდანაც კი გამიქრო ყოველივე ქარი.

ერთი თვის შემდეგ, ივლისში რაღაც სისუსტე ვიგრძენი მკერდში და მეც ეგრედ წოდებულ „ტებეცე"-ს (ტლექის) აშკარა ნიშნებით მოვუსვი ბახმაროსაკენ. ერთი სრული თვე და ათი დღე ბახმაროზე ჩემი დარჩენა სავსებით საკმაო შეიქნა, რათა ჩემი „ტებეცე" მთის ნისლისთვის მიმეცა.

მაგრამ არც მთლად ისე შეიქნა საქმე, მე რომ მეგონა. აგვისტოში ჩამოსულს სექტემბერში რაღაცამ ისევ მიბწკინა გულში იყო თუ ფილტვებში. და მეც, ექიმთა „საექსპორტო" კომისიის რჩევით, ხანაზრდათ მივაშურე აბასთუმანს, სადაც წესი ავუგე თითქმის სამას თუმანს. გაზაფხულზე რომ დავბრუნდი, მართალია, ჩემის გულის ციცქნა აბასთუმნით აღგვილ იქნა, მაგრამ, ვინაიდან ჯერაც კი არ არის ჩემთვის მაინც სავსებით და ნათლად გამორკვეული, რომ ეს ციცქნა მართალია ფილტვის იყო თუ გულის, იმავე ექიმთა რჩევით, გეახელით გულრიპშში (აფხაზეთშია, ზღვის პირად.).

მაისი ვარდობის თვეა და აი, როცა ჩემი გულიც აყვავდა და გაიშალა, როგორც ვარდი, ზღვის ნისლს დარჩა ჩემი დარდი და მეს ისევ უკან გეახელით.

ეს იყო 1922 წლის მაისი.

იმავე წლის ივნისში, არ ვიცი, ბალის დახმარების ნიადაგზე მოხდა ეს, კიტრისა თუ უხლად შემოსული პომიდორისა, მე ამიტყდა მუცელა და ექიმებმაც გამომიწერეს უწერა. ენკენისთვეში, მუცელი რომ უკვე ტკენით ამეკრა, მომწყინდა უწერა და მომინდა სხვა, ექიმებმაც მაგემეს ზღვა. იმდენად გამიტკბა ქობულეთი, რომ მეორე წლის მაისამდი იქიდან ბანდალიც აღარ მიქნია. მაისი რომ აქ მოვათავე, სხვადასხვა დემონსტრაციებსა, ალლუმებსა თუ დოლებსა და შეჯიბრებებზე გამოუკლებელი დასწრებით, რაღა თქმა უნდა, ჩემი ნერვებიც საკმაოდ უნდა გაცვეთილიყო ამდენ ალლუმსა და დოლში და მეც გეახელით კისლავოდსკში. იმიდან შემოდგომაზე დაბრუნებული საზამთროდ უეჭველად აბასთუმანში წავიდოდი, რომ, ჯიუტ ექიმების რჩევით, მეც არ ამერჩია სოხუმის ზამთრის ნაზი ჰავა. სოხუმიდან დაბრუნებულს მაისში მეორე წელს, ე. ი. 1924 წელს ბორჯომი მომესაჯა, ამ ხნის განმავლობაში დაგროვილ ღიპის დასაფუძავად და შემდეგ 1924 წ. ავანტიურისტის აღნიშნულ ფრონტზე შესახვედრად. ამ წელს ზამთარი უთუოდ ამომშლიდა ცოცხალ ადამიანთა სიაში, რომ ის არ გამეტარებინა მე ლივადიაში. 1925 წელში ზაფხული გავატარე ლებერდეს ტყეში, ხოლო ზამთარში ჩავბარგდი ისევ აბასთუმანში. ღმერთმა უშველოს შამშულეტავას, რომელმაც შემდეგ, ე. ი. 1926 წ. გამაცნო შამშოვის ჰავას. იმ ზაფხულსა და ზამთარში იქაურ სანატორიუმიდან აღარ გამოვსულვარ კარში. 1927 წელში ჯერ კობი და შემდეგ—ესენტუკი შემრჩა ხელში. გასულ 1928 წელს ჯერ ისევ შამშოვის წყლებით ვისველებდი ყელს, შემდეგ ვინახულე გაგრა და ათონი, ეს ზამთარის ზღვის პირის ნაზი ჰავის საცონი, ხოლო წელს ჯერ ანაპისაკენ ვიშვერ ხელს, შემდეგ იქითკენვე ვიზამ ცხვირს,. შემოდგომაზე მოვინახულებ ცინის ძირს, გამოვივლი ქობულეთში, შევიარ წყალტუბოს და შემდეგ,ამდენი ნამკურნალევ-ნაცოდვილები კაცი უცბათ რაიმე სნებამ რომ არ დამიჭიროს, ზამთარს გავატარებ აბასთუმანში, თუ სიმსუქნისაგან კი შევიძლე დატევა კარში!..

და მეც ვამაყობ ამ კანით, ამ სიმსუქნით და სიჯანსაღით, რომლის მოძალებულ სენთაგან დაცვასაც ისევ ასეთივე სიბეჯითით განვაგრძობ მომავალშიაც, როგორც დღემდის.

**ტნისიძე.**

# ავათმყოფი ჯანმრთელი

ხშირად სიმულიანტები ექიმებს უმუქრებიან და შეურაცხყოფას აყენებენ, რომ შვებულება აიღონ.



— ავათ ვარ... ხუსტათ ვარ... მოაწერე ხელი შვებულების ქაღალდს, თორემ.

# გადაარჩინა

1929 წელი ბუხჰალტერ მიხა გაფხეკილაძისთვის ვერ დადგა მაინც და მაინც სახარბიელო. მართალია, როგორც იყო გაიმასჯა და მოახერხა ცოლ-შვილის აგარაკზე გაგზავნა, მაგრამ წელს, „მსუბუქ კავალერიის“ ტომმა გულის სიგანიერე დამართა, უკეთ რომ ვსთქვათ, თითონ გახდა საგარაკოთ.

ბიუროკრატიზმში ბადალი არ ყავდა, მაგრამ ცდილობდა ყველას კარგად მოპყრობოდა!

ჩვეულება რუჯულზე უმტკიცესიაო ნათქვამია—ასე მოუვიდა მასაც.

თავაზიანად მოპყრობა რომ არ დავიწყებოდა თითზე შეიბა წითელი ძაფი და ისე დადიოდა სამსახურში მაგრამ ერთ დღეს, ვიღაცას მაინც შეუტია, ეს „ვიღაცა“ როგორც მისმა მოანგარიშემ თვალებით აღნიშნა „კავალერისტი“ ყოფილა, ამან მეტად დააფეთა ის, ჭამის ხასიათი გაუფუჭა.

5 საათზე მივიდა შინ. ბავშვები ჩვეულებრივ შემოეხვივნენ. დედასგან დარიგებულმა ბავშვებმა ღიმის მარცვალივით მიაყარეს მამას—პაპა აგარაკი—აქ ციცხვები დაიწყო, ბორჯომპალკი გვინდაო. ცოლიც გაბღვერილი დახვდა.

სიზმრები შემოესია. მძინარემ უცებ წამოიძახა: ლიოჰკი კავლერია—კავალერია.

რა იყო ბოშო, ეს კავალერია, რომ ჩაქრჩა გულში? ჰკითხა ცოლმა.

არაფერია! მე ხომ ძველი კავალერისტი ვარ ნიკოლოზის დროის. გამახსენდა ძველი დრო, ჩვენი კავალერია.

— შენ მუდამ კავალერია და ქალები გახსოვს. მე კი ამ სიცხეში ვიწვები, ბარემ გაიცხელე ქვაბი და შიგ ჩაგვყარე, მოგვხარშე. უსაყვედურა ცოლმა.

აგალაკი პაპა, არ დაგავიწყდეს — მიაძახეს ბავშვებმა კიბეზე ჩასული არც კი იყო გაფხეკილაძე, რომ გადასწყვიტა თავის დახრჩობა და პირდაპირ ხიდისაკენ გაეშურა, კარგად შეღამებული იყო, რესტორანიდან მოესმა სიმღერა „ჩემი გული შენ დახიე, დაგლიჯე“.

მოიხედა და ქალი დაინახა, ქალმა ისეთ თვალებით შეხედა, რომ გაფხეკილაძეს ნერწყვი მოადგა.

— სიკვდილს გადამარჩინე კაცი, მადლობელი ვარ,—ასეთი სიტყვებით გამოემშვიდობა უცნობ ქალს მეორე დილას გაფხეკილაძე.

ივანიკა.

კრილოვის

## „ღელე“-სებური

„არის ისეთი შემთხვევაც, როცა დაწინაურებული ბიუროკრატდება და ყოყოჩობას იწყებს“.

გაზეთებიდან

ნომრებს უსვამს ქაღალდებს.
კირილე რეგისტრატორი,
საერთო კანცელარიის
იყო პაწია მატორი.
რწყილივით იჯდა თავისთვის,
მისი ხმა არვის ესმოდა.
მხოლოდ მოსწონდა: კარგია
მოკლე კაბების ეს მოდა“.
ვინც მიმართავდა რამეზე,
მაშინვე სწრაფად დგებოდა:
— „რა გნებავთ? რასა გვიბრძანებთ?“.

ზრდილობით ეკითხებოდა
გამგეზე ხშირად იტყოდა:
— „რა საძაგელი არიო.
ჩაკეტილი აქვს თავისთვის
მას კაბინეტის კარიო.
დარაჯი კარზე უდგია,
შიგ შესვლას ვერვინ ბედავსო,
შიშისგან გამგეს პირდაპირ
ვერავინ ვერ შეხედავსო.
ქალს კაბინეტში შეიყვანს
მანქანით თავისთვისაო.
ალახმა უწყის რას შვრება,
შიგ კაბინეტში ისაო.
მე მის ადგილზე რომ ვიყო,—
გავახარებდი ყველასა.
არავის გავაწბილებდი,
აღმოუჩენდი შველასა.
შიკრიკსაც კი მივიმჩნევდი
ჩემს მეგობრად და ტოლადა,
გავუკეთებდი გლეხს საქმეს
საჩქაროთ და იოლათა,
ასე ვიზამდი მე, ასე...
გამგედ რათ არ ვარ? რათ არა?“—
ასე ამბობდა კირილე
სანამდი იყო პატარა.

შემდეგ მართლაც-და დანიშნეს
გამგედ კირილე ჩვენია...
იფერებს თანამდებობას,
თუმცალა კიდეც სცხვენია.
მას ადრინდელი სიტყვები
არ მოაგონდა ერთიცა;
იგია სამმართველოსი
ბატონიცა და ღმერთიცა.
ყოველდღე ყვირის: „ეს რახ
შგავს?“...
„უვარგისი ხარ!“ „თუ ამას“
„ის სად წავიდა?“... „გიბრძანებ“...
„ვაი შენს პატრონს, შენს მამას!“...
ცოლი ირინე გაუშვა,
სხვაზე უჭირავს თვალია;
სიყვარულს უხსნის ხონიას,
(თანამშრომელი ქალია).

წმენდა მკუაზე მოიყვანს,
გააკირილებს კირილეს
და ისევ დაუბრუნდება
კირილე თავის ირინეს.

ზმუკი.

# ამ ზაფხულშიც!..

ჰი, უკვე დაცხა კიდეც! თავს ვაფა-
რებ: ქუჩის კიდეს, კედლის, ხის თუ,
ლობის ჩრდილებს...
მიხურს კუპე...
კუპეს მიგრილებს
„ბორჯომი“
თუ
„ხილეული“...
ვარ არაქათ-მილეული,
დავბენცელებ, როგორც მთვრალი,
მიჭუტული დამაქვს თვალი და მზის
სხივი, სითბო მზისა, რომ ვნატრობ-
დი უწინ ისა,
თავს მაბეზრებს ახლა ისე,
თითქოს გულში მცემდეს სადგი-
სებს!...

და ძარღვებშიაც მაყრის ლადარს
თავს ვაფარებ: ცაცხვს თუ ჭადარს,
მუხას, არყს, თუ
წიფლის ჩეროს...
სიცხემ ლამის გამაშტეროს!
თუმც, ქვა დიდი რომ მქონოდეს,
არ ყოფილა არასოდეს!
მაგრამ ახლა...
ოი, დამცხა...
ოი, სიცხემ გამაძაღლა:
ცოლს გამყარა...
გამასახლა...
და დამახხა ოფლი ღვარად...
აღარ ვარგვარ აწი ბარად:
ამიწია სიცხემ თავში!
გამწი ვინმემ....
გამწით მთაში!
მომიყვანეთ ცხენი-რაში!..
ჰა, ჩაველი ვაკიჯვარში
და, ცხადშია თუ სიზმარში,
თავს ბახმაროს ვგრძნობ ფიჭვნარ-
ში!..

გვერდით მიდგას ვინმე ტურფა...
ტრფობის ეშხი ყელზე ყულფად
მე იმისგან მიჭერია,
დარჩენა არ მიწერია,
მეკიდება სიცხე ისე.... ვაი..
ეს მთის სიხალისე
აქაც სიცხემ ჩამამწარა!
არ ყოფილა მისგან, არა,
მოსვენება, ხსნა და შველა!
ტკბილ იმედიც გამქრა ყველა!..
დამცხა აქაც ისე მკაცრად,
რომ მიქცია გული ნაცრად,
ჩაზვეულად ცხელ ლადარში!..
ჩავლადარო! გამწი ბარში,
მოდი ისევ შენის ცხენით,
და მთის ფერდის ჩამორბენით
ისევ ბარში დამასკუპე...
შემდეგ... მატარებლის კუპე,
ტფილისი და მისი ჯანი...
ვერ მოგართვით ბადრიჯანი!
მე კურორტზე, რომ მკლავს ფიქრი,
განსაცდელის წინ ქედს არ ვიხრი!
და მოვთოკე ქობულეთი,
სად ზღვაც არის და ხმელეთიც,
სად წყლის ტალღა აჩენს პლიაჟს,
ზღვა მიკოცნის მკერდს თუ ლოი-
ავს,
ისე მლადრავს ყელს ლიტინით,
თითქოს სდნება ვნების ჟინით!..
და გგონიათ ამ წყლის ტალღამ
აქ მე უფრო გამალაღა?
ავიხედო ერთი მაღლა!
ოი, გული სიცხემ დამღრღნა.
ღმერთო, ეს რა დავინახე?
მზის არის თუ მთვარის სახე?
ტანიც—
ედემს ალვად, რგული!..
ვაი, თავი!.. ვაი, გული...
იმედიც წყალ-წაღებული!..
გინა, მთელ თვით ალებული, გზის
ხარჯი თუ ჭამის მადა...
საკურორტო „სერანადა“
გადამექცა აქაც დრამად!
ტრფობის ცეცხლმა მნახა ხამად
და ვიხარბე ისე ძალად,
რომ მომედო გულზე ალად!
ვარ ამ ქვების შესაბრალად,
აქ რომ ჰყრია, ამ ზღვის პირში...
ვით ხე, კაცი მოვსქდი ძირში,
რომ აჩნია გულს ფუღურო...
ვაი: სახევ, დალრუბლეულო!
ვაი; სახევ, დალრუბლეულო!
დაღარულო სევდით შუბლო!
დანამძიმო თავის ზღურბლო!..
შუშაბანდო, ჩამოფშვნილო!..
გაღერილო შტვირად ცხვირო!..
თავი რომ არ შევირცხვინო,
შორს: ზღვავ! სილავ! ხრეშო! ქვე-
თქვენც-ტალღებო! ბო!
თქვენც—ზვირთებო!..
მიმაქვს გულით ეს ლოდები!..
მოლოდინით ვდნები.. ვდნები...
მატარებელს ველოდები.
აბა, კუპე, გამწი ჩქარა!..
ზღვა უკვე თვალს მიეფარა,
რიონიც და მისი ყურიც...
ჰა, ლიხის მთა!
ჰა, ხაშურიც!
გადვუხვიო?
რა ვქნა, აბა?
აი, უკვე ახალდაბა,
ბორჯომი და მისი ჯანი...
იქ—წაღვერი!..
აქ—ლიკანი!..
ცემი, ტბა და ციხის ჯვარი...,
ბაკურიანს წიხლი ვკარი,
მაგრამ თვალი მოვკარ აქაც!..
ვერ ვივიწყებ ნახულს ახლაც!..
აქაც დამწვა გული ქალმა,
მომიჭირა ტრფობის ალმა...
ველარ მშველის:
ვერც მთა, ვერც ტყე, ვერც ეს ლა-
მე, ველარც ეს დღე,
ვერც ჰაერი, გრილი, მშრალი,
ვერც ბორჯომის თბილი წყალი
და ვერც გრილი იგი იქვე...
და დავეშვი თავქვე მყისვე,
არა მოვწყვიტე კისრა-კისრით,—
კვლავ—„პუკუშკით,“—აქ ამოს-
ულით,
ჩემით, ვინც მთა შეაზარა,
მან წამიღო ქვევით ჩქარა
და კვლავ ბორჯომს მიმაფარა...
ქვიშხეთი და ლიხის ფერდი
უკან დამრჩა, არც შევჩერდი!
არც სურამი რამდე ვთვალე
და ვიძახი: „გამწით ძალე!“...
ორთქლმავალო! გასწი ჩქარა,
თორემ სიცხემ გამამწარა:
სიცხე-გარეთ! სიცხე-შიგნით, სიც-
ხე-ბარგით ჯოხით, წიგნით!.. სიც-
ხე გულში! სიცხე-თავში!
ქალის თვალს თუ მის წამწამში,
მის შუბლსა თუ მის ნაწნავში,
ტიტველ მკერდს თუ შიშველ
მკლავში,—
პუდრს თუ ტუჩის სალებავში!..
ერთი სიტყვით,—ყველაფერში!..
და ამიტომაც ისევ მტვერში
დე, დავიხრჩვე მე ტფილისის!..
სულ ერთია: ამ ივლისის
დღეში ყველგან მზე სხივს ისვრის,
ქალიც ყველგან ნაწნავს იბწნის
და თვალებით ელვას ჰბადებს:
ზღვაში მოჰგავს იგი ბატებს,
ტრუსიკებით მოლალადეს,
და მთებში კი მოჰგავს წეროს!
ვით იქ, რომ არ შეგაჩეროს,
გულს არ გკრას, არ აგაძგეროს,
არ გწვას და არ გაგაშტეროს?!
მიტომ რჩეობ მტვერს ქალაქის!
აქ მე ძალას სიცხის, ტლანქის,
აცდენა არ მიწერია!
ნაცვლად,—ტრფობის მისტერია!
გულს დანათ არ მიჭერია
ცხვირი თუ გამილერია.
და ქუჩებში მივლაღანდერობ,
თქვენ გგონიათ, კურორტს ვნატ-
რობ
და სტრახკასებს ველირები?
სადმე წასვლას ვეპირები:
ზღვაზე სადმე ანუ მთაში?
ფიქრადაც არ მომდის თავში
და არც ნაკად მრჩება გულში:
აქვე ვრჩები ამ ზაფხულში! **მაზირა.**



— აქ რომ სიყვარულსა და ერთ-
გულებას მეფიცებით, ცოლი არა
გყავთ?

აქ არა მყავს, ქალქშია.

## სხვანაირად გაიგო!



— ელენე, ფიგურას დაჰკარგავ!
— მეც ეს მინდა... ამიტომ გეუბნები, რომ კისლოვოდსკში გამგზავნო!

# სუფთა ჰაერზე

### ტფილისი - ბორჯომი

ჯერ ტფილისში სიცივეა, მაგრამ თითო-ოროლა ფერმკრთალი მაინც მიემგზავრება აგარაკისაკენ.

ბორჯომის მატარებელი ჩამოდგა.

— ბიჭოს, ასე მალე მიდიხარ აგარაკზე?

— რა ვქნა გენაცვა, დამზღვევმა კასამ ახლა მომცა შვებულება და თან პირობა ჩამომართვა, რომ ამ შვებულებას უსათუოდ აგარაკზე გამოვიყენებ.

— კი მაგრამ მოკვდები სიცივით...

— რა უყოთ, მსხვერპლი თუ არ გავიღეთ, ისე არაფერი გამოვა!

— კაი მსხვერპლია შენ ნუ მომიკვდები...

ვაგონში შევედით. კაცი არ ჭაჭანობს. გამყოლი კონდუქტორები ცხვირ-ჩამოშვებული დგანან.

— რა მოწყენილობაა, ამის მეტი თუ არავინ მოგვემატა, მაინც დავმუნჯდებით გზაში!—ამბობს ერთი მათგანი.

„ლეტნი" ვაგონებში სრული და განსაკუთრებული ხალვათობაა. ან ვინ გიჟია, თავი მოიძულოს და ამ სიცივეში ღია ვაგონში ჩაჯდეს.

დიახ, ვაგონში შევედით, მაგრამ რას შეხვალ! სუნი დგას შიგ ისეთი, რომ ყვავს გადმოაგდებს.

— რა ამბავია კაცო, რაც სკიპიდარი იყო ამ ვაგონში შემოასხით?

— ჩვენი ბრალი არ არის,—იმართლებს თავს გამყოლი,—დეზინფექციონი კამერა მოვიდა და დეზინფექცია გააკეთა. ჩვენ თითონ გვიჭირს აქ გაძლება, მაგრამ რა ვქნათ, ვითმენთ...

— მერე და არ შეიძლება ცოტა ადრე ექნათ ეგ დეზინფექცია, ან ეს საშინელი სუნი გაენელებიათ?

— არ ვიცი, სწორეთ, მაგის სპეციალისტი არა ვარ...

მატარებელი დაიძრა.

არა უშავს, საკმაოდ მოიყარა ხალხმა თავი. ზოგი გორში მიდის, ზოგი ხაშურში. არიან ისეთებიც, ბორჯომში და სხვა აგარაკებზედაც რომ მიდიან.

ჩვენს ვაგონში სამი ქალია პატარა ბავშებით. არიან მამაკაცებიც. თვითეული მათგანი თავის წინდა და გარდაუვალ მოვალეობათ სთვლის რაც შეიძლება მეტი თამბაქო მოსწიოს.

სულ მცირე ხნის განმავლობაში თამბაქოს ბოლში გავეხვიეთ. შეიქნა ხველა და ბავშების ტირილი.

— რამდენჯერ იყო გამოცხადებული, რომ ყველა ვაგონში თამბაქოს წევა არ შეიძლება,—თითქმის ტირილით ამბობს ავადმყოფი ქალი, —მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს...

— როგორ შეიძლება, მართლაც ასე აბუჩად აგდება სხვების,—საყვედურობს მეორე.

მეთამბაქოენი, თითქოს აქ არაფერიხო, კიდევ მეტის ენერგიით ეწევიან. თამბაქოს და სკიპიდარის სუნი ერთიმეორეშია არეული.

— ალბათ ასეთია ის მახრჩობელი გაზი, რომელიც უკანასკნელად გამოიგონეს და რომელსაც პირველ რიგში გამოიყენებენ მომავალ იმპერიალისტურ ომის დროს —მსჯელობს ერთი.

შემოდის გამყოლი. ისიც ეწევა.

შემოდის კონდუქტორი. ეწევა ისიც.

შემოდის რევიზორი. აბოლებს, რასაკვირველია.

— ვაშ ბილეტ! თქვენ სით მიბრძანდებით?

— ბორჯომში, შემდეგ აბასთუმანში ვაპირებდი, ამ თამბაქოს ბოლს რომ არ დავეხრჩე...

— ჰმ!.. შემდეგი ბილეთი!..

სადგურს სადგურზე ვტოვებთ. გომი, აგარა, სკრა, ქარელი... საკვირველი ის არის, რომ ამ სადგურებზე ყველაფერს თითო აბაზათ ყიდიან:

— აბა, ბალი, კარგი ბალი!

— რა ღირს?

— აბაზი!

— აბა პური, ცხელი!

— რამდენი უნდა?

— აბაზი!

— ვაშლი, ვაშლი!

— როგორ, ბიჭო, ვაშლი?

— აბაზი!..

ხაშურში ჩამოვედით და რაღაც ორიოდე საათი ვიდექით სადგურში.

— ამიტომ მეჯავრება ეს ხაშური, საჭიროა თუ არა, ერთ ორ საათს მაინც გაგაჩერებენ,—ჯავრობს ერთი მგზავრი.

გადაუხვიეთ ბორჯომისაკენ. მატარებელი დაიცალა. ჩვენს ვაგონში ორი კაცი დარჩა, რომელიც ბორჯომში მიდის: მე და გამყოლი.

— მივედით, მეგობარო ბორჯომში,—ვაღვიძებ გამყოლს,—ერთი აჰ „ნასილშჩიკებს" სხთოვე გზა დამითმონ...

მართლაც „ნასილჩიკების" რა ბრალია, მათი რიცხვი ორმოცს აღწევს, მგზავრების—ერთნახევარს.

— იმ თქვენ ქალაქში აღარ დაცხა თუ რატომ არავინ მოდის, ბორჯომის გზა ხომ არ დაავიწყდათ?—საყვედურის კილოთი იმის ერთი მათგანის ხმა.

— რის დაცხა კაცო, 5 გრადუსი ყინვაა...

— ნიუელი?...

**ალგარ - ალგარსან.**

# ცოლის ჯინაზე

ეს პატარა ტრაგიული ამბავი ყოველგვარ პრეტენზიებს გარეშე ასე იწყება: ხუთი სეზონი ისე გაუშვი, რომ ერთხელაც არ მისარგებლია აგარაკით. მუდამ ცოლს ვგზავნიდი ხოლმე. წელს კი ასე გადავწყვიტე:: ჩემი ცოლი მშობლებთან „თავის სახლს"გ აუშვა, მე კი აგარაკზე წავიდე.

გადავფურცლე საკურორტო სამმართველოს ცნობანი, თუ რომელი კურორტი იქნებოდა ჩემთვის ხელსაყრელი. (რა თქმა უნდა ეკონომიურ თვალსაზრისით.)

— ცემი!—წამოვიძახე თითქმის ხმა-მაღლა.

— მანამდე არ ადგა შენი გვერდები, სანამ მე შენ ცემში არ წაგყვე. მომახალ ცოლმა, რომელიც „ტუალეტს" მისჯდომოდა და „კეროსინკაზე" გახურებული „შიპციით" (თუ არ ვცდებით ლურსმნით) თმას „იხუჭუჭებდა".

— ვოტ ტებე ნა!—ჩავილაპარაკე ჩემთვის .კი მარა, ადამიანო, შენ. ვის მიყავხარ ერთი მითხარი?

— რაიო, რაიო? გაიმეორე ვაჟბატონო! იქნება მართლა ფიქრობ?

— რას სულელობ, ადამიანო, შენ რა გჭირს საგარაკო! მე ვიკითხო საბრალომ, შენ ხელში წავხდი და გავფუჭდი, თვარა რა მიჭირდა. ხომ გახსოვს ექიმმა მითხრა, რომ ჩემი ორგანიზმი აუცილებლად საჭიროებს აგარაკს.

— შენმა სიცოცხლემ შენი ორგანიზმი საჭიროებს და ჩემი კი არა! რა უყავი ამდენი ფულები რომ აიღე, ა?—გაანჩხლდა ჩემი ცოლი.

— რატომაცა,დედაკაცო,მასეთი ლაპარაკი, რა იმდენი ფულები ა?

— ჯამაგირი ხომ აიღე, სტო რუბლეი?

— ავიღე და კიდევაც დავხარჯე!

— რაიო? დავხარჯეო! რაში დახარჯე ადამიანო, არ იტყვი?

— რაში და შენი ფეხსაცმელები და კაბა კასტუმი რომ დავიხსენი, იმას არ ანგარიშობ?

— კაი თუ გინ მასე იყოს... სტრახკასიდან შევბულების სტოდვაცატ რუბლი...

— ავიღე ეგეც..

— **დილამშვიდობისა! მერე?**

— ქალო აღარ გახსოვს შენი თეთრი ტუფლები რომ დავიხსენი?

— პეტნაცატ რუბლეი... დანარჩენი?

— **ძველი ვალი გავისტუმრე—შენი საკოსტუმის, კონტრაბანდა კოვერკოტის.**

— კაი, პედესიატ რუბლეი.. დანარჩენი?

— ვიქტორია ჩლუქები... რომ არ მომეცი მოსავენებს მეზობელს აქვს ჩამოტანილი, ნამალავათ ყიდისო და იაფად მოგვცემსო..

— კაი, თუმანი მაგაში... დანარჩენი.

— დედაკაცო, რატომ იცი მასეთი უზნეო დაჟინება ა?

— ვინ არის უზნეო? მე ვარ უზნეო? გათახსირებულო?

— მადლობთ, მადლობთ.... დიდათ მადლობთ..

— ახ ბოჟე მაია, რა უიღბლო ვარ. კაცო ია ნესჩასტ[illegible]ა! რა უბედური ვარ. ყველას ახარებს ქმრები, ყველას დაჩაზე მიყავს ცოლები... მე კი... ოხ::::: ოხ, ტრაღედია ოხ!

— სუ ჭირიმე სუ! შენ გენაცვალე, არ გრცხვენია? რას გატირებს, შე ქალო, შენ მშობლებთანა წაბრძანდი, მე დაჩაზე წავეთრევი რა ჯობია ახლა სოფელს!

— არ ჭამა შენმა ღრანჭებმა... მე სოფელში წამსვლელი არ ვიყო. არ წავალ, არა და არა, ვოტ!

— მაშ აქ დარჩი.

— არც აქ დავრჩები და თუ დავრჩი, ჩემი იმედი ნუღარ გექნება. ვივლი კლუბებში, კინოებში, გავიცნობ ვაჟებს, ვიარშიყებ და ვიარშიყებ; თუ ვინმემ ამიხსნა სიყვარული, გავყვები. შენ მოდექი მერე და ჩეჩე მატყლი...

— მაგ ბედნიერ და სანეტარო დღეს მოვესწრებოდე, თორემ, ასტუპნოის იქით მივცემ!

— რაიო, რაიო, რაიო?!—და დაავლო ხელი სკამს.

ჩემდა საბედნიეროდ სწორედ ამ დროს მეზობელმა შემოაღო კარები. ის რომ არ შემოსულიყო, გითხრათ სიმართლე, მე და ჩემი ცოლის „ინტიმიური დიალოგი" „ანტი მხატვრულ" ფინალით დაბოლოვდებოდა.

— ხომ იცი, ბიჭო, მე შენ ახლა ამ წუთში მოსალოდნელ კატასტროფას გადამარჩინე!—ვუთხარი მეზობელს, როცა ჩემმა ცოლმა კბილების ღრჭენით და მუქარით კარები გაიხურა.

— რა იყო? რა მოხდა?—შემეკითხა მეზობელი.

— ვერ გავაგებინე ჩემს ცოლს, რომ დასვენება მინდა. ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია ამდენმა შიშმა და დავიდარაბამ შენ ზურგზე გადეიაროს; კაცი რკინა უნდა იყვე, რკინა, რომ ამდენ ჭირს გაუძლო: ეს მსუბუქი კავალერიაო, ეს მუშკორიაო, მუშგლეხინიაო, საკონტროლო კომისიაო, რევიზიაო, წმენდა... რა ვიცი რამდენი სხვა რამე; რომელ ერთს გადაურჩები. ისე აგიტეხავს სამტრედიის ციებ-ცხელებას, რომ სიკვდილს ინატრებ.... გადავსწყვიტე ჩემი ცოლის ჟინაზე არც მე წავიდე აგარაკზე!

— არა დაჩაზე მე ქე მინდოდა წასვლა, და თუ არ წავედი, აქ დავრჩები, თუმცა კაია რაზნიცა, გინდ იქ ვყოფილვარ, გინდ აქ.

—მაშ იცი რა გითხრა, რახან მე არ მივდივარ, აი ჩემი ორდერი, ბიულეტენი, ესეც მოწმობა და წადი შენ, ჩემი ცოლის ჯინაზე.

—პაჟალუსტა, წავალ შენი ცოლის ჯინაზე, გინდა შენ წასულხარ, გინდ მე; კაია რაზნიცა.

დონ-კიხოტი.

## აგარაკზე



— როგორ შეიძლება ასეთი მოკლე კაბის ჩაცმა?!

— თქვენ რატომ არ გრცხვენიათ, რომ ხნიერ კაცს მასეთი მოკლე შარვალი გაცვიათ!

# კონტრასტი



გამსახლში ფიქრები აწუხებს ანდროს: მე შარშან ბორჯომში ვიყავი ამ დროს!

## აგარაკის ბრალია

ყოლიფერი ყოლიფერია, მარა ზოგიერთი სულ ტყვილა მიდის აგარაკზე.

ერთი მითხარი აგერ ჩემი მეზობლის ცოლი კატოიე რომაა, დრინგ-გასივებული, რათ უნდა მაგას აგარაკი? სიმსუქნით სარაკავოი ბოჭკას დამზგავსებია და კიდო აგარაკზე აპირობს. ერთი მაგი ჩამივარდეს ხელში და ბიჭი არ ვიყო თუ ტარანასავირ არ გავხადო: ჩამევიყენებ გვერდში და დილიდან სალამომდი ვაბაყუნებიებ თოხს, გახდება აბა რას იზამს!

მაგათ წახუდელმა მეც ქე გავბრიყვდი კაცი და გულში აგარაკზე წასვლა გევიფიქრე.

გადავწყვიტე ცოლიზა მეთქუა ჩემი განაფიქრალი, მარა ჩემმა აკვირინამ ისე გადმომიყვლაპინა თვალები, რომ ენა მუცელში ჩამივარდა.

— ყმაწვილო! შენ ძალიან გვიანობ; შარშანდელივით ხომ არ გინდა აქანე გამომახრჩო; ჩქარა დაყაჭე ფულები! მე წელს კისლოვოდსკში უნდა წავიდე. ნევრები მურგის ძაფივით მაქ აფუნგული, პირველ ვისკაპლენიეს შემდეგ მოშლილია ჩემი კაციშვილობა. ჩქარა დაყაჭე ფულები!—შევდგი ფეხი ოთახში თვარა მომაყარა ქალმა სიტყვები.

ის დღეი რეიზა არ ჩამეიქცა, როცა მე მაგი სულამოსახდენი შევირთე ცოლად! ყველაფერი უჯიშო მე შემხდება თვარა, ისეთი ქალებიც კი მინახავს, რომ სულ არ ყოფილან აგარაკზე, მარა ტროტარზე ლაფშა ცხენებივით მიაბიჯებენ ფეხებს.

ზოგიერთის ცოლი ქვეყნის საქმეს განგებს... ჩემი წამოწობა ლოგინზე წელკავიან ძაღლივით და ბანდალს ვერ აჭიებს კაცი, მიართმევ ჭამს, არა და ლანძღვა გინებით ამოგიღებს ნელში. მე მაგასთან ცხოვრება არ შემიძლია; პირდაპირ ვსკდები კაცი კაკალ გულზე! რაც არ უნდა დამიჯდეს, რაზვოდი უნდა უქნა მაგას!

— ყმაწვილო! მე შენ გეკითხები არსად ფიქრობ ჩემს გაგზავნას? რატომ არ იღებ ხმას?! რათ წეიყრუე ჩემი სიტყვები შენ.. შენ? და ჩემს კისერში მურთაქამ ჭყვერთა მოადინა.

ატყდა ალიაქოთი. ერთხანს ქე გოუძლი ჩემს აკვირინას, მარა როცა დეზერტირში ნაყიდმა დანჯღრეულმა სელისკამმა ჩემს ზურგზში ბრეგვა მოადინა; ოთახი ჯარასავით დატრიალდა და შემდეგ არაფერი არ მახსოვს.

ეხლა საავადმყოფოში ვწევარ. დოხტურები ერთი კვირაა, რაც შესაწუხავ გოჭივით მატრიალებენ და ჯერე მაინც ვერ გაიგეს, რა მაქ გაფუჭებული.

აკვირინეს წრიხის დაკვრით მგონი ცალი ფირფიტე უნდა მქონდეს ჩახეთქილი.

აგარაკი მომარჩენს აწი მე?!

**იანო.**

## მისი სიმღერა

ჩემი ქმარი კეთილია
სულ ოც თუმანს იღებს თვეში.
მე არ ვწუნობ, როგორც ბებერს
სანამ ფული აქვს ჯიბეში.
სულ მოდებით მაკოხტავებს,
გაამშვენა მან სახლკარი;
ხან კი მეტსაც გააკეთებს
თუ დაუდგა კარგი დარი.
მან პირველი ცოლი შვილით
მოიშორა ჩემი ეშხით
და იმდენი ველაქუცე,
შევეფსკვენი ზაქის წესით.
სპეცი არ ვარ, მაგრამ მაინც
პროტექციამ გამასაღა.
ლორიგანის ფულებს ვიღებ,
და ვმსახურობ ისე, რაღა...
შვებულება ერთი თვე მაქვს
სამსაც კვლავ გამოვცინცლავ,
ამათ ვერავინ მოახერხებთ,
გინდა ყველას მოგკვეთთ ნიძლავს.

**მუზე.**

## საამღლისო

გოგო ვისი ხარ მალხაზი
დაურჩი საწყალ ქმარსაო.
ქმარმა იკითხოს, თორემ შე
ხვალვე შეიცვლი გვარსაო.
კაბა მუხლს ზევით აგსვლია
მკერდი მოგიგავს მთასაო.
ვაი მის პატრონს ვინც ერთხელ
შენგანვე დაითარსაო.
ნაზად შეაღებ კაბინეტს
ჩიწვავე-ჩახრაკავ „ზავ“-ებსო
ფულის და ტრფობის გამჩენი
შენ მასთან შეგაზავებსო.
გადგიშლის ზავი პორტფელებ
თვით მოგიჯდება გვერდსაო;
გასწავლის ცხოვრების ჭამას
და ფულებს მოგცემს ბევრსაო.

**ვირთხა.**

# იშვიათი სტუდენტი



— მართლა რომ ნამდვილი სტუდენტი ყოფილა ეს ჩვენი ნიკოლა—ხედავ „ტარტაროზ“-ს როგორ კარგად კითხულობს, და არა ისე—ჩვენს მასწავლებელსავით.

## „მუყაითნი“

ქედა (აჭარისტანი)

ქედის მუშა-მოსამსახურეები დილ-დილობით სამუშაო საათებში თამაშობენ ნარდს, და კარტს. დაწესებულებებში შედიან 10—11 საათიდან გლეხობა კი 8 საათიდგან იცდიან და ელოდებიან თანამშრომლებს.

**ხონელიძე** (სამხედრო მაგიდის გამგე): დუ-შაში კამათელო, თორემ ამ დილით წავაგე ხუთი პაჩკა პაპიროსი.

**რატიანი** (ალმ. საქ. მმართ.) მაგი არაფერია ალიოშა, გუშინ დილით ხომ შვიდი მოიგე, ეხლა ხუთს თუ წააგებ, მაინც მოგება დაგრჩება... იაგანი, შე ოხერო კამათელო,

**ხონელიძე**:—არა უშავს ილიკო, თუ მოვიგებ მით უკეთესია, ჰა ესეც დუ-შაში და გავათავე ნარდიც. ხუთი პაპიროსი ჩამო, შვილოსა; მეტი არაფერი გშველის.

**ახვლედიანი** (სასამართლოს მდივანი ნარდის რიგში სდგას): მადლობა ღმერთს, თუ გაათავე. ამდენ ხანს გველოდინე, მოდი, არკადი, დავიწყოთ და ვითამაშოთ ლიმონათზე.

ა. **სალუქვაძე** (აგრონომი): შენ რომ წელან სამი ბოთლი ლიმონათი მომიგე, ისმაილ იმას არ შეგარჩენ, ეხლა

**ახვლედიანი**: აბა ვნახოთ ვინ ვის წაართმევს ტყავი. ეხლა მთელ დღეს გეთამაშები და გამიმკვლავდი თუ ბიჭი ხარ. დუბარა, კამათელო!

**სალუქვაძე**: კარგი, კარგი; ბევრს ნუ ტრაბახობ; რაც შვილი ხარ ეხლავე ვნახავ..... იაშუ, კამათელო, თორემ მართლა გამაძრო ტყავი ამ ახვლედიანმა.

**ახვლედიანი**: ჯერ მოიცა, სადა ხარ, ჰა ესეც დუბეში და თამაშიც გავათავე.

**სალუქვაძე**: აბა შენ უბეში კი რა ვქენი, ამდენი წყვილი გაგიგონია?

მ. **ცინცაძე** (ალმ. თავმჯ.-რის მოადგილე): მეჯიდ! მოდი ჩვენ გავაგოროთ, ამ დილით პახმელია არ გადამიკრავს და ერთ ბოთლ ოტკაზედ ვითამაშოთ შოვ!

მ. **ტაკიძე** (მოსამართლე): გავაგოროთ, ჯერ მაინც ადრეა;, გასარჩევი საქმეები პირველ საათზედ მაქვს დანიშნული მანამდე გადაკვრასაც მოვასწრებთ. (თამაშობენ).

მ. **ცინცაძე**... ეს მარსებით მოვიგე.. ბუხგალტერს კვაშალი იქნება ამროსისთან და ერთად დავლიოთ, მას ძალიან უყვარს სმა.

**ხონელიძე**: აბა. დავიწყოთ, ძროხის ექიმო გოგუაძე, ჩვენ პივაზედ ვითამაშოთ, დაწესებულებაში ჯდომა და მუშაობა შეუძლებელია ისე ცხელა.

**გოგუაძე**: დავიწყოთ, რა გვენაღვლება; საქონლის ჭირი ჯერ არ გაჩენილა. უსაქმოთ ვარ და აქ თავი შევიქციო მაინც.. სოფლად მაინც არ დავდივარ იმიტომ რომ გლეხები „პრაგონს“ ვერ იხდიან.

**ხონელიძე**: მაგათების დარდი გაქვს კაცო... ერთი დუ-სე, რაც იქნას იქნას და ნარდსაც მოვიგებ.

**სალუქვაძე**: ისმაილ, წავიდეთ ჩვენ ფრაპი ვითამაშოთ, ესენი დიდხანს არ გააათავებენ, გუშინ რომ 20 მანეთი წავაგე ეხლა უნდა ამოვიგო. ექიმი გრიგოლია და იოსელიანი უკვე გველოდებიან კიდეც.

**ახვლედიანი**: წავიდეთ დღეს სადილის ფული არ მქონდა, კარგია; მოგება უეჭველი მაქვს.

**გლეხი** (აგრონომს): ბატონო, ფუტკარი მყავს გადასაყვანი და როგორ მოვიქცე. აგრეთვე, თუ შეიძლება, ცოტა ბოსტნეულის თესლი მინდა. აქ არ შეგაწუხებდი, მაგრამ სამი საათია პუნქტზე ვიცდი, თქვენ არ მობრძანდით.

**სალუქვაძე**: მე ეხლა არა მცალიან; 3 საათზედ მოდით. ფუტკარის შესახებ, ინსტრუქტორთან მიდი, ეგ საქმე მე არ მეხება, წავიდეთ ისმაილ.

**ბათომელი კავალერისტი.**

ამ სურათზე საუკეთესო წარწერისათვის გამოცხადებულია კონკურსი. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ჯილდო—15 მან., ᲛᲔᲝᲠᲔ—10 ᲛᲐᲜ. მესამე, მეოთხე და მეხუთე—წლის ბოლომდე ჩვენი ჟურნალ-გაზეთი. კონკურსის მიღების უკანასკნელი ვადა—10 ივლისი. შედეგი გამოცხადდება 14 ივლისის №-ში. ავტორებმა უნდა გვაცნობონ სწორი მისამართი და თავისი ვინაობა. კონვერტზე უნდა იყოს წარწერა: „კონკურსისათვის“.

# ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ



# „ტე-ბე-ცე“

ჩემდამი დამოუკიდებელ მიზეზებს უნდა მიეწეროს ის ცვლილებები ჩემს ორგანიზმში, რასაც მდაბიო ენაზე ავადმყოფობა ეწოდება და რაიონულ ექიმის თქმით კი პატოლოგია.

რაკი რაიონის ექიმზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა ვაღიარო, რომ მას სამი მრგვალი დღის განმავლობაში ველოდებოდი მე, ავადმყოფი დაზ-ზღვეული.

## „ტე-ბე-ცე“ მეორე სტადიის

რაიონის ექიმი, თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლოს და ბოლოს მაინც მოვიდა, აქ ექსტრაორდინალური იმდენი არაფერია. მოვიდა, გამსინჯა და პარდაპირ გამომიცხადა, რომ მაქვს „ტე-ბე-ცე“, ანუ ტუბერკულიოზი მეორე სტადიისა.

ადვილი მისახვედრია, რომ ამას ჩემზე არ მოუხდენია მაინცა და მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილება.

რაიონის ექიმმა მითხრა, რომ მომცემს ქაღალდს ჩემი ავადამყოფობის შესახებ; ეს ქაღალდი უნდა მიმეტანა ექიმ -კონსულტანტისათვის, თავის მხრივ, ექიმი-კონსულტანტი მომცემდა მოწმობას, რომელიც დამზღვევ სალაროს საექიმო-საკონტროლო კომისიისათვის უნდა მიმეტანა. პერსპექტივაში გამდიოდა ისე, რომ ეს კომისიაც მომცემდა ბიულეტენს, რომელიც უნდა წამეღო სალაროში ფულის მისაღებათ და შემდეგ წავსულიყავი დასასვენებლათ.

## „ტე-ბე-ცე“ მხოლოდ პირველი სტადიის

როგორც კი წამოვდექი, აღვიჭურვე რაიონის ექიმის მიერ მიცემულ მოწმობით და წაველ ექიმ-კონსულტანტთან. მივდიოდი და მიმქონდა: ტუბერკულიოზი მეორე სტადიისა და სათანადო მოწმობა ამ სნეულების შესახებ.

რაიონულ ამბულატორიაში რომ შევედი, თვალები დამიბნელდა, მაგრამ ეს იყო არა ჩემი სნეულების, არამედ იმ გარემოს მიზეზი, რომელიც სუფევდა ამბულატორიის შენობაში: უზარმაზარი რიგი, ამტვერიანებული დერეფანი და დარბაზი, ელექტრონის მბჟუტავი ლამპები (შუადღისას) და დახუთული ჰაერი, სავსე რეგისტრატორების ისტერიულ ყვირილით.

— ეს კარგია, გული რომ მიწუხს, უფრო ადვილათ დარწმუნდება ექიმი ჩემს ავადმყოფობაში,—გავიფიქრე ილაჯ-მოწყვეტილმა.

არ მახსოვს, რამდენი საათი ველოდებოდი ექიმს. მახსოვს მხოლოდ, რომ ვიღაც მადლიანმა (საიქიო რომ არ მოესპოთ, შეიძლება ცხონებულიყო კიდეც) შემიყვანა ექიმთან.

გადავეცი ქაღალდი.

— გაიხადეთ! ისუნთქეთ! კიდევ, მაგრათ.. დაახველეთ... ისუნთქეთ... დაახველეთ! ისუნთქეთ! ისუნთქეთ! დაახველეთ.., გადაბრუნდით! გადმობრუნდით?

გამოცდილი ფიზკულტურელიც ვერ გაუძლებდა ამდენ ვარჯიშობას, მაგრამ მე გაუძელი. ან კი რა გზა მქონდა სხვა?

— არაფერია,—მითხრა კონსულტანტმა და, ალბათ, ნუგეშისთვის, ისე მაგრათ დამკრა ბეჭზე ხელი, რომ იქვე ჩავიკეცე.—არაფერია, სულ ადრე მორჩებით. ეს არის ტუბერკულიოზი პირველი სტადიის, ასეთი ყველა ჩვენგანს აქვს.

— კი მაგრამ, მეორესიაო?

— დამიჯერეთ, მე რომ გეუბნებით, პირველია და ისიც ახლა იწყება. ასეთ ავადმყოფებს ჩვენ არც კი უგზავნით საკონტროლო კომისიას, მაგრამ თქვენი ხათრისთვის მაინც გაგზავნით.

უსათუოდ უკეთ ვიგრძენი თავი. ქუჩაში რომ გამოვედი. არ ვიცი, ეს იყო სუფთა ჰაერის, თუ ექიმის შთაგონების მიზეზი, მაგრომ თავს უკეთ ვგრძნობდი.

პირველი მოწმობა ჯიბეში მქონდა.

## არავითარი „ტე-ბე-ცე“ მხოლოდ მცირედი სისხლნაკლებობა

მეორე დღეს მე უკვე საექიმო-საკონტროლო კომისიის კარებთან ვიყავი ატუზული.

არ მახსოვს, ვგონებ მეთხმეტედ მე გამომიძახეს.

დარეტიანებული შევედი სინათლით გაჩირაღდნებულ ვრცელ ოთახში, სადაც შვიდიოდე თეთრხალათიანი ექიმი ირეოდა.

ორი მათგანი მე მომიბრუნდა, დანარჩენები მხიარულ ანეკდოტებით ერთობოდენ (მართალი რომ ითქვას, ავადმყოფების მიღება თითქმის გათავებული იყო).

შეიქნა ჩემი სუნთქვა და ზველება. ექიმების თითები ფოქსტროტებს უვლიდენ ჩემს გულ-მკერდსა და ფერდებზე.

— ერუნდა, უბრალო სისხლნაკლებობაა, მეტი არაფერი,—სთქვა ერთმა მათგანმა.

— კი მაგრამ, ტუბერკულიოზიაო?.

—თქვენგან არ მიკვირს? შეგნებული კაცი ხართ, რა გიგავთ თქვენ ქლექიანს!

— მაშ, შვებულებას არ მომცემთ, ავადმყოფობის გამო?

— მოგცემთ, როგორ არა, მხოლოდ ერთი კვირით.

— ხუმრობთ, თუ მართლა?

—რის ხუმრობა, ამხანაგო, აქ სახუმროთ კი არ გვცალია!

მივიღე ერთი კვირის შვებულება, ველოდი ერთი თვისას.

— ეს როგორ არის, ვკითხე ერთ ექიმს, რომელსაც ახლო კავშირი აქვს საექიმო-საკონტროლო კომისიასთან, —თქვენ იძახით, რომ პროფილაქტიკურ მეთოდებს იყენებთ; ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ აფრთხილებთ ავადმყოფებს და თავიდანვე იღებთ ზომებს, რომ ახლად დაწყებული სნეულება არ განვითარდეს...

— მერე?

— მერე და, პროფილაქტიკის პრინციპების მიხედვით, მე უნდა მომცემოდა ერთი თვის შვებულება!

— რას იზამ, გენაცვა... რაიონის ექიმი თუ ამბობს: ჭლექიაო, კონსულტანტმა ექიმმა სისხლნაკლებობათ უნდა გამოიყვანოს, საექიმო კომისიამ კი—ან უბრალო დასუსტებათ, ან გაციებათ, ან საერთო დაღლილობათ..

ასე გატარდა ჩემი მეორე სტადიის ტუბერკულიოზი.

**ტერსისტი.**



— ბატონო ლუკა, ტფილისში ჩემი შვილი ხომ არ გინახავს?

— როგორ არა, „რესტორან-ბალში“ ვნახე.

— დაენაცვლოს იმას მამა. ალბად სუფთა ჰაერზე მეცადინეობს'

**(საშ—გო).**

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ალ. ზაზეევი. (ტფილისი)




— არა გაქვთ სხვა რამე ახალი რომანი? ეს წიგნი რამდენჯერმე მაქვს გადაკითხული, მომბეზრდა მათი კითხვა

დ. მიქაძე (სამტრედია)



— რამ დაგალონათ? მამა რომ მოგიკვდათ, მაშინაც არ ყოფილხართ ასე დამწუხრებული?

— ვეკუას სამიკიტნო დაუკეტიათ.

ჭრ. ქორჩავა (ლანჩხუთი)



— ქალბატონო, რა დროს პუდრია რომ ითხუპნები?!

— კოოპერატივში მივდივარ და თუ არ გავლამაზდი,— ნოქარი საქონელს არ მომცემს.

ჯაფარიძე (ზესტაფონი)



— თუ იცი, რატომ არ ამთავრებენ ამ აბანოს?

— იმიტომ, რომ წვიმის დროს საჭირო წყალი დაგუბდება შიგ.

ნახ. ფეშოს (ტფილისი)



მასწავლებელი:—შე მხეცო, ნადირო შენა?!

მოწ.: მასწავლებელო, აკი ამბობდი, რომ მხეცები და ნადირები ტყეში ცხოვრობენო!

# დეპეშები

სსჯავახო. „ეპო-“ში ახლად მოვლინებულმა ალ. ზამთარაძემ აღმოაჩინა პროტექციონიზმით იშვიათი სარგებლიანობა: წითელ სასადილოში მოხსნა მთელი რიგი შტატის შემადგენლობისა და მის ნაცვლად ჩამოიყვანა თავისი მეზობელი ძმა-ბიჭები, რამაც საგრძნობლათ წინ წაწია წითელი სასადილოს პირობები.

იქიდანვე ამხ.-ბის თავმჯდომარის მოადგილე ი. კინმარიშვილი შეუდგა კვლევა-ძიებას ამავე ამხანაგობის თავმჯდომარის ანტონ შენგელიას აღმოსაჩენათ. როგორც კვლევა-ძიებიდან დასტურდება, შენგელია აღმოუჩენიათ—თავის ეზოში ჩრდილ-ქვეშ სწავლობდა და ფთვისებდა ბიუროკრატიზმის პრინციპებს და მეთოდებს.

იქიდანვე - ვალრღია შენგელიამ, შ. არსენიძემ და შანიძემ აღმოაჩინეს ღემ-საბჭოს თავმჯდომარის ახლად მოწყობილ კაბინეტში ბაღლინჯოები რომლებიც ძილს უფრთხობდენ თავმჯდომარეს.

შემოქმედი (ოზურგეთ. მაზრა) ერთ-ერთმა მასწავლებელმა დაიწყო კვერცხებით ვაჭრობა მოწაფეებში. მოწაფეებისათვის რვეული ღირს ერთი კვერცხი. ამის გამო სოფელში გაძვირდა ბუდეზე კვერცხის შოვნა.

იქიდანვე. ნოქარი ხალამბრე შვებულებაში წავიდა. გლეხები ნატრობენ: —ნეტავი მუდმივ შვებულებაში გაუშვებდენო!

იქიდანვე. სამკითხველოში გაიხსნა მუსიკალური სკოლა, სადაც ასწავლიან სიმღერასა და ცეკვას.

ფერია

# ჯოჯოხეთის კუთხე

## ვის აქვს მუშის შური,— ავუწიოთ ყური.

შეგირდსა და ოსტატს შორის შუღლი წინედაც ყოფილა. მაგ. მცხეთის ტაძრის კედელზე გამოხატულია მოჭრილი ხელი. როგორც გადმოცემა ამბობს, ეს ხელი ეკუთვნის იმ შეგირდს, რომელიც მუშაობდა ამ ტაძრის აშენებაზე და რომელსაც თავისი ოსტატისათვის უმჯობნებია. —

ხალხში ლექსიც არის ამის შესახებ:
**„ხე-კორძულას წყალი მისვამს,**
**მცხეთა ისე ამიგია;** —
**დამიჭირეს, ხელი მომჭრეს,**
**რატომ კარგი აგიგია".** —

ამისი მსგავსი ამბები ეხლაც ბევრი ხდება. მაგალითისათვის ავიღოთ, თუ გინდ, ჭიათურის მთავარი სახელოსნოს გამგის მადერისა და ზეინკალ **ჩიხლაძის** ამბავი::

**„მადერმა სამუშაოდან მოხსნა ზეინკალი ჩიხლაძე, რომელმაც თავისი გამოგონებით და ოსტატობით აჯობა მას".** — **(შაკო).**

ალბად მოქალაქე მადერი მაშინდელი და ეხლანდელ დროს შორის განსხვავებას ვერ ნახულობს. საჭიროა, სათანადო ორგანოებმა ეს განსხვავება დაანახოს მას.

## ხერხი სჯობია ღონესო, მელიტონ მოიგონებსო.

**— თუ თავი ჩემი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები",—გაიფიქრა მელიტონ ბრეგვაძემ (ჭიათურა) და დაუმატა: „მაგრამ ხერხი არ გამწირავს კაცს წმენდისგან განაწირსა"... „კაცს ჩიხიდან გამოიყვანს ხერხი ჭკუით მონაგონი".** — **(ბზიკაძე).**

რა გაჭირვება დაადგა, ნეტა, მელიტონს ისეთი, რომ ასე „ჩავარდა საგონებელში, ვითა კამეჩი ლაფშია"?

ცხადია, სხვა არაფერი, თუ არა—წმენდა, პარტწმენდა. —

ეგებ ზოგიერთებს, ვინც შორიდან იცნობენ, კიდევ გაუკვირდეს: სად მელიტონ, დიდი კულაკის შვილი, და სად პარტწმენდა!? პარტწმენდა მხოლოდ პარტიულებს ეხება?. —

დიახ, პარტიულებს ეხება, და მელიტონსაც, რადგან მელიტონ კომპარტიის წევრია.

ლაიწყო წმენდა თუ არა, მელიტონ „გამოეყო" თავისს მამას და „წაიღო" თავისი წილი. მაგრამ... აი, აქ არის არითმეტიკისა და მათემატიკის რაღაც ახირებული და საოცარი თვისება.

ერთი, რომ შუაზე გავყოთ, მივიღებთ ნახევარს (ორს), მაგრამ, მელიტონის გაყოფით, ასე არ მოხდა. თურმე ერთი კულაკი (მამა), რომ შუაზე გავყოთ, მივიღებთ ორს (მამა და შვილი) კულაკს.

რომ ეს გამოანგარიშება სწორია, ამის შესამოწმებლად ისე შევაჯამოთ მელიტონის და მისი მამის ქონება, გამოვა ისევ უწინდელი რაოდენობა, რომელიც სინამდვილეში არც ეხალა გაყოფილი მამასა და შვილს შორის.

ჰო-და, ასეთი გაყოფის შემდეგ, მელიტონ ბრეგვაძემ თავი წუდში იგრძნო და სთქვა, (რასაკვირველია თავისთვის): „გაჭირვება მანახვე და ოინების გამოგონება მე მკითხე"-ო. —

ვინ იცის, მელიტონ რომ ინჟინერი ყოფილიყო, თავისი გამოგონებებით ტეხნიკაში გადატრიალებას მოახდენდა.

## სწამს მას რჯული, ღმერთი.. უყვარს ოცდა-ერთი.

შემომქმედის (ოზურგ. მაზრ.) ფოსტის გამგეს ალექსანდრეს წაკითხული ჰქონდა სამსახურში: **„...და იყავთ მუდამ მზათა, რამეთუ არვინ უწყის ჟამნი მოსვლისა მისისა".** —

მაგრამ ერთ (მისთვის) უბედურს (და არა მშვენიერს) დღეს მოულოდნელად თავს დაესხა რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა, რომ:

**რვაასი მანეთი აკლია სალაროს.** **(ფერია).**

— დიაღ, აკლია რვაასი მანეთი. მე ისეთი უსინდისო კაცი არა ვარ, რომ ვიუარო ეს ფაქტი, როგორც ამას ახეები იზამდენ ჩემს ადგილზე!—ამბობს ფოსტის გამგე ალექსანდრე. —

— ხომ იცით გაფლანგვისათვის რა სასტიკ პასუხს აგებთ?—ეუბნება მას რევიზიის წევრი.

— უკაცრავად, მაგრამ აქ გაფლანგავს ადგილი არა აქვს. თქვენ არ გესმით—რა არის გაფლანგვა. მე გამფლანგველი მაშინ ვიქნებოდი, რომ ეს ფული შემეჭამა, ან იმით რაიმე შემეძინა სახლში. არაფერს ამის მსგავს ადგილი არ ჰქონებია. ეს ფული მე **„ოცდა-ერთში"** წავაგე, სხვამ მოიგო. ღმერთი, რჯული ეს ასეა სინდისს და პატიოსნებას გეფიცებით.

— ეს 800 მანეთი უნდა გადაიხადოთ!

— სადა მაქვს რომ გადვიხადო? მომეცით სათამაშო ფული, დავჯდები, კიდევ ვითამაშებ და თუ ამოვიგე წაგებული, დიდი სიამოვნებით გადვიხდი; მე ისეთი უსინდისო არა ვარ, რომ ვალი არ გადავიხადო,

მაგრამ რევიზიას არ მიუღია ალექსანდრეს წინადადება და მოუხსნია სამსახურიდან; თანაც ვალის გადახდა დაუვალებია.

## „ეპო"-ს კოოპერატივი გაცურდება ვით ტივი.

**„კოოპერაციაში ფართო მასების ჩაბმა",** აი ეს ლოზუნგი „მცირე შესწორებით" და თავისებური გაგებით სავსებით გატარებულია ნატანების კოოპერატივში.

ბესარიონ ნადირაძე—ამ კოოპერატივის ბატონ-პატრონი, ასე მსჯელობს:—ჯერ, უწინარეს ყოვლისა **ჩვენ უნდა ჩავაბათ კოოპერატივში თავისიანები; რომლებსაც მიჰბაძავენ სხვები!**

და მართლაც გადავხედოთ შტატის შემადგენლობას::
მთავარი ბუჰალტერი—ვასო დოლიძე;
უფროსი ნოქარი—ვანო ცერცვაძე (დოლიძის სიძე).
მოანგარიშე—გერასიმე თავაძე (ცერცვაძის დისწული).
საწყობის გამგე—ტულუში (თავაძის სიძე).

— **(ბრიალი).**

სწორედ ამის გამოა, რომ **„საეჭვო ხმები"**, რომელიც სოფელს ედება, თითქოს ჭორია და სხვა არაფერი. თუმცა, ეს არ არის გასაკვირი, რადგან გამგეს ორი ცოლი ჰყავს სარჩენი).

ბესარიონს აზრის დაკვეთა ჰქონებია მიცემული. აზრაზე, რომელსაც გამოჰკიდეს ნატანების კოოპერატივზე, თურმე ასეთი წარწერა იქნება::

**ნატანების კოოპერატივი**
**„ჩვენი ოჯახი"**

და მართლაც შესაფერისი სახელწოდება იქნება.

— ამ „ჩვენს ოჯახში" გაერთიანდება რამდენიმე ჩვენიანების ოჯახი და შევქმნით ნამდვილ „კომუნა"-ს! — განზრახვა აქვს ბესარიონს, და კიდეც შეასრულებს, **თუ** ხელი არ შეუშალა მუშგლეხინმა.

# მოსაზრებით



— კაცო, შენ აგერ 21 წლისა ხარ და რატომ ამდენხანს არ ჩაეწერე კომკავშირში?

— მე ეხლა მჭირდება, წრეულს უნივერსიტეტში ვაპირებ შესვლას.

(საპ-გო.

# მოქნილი იაგორი

ჩვენ იაგორ წარსულში იაგორ ღვთით ყველასაგან ქებული,
მძლეთა მძლე კაცი პორტფელით, ტურფად ყელმოღერებული.—
მოსაპრთლი და მოწყალე პროფკავშირს შემორჩეული
მაგრამ ჩამწარდა ფულები კასიდან აცოცებული.
შემდეგ თავმჯდომარედ გვევლინის საჩხერეს იაგორია,
რა გაიჭირა დივანში, ეგერ ბატონი ჰგონია.
თავადებმა დაუძმობილდა, მათი ტოლი და სწორია,
ქეიფით გადაიარეს მინდორ-ველ-მთა და გორია.
რომ მიაბძანეს აქედან ტფილისს ამოჰყო თავიო
მიჩქმალ-მოჩქმალა საჩხერის საქმენი თვისი შავია,
კვლავ პარტბილეთი მოიგდო, გამართა ხელი-მკლავია,
პოლიციაში ისევ ჰქნა საქმე ძველებურ ავია.
აქედან „მიბრძანებული" ვინ იცის სად არ გორავდა,
სიონზე კამფეტ-ფაბრიკის ეწყობა დირექტორადა
აქაც ატარებს „თავის ხაზს" იაგორ ზუსტად, სწორადა,
მალა „კეთილი ცხოვრების" ეზრდება ერთი ორადა.
როგორც კამფეტი, მისი ცხოვრება მართლაც ტკბილია.
რა არ ჰქნა, მაგრამ იმისთვის ადგილი ყველგან თბილია
მხოლოდ ამ წმენდამ ეხლახან მგონი დაუფრთხო ძილია.
ვა, თუ იაგორს პარტწმენდამ უსინჯა თეთრი კბილია?

მალაროელი მუშა.

—

# მიწერ-მოწერა

## —წერილი

გამარჯობა ჩემო კარგო ტრიფონ!

არ იფიქრო, თითქოს დაგივიწყე. შენ ამას ჩემ დღეში ვერ გადავიხდი. შენი წყალობა ჩემთვის ღვთის წყალობაზე უკეთესი იყო ყოველთვის. გახსოვს მოანგარიშის ადგილი გთხოვე და შენ ბუღალტრად დამნიშნე? თუმცა ერთი კარგი სადილი კი გაგიმართე (პირველი თავის ჯამაგირი, რომ იმსხვერპლა), მაგრამ არა უშავს რა.

მე არა მიშავს ამ აგარაზე. მაგრამ შემაწუხეს კაცო აქ ექიმებმა. ოჯახდასაქცევს ამ ექიმს (ჩემი ცოლის ნათლიის ცოლს) მგონი ჭლექის ნიშნებიც ჩაუწერია და კინაღამ დავიღუპე კაცი. ყველა ის კომბინაციები, რომლის წყალობითაც აქ ამოვყავი თავი, რომ გაეგოთ, ხომ დავიღუპებოდი: მასმევენ და მასმევენ წამლებს. კი მეზიზღება, მაგრამ უარს ვერ ივტყვი. დამღუპა კაცო მაგ ექიმმა. (საკვირველია, საიდან აღმოაჩინა ჩემში ჭლექის ნიშნები, როდესაც ერთხელაც არ დაუმცხიკვებია რიგს გარეშე!).

ცოტა „უხოში" ხალხში ვარ—სულ მუშებია, კაცო (ცოდვა არ არის შენ მანდ ისრაკებოდე სიცხეში და ესენი აქ იყვნენ!) ერთი ხეირიან რამეზე არ დაგიწყებენ ლაპარაკს, სულ ქარხანა და ფაბრიკაზე ლაპარაკობენ.

ამოირბინე ერთი-ორი დღე და ერთი შენებურად იაპონიის მამალივით ჩაერიე ქალებში. (ოხოხო, რომ იცოდე, როგორებია? ნეტა ჩვენ დაწესებულებაშიც ასეთი ხასიათის ქალები იყვნენ) ვერ ვისვენებ, კაცო ვერა იმათი შემყურე.

### პასუხი:

კმარა რაც სხვისი ვირი ვიყავი. აწი აღარ შევცდები. (თუმცა არც აქამდის მოგიტყუვდებოდი უმაყარიჩოთ არაფერს გავაკეთებდი), მაგრამ აწი ვიღას რად უნდივარ!..

რატომ არ გამიწყრა ღმერთი, როცა შენ ბუღალტრად დაგნიშნე. ყველა ცოდვებს ესეც მოემატა და თან წაიღო ჩემი სამსახური.

ისე დაგეწყო თავზე თმა, შენ აქ ბუღალტერია დაგიწყვია. ეშმაკიც ვერაფერს გაიგებს ისე აგიფორიაქებია საქმე.

ბიჭო, რა ღმერთი გაგიწყრა! ექვსი თვე ეგდევი საბუღალტერო კურსებზე და ჩოთქზე ანგარიში მაინც ვერ ისწავლე? ვაი შენს პატრონს!

ქალების დევნას ის გირჩევნია, სამსახურს სდიო. არ გაგიწყრეს ღმერთი და ბუღალტრად არ დადგე. ცოლი მისთანა ლამაზი გყავს, ძმაო, რომ, რა გიჭირს, სამსახურის შოვა არ გაგიჭირდება.

ძგმუნტი.

# ჩვენი კლუბი

სადგ. გურჯაანი

ჩვენო კლუბო, ბედი არ გიწერია
უბილეთო ხალხი შენი მტერია.
ერთ კვირაში ექვსჯერ უშვებ კინოსა
და მოგება ალბად მიაქვს ღვინოსა.
შენი ფული ნეტა ვის უჭამია.
შეკეთება არ გეღირსა, ძამია.
ფიზკულტურა, სიმღერა და ჭადრაკი —
ზღაპარია, მოჩვენება, არაკი.
ბილიარდის მუდამ არის თამაში,
ვერ გაჯობებს სხვა ვერავინ ამაში....
ო, შე კლუბო უბედურო შენაო,
ჩამოგენგრა სახურავი, სცენაო.

მახათი.

# გრძელდება ხელისმოწერა

# ივლისისათვის

მასიურ მუშურ გაზ. **მუშა**-ზე

**გაზეთი ღირს თვეში 50 კაპ.**

## ყოველკვირეულ იუმორისტულ

ჟურნალ **ტარტაროზი**-ს

## დამატებით 70 კაპ.

ტფილისში ხელისმოწერა მიიღება გაზ. „მუშა“-ს

## მთავარ კანტორაში

ჯორჯიაშვილის ქ. № 6—ადგილობრივად

პროვინციებში გაზეთზე ხელისმოწერას აწარმოებენ:

**განყოფილებები,**

**რწმუნებულები**

**და ფოსტა.**

იზრუნეთ გაზეთის დროზე ხელისმოწერისათვის.

# ცნობათა მიღება

ჩელ ჩიბუხს (ქუთაისი). გვწერთ:
ყველა კავშირებში შემოღებულია დილა-საღამოს ობა, რისთვისაც მუშა-მოსამსახურეებს ოთხჯერ უხ- სამსახურში მისვლა-მოსვლა".
ის შესახებ გვიგზავნით კარიკატურას, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს:
კავშირის ფულის მახეო, ხშირ-ხშირადა გნახეო,
ფეხსაცმელი შემომეხა, ქე მაინც მომინახეო.
ვაიმე, ჩემო ბატინკა!—
თქვენ გადაშლით „ტარტაროზი"-ს 33 №-ს (1926 , 24 ივნისი), მის პირველს გვერდზე ნახავთ ამავე ცმელს:



თუ ამ ხნის განმავ-ლაში ეს ფეხსაცმელი დარჩა, რომ ისევ ახლად აწოიყურება? მართალია, ვენ სწერთ: ფეხსაცმე- „შემომეხა". მაგრამ ფეხ-ცმელს რომ არაფერი ამ-ევია? „შემოხეული" კი რა, სრულიად ახალი ფეხ-აცმელია.

გარდა ამისა საკვირველი (და სისხლის სამართლის იციის მიერ გამოსარკვევი) ის არის, თუ როგორ და დან აღმოჩნდა ინგლისელ მუშის ფეხსაცმელი მაქაურ ამსახურის ფეხებზე?

რაც შეეხება ამ მოსამსახურეს, რომელიც აქ „მოგი-იათ", ამის შესახებ ჩვენ არაფერს ვიტყვით, გარდა ა, რომ ეს პიროვნებაც „უცაბედად" „ამოღებულია"... რტაროზი"-დან (თუ რომელ ნომრიდან, — თქვენ კარ-იცით).

თქვენ გსურვებიათ ჩვენს ჟურნალში თანამშრომ-ბა. ეს კარგი საქმეა და, გეტყობათ, კიდეც შეძლებთ, ო მოგვაწოდეთ საკუთარი ნახატები.

გ. ლ. ინიციალებით გწერთ თქვენს სახელსა და ს, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაყენოთ. იციალებს ალბად მიხვდებით). წინასიტყვაობაში ასე რთ: თუმცა შინაარსით და რითმით დიდს არაფერს ოადგენს, მაგრამ მე იმდენად მომეწონა, რომ ვთ „ტარტაროზში" დამიბეჭდოთ".

ჩვენ არ გვინდა ხელი გკრათ, როგორც ჩვენთან პი-ლად მოსულს და ვბეჭდავთ შემდეგ სტრიქონებს:

> ივნისია და დღეს ტფილისს
> კვლავ დაეტყო ტფილისობა;
> რომ ვუცქერი ტიტველ ქალებს,
> არ მასვენებს, მახრჩობს გრძნობა.
> რაღაც მომდის, თავბრუ მესხმის
> მე უბედურს, მე საწყალსა.
> რომ არ წავწყდე, წამდაუწუმ
> თავზე ვისხამ ცივ-ცივ წყალსა.

დავბეჭდავდით, მაგრამ თქვენ გამოტყდით, წამოგ-ათ, რომ თქვენ მორწმუნე ყოფილხართ, რადგან გწამთ ყმიენდა - ცხონება.

მართალია, თქვენ ცხონებული ხართ, მაგრამ თქვე-ლექსი ცოდვილი აღმოჩნდა და ამიტომ მიუჩინა მას ტაროზმა ბინა გოდორში. ნუ თუ თავზე წყლის გა-ხმამ ვერ გიშველათ.

ჩიჩხინაძს. კარგი ნიშნებია თუ:

> ხანდახან თავში მაწუხებს,
> — თითქოს გავხდები ფრთოსანი,
> ეს სიპტომია, რომ ჩემში
> —არის ნამდვილი მგოსანი... და ბოლოს პროზით

ვებთ: ვერ დავასრულე, მაგრამ რის თქმაც მინდოდა, ენც მიხვდებით და დასწერთ ჩემს მაგიერ. მუზას გაფ-ა ცოდნია სკვინჩასავით".

რაღა ჩვენ გავაგრძელოთ! დაუცადეთ, მოფრინდე-ბა მუზა და ისევ თქვენ დაასრულეთ თქვენი ლექსი. მის-თვის უკვე მზად არის ცარიელი ადგილი ჩვენს გოდორში.

პონგარელს (ქუთაისი). თანაგრძნობის გამო, ჩვენ სიამოვნებით მოვათავსებდით ჟურნალში იმ ჩერვო-ნეცს, რომელიც თქვენთვის ვიკტორ ანჯაფარიძეს გამო-ურთმევია სამსახურის შოვნის საფასურად, — მაგრამ სად უნდა ვეძიოთ ის? ალბად ქუთაისელ რომელიმე მიკიტანს უდევს დახლში.

ზოსიმე კეთილაძეს, (ქუთაისი.) უცვლელად ვბეჭდავთ თქვენს წერილს:

ამხანახო ტარტაროზო!

მე ვარ უსწავლელი კაცი. ვაჭრობ ქუთაისში ზდა-ნოვიჩის ქუჩაზე პურ - მარილით. მობრძანდებიან ჩემს სა-ვაჭროში მილიციელნი: ჩაფიძე, და ძოძუაშვილი შალიკოები და ჯიჯიკო მიქაძე. მოიყვანებენ ქა-ლებსაც, სვამენ, სჭამენ, ძღებიან, თვრებიან და ფულს კი კაპეიკსაც არ მაძლევენ. აბა, თქვენ იცით, ამხანაგო ტარ-ტაროზო, როგორ კარგად გამოიყვანთ ამ ვაჟბატონებს.

ამაზე უკეთესად „გამოყვანა", როგორც თვითონ თქვენ გაქვს, ფოტოგრაფსაც არ შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ტარტაროზი არასოდეს ყოფილა მიკიტნის ამხანაგი, ეს მაინც ხელს არ უშლის მას „დაიცვას გაჭირ-ვებული მიკიტანი ასეთ მილიციელებისაგან".

ბათლომეს (სამტრედია). მიუხედავად იმისა, რომ თქვენს ნაწარმოებს მართლაც დამახასიათებელი და შინაარსის შესაფერისი სათაური აქვს: „დაუსრულებელი ბოდვა", — ჩვენ მისი დაბეჭდვა მაინც არ შეგვიძლია.



წერილთან ერთად გვიგზავ-ნით საკუთარს სურათსაც და გვთხოვთ:

„აჰა, თქვენ იცით აბა თუ ძმუ-რად მოათავსებთ ჩემს სურათს. თუ წერილების გაშვება არ მო-ხერხდეს, სურათი მაინც მოათავ-სეთ. სამტრედიის საზოგადოებას ძლიერ უყვარვარ; თუ ჩემს სუ-რათს არ მოათავსებთ, ძლიერ ეწ-ყინებათ. (ცნობილი მწერალი ბა-თლომე შენგელია).

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი სურათის მო-თავსება თქვენივე წარწერით, მართლაც-და, ერთგვარ გამოხმაურებას გამოიწვევს სამტრედიის საზოგადოებაში. თქვენს „ცნობილ მწერლობაში" ამიერიდან „ტარტაროზ-საც" თავისი წვლილი მიუძღვის. სალამი ვარდენ ღვანკი-თელისაგან.

ხორხოზას (ყულევი, ფოთი). მივიღეთ თქვენი „დიდი კაცი", რომელშიაც სწერია:

> ჯერ დავიწყებ ქარხკომიდან,
> ისაკია იქ ქარხკომად.
> — სიტყვას ვერვინ გაუბედავს,
> თავი მოაქვს მას ნარკომად.

აქ ორივე შეცდომაში ხართ — თქვენ და ისაკი. „ნარკომი" ისეთივე მოქალაქეა, როგორიც თვითეული ჩვენგანი. მასთან ლაპარაკი ისევე შეიძლება, როგორც ყოველ მოქალაქესთან. თქვენ კი, როგორც სჩანს, ისე წა-რმოგიდგენიათ, თითქოს „სიტყვას ვერვინ გაუბედავს", (ალბად ისაკისაგან შეგექმნათ ასეთი შეხედულება).

ხოსრიკას. ეხლა რომ აქ იყოთ ჩვენს ახლოს, იმ ქალზე ნაკლებ საქმეს არც ჩვენ დაგმართებდით ამ წერი-ლის დაწერისა და გამოგზავნისათვის. აი, მაშინ კი იძღე-რებდით „თავო ჩემო"-ს.

ზაორიბულს (სოფ. კულაში). ძალიან გთხოვთ მოვათავსოთ თქვენი „ჩემი გაპოეტება". ასეთი შემოქმე-დებით არა თუ „ტარტაროზი"-ს თანამშრომელი გახდე-ბით, პოეტობაც კი გაგიჭირდებათ.

# არჩევანი



— აღარ ვიცი საით წავიდე, ავტომობილით ჟენიასთან ჯოჯოხეთში, თუ მატარებლით ქსენიასთან ბორჯომში?! მაგრამ არა,—წავალ ისევ გემით ანაპაში ფენიასთან!

პოლიგრაფ-ტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქ. 68.

ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე

ფასი 10 კაპ.

კვირა 7 ივლისი 1929 წ. № 28 (212)

# „ცილისწამება"



— ოფლში ვიწურები, და ესენი კიდევ გაიძახიან: ჩვენი გამგე ბიუროკრატი და ზარმაცია

# ყალთყალთოზის კალენდარი

## ივლისი 1 ორშაბათი



**1917 წ.** კერენსკიმ გასცა ბრძანება, შეტევაზე გადასვლის შესახებ.

**1918 წ.** კი მოკავშირეებმა გადმოსხეს თავიანთ დესანტი მურმანსკში.

არსებითად ეს ორი სამხედრო, აქტი მიმართული არის ბოლშევიკების ანუ საბოლოო ანგარიშით—საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ. როგორც მიზანი, ისე შედეგი ამ ორი შემოტევისა თითქმის ერთი და იგივე იყო. კერენსკის შეტევა დამთავრდა მარცხით და დასავლეთ დვინაზე თუ ფრონტის სხვა ადგილებში, რასაც შედეგათ მოჰყვა წყალ-წაღებულ კერენსკის მიერ, ხავსის მაგივრად, წვიმის წყლის სადენ მილისათვის მოჭიდება, რითაც ცნობილი შასაფერისანდაზა შეიცვალა ასე: **წყალ-წაღებული. წყლის სადენ მილს ეწიდებოდაო.**

## ივლისი 2 სამშაბათი



**1906 წ.** პირველმა სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

სათათბირო და თათბირი რომ კაი საქმეა, ამას ჩვენ გვიმტკიცებს თუნდაც მეთორმეტე საუკუნის შესანიშნავი ძეგლი—„ვეფხის ტყაოსანი“ სადაც პოემის სხვა თავთა შორის მოხსენებულია აგრეთვე: „თათბირი ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილისა“, ქაჯეთის ციხეს რომ მიადგენ ასაღებათ; თათბირი რჩევაა, კარგი თქმა, რომელსაც კარგი გამგონეც უნდა. ხოლო ამ შემთხვევაში თვითონ სახელწოდება —„სახელმწიფო“ ნათლად არჩევდა, რომ ყოველი რჩევა, ყოველი კარგის თქმა ხელმწიფისათვის ამაო იყო.

## ივლისი 3 ოთხშაბათი



**1908 წ.** რევოლიუციის დაწყება ოსმალეთში. ყოფილი მეფის რუსეთი, დიდი რუსეთის იმპერია და ოსმალეთის სახონთქრო ერთმანეთისა მუდამ დიდი მოცილენი და მოქიშპენი იყვნენ. მაგრამ მიუხედავად ასეთი ქიშპის და ჯიბრისა, რევოლიუციის დაწყებაში მაინც საკამოდ ჩამორჩა ოსმალეთი მეფის რუსეთს თვითონ მეფობის მოსპობის საქმეშიაც. ერთში კი მუდამ წინ უსწრებდა იგი რუსეთს: მაშინ, როცა რუსეთის თვითმპყრობელს თვითმპყრობელი კი ერქვა, მაგრამ ერთად ერთი თავისი ცოლი მაინც ვერ აელაგმა, ოსმალეთის თვითმპყრობელს ათობით ცოლები ელაგა ჰარამხანაში, მაღრამ ერთის ხმაც კი არ ისმოდა იმათი იქიდან.

## ივლისი 4 ხუთშაბათი

**1776 წ.** ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ამბობენ: „ჰოტენტოტები უკანასკნელი ხალხია დედამიწის ზურგზე. თურმე ნუ იტყვით, ჰოტენტოტი იძებს: „როცა მე ვიტაცებ სხვის ცოლს ეს კარგია, ხოლო, როცა ჩემს ცოლს იტაცებენ, ეს კი ვერ არის კარგი“-ო, მერე? რა არის აქ ცუდი ან რისთვის უნდა იყვენ ამ უბრალო ჭეშმარიტების გულისათვის ჰოტენტოტები უკანასკნელი ხალხი დედამიწის ზურგზე! აი, ბატონებო, შეერთებული შტატები, ყოვლად პატიოსანი მაკლერების, ჩარჩების და სპეკულიანტების ქვეყანა! თითქმის ორი საუკუნეა რაც თავისთვის დამოუკიდებლობა გამოიცხადეს. ახლა გეკითხებით მე თქვენ: უნდათ თუ არა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს სხვების დამოუკიდებლობა, თუნდაც იმავე ჰოტენტოტებისა?—არასოდეს!..



## ივლისი 5 პარასკევი



**1924 წ.** კომინტერნის მანიფესტი იმპერიალისტური ომის შესახებ.

თქვენ რომ გზაში შეაჩეროთ რომელიმე იმპერიალისტი, თუნდაც ისეთი პატარა, როგორიც ნოე რამიშვილია, და შეეკითხოთ შესახებ საბჭოთა რუსეთისა, სადაც ამ ჟამად კომინტერნი აწყობს თავის სხდომებს და სწერს თავის მანიფესტებს, იგი, ე. ი. იმპერიალისტი მაშინვე ხელფეხს გაასავსავებს და წამოიძახებს: „ვინა? საბჭოთა რუსეთი? ეს წითელი იმპერიალიზმი“-ო?! მაგრამ, აბა, შეეცადეთ და იმავე იმპერიალფობს თქვენ სიტყვა ჩამოუგდეთ იმპერიალისტური ომის წინაამდეგ; თუნდაც ამ ომისათვის იარაღებისა და შეიარაღების მოსპობის შესახებ. იგი ქვას შეაგდებს მაღლა და ქვეშაც თავს შეუშვერს... მაგრამ არ გაბრიყვდე და არ იფიქრო, რომ შეუშვერს თავის საკუთარ თავს, არამედ იგი ამ შემთხვევაშიაც როგორც ყოველთვის, შეეცდება „გამოიყენოს“ საქმეში ისევ საბრალო თქვენი თავი.

## ივლისი 6 შაბათი





### კოოპერაციის დღე

**1923 წ.** კოოპერაციის საერთაშორისო გაერთიანების — „ალიანსის“ აღმასრულებელმა ორგანომ დაადგინა, რათა შემოღებულ ყოფილიყო კოოპერაციის ყოველ წლიურ დღეთ ყოველი ივლისის პირველი შაბათი.

თუ ისტორია რამეში გამოსადეგია —ეგრედწოდებული—„ძველი აღთქმა“—მაშინ, უნდა დავერწმუნოთ ამ აღთქმის ლაყბობას რომ შაბათი შრომისა და შემოქმედების დასაწყისად კი არა, დასასრულ დღეთ არის მისაჩნევი, ვინაიდან სწორედ ამ დღეს შეისვენა ღმერთმა „ყოველთა საქმეთა თვისთაგან“. ისტორია ამართლებს ახლა სწორედ ამ არჩევანს: დღე, როცა გამოაშკარავდა ღმერთის არა „ზღაპრული დაღლა“, არამედ მისი სრული უმოქმედობა, მისი სრული არარაობა და ფიქტიურობა, სწორედ ეს დღე-შაბათი გამოდგება კოოპერაციის საერთაშორისო დღეთ.

# ადვილი გამოცანა



— ანთიმოსე, რას გწერს გრიშა ქალაქიდან?
— რა ვიცი რა... ორი თვის წინეთ მწერდა: შემოსავალი ბევრი მაქვსი... ეხლა კი გამსახლიდან ვღებულობ წერილებს. (სავ—გო.

## „ნუ დასცინი სხვასაო გადახდება თავსაო“

### კრილოვისებური

ერთ მოლარეს ალმოუჩნდა
სალაროში დანაკლისი.
(მის ხამხაჩურს რევიზიამ
წაუკითხა პარაკლისი).
ვერ უშველეს „საბუთებმა“,
გადაეცა სასამართლოს.
(თუ კი კაცი მართალია,
დეე, თავი იქ იმართლოს).
დაფაცურობს, ცდილობს, უნდა
ამ საქმიდან გამოძრომა.
(ვმ! არ იცის, რომ ჩაუვლის
მას ამაოდ ცდა და შრომა).

ის ესტუმრა ნაცნობ გამგეს
(კაბინეტში იჯდა მარტო).
მოიგონეს: „ელდორადო“,
ქალები და ბალი „არტო“.
გამგემ უთხრა საყვედურით
და მოლარეს მან დასცინა:
„შენისანა გამფლანგველი
ღმერთმა ყველა შეარცხვინა!
კაცო, როგორ მოგივიდა
რომ ჩავარდი, ვერ გაძვერი?!
ასე როგორ დაიბენი
გამფლანგველი ძველის-ძველი?!
მელა უნდა იყო ჭკუით,
ჭამით მადით—დათვი, მგელი.
ფრთხილად უნდა იყო მუდამ
და იცოდე, სად რა ძევს.
მე არადროს ჩავარდები,
მაქვს მიდგომა და უნარი,
მათაც გონიათ თითქოს ვიყო
ერთგული და უწყინარი.

ეს რომ უთხრა, ამ დროს უცბად
შემოვიდა მუშგლეხინი.
დაიჭირეს და... ჩვენს გამგეს
შეეცვალა პირად ლხინი.

ზმუკი.

# თხოვნა ყოვლის შემძლე ძია ტარტაროზისადმი

დამთურგნელო ქვეყანასა ზედა: რევვენისა, მფლანგველისა, ბიუროკრატისა, ნეპმანისა, კულაკისა, ავაზაკისა და სხვათა ბოროტებისა, ძია ტარტაროზ!

თხოვნა ესე არის დამადასტურებელი სიმართლისა და მიაპყარ ყური, ვითარცა საჭიროდ სცნა. ალილუა. ამინ.

ესე ჩემი თხოვნაა, რათა წაუსოთ ქონი ვაჭრებისა ჩანგალსა თქვენსა და მიადგეთ მას კანტორასა დეპოსა ტფილისისასა. იქ იხილავთ ასულსა მას სანიკიძისასა, თანამდებობითა მისითა მოანგარიშისა და, შეამჩნევთ მას მაგიდასთან რიგსა მწყობრსა მუშებისასა, ლოდინითა ასულისასა დამვავებულებს, ვითარცა წნილსა ბოჭკასა შინა. ხოლო ასული ესე იმ ყოფობოდეს ოთახსა გვერდისასა და შეჭამცოდეს მუსაიფსა მას მეცნიერებასა შინა ლორიგან დუხსა ზედა. ალილუია. ამინ.

ოდეს ეს ასული იქმნას მოთუგვნილი ჩანგლითა თქვენითა, იქვე იხილავთ ასულსა მას შენგელიასა, თანამდებობითა მისითა მემანქანისა. (არა ორთქლმავალისა, არამედ რემინგტონისა) და შერისხეთ იგი, რათა შესწყვიტოს ბეჭდვა ლექსებისა და ქმნას ანუ ბეჭდოს ის, რაიცა იყოს საჭირო დეპოსა შინა.

შემდეგ ამათა მოევლინე ასულსა მას კუდუხაშვილისასა და უთხარით: შვებულებასა შინა დღესვე წასვლა მომიხთების და ბილეთი მიმოსვლისა დღესვე იქმნას დამზადებული მარჯვენითა თქვენისათ და თუ მიიღოთ პასუხი ესე ჩვეულებრივითა მისითა ენისათა: „დღისა ხუთისა შემდეგისა იქმნებისა,“—ალაპყრე ესე ჩანგალი მასზედა. ამინ.

არ გამორჩეს თვალსა თქვენსა ჰაბუკი ესე ჩუტკარიშვილისა, თანამდებობითა მისითა დამრიგებელისა საანგარიშო წიგნაკებისა, და იხილავთ მას ფანჯარასთან რიგსა მწყობრსა მუშისასა, რომელთაც იგი უმასპინძლდებოდეს გინებითა დედისათა. რამეთუ იქმნას ესე გვამი წაყვანილი საავადმყოფოსა მას ფსიხიატრისასა, ეგებ განიკურნოს სნეულებითა მისითა.

ოდეს ესე ნადირობა მოათაოთ დეპოსა შინა, გაემართეთ სასადილოსა მას სერგუასა ზედა, რომელი იგი იმყოფებოდეს ახლო მანძილსა სადგურისა ტფილისისა. შიგ იხილავთ რკინისგზელებს პროფესიითა: მემანქანისა, თანაშემწისა, გამზეთავისა, გამცილებლისა და სხვათა თანამდებობისა მისითა, რომელნიცა ნამუშევარსა კვირისასა ოთხისასა იქ სტოვებენ ერთსა დღესა და ბრუნდებიან უკაპიკოდ შინისაკენ. რამეთუ არა იციან რასა სჩადიან ბოროტებითა მისითა, მოავლინე რისხვა შენი გოგირასა მათსა, ეგებ შემდეგში მაინც მოეგონ ჭკუასა შინა. ალილუია ამინ და კირიელეისონ.

კოჩოლა სატირიკოსი.

# შურუმ-ბურუმ

პარმენს სოფლიდან ბიძაშვილის სიდედრი ესტუმრა თავისი ქალიშვილით.

ექიმებმა უარი უთხრეს თვალის მორჩენაზე: უკვე გვიანია, თვალი დაბრუციანებულიაო. არც ამოვარდნილ ფეხის გასწორება შეიძლება, რადგან გატეხილი ძვალი უკვე შეზრდილიაო.

დედა და შვილს, ეფროსინესა და მაშიკოს, ქალაქი მოეწონათ.

— ქვეყანა გიცნობს პარმენ და, ეს ჩემი მაშიკო თუ აქ არ გამათხოვებინე ვინმე ხეირიან კაცზე, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი; არ მოვიცვლი შენ არ მომიკვდე და მე არ მოგიკვდე:—კატეგორიულად განუცხადა ეფროსინემ მასპინძელს.

ჩავარდა პარმენი გასაჭირში. აქედან ცოლმა დაუწყო ჩხუბი.

ეფროსინე არ ხუმრობდა—სოფელში აღარ აპირებდა დაბრუნებას.

— ეგერ რომ კაცი მიდის, ხშირად ვხედავ მას, მუდამ ნაირნაირი ტანსაცმელი აცვია. დღეს რომ ეს აცვია, ზვალ ის. ვინ არის ნეტა? ვინცხა არის სადღაც აქ უნდა ცხოვრობდეს ახლოს. ხედავ: მკლავზე კიდევ აქვს ტანსაცმელი „ზაპასად“ გადაკიდებული!—დაანახვა ეფროსინემ პარმენს მეძველე, რომელსაც პარმენი კარგად იცნობდა.

მაშინვე გაუელვა პარმენს: ეგებ როგორმე მოვიშორო ეს აკვიატებული სტუმრებიო და ეფროსინეს შეეკითხა:

— სასიძოთ ხომ არ მოგწონს?

— რავა არ მომწონს, თუ კი კაცი მიუდგება. ამას წინედ დავინახე ქუჩაში: ისეთ მშვენიერ სახლიდან გამოდიოდა და ხელში პალტო ეჭირა, რომ პირდაპირ ჩადვირიე ქალი. რამდენი ნაცნობი ჰყოლია! ყველგან უძახდენ და თამამად შედიოდა სახლში. მართალია, ჩემი მაშიკო კოჭლია ახლა, მარა უწინ ხომ არ იყო? ეს კოჭლობა კიდეც შვენის, ასე გეგონება: ცეკვავსო. თვალი-ჯრაფერია. ერთი თვალითაც ყველაფერს ხედავს, ისეთი კაი თვალი აქვს...

—:—

მალე მოხდა სასიძოს გაცნობა.

—...მაგრამ მაინც არა უშავს. ძველი ქონებიდან იმდენი მაინც კი შემრჩა, რომ სიცოცხლეში ყველაფერით თავზე საყრელად მეყოფა!—ტრაბახობდა სასიძო.

მეძველე დღეში სამ-ოთხჯერ მოდიოდა საცოლესთან და—ყოველთვის სხვადასხვა ტანსაცმელში. თანაც რამდენიმე ტანსაცმელი მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული.

— დედა, რამდენი ტანსაცმელი ჰქონებია!—უკვირდა მაშიკოს.

— ბედი მოგვივიდა, შვილო, ბედი! ბედნიერ ვარსკლავზე ყოფილხარ დაბადებული, შვილო, ბედნიერ ვარსკლავზე! —უხაროდა ეფროსინეს.

— ახირებული ამინდებია წელს,—დინჯად იტყოდა სასიძო.—ყოველნაირ ამინდის შესაფერისი ტანისამოსის ტარება გიხდება კაცს.

— ვისაც არა აქვს, მან იკითხოს, თორემ შენ რა გიჭირს!—ეტყოდა ეფროსინე და დაუმატებდა:—მოკლე კი მოსულია „პარტნოის“ ეს შარვალი, მარა საქონელი კაია!

— ეხლა ასეთი მოდაა!—მიუგებდა მეძველე და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი, მუცელს იწევდა, ჩაისუნთქავდა, რომ შარვალი ძირს ჩაშვებულიყო.

მეორე დღეს ნაყიდ ხარა-ხურაში ამოარჩევდა გრძელ შარვალს და ჩაიცვამდა.

— ეს კი გრძელია მეტის-მეტად!—ისევ გააკრიტიკებდა ეფროსინე.

— ასეთი მოდა არის ეხლა პარიზში!—მიუგებდა სასიძო და ჩუმად შარვალს ზევით იწევდა, ხოლო აწეული შარვალი რომ არ დაშვებულიყო ისევ ძირს, ძალზე იბერებოდა.

საქმე მოეწყო.

დაქორწინდენ.

ეფროსინე სოფელში დაბრუნდა და მეზობლებში ასე ლაპარაკობს:

— ისეთ კაცს მივათხოვე ჩემი მაშიკო, რომ დღეში სამჯერ იცვლის ტანსაცმელს. ისე მიეწონათ ქალაქელებს ჩემი მაშიკო, რომ ხელში მეცენ და გამომტაცეს ხელიდან.

— შეც წავიყვან იმ დალოცვილ ქალაქში ჩემს
— ფენიას,
— ნინიკოს,
— მართას,
— ელენეს,
— მაშოს,
— ბაბალეს!—ამბობდენ სოფლის დედაკაცები და იგონებენ—თუ ვინა ჰყავთ ქალაქში ნათესავი, რომ ესტუმრონ და ქალიშვილი გაათხოვონ.

ჯფთარი.

## „იკით-აკეთ“

ჯერ ნუ გაიკვირვებთ, ნურც გაეცინებათ „იკით-აკეთ“ ჩვეულებრივი მოვლენაა; ტფილისის რკინის გზის სადგურზე. თუ ყოველ დღე არა, ყოველ კვირა - უქმე დღეებში უამრავი ხალხი მიდის ტფილისიდან სასეირნოთ მახლობელ სადგურებზე, ზაჰესამდე და ზაჰესის იქითაც „იკით-აკეთ“.

ტფილისში პაპანაქება სიცხეს, რომ ვერ გავუძელ, ზაჰესისაკენ გასეირნება გადავწყვიტე.

ჩემდა საიღბლოდ არ დავრჩი შარიტო. ქალთა განყოფილების კურსებიც მიემგზავრება.

შევუერთდი მათ. ბილეთებიც ავგდეთ ხელთ. ზარიც მისცეს და გაუდექით გზას.

— ჰა მიიღე „იკით-აკეთ“! — გამომიწოდა ყვითელი კარტონის ნაჭერი ექსკურსიის ხელმძღვანელმა.

— რა არის „იკით-აკეთ“?




ოი, დაგელოცა რკინის გზის სამმართველოვ, სამართალი, რა გაგიჭირდა ორი სიტყვის მთარგმნელი მოგეძებნა ვინმე და „ტუდა. i ობრატნო“ „იკით-აკეთ“-ით არ გეთარგმნა?!

მაგრამ მაშინ მე ხომ ვერ ვიშოვიდი „ტარტაროზი“-სათვის საკბილოს?

მოდი ტარტაროზო; მე მეშინია, რქები არ მაქვს ჯერ ამოსული. მოდი, ესტუმრე რკინის გზის სამმართველოს. შეანათე შენი ბედნიერი თვალების სხივი სამმართველოს ბიუროკრატიულ კუნჭულებში და ანგელოზები დაუფრთხე აქ დაბუდებულ ბიუროკრატიზმს.

პატარა.

# ოლიმპიადა

ჯერ არც კი გამეგონა,
არც ქონებათ მექონა,
ასე რომ გახმიანდა
რალაც „ოლიმპიადა"!
— კაცო, რა გითქვია და?...
— ქალო, „ოლიმპიადა"!..
— კაცო, მოგიცლია და;;;
— ქალო, დაგვიგვიანდა!...
წამოხტა, დატრიალდა
ჩემი ოლიმპიადა...
ასე ჩემს ცოლს ჰქვიან და
მუშტაიდში რომ მიმყვა,
ცოტა შეგვაგვიანდა.
მებილეთე „კასირი"
ისე იყო ასვრილი,
რომ ბილეთის ფასადა,
რაც არ ქმნილა არსადა,
ვის—ართმევდა სამ შაურს,
ვის — ორჯერ მეტ საზლაურს,
ვის — ათ აშურიანებს...
— საქმე არ იგვიანებს:
თუ მოდიხარ, ჩამოდი;
რადგანაც საღამომდი,
დილიდან დაწყებული,
ვაჭრობა გვაქვს ქებული!..
მის წინ ხალხის კრებული
იყო ჩამწკრივებული,
ოჩერედში მდგომელი,
ბილეთების მდომელი,
ისმენდა და ითმენდა...
ნელ-ნელ ბილეთს იძენდა..;;
აბა, არ შეეძინა?
შინ როგორ დაეძინა?
არ ნახოს, რა ჰქვიან და...
რალაც „ოლიმპიადა"?!..
ჩვენც ვიყიდეთ ბილეთი!
თუ ეს ხალხი — მილეთი,
ზალის კარს რომ აწყდება,
ამ ბილეთში არ სცდება,
მე რალა გამაჩერებს,
ისე რა გამაშტერებს,
რომ საცოდავ მანათის
ველარ გავხდე ჯალათი,
და ის მე დავინანო?!.
ოჰ, დილნანო... დილნანო;;;
არალო და თარალო..;
აჰა, ფული, სალარო!
მომე შენ ბილეთი და...
იგი მე ვიზარალო!..
ან ზარალი რას ჰქვია?
ტანს ხალათი მაცვია,
გატკეცილი ხალათი,
ვით ახალი მანათი!
იგა მე დამეჰმუჭნოს,
შენ არ სჰამო მანამდი....
მიტომ დაგვიგვიანდა,
ჩემმა ოლიმპიადამ
ის რომ გამიუთოვა!...
უთომც კი დრო უშოვა,
ცეცხლს დასჩემდა ვაჭრობა:
ჩაჰქრა ერთი ჩაქრობა
და სიგრილემ მოიცვა...
ქალმა ხელიც მოიწვა
მის კვლავ გაჩაღებაში..;
კარის გდვას და ღებაში
ცოტა მჴვალმაც კი გაჰკრა,
სანამ ცეცხლი კვლავ ჩაჰქრა...

დაილოცოს საათი!
გაუთოვდა ხალათი!
მოვიკაზმე მეცა და...
მაგრამ უნდა მეცადა,
სანამ ოლიმპიადა
გადარდიმანდიანდა
და არ გამოიწკიპა...
გვერდს მომეკრა, ვით ტკიპა,
და გზას გამოვუდექით,
რაღა თქმა უნდა, ფეხით,
საკუთარი ცხენებით,
თუმც საერთოდ — ჰქენებით...
დანარჩენი ქე იცით..;
ბალში დიდი ქეიფით,
სხვებთან ერთად, შეველი,
როგორც ღამის მთეველი,
და მივაწყდით იქითა,
ხალხი რომ თავს იყრიდა...
მივაწყდით და ვაწვებით:
დავიჩხვლიტეთ ქაცვებით,
წვივით, მუხლით, დაწვებით....
მაგრამ მაინც გაშვებით,
არვინ გვიშვებს! ფაშვებით,
მკერდებით თუ ფერდებით,
ვაწვებით და ვჩერდებით, ბით,
ვერც ვჯდებით და ვერც ვდგე-
ვმოძრაობთ და ვღელდებით...
ოჰ, თვალებო, ბნელდებით?!.
ვაი, წყალი და წყალი!..
კაცი, ბავშვი, და ქალი...
სავსეა არე-მარე!
ზოგი სდგას და მთვლემარე
მაინც მისჩერებია,
სადაც სიმღერებია!..
მაგრამ ისმის მღერის ხმა?
არ მოგეცესთ შერისხვა!
რაღაც შორს იქ, სცენაზე,

## ჩვეულებრივი მოვლენა
### ზოგიერთ რკ. გზ. სადგურებზე




არავის გეგონოთ, თითქოს ეს ვაცი თავს იხრჩობდეს, კასრში, (სად არის თავის დასახრჩობი წყალი?) — არა, მას მხოლოდ წყლის დალევა უნდა.

როგორც გამოფენაზე,
აკიწულ-ჩაკიწულად
ხალხი წამოჯგიმულა,
ღვალთა ხედვის სტიმულად,
და ხალხის ზღვას აქეთა,
გადმოსცქერის მკვახეთა!
დგომაა გასაკვირი!
მხოლოთ ზოგჯერ საყვირი
ჰაერს შესძრავს რხევითა,
წესრიგისკენ წვევითა!
წესრიგი კი ასეთი
არის ირგვლივ ნაცვეთი
ვით ზღვა, ქარიშხალითა:
კაცით, ბავშვით, ქალითა,
მათი ხმების ძალითა:
ლა-ლა-ლა-ლა... ლი ლი ლო..;
ამ ხმამ გული წაიღო,
დგომამ კიდევ—ფეხები!
—აქეთ სად ეკვეხები?
ვერა ხედავ, კრებულსა,
ადგილს, დაკავებულსა?,
ზურგი თუ აგექავა?
იქ აკაკი ფალავა,
ღმერთმა დალოცოს გვარად,
ამას არც იმჩნევს არად,
და გასძახის: „წესრიგი!"
სხვა სიტყვით, ესე იგი,
უნდა იდგე დილამდე,
ან ერთ მიძინილამდე
და ისმინო ტკბილადა:
„ოდელა და დილა და"...
„დივლი-დალალიანო"
— ქალო, დალალიანო,
რომ ისწორებ კულულებს,
ხომ უყურებ გურულებს?
ხომ გესმის ხმა იმათი,
კრიმანჭული კვიმატი?!.
— არა არა და არა!!!
თმენამ შუბლი დაღარა!
ფალავ კი ნალარა
ასწია და დალევარა
სასიამო განგაში:
„ხევსურლების თამაში,
აი, ხალხო იწყება!"...
არ ძალმიძს დავიწყება
მე მათი სიმღერების,
ძველის ძველი ძგერების
ფარებით და ხმალებით,
თუმცა ვსჭვრეტდი თვალებით,
ყურს კი არა სწვდებოდა,
რაც სცენაზე ხდებოდა!...
გული კი მიკვდებოდა,
თვალთაც მებნიდებოდა,
სანამ სცენით, საყვირი
კვლავ არ აკივლდებოდა...
მეტყვის ოლიმპიადა:
„აგი „ოლიმპიადა"
ვისთვის მოუწყვიათა?!"
გულზე მხვდება ტყვიათ
მე ეს ქალის შენიშვნა!...
ეჰ, ვინც მე არ შემიშვა
იმ მსმენელთა „კარეში",
რომ სჩანდა ხმების თარეში.
სცენის დასამხარეში,
მენახოს სამარეში
თუ სხვა სიმწუხარეში. ჰაზრა.

# ტრაღედია ტელეფონთან

## (ქუთაისი)

ძერა იშვიათი ნევრებისა და სიმტკიცის ადამიანი იყო. ძერას სხვა მხრივ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, თუ არა საზოგადოებრივი საქმიანობა და პარტიის მიერ დავალებების მტკიცედ შესრულება.

ჯერ კიდევ არალეგალურ მუშაობის დროს მოუსვენრად დაჰქროდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში და როგორც ქორი წიწილებს, ისე დაესხმოდა მეფის დამცველ ექსპედიციას და სისხლის ღვარს აუზვირთებდა მათ. და მიტომაც იყო, რომ ამხანაგებმა მას შეარქვეს ძერა, გვარად კი—ფაყვა, ვითომდა მეგრელი, მაგრამ სინამდვილეში კი ქუთაისელი დ. გ—ვა.

ცხრაას ხუთელ ძერაზე ვერც 8 წლის კატორღამ იმოქმედა. მას 1921 წელში ურყევად ჩამოყვა რევოლიუციონური სიმტკიცე და გამჭრიახობა, სადაც გაორკეცებულ ენერგიით შეუდგა პარტდავალების შესრულებას, გული გრძნობას უსწრებდა, მოფიქრებას გამოცდილება და სიმამაცე.

ძერა ფაყვა დანიშნეს ერთ-ერთ დაწესებულებაში ქუთაისში საქმის მმართველად.

კაბინეტი ახალი მოწყობილი ჰქონდა ძერას, რომ მასთან შემოვიდა ძველი მეგობარი, ჯერ მიულოცა ახალი თანამდებობა და შემდეგ გააცნო ადგილობრივი სიძნელენი. სხეათა შორის, ხაზგასმით აღუნიშნა ქუთაისის ელსმენის უვარგისობა და მისი მოუხმარებლობა.

— ამხ. ძერა, არ დაეყრდნო ელსმენის იმედს, თორემ საქმეს წაგიხდენს.

ძერასაც ამ საგანზე ბევრი ახსნა-განმარტება არ დასჭირვებია, ვინაიდან მასაც გაგონილი ჰქონდა ქუთაისის ელსმენის უეარგისიანობა და მათი თანამშრომლების ჯიუტობა. ძერა იჯდა კაბინეტში და ისეთის მტრული თვალებით შესცქეროდა სამწუხარო მაგიდაზე ამაყად წამოჭიმულ ელსმენს, თითქოს მთელი კონტრ-რევოლიუცია შიგ მოკალათებულაო.

ძერას კაბინეთში ერთი მუშა შემოჭირა და გულ აღშფოთებული გაიძახოდა:—გვიშველე, ამხ. გამგე, საწყობს ცეცხლი გაუჩნდა!

ძერა ფაყვა წუთითაც არ დაბნეულა. ეს მოულოდნელი უბედურება ტელეფონის აუცილებლობას მოითხოვდა.

— სადგური, სადგური... წკრრ. სადგური წკრრ: სადგური... სადგური! —გამოიძახა ტელეფონით ძერამ.

ძლივს, 25 წუთის შემდეგ, ისმის ქალის უდარდელი კილო—„სადგურია".

— მომეცით ჩქარა ცეცხლმქრობი რაზმი... ცეცხლმქრობი რაზმია?.:

— არა, ეს პროფბიუროა.

— სადგური... სადგური::: მომეცით სახანძრო რაზმი... სახანძრო რაზმია?

— პარტკომია.

ძერას სისხლი თვალებში აწვება, გულს ბაგა-ბუგი გააქვს. კვლავ რეკს:

— სადგური. სადგური.

კვლავ გაზვიადებული და უდარდელი პასუხი:

— სადგურია.

— ქალო, თქვენ ყურს ხომ არ გაკლია. მე ვინ გთხოვეთ და თქვენ ვის შემიერთეთ!—აენთო ძერა.

— შენ ვინა ხარ, რომ ასე თავხედობ და ილანძღები?—გაისმა გაკაპასებული მორიგეს ხმა.

— მომეცით ჩქარა სახანძრო რაზმი, თორემ პასუხს გაგებინებ იცოდე.

— ამხ. გამგე გვიშველე, ცეცხლი მეორე საწყობზე გადავიდა. — ყვიროდა ბურში გახვეული და ცეცხლის ალით შეწრუსული თედო

— გასწი, თედო და მეზობელ ელსმენით გამოუძახე მეხანძრეებს.

— მთელი საათია, რაც ვრეკავთ, მაგრამ სადგურმა მაინც ვერ შემაერთა.

— სადგური, სადგური. წკრრ... სადგური.

— სადგურია!

— ქალო, ქალიშვილო, რძალო, შვილო, შვილიშვილო, ქალბატონო, კნეინა, კნიაგინა, ბარონესა, მომეცით პაჟარნი კამანდა... საიდან... სახანძრო რაზმია:

— არა, ეს გამსახლია!—ძერას გული კისერში მიებჯინა. ისევ რეკს:



ცენტრალური... ცენტრალური... თქვენ დაგიდგათ ყველას ყური.

— სადგურია.

— მომეცი, შენ ოჯახ დასაქცევო, მეხანძრეთა რაზმი, თორემ შეგჭამ, გადაგყლაპაე.., საიდან? ცეცხლმქრობი რაზმია?,

— გელაპარაკებით სულის საავადმყოფოს მორიგე. ისმის დინჯი პასუხი.

— რაღ მინდა, კაცო საგიჟე?

— აღარ არის საჭირო... საწყობები უკვე გადაიწვა!—მოიტანეს ამბავი. [illegible]

# ძ ი რ უ ლ ა

ძმაო ტარტაროზ, გვიშველე რამე,
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე.
ნოქრები ფართალს ინაწილებენ
ჩანგლით „მუშკოოპში" ჩამოდი მალე-
გლეხი კი რჩება ჩახა-გამშრალი
ის „მუშკოოპი"-დან ელოდა შველას,
გარბის ვაჭართან, ან ის, ხად არი?!
სწყევლის გამგეს და იმათ ხუყველას.

—:

შვიდწლედში, ისე „კერამიკეში"
არის ურთიერთ შური და ამტრობა,
კოსტა, დათიკო, თუ წითლებია,
მათ არ ემჩნევათ დღეს აქ წითლობა.
ექსკურსიაზე რომ იყვნენ, შემდეგ
ატყდა ჩხუბი და დავიდარაბა.
აქ დამნაშავეს მაზრამ უთუოდ
გამოუკეტოს კლასის დარაბა.

—:

ვთქვათ: ვინმეს ფული შემოეჭამა.
ხანამ დასჯიდენ, მას მხოლოდ ჯერ კი,
სხვა სამსახურში გადიყვანებენ,
(მაგალითისთვის მოშუაფს აბერკი).

ძირულელი თალა.



## „არა კაც ჰკლა“

ქრისტეს „მოადგილე“ მიწაზე რომის პაპა თავისი ჯარის ალლუმზე ესალმება ქრისტეს და ჯარს ძახილს აძლევს:

— სმენა! სწორება მარჯვნივ. ხაზრიდით სალამი!

# ონტოფელი ბახვა

ვერას ვიტყვი ეს ამბავი
ლეგენდაა თუ ნამდვილი.
ოცი წელით ადრე უთქვამთ,
ხალხურ ენით დაწმენდილი.

—:—

თურმე ძველად გლეხს ოჯახში,
ჩაესიძა მწყემსი ბახვა,
მორწმუნეა; დაცული აქვს
ყველიერი და დიდმარხვა.
ტყეში ხვადაგს ის ამრავლებს,
სოფელში კი ჯანსაღ შვილებს,
პურადია არ გიჩვენებს
შავ გულსა და თეთრსა კბილებს.
თექვსმეტ წელზე ამ ჩვენს ბახვას
ჩამოენგრა სახლის კარი.
ტიფით მოკვდა მისი ცოლი,
წვერს იგლეჯდა ცოცხალ-მკვდარი.
ყორანივით ჩამობნელდა
ძაძებში და შავში, თალხში.
ორმოცი დღე ჩამხობილი
განდეგილად მწირობს სახლში.

—:—

სოფელს ჰქონდა ჩვეულება:
გასართობად, შესაქცევად
აღდგომა დღეს ბურთს ისროდენ,
ჰკრავდენ მიწივ-მოსაწევად.
ორი ვერსის დაშორებით
დანიშნავდენ დროშით ლელოს.
მობურთენი გაიხსნიდენ
გაოფლებულ მკერდ - საყელოს.
იყოფოდენ ორ ბანაკად:
უცოლო და ცოლიანი.
ისრესოდა მინდორ-ველი
მწვანე ბალახ-მოლიანი.
მოყვარესაც არ ინდობენ,
თითქო მართლაც იყოს ომი.
თითქოს მტერი თავს დასხმოდეს,
სიკვდილის და სისხლის მდომი.

—:—

ცოლიანმა უცოლოებს,
დასძლია და ჰკრეს მოგვერდი;
მაგრამ სწრაფად უკუაგდეს
ერთი წუთით ნათავხედი;
ბურთაობას არ აკლია
არცა ყრმა და არცა დიდი, —
მაგრამ ბახვა ჯერ შორს იჯერს
ნდობით ძარღვებ დანაზიდი...
ვის მიემხროს? ცოლიანებს?
უცოლოებს? სწუხს, ფიშმანობს,
რად დააკლდეს ბურთაობას?
ამ საკითხის ირგვლივ წვალობს.
ბოლოს გულმა დასძლია და
გაუტია მამაცურად.
ცოლიანთა რიგში ჩადგა,
„მტერს“ ეკვეთა კიდეც „მტრულად“.

და გახურდა ბურთაობა...
ლელო მაინც იგვიანებს,—
მაგრამ, აჰა, გამარჯვება
უნდა ერგოს ცოლიანებს.
„ურააა“ ურააა!—გაჰკივიან,—
„ურააა.... ე-ე-ლე-სა.-ო-ო;
მკვდარი კატა ჩაახალეთ
უცოლებს ს. ა. ა. ო. ო“.
გასათხოვარ გოგოებმა
ჩამოუშვეს ქვემოდ ცხვირი.
დაუმარცხეს საქმარონი,
რომ ეგონათ იმათ გმირი.
— ვინ დარჩება, შეერგება.
აჰა, ვნახოთ სადღეგრძელო!—
ბახვა ტაშის კვრით გაჰკივის:
„ბაბაია, ლელო, ლელო!
ამ წელს აღარ მოაკლდება
ოჯახს ფული, ხვავი—ყანებს,
ლელო, ლელო, ჰე, ბიჭებო,
გაუმარჯოს ცოლიანებს...
ერთიც მაგრათ, შეუტიოთ
ჩემო ნიკო საყვარელო...
აღდგომაა. მძლე შევიქნეთ,
ლელო ბაბა. ლელო ლელო“.

—:—

ამ დროს, უცებ ასი ბიჭი;
უცოლონი, მკლავ მაგარნი,
დაერივნენ, როგორც სუფრას
მექორწინე და მაყარნი.
გააჩაღეს მწვავე ბრძოლა
ბურთი მათკენ წაიყვანეს,
არ დასტოვეს ფეხზე არვინ,
სწრაფად ლელოც გაიტანეს.
გოგოებსა გაუხარდათ,
საქმარო ჰყავთ სასახელო,
ბახვა ტაშის ცემით ყვირის:
„ლელო, ბაბა, ლელო, ლელო“.
თუ ის წელან ცოლიანებს
შეასხამდა ქებათ—ქებას,
ტაშს უკრავდა, არ უცდიდა
საბოლოო გამარჯვებას,
ეხლა სახტად უცოლოებს
მიულოცა ბურთი, ლელო.
ასეთია ქვრივი ბახვა
მობურთავე სასახელო.
ბახვას შემდეგ ჩაიარა
მრავალ დრომ და მრავალ წყალმა.
მაგრამ დღეს თუ ბახვას მსგავსი
გამოჩნდეს და ნახოს თვალმა, —
ამხილოს და არ დაინდოს
არც კაცმა და არცა ქალმა.
ვინც ორ ფრონტზე ყალთაბანდობს
„აქეთ ლელო, იქით ლელო“,
ვერ დაინდობს, გააძევებს
მას საბჭოთა საქართველო.

კოკი.

## ჭიათურის რადიო
### მოლოდინი 1 მოქმედებათ

**მაღაროს მუშა.** (შედის მაღარკომის წითელ კუთხეში). გამარჯობა სიპიტო. (აჩვენებს რადიოზედ) რაია კაცო ეს?!

**სიპიტო.** რაა, ძმაო და რადიო!

**მაღ-მუშა**—რადიო კია, მარა რას აკეთებს მერე?!

**სიპიტო**—შე, კაი კაცო, რადიო რავა არ იცი? თფილისიდან უმავთულოდ მეისმენ ყველაფერს.

**მაღ-მუშ.** —შე კაცო, მართლა თლათ დურაქი კი არა ვარ, მაგი მეც ქა ვიცი, მარა მე შენ მიპასუხე: ეს ჩვენი რადიო რის მაქნისია?

**სიპიტო**—ჰო, მაგის კი რა მოგახსენო, თუმცა... ჰო, რაც ცოტას ამუშავებს, უფრო დიდხანს გაძლებსო...

**მაღ. მუშა**—შე კაცო, თუ არაფერში გამოგვადგა, მისე თფილისშიაც ქე დგია რადიო, მარა ჩვენ რა?.. გრამაფონი მაინც ეყიდა ჩვენს ადგილკომის თავჯდომარეს.

ბაკო.



სოფ. შუქრუთში (შორაპნის მაზრა), მაღაროების გათხრის გამო, მოსახლეობა უწყლოთ დარჩა. შ. ქ. სამრწ. ტრესტს უნდა გაეყვანა წყალსადენი, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს. მოსახლეობა კი წვიმის წყალს ხმარობს. შაკო.

— რა ამბავია, სად გარბიხართ?

— ვერა ხედავ ცაზე შავი ღრუბელი გამოჩნდა,—ალბად გაწვიმდება...

# კვერცხებზე და ქათმებზე

— რა მოგცე ქათამში?—შეეკითხა ჯაბას ცეკავშირის აგენტი.

— მანეთნახევარი, ჩემო ბატონო!

— რა ამბავია?! ქვეყანა ხომ არ იქცევა? ჩინეთში უკვე თავდება სამოქალაქო ომი და ქათამს კიდევ მანეთნახევრად ჰყიდით?

— ბატონო, მანეთ-ნახევრის და მეტისაც მარტო სიმინდი ექნება ამ სატურეს შეჭმული.

— საჭმელის მიხედვით რომ საქონელი ფასდებოდეს, მაშინ თითო კაცი მილიონი ეღირებოდა!

მორიგდენ: თითო ქათამი **1 მან. 20 კაპ.**

ჯაბა მეორე დღეს ტფილისში წამოვიდა.

ბაზარში მოუხდა გასვლა.

იცნო თავისი ქათამი.

— როგორ ჰყიდით ქათამს?—შეევაჭრა ჯაბა მექათმეს.

— ჯერ ნახე რა ქათამია! ნამდვილი ქათამია ცეკავშირ-სოფლკავშირის. აპაპაპა, რა არის, რა არის?! ვინც არ შესჭამს, არ ცხონდება, დღით მოკვდება, ანდალამით.

— მითხარი როგორ ჰყიდი?—ისევ შეეკითხა ჯაბა.

— ერთი სიტყვა გინდა? ოთხი მანეთი, არც მეტი, არც ნაკლები, მაგრამ შენ ჩვენი კაცი ხარ, საშმანეთნახევრად დაგითმობ. სამი-ოთხი მანეთის მარტო სიმინდი აქვს შეჭმული ამ დალოცვილს.

— კაცი, ეს ქათამი თითონ მე გავყიდე ექვს აბაზად!—გაიკვირა ჯაბამ.

— ვა, ყურუმსაღ, სამტრედიიდან მისი ფეხით კი არ მოსულა; არც თავისი ფრთებით ჩამოფრენილა, სპეჷ

ციალნი კაცი გაგზავნეს. იმ კაცს ჭამა არ უნდა? ცოლშვილი არ უნდა არჩინოს? აგარაკზე არ უნდა გაუშვას? ხარჯებს მოსაგებიც დაადეს და იტოგში სულ რაღაც ოთხი მანეთი გამოდის.

— კაცო, სამტრედია—ტფილისის ბილეთი ადამიანისათვის ღირს დაახლოებით ხუთი მანეთი. ქათმის ბილეთი თითქმის ამისი ნახევარი ღირებულა. ნუ თუ კაცი ორ ქათამზე მეტი არ ღირს?!

— შენ ალბად „მაქსიმ გორკით" ჩამოსულხარ, ეს ქათამი კი სპეციალნი სალონი ვაგონით ჩამოიყვანეს ექსპრესით.

— საწყალი ნაცარა!—გაიფიქრა და ჩააცქერდა გაშეშებულ თვალებში. (ღია დარჩენოდა).

ჩააცქერდა და ამოიკითხა ქათმის თვალებში:

— ნუ გეცოდები. შექმით ვერავინ შემჭამს, რადგან მუშტარი ჩემი ფასის გაგონებაზე თმა-ყალყზე ამდგარი გარბის.

ამგვარად, სამტრედიიდან ერთი ქათმის ჩამოყვანა ჯდება 2 მან. 30 კაპ. (3 მან. 50 კაპ.—1 მან. 20 კაპ.= 2 მან. 30 კაპ.) სამტრედია—ტფილისს შუა არის 244 კილომეტრი. მაშასადამე, ერთი ქათმის გადაყვანა ერთ კილომეტრზე ცეკავშირს უჯდება დაახლოებით ერთი კაპეიკი. (ერთი კაპეიკი რა ფულია (!)).

**ეხლა** ქათმის კვერცხებზე.

ა.-კ. სახვაჭრობამ დიდძალი კვერცხი შეიძინა.

გაიმართა მის და მუშკოოპს შორის ვაჭრობა.

ვერ მორიგდენ ფასზე.

ატყდა მიწერ-მოწერა და ნოტების გაცვლა-გამოცვლა.

სახვაჭრობა კრუხივით დააჯდა კვერცხებს და გაიძახოდა:

— ნაკლებად არ მოგყიდი. ბიუროკრატები ჩვენ ბლომად გვყავს. კრუხების მაგიერ მათ დავაჯენთ კვერცხებზე. კვერცხებიდან გამოჩეკენ წიწილებს, დაიზრდებიან წიწილები. წიწილები ქათმებად გახდებიან, ქათმები კვერცხებს დადებენ. კვერცხებიდან ჩვენს კრუხ-ბიუროკრატებს კვლავ გამოვაჩეკინებთ წიწილებს... ასე, რომ თუ არ იყიდით ჩვენგან კვერცხს, მაინცდამაინც თავს არ შევიწუხებთ. ჩვენი „კრუხები" უკვე სხედან კვერცხებზე.

მართლაც და, როცა „კრუხებმა" გამოჩეკა დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ მიწერ-მოწერის განმავლობაში (დიდხანს გაგრძელდა ეს ამბავი) კვერცხები გალაყდენ და... და დავთარში ჩაიწერა „გასავალი"-ს მხარეზე.

აი, ჯიბრისა და ვაჭრობის რეკორდი.

ა.-კ. ვაჭრობას იმედი აქვს, რომ თავის თავის ლაშე კვერცხებს მაინც გაასაღებს.

და მართლაც ერთა ლიგას უკვე გამოუგზავნია დაშვეთა ლაყე კვერცხებზე.

მაგრამ ეს გარემოება ნებას არავის აძლევს, რომ ლაყე კვერცხები ამზადოს.

განა დანაშაულობა არ არის—ცეკავშირის სამმანეთნახევრიან ქათმის მიერ დადებული კვერცხი ა.-კ. სახვაჭრობამ ლაყედ აქციოს??

**ისელი.**



— გამარჯობა შენი, დობილო!

— ვინ არის შენი დობილი?! არ იცი რომ, მე უკვე ტფილისში ვარ და სამმანეთნახევარია ჩემი ფასი, როცა შენ მანდ, სამტრედიაში ექვსაბაზადაც ძლივს იყიდ ები?

მილიციელს, რომელიც ვაჟკაცობას ფეხის-მწმენდავთან იჩენს გაექცა ქმრის-მკვლელი ქალი.
ასეთია ჩვენი „გმირი“,

## ფოთელი მილიციელი

აწეული რომ გაქვს ცხვირი



— ცარი გამიღე და გამიშვი, თორემ...

— ვარგად გამიწმინდე, თორემ იმ დ[illegible]აცის ჯავრს შენზე ვიყრი.

# წკიპურტები

### „გაუგებრობის ნიადაგზე“

— ამხანაგო, მე შრომის ინსპექტორი ვარ და უნდა გაგიცხადოთ, რომ თქვენ თურმე ექსპლოატაციას ეწევით შინა - მოსამსახურისას— ზედმეტს ამუშავებთ!

— მოითმინეთ, მეგობარო. როგორ თუ ექსპლოატაციას ვეწევი! ჩემის აზრით აქ გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი. მე არავითარი შინა-მოსამსახურე არა მყავს.

— მაშ ეს ქალი ვინ არის იატაკს რომ სწმენდს?

— ჩემი ცოლია.

— აა, მაშ უკაცრავად. დიდ ბოდიშს ვიხდი, იზვინიაიუს, ტავარიშჩ. იზვინიაიუს. მაპატიეთ შეწუხებისათვის. პრასტიტე დაროგოი, მილაია მაია.

### წინათგრძნობა

ტრესტიდან ბეგემოტივით გამოგორდა მუცელით და პორტფელით სპეც-დირექტორი ვინაიდან ახლო - მახლო მან თავის ავტოს თვალი ვერ მოჰკრა (მოადგილეს ცოლი წაეყვანა) მიმართა იქვე მდგომ მეეტლეს:

— ტავარიშჩ იზვოშჩიკ, ისპრავლომ ი პატომ აბრატნო.

— ფული წინდაწინ მიბოძეთ მოქალაქე, — უთხრა მეეტლემ.

— როგორ თუ წინდაწინ! ეს სად გაგონილა?, — გაიოცა დირექტორმა.

— ეს კი გაგონილა: მაგრამ ის კი პირველად მესმის, რომ „ისპრავლომში“ შესულიყოს შენისთანა კაცი და იოლათ „აბრატნო“ გამოსულიყოს! — უპასუხა მეეტლემ.

დონ-კიხოტი.

### „ზავკლუბის“ ძაღლი

ეს ამბავი მოჭორილი არავის ეგონოს, ანდა „პოეტური“ ფანტაზიის ნაბოდვარი, უბედურებაც იმაშია, რომ მწარე სინამდვილეა, რომელიც ასე იწყება:

ერთ - ერთ მუშათა კლუბში შედის უცნობი მოქალაქე, რომელსაც შემთხვევით შეჰყვება ძაღლი. ამას შენიშნავს, რა თქმა უნდა, კლუბის ადმინისტრატორი და ეტყვის:

— ამხანაგო, თქვენ გადაიხდით ჯარიმას 3 მანეთის რაოდენობით.

— რისთვის, ამხანაგო? — გაიკვირვებს მოქალაქე.

— როგორ თუ რისთვის? განა არ იცით, რომ მუშათა კლუბებში ძაღლებისა და სხვა წვრილფეხა ცხოველთა შეყვანა სასტიკად აკრძალულია? — ხმას აუწევს ადმინისტრატორი, რათა ავტორიტეტი დაიმსახუროს კლუბის გამგეს წინაშე, რომელიც იქვე ლუდს მიირთმევს.

— კი, მაგრამ არ ვიცოდი და მეპატიება, ამხანაგო.

— როგორ თუ არ იცოდით? — გაწიწმატდება „ტემპერამენტოსანი“ ადმინისტრატორი. — კითხვა ხომ იცით? მაშ წავიკითხავდი აი ამ კლუბის წესებს და მაშინ გეცოდინებოდათ!

— სწორედ ამ დროს მოქალაქემ თვალი შეასწრო კარგა მოზრდილ სეტერის სისტემის ძაღლს, რომელმაც ახლად გაფუფრჩქენილ ზამბახის ძირში „იმასქნა“ და მიმართავს ადმინისტრატორს:

— განა ეს ძაღლი არ არის?

— ეგ შინაურია. — უპასუხებს იგი.

— როგორ თუ შინაური? განა ძაღლი როგორიც უნდა იყოს სულ ერთი არ არის?

— შენმა თავის ხეთქამ, ზავკლუბის ძაღლი და შენი წვინტლიანი ძაღლი ერთია!

## „ჰქტიორი"

— გთხოვთ, ამხანაგო, ჩამწერეთ მე როგორც უმუშევარი აქტიორი!

— მიმართა მან შრომის ბირჟის თანამშრომელს.

— რამდენი წელია, რაც თქვენ ქართულ სცენაზე მუშაობთ?

— ტაკ სკაზატ, პრიბლიზიტელ-ნო, 12—13 წელი, დაახლოებით.

— ვისთან ყოფილხართ სეზონში?

— საქართველოს ყველა დიდ რეჟისორებთან, გარდა საშა მარჯანიშვილისა, კოტე ახმეტელისა და აკაკი წუწუნავასი.

— სად გიმუშავიათ ამ ხნის განმავლობაში?

— საქართველოს ყველა დიდ ქალაქებში, გარდა ტფილისისა, ქუთაისის და ბათომისა.

— უმუშევრად რომელ წლიდან ითვლებით?

— 1917 წლიდან.

— რა როლებს ასრულებდით წინად?

— ტაკ სკაზატ, პრიბლიზიტელნო, ოტელოში ოფელიას ვთამაშობდი, მელიორში — ჰამლეტს, შილერის რაზბონიკებში — ყვარყვარე თუთაბერს.

— კმარა, კმარა! — შეაწყვეტინა ბირჟის თანამშრომელმა.

— ხომ ჩამწერთ?

— ჩაგწერთ კი, როგორ არა, ჩაგწერთ. მაგრამ იცით რა გითხრათ, ვშიშობ, რომ თქვენ მოგიხდებათ დიდხანს ლოდინი, რადგან...

— როგორ თუ დიდხანს ლოდინი! დღეს, როდესაც ქართული სცენა განიცდის კულტურულ და ტემპერამენტის მქონე აქტიორთა კადრის კრიზისს, თქვენ მე უნიჭოთ დამსახეთ?

— როგორ გეკადრებათ, პირიქით, თქვენ დიდი „ნიჭებიანი" აქტიორი ბრძანდებით. არა, აქტიორი კი არა, რეჟისორი ხართ, ვინაიდან ეს პროფესია ახლა მოდაშია და თანაც ხელსაყრელი.

— კარგი, რეჟისორი ვიქნები, რახან თქვენ გინდათ და ასე სჯობია, მხოლოდ თუ ძმა ხარ, ბარიშნა, კვალიფიკაციაქმნილიათქო. ასე ჩასწერე, თორემ ხომ იცი, ისევ „ბეზრაბოტნი" დავრჩები.

მართლაც არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც ჩვენი „ნიჭებიანი აქტიორი", უკაცრავად, რეჟისორი, ერთ - ერთ კლუბში დრამწრეს „პატენტიან" რეჟისორათ მოევლინა.

„პოსრედრაბისს" მიუძლვის ღვაწლი" ამ საქმეში თუ პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას... ai ვაპროსი.

დონ-ვიხოტი.



— წადი, კაცო, გასწი, რაღას უყურებ.

— მოიცა, მესამე ხელი არ მაბია ხომ ხედავ? ორი ამ ხიდს უნდება და მესამე კი ცხვირზე მოსაჭირებლად აღარ არის. უამისოდ კი წინ წასვლა შეუძლებელია. ისეთი სუნი მოდის ამ მილიციის სამმართველოდან.



— წამო, კაცო, შევიდეთ აგერ ამ სასადილოში და ვისადილოთ!

— არ შემიძლია, ჩემო კარგო. ხომ ხედავ ცოლი მახლავს. მაგ სასადილოს გამგე კი ქალებს საკუთარ სახლში უვარდება, და სასადილოში რა ხეირს დააყრის!



— წამო, კაცო, ჩვენი ადგილები მოვნახოთ წინ, ბილეთები მანეთიანები გვაქვს.

— მოიცა, ვერა ხედავ რომ იქ უკვე სხედან. ალბად ჩვენზე უფრო ადრე იმათ უყიდიათ ბილეთები. აქ ხომ მისწრებაზეა ადგილის დაკავება და არა ბილეთის ღირებულების მიხედვით.

# ჯოჯოხეთის კუთხე

**აბაშის სადგურის ბაქანზე მოგროვილ ხალხის ქაქანზე.**

საოცარი ჩვეულება სჭირს ზოგი პროვინციალური კუთხის ხალხს, ნამეტნავად, სადაც რკინის გზის სადგურია მოთავსებული. ცნობის მოყვარე ხალხსა ჰგონია, თუ სადგური იმიტომ ჰქვია აღნიშნულ დაწესებულებას, რომ იქ უეჭველად, უნდა თუ არ უნდა, ნიადაგ ხალხი უნდა იდგეს.

ასე არის **აბაშაშიც**, როგორც ამას იწერება ჩვენი კორესპონდენტი **„აბაშელი ვოლექბოში"**. აბაშაშიც კი არა, აბაშა ამ მხრივ პირველიც კი უნდა იყვეს. საბჭოთა წყობილების დამკვიდრების შემდეგ, რომელმა დაბამ არ გაიწია!... ამ საერთო გაწევას აბაშაც არ ჩამორჩენია. ჯერ „აბჰესიც", რომ არ იყვეს, თვითონ დაბაში აუარებელი ახალი აქამდის არ არსებული კულტურული დაწესებულება გაიხსნა: კლუბი, სამკითხველო, ბაღი და სხ. საფიქრალი იყო, რომ ყველა ამ დაწესებულებას ხალხი მიაწყდებოდა, ცოდნისა, გართობისა და საერთოდ, კულტურული წინსვლის მიზნით. მაგრამ არ შეგჭამოთ ჭირმა, (ციებცხელებისა, რაღა თქმა უნდა, რაც აბაშის განუყრელ საგანძურს წარმოადგენს) ხალხი რჩეობს სადგურს, იქ პოულობს სასიამოვნო სადგურს, დღიან - ღამიანა არ შორდება ბაქანს, არ სწყვეტს ქაქანსა და ყაყანს, ერთმანეთს ხახუნით ფერდს უფშვნის, სადგურის თანამშრომელთ საქმეში ხელს უშლის, ხშირად ასტეხს ხოლმე აყალ-მაყალსა და ჩხუბს არ სწყალობს იქვე ახლოს ბაღსა და კლუბს, არც სამკითხველოს დიდათ ეტანება ბაქანზე ყუნცულისათვის კი დრო სრულიად არ ენანება. შაბაშ ჩვენი კულტურული რევოლიუცია! ამისთვის შესაფერი ხალხი განგებას სწორედ აქ მოუცია...

**თუმცა პარტიიდან მისი გაწმენდა იყო ადვილი,**
**სამაგიეროთ, მოიმაგრა თბილი ადგილი!**

აი, ასე იწყებს თავის წერილს ჩვენი ჭიათურელი კორესპონდენტი — **ახალი**.

ახალი აქ თითქმის არაფერია. არის თითქმის საერთო სენად მიჩნეული, თუ ზოგი მოხერხებული პიროვნება, ერთი ადგილიდან მოხსნილი და გაბახებული, მეორე ადგილზე როგორ ახერხებს მოკალათებას.

ასე მოხდა ჭიათურელ ვანო მოდებაძის ცხოვრებაშიც. ცხადია, რომ მოდებაძე სხვებზე ნაკლები არ უნდა იყვეს, ხელის მოდებაზე. პარტიიდან კაცი გარიცხეს, მარგანეცის შავი ჭუჭყისაგანაც გარეცხეს, ე. ი., ადგილზე ხელი დააბანინეს და ასე უსაქმოდ დასტოვეს. მართალია ცოტა გრილი სამუშაო ჰქონდა ვანოს, მაგრამ მაინც არა უშავდა: როცა უკეთესის ღირსი არა ხარ კაცი, ესეთი გრილი სამუშაოც თავის სოროსავით თბილ ადგილად არის ჩასათვლელი. ამასთან გრილი ადგილი რამდენიმედ ნაკლებ სახიფათოც არის. სულ სხვაა თბილი ადგილი. შენს მტერს იმისთანა? ვინაა, რომ ასეთ თბილ ადგილს არ უთვალთვალებდეს? მუშგლეხინი თუ მსუბუქი კავალერია, სუყველა მისი მტერია. ისევ შედარებით ეს გრილი ადგილი სჯობია! ამბობდა თავისთვის ვანო მოდებაძე, სანამ ეგრედწოდებული პარტიული წმენდა არ შეიწუხებდა თავს მისთვის ხელის მოდებაზე. და მოსდევა ხელი თუ არა აღნიშნულმა წმნედამ, ვანომ პირველად შეატია მას ხელში პარტიული ბილეთი, თითქოს თაგვმა, რომელმაც ესაა, კატას ხვრელში შეასწრო, მხოლოდ კუდის რიკი დაუტოვა ამ უკანასკნელს ბრჭყალებშიო. მაგრამ კატამ რომ მოინახულა ხვრელი, ვანოს ადგილზეც დააბანინეს ხელი. ვანომ ნირიც არ შეიცვალა და ქუჩებში უფრო გაბედულად იწყო მსვლელობა, თითქოს ომში წასასვლელად ემზადებაო. კარგია, როცა კაცი მდგომარეობას არ უთმობს და იბრძვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ე. ი., თბილი ადგილის ხელში გდებამდე. მაგრამ ვანოს დიდი ბრძოლაც არ დასჭირვებია, ვინაიდან მფარველი ხელის შეოხებით ისევ მალე იგდო ხელში ადგილი, არა უწინდებურად გრილი, არამედ თბილი და მერე რა რიგად თბილი!.. თვითონ განსაჯეთ! დანიშნეს ფურნის გამგეთ!..

**ფოთს აკრავს დიდი კუნძული, სადაც ქოხ-სამკითხველოში გამართულია ყოველდღიური ძუნძული...**

ძუნძული მგლის სირბილია. ეს ჩვენ „დედა ძუძუდან" ვიცით. მაგრამ საბჭოთა წყობილებამ ბევრი სხვა ახალი ცოდნა და ცდა წამოაყენა, ბევრი გზა დაისახა ცხოვრებაში სარგებლიანი წინსვლისათვის. მაგალითად, ფოთის დიდი კუნძული რომ ავიღოთ, თუ მას ადამიანის გენიამ და შემოქმედებამ არ შეჰმატა მომავალში რამე, საეჭვოა რომ მან ეპიტეტი—„დიდი" შემოინახოს თავის სახელწოდებაში. ან და ვინ გიხდათ თქვენ ამიერიდან გააკვირვოთ დიდი ლაფითა და ბაყაყების ხმა-მაღალი ყიყინით? მეტი კი აქამდის თითქმის არაფერი ღირსშესანიშნავი არ ახასიათებდა დიდ კუნძულს, გარდა, თუ არ ვსცდები, მაიაკისა, რომელიც კუნძულს სახელად ეკუთვნის, თორემ სახედვად და სახსოვრად ზღვისაა.

მაგრამ აი, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, აქ მართლაც გაჩნდა ბევრი რამ ახალი, ახალი კულტურის უებარი ფაქტორი. ერთ ასეთ წამოწყებათ უნდა ჩაითვალოს ვაჭარ ჭითანავას დიდ შენობაში მოთავსებული ქოხ-სამკითხველო. სამკითხველო, როგორც სახელი გვიჩვენებს, კითხვისა და განვითარებისათვის არის მოგონილი. მართალია, განვითარება მეტის მეტად ზოგადი ცნებაა, მაგრამ არც იმდენად ბნელი, რომ თავის განვითარების ფაქტორებიდან იგი კაცმა მხოლოდ ფეხების განვითარების უბრალო საჯეკნ ასპარეზამდის დაიყვანოს. აღნიშნული სამკითხველო კი, თავისი ხელმძღვანელის წყალობით, დასულია სწორედ ამ დონემდე, კორესპონდენტი „ამირანი" მიჯაჭვული ამირანის გულის ტკივილით გვაუწყებს თუ აქ, ამ სამკითხველოში ყოველ დღე (და ხშირად ღამითაც) ისმის შიგ მხოლოდ სიმღერა და ცეკვა. ცეკვა იმდენად გახშირებული ყოფილა ამ სამკითხველოში, რომ იატაკი გადალესილ გადაქლესილა და, სადაცაა, ღამის მყკერიც გავარდეს მას.

აი, სად ყოფილა სამკითხველოს დანიშნულება გაგებული სწორედ თავ-უკულმა! ქალაქი რომ სთქვა შენ და შიგ დიდი კუნძული, რით ჩამოუვარდებოდა ამას, მაგალითად, იქვე მგლების ძუნძული?!.

**ავტო, კარგი, „კადილაკ"-ი,**
**მართავს შურა კანდელაკი!..**

ყველაფერი კარგია, რაც კარგათ არის აწყობილი. მაგალითად, „ავტოპრომტორგი" თავისი ავტოებით ცნობილია საბჭოთა ქვეყანაში. ისიც ცხადია, რომ ავტოებს შოფერები ეჭირვება, ხოლო შოფერებს კაი რიგიანი შერჩევა. განსაკუთრებით აუცილებელია ეგ შერჩევა ისეთ ადგილებზე, სადაც მგზავრთა გადაყვანა ხდება მასსიურად. მაგრამ რას არგებს ჯერ „ავტოპრომტორგს" და შემდეგ—საბჭოთა ქვეყანას ისეთი შოფერი, როგორიც შურა კანდელაკია: წარსულში მიკიტანი და, მაშასადამე, თავისი ბუნებით ანტისაბჭოებრივი ელემენტი, ხოლო ამჟამად შოფერი, მაგრამ ისეთი შოფერი, რომელსაც ქუთაისიდან წყალტუბომდე ისე ვერ გაუვლია გზა, რომ ორი ბოროტმოქმედება მაინც არ ჩაიდინოს, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ ადგილებს შუა გზის სიმოკლეს და იმას, რომ შოფერი კანდელაკი გზაში ავადმყოფ მგზავრს ღონძლვა გინებით ათრევს ავტოდან ძირს და, მის ნაცვლად, თავის ნაცნობ ლამაზ ქალს ისვამს ზედ, ცხადია, კანდელაკის სივერაგეს სიგრძე და სივრცე ველარ საზღვრავს: იგი ყოველს წრეს არის გადასული და „ავტოპრომტორგსაც" ევალება მისი, რაც შეიძლება შემოკლება, რა თქმა უნდა, ქუთაისიდან წყალტუბომდე გზის უზიანოდ და უმარცხოდ გავლის მიზნით მაინც.

# საკინმრეწვის ქრონიკა

◆ საკინმრეწვის აპარატის მომავალ „ჩისტისთვის“ დიდი მზადება ტარდება: არსდება მარქსისტთა წრე ყოფილი თავად-აზნაურებისთვის, რომლებიც ამჟამად მუშაობენ საკინმრეწვში. მსახიობ შაქრო გურამოვის მეთაურობით ნაყოფიერად ტარდება ანტიალკოგოლიური ლექციების სერია. შედგენილია სია იმ თანამშრომელთა, რომლებმაც მოისურვეს გვარების გამოცვლა. მთელ რიგ სპეცებს გამგეობაში შეუტანიათ თხოვნა სპეც-ჯამაგირების დაკლების შესახებ.

◆ რეჟისორ კალატოზიშვილმა 6 თვის განმავლობაში დაამთავრა „ტიპაჟი“-ს ამორჩევა თავის როლისთვის რათისთვის სვანეთის ცხოვრებიდან. მთავარ როლისთვის იყო გასინჯული 127 ლამაზი ქალი, რომლებშიც ჯერ-ჯერობით არცერთი არ აღმოჩნდა კალატოზიშვილისათვის მისაღები. უკანასკნელს განზრახვა აქვს „გეროინია“ გამოიწეროს გერმანიიდან.

◆ რეჟისორ მაკაროვმა დაამთავრა სურათი „ჩქარი № 2“, რომელშიც ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სამმართველოსაგან მიიღო 5000 მან. ჯილდოს სახით. ამნაირი გულუხვობა ამხ. პოზდეევის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ რეჟისორ მაკაროვს არცერთი რონოდა და ორთქლმავალი არ დაუტოვებია გადაუღებლად.

◆ ამხ. მიშა ჭიაურელი „საბა“-ს გამარჯვების შემდეგ, სცენარისტ ტრეტიაკოვის რჩევით, მიემგზავრება ჩინეთში ახალ სურათის გადასაღებად.

◆ შაქრო ბერიშვილს განზრახვა აქვს თავის ახალი დადგმისთვის არცერთი ლამაზი ქალი არ აიყვანოს და ამით დაამტკიცოს, რომ ულამაზქალოთ შეიძლება ლამაზი და სარგებლიანი სურათის დადგმა. მის სურათში მთავარ როლს თამაშობენ ორი მოხუცი დედაკაცი, რომელთაგანაც ერთი უნდა იყოს ძალიან ულამაზო. ამის გამო საკინმრეწვი ყოველდღე სავსეა სიდედრებით, დედამთილებით, ქვრივებით და ინვალიდ მოხუც ქალებით. პოსრედრაბისი ძალიან კმაყოფილია, რადგანაც ამ მანდილოსნებს პროტექციონიზმის და ნათლიმამობის სუნი არ ასდით.

◆ საკინმრეწვს მოუწვევია განთქმული უკრაინა-რუსეთის რეჟისორი წუწუნენკო, რომელიც დასდგამს დიდ ოთხსერიან „ბოევიკს“ სახელად „პონაპრასნო მალჩიკ ხოდიშ, პონაპრასნო ნოჟკი ბიოშ“. სურათის ხარჯთაღრიცხვა ნახევარ მილიონს აღემატება.

◆ დამთავრდა უზარ-მაზარი ატელიეს შენება. ატელიეს ნახევარი ტერიტორია უკავია იმდენად ღრმა და განიერ ჰაუზს, რომ შეიძლება შიგ მთელი საკინმრეწვის დახრჩობა.

◆ სამხატვრო საბჭოს დაუდგენია მოაწყოს კვირაში ორჯერ საზეიმო საღამოები შამპანიურით, ზაკუსკებით და ხმელი და ნედლი ხილით. სტუმრების სიაში პირველი ადგილი უჭირავთ ჩვენ მწერლობას და ლიტერატორებს, რომლებიც ამნაირად იქნებიან ჩაბმულნი სცენარების წრეში. მუდმივ ტოლუმბაშად „წამოწეულია“ სასცენარო განყოფილების გამგე ლორდ გიდონი.

◆ საქართ. პრესა შეუდგა რუსეთის და უკრაინის გაზეთ-ჟურნალებიდან საკინმრეწვზე ამ ბოლო ხანებში დაწერილ რეცენზიების გადმობეჭდვას. ეს გაუადვილებს საქართველოს მკითხველებს გაიგოს, თუ როგორ მუშაობს საკინმრეწვი—რა ნაკლი და მიღწევები აქვს მას თავის მუშაობაში.

**სალომეშვილი.**

# ერთ დღეს სურამში

ჩავჯექით მატარებელში.

მოსგარაკე ქალებმა გააბეს ბაასი.

— თქვენ სურამი ძლიერ მოგიხდებათ, ციებ - ცხელებისათვის უებარი წამალია!

— ჩემს ჯიბის ციებ - ცხელებას სურამი კი არა, ვერარაფერი მოარჩენს! — გავიფიქრე, მაგრამ პასუხი არ გამიცია.

— იქ სურამის ციხეს ნახავთ, ზურაბი რომ ჩააყოლეს კედელში.

— სურამის ციხეზე გამახსენდა. ჩვენში სკოლა დავიწყეთ მეშვიდე წელია. მის აშენებას არ დაადგა საშველი, ახლა სოფელმა გადაწყვიტეთ ჩვენი თემის განათლების განყოფილების გამგე ზურაბოვი მოვაყოლოთ კედელში, იქნებ მაშინ აშენდეს სკოლა! — იხუმრა ერთმა გლეხმა.

— ოთახი ხომ არა გაქვთ, ამხანაგო, გასაქირავებელი.

— ეს საგიჟეთია, ამხანაგო! — ცივად მომიგო კარის კაცმა და თან თავისთვის ჩაიცინა.

— საგიჟეთში შემიყვანე. ესღა მაკლია! — მისაყვედურა ცოლმა.

— ბევრი არარაფერი გაკლია,— დავაპირე თქმა, მარა ვერ გავბედე.

როგორც იყო, ვნახე ერთი ოთახი, სწორედ საგიჟეთის ახლოს.

სახლში სახლის პატრონი მამაკაცი არ დაგვხვდა, მის ცოლს მოურიგდი.

ამ დროს შემოვიდა სახლის პატრონიც. შევხედე თუ არა, წემსივით დამესო გულზე, როცა ახალგაზრდა, ლამაზი და ბრგე ვაჟკაცი დავინახე. ხელად უარი ვთქვი ოთახზე.

— რატომ არ გინდათ ჩვენი ოთახი ამხანაგო? თქვენ ცოლ-შვილს დედოფალივით შევინახავთ! — მომიგო სახლის პატრონმა მამაკაცმა.

— დედოფალივით რომ მოუვლი, სწორედ მისთვის არ მინდა. ცოლი, დამძვრება ხელიდან. შეყვარებული ნათხოვი არ მყავდეს მაინც! — გავივლე გულში, მაგრამ რას გავაწყობდი, როცა ცოლიც შემომიჩნდა:

— დავრჩები აქ, კარგია; მე ძლიერ მომწონს! — გარკვევით არ უთქვამს თუ რა მოსწონდა.

დავბინავდით.

გულმოსული გამოველ ბაზარში. შევედი წითელ სასადილოში და ღვინო მოვიკითხე. ვხუხე ნაღველის გასაქარვებლად. ახირებული წესი ყოფილა სურამის წითელ სასადილოში: არც ჩეკი, არც კონტროლი. სასადილოს გამგემ ერთი ორად გადამაყაქვაა ნახარჯი და ჩააჩხრიალა დახლში.

— უჩეკოთ რატომ ვაჭრობთ. ბოროტმოქმედება რომ მოხდეს, როგორ გამოჩნდება გზა-კვალი?, — ვკითხე მე.

— რა ვქნა, ხალხი არა გვყავს. სასადილოს ზარალს არ ვანახვებ და მოგებაზე ვინ შემედავება. სიმართლე გითხრა, ჩემთვის ასე სჯობია. რა საჭიროა ჩეკი, ქალაღდები, ეს ხომ ვოლოკიტაა! — ხელად მომიჭრა სასადილოს გამგემ.

წითელ სასადილოდან გამოველ თუ არა, გამახსენდა, რომ ბავშები მშივრები იყვნენ. შევიარე პურის კოოპერატივში.

— ეგ რა არის ამხანაგო, პურს ყიდი, თუ ცომს?

33! მამაცხონებულო, ამასაც რომ გაძლევ, მადლობა მითხარი!— გულმოსული მითხრა მეპურემ.

(— თქვენ რატომ სწუხდებით. პურს ჩვენ მოვიტანდით! — მომეგება სახლის პატრონი მამაკაცი და თან „პადრუჩკი“ გამიკეთა.

— ოჰო, დაიწყო, რაღა იშკილები! — გავივლე გულში.

საღამოს შევახტი მატარებელს და გამოვემშვიდობე სურამს, როცა მატარებლიდან სურამის ციხე დავინახე, მწარედ ჩავიღიღინე:

სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო,
ჩემსა ცოლსა შენ გიტოვებ,
ჭკუით შემინახეო.

**მვანიკა.**

## დრო უპოვა

— ოო, სევასტი, საით მიეჩქარები, მეიცა პატარა, შე კაცო, ხანძალზე ხომ არ მიხვალ!

— მაცა, მაცა, არა მცალიან!

— დეითქვი, ბოშო, სული და წადი მერე.

— სმოლოჩ!..

— რაია, კაცო ვინ გაგახელა, არ იტყვი?!.

— მაგას იგი ვგონივარ მე... რა ქვიანა...

— ვინ გონიხარ, რა გონიხარ, რაშია საქმე?!.

— აგერ მყავს ახლა მუჭში გამომწყვდეული.

— ვინ, ბოშო, რაშია საქმე!

— პადლეცი, მაგას იგი ნუ გონია!.. აწი ველარ გამექცევა. პარტიის წმენდაზე მივდივარ ახლა და უტირებ ყოფას! დურაქი!..

— ვინაა, კაცო, ვინ გაგაჯავრა, არ იტყვი?!.

— ვინაა და იგი ტყლაპაძეა, თუ ჰაკი თხაი! კამბეჩის ფოლს რომ მიუგავს ის ნიკაპი! ტყლაპაძეს ხომ იცნობ, კაცო, ჩვენ ბუღალტერს?

— კი, რავა არა.

— შენ ქე იცი წელიწადი უბრათ ვარ მასთან.

— აწი?

— დედას უტირებ მე მას! აპა რავა ჰგონა მას, რავა! მე ვერ გოდუხდიდი მაგიორს თუ!

— რას, კაცო, რატომ?

— შენ ქე იცი ჩემი ევტიხი, შარშან ჩვენ კაპიტონთან რავა მოვაჭახრაკე საქმე. ის იყო მივალებიე სამსახურში ჩემი ცოლის დის შვილი... ხო, რეზოლიუციაც ქე დაადვა ზედ პრაშენიას, მარა გამოვარდა ეს მაიმუნი ტყლაპაძე და მორთო ყვირილი, რომე ცოლის დის შვილს აყენებს სამსახურშიო და ეგი მოკვარახჭინებული საქმე თელათ დამინგრია! დედას უტირებ მას, თუ სევასტი ვყოფილვარ, დამაცადოს! მისი სული ჩემ ხელშია ახლა. ვენაცვალე ვინცხამ ეს პარტიის წმენდა მოიგონა, თვარა მისი ჯავრი საფლავშიც არ მომასვენებდა.

— მერე, რა გინდა რომ უქნა! მუშაკარგია, ენერგია დიდი აქვს, ცოდნა და ყველაფერი, ნეტა მაგისთანა პარტიის წევრები მოგვცა ყველა.

— მუშა კაცია, თუ რაცხაა, მე ამ საქმეს არ დავტოვებ, იცი შენ, რომ ის ქუთაისელი ყოფილა?

— რაა მერე, რომ ყოფილა!

— რა და შვიდი დღეა კვირეში! მაცა ლაპარაკი და გაიგებ ყორისფელს. ხოდა... მამიჩემის ბიცოლის დედამთილის გერი რომაა, სევერიან ჯანჯღავა, ქე იცი შენ. იგი ქუთაისში დაბერდა კაცი და თელი ქალაქის ამბავი სულ ტოჩი-ტოჩ იცის ყორისფელი. იმან მომიყვა ყველაფერი მაგ ტყლაპაძეებზე. ერთი ტყლაპაძე დიდი ვაჭარი ყოფილა ბაკალიონის, მეორე ტყლაპაძეს საკუთარი სახლები ჰქონია, მესამეს, იგიც ტყლაპაძე ყოფილა და ოთხივე საქონლის დიდი ვაჭარი ყოფილა, მეოთხეს სამი ვაჟი აფიცერი ყოლია ძველათ. მეხუთე ტყლაპაძეს, რასაკვირველია, შვილი ყოლია კამანდერი და კომუნისტების შემოსვლის დროს გამოქცეულა ქუთაისიდან.

— მაგი კი მარა..

— რა, მარა, რა! რომ გამოგიყულაპავს მაგ თვალები, შე კაცო, რომ გელაპარაკები გეიგონე!

— კაი, თუ გინდა ის ტყლაპაძეები ყოფილან: ვაჭრები, აფიცრები... ეს ეპიფანე ტყლაპაძე რა შუაშია?..

— ვაი, შენს პატრონს უბედურს! ტყლაპაძეა ხომ მაგიც, ხვადაგიანი ხომ არ არის!

— კი ტყლაპაძეა, მერე!

— ხო და... ყველა იმ ქუთაისელ ტყლაპაძეებს მე მას მივაკარებ, ყორისფელს დაუკაკლავ ჩისტის კომისიას და მერე დეიძვრინოს თავი თუ ბიჭია. მე ეს ამბავი „ტანტაროზშიაც" გავგზავნე, მარა არ დამიბეჭდა რედაქციამ. ნიჩავო, მე მას გაუხსენებ როცხა იქნება. იმ ტყლაპაძის ამბავს კი ყორისფელს მოვახსენებ ჩისტკის კომისიას. იგი იქანა სულს ვერ დაბერავს, მალაზიებსაც, კამანდერსაც და აფიცერსაც. მოდგეს მერე და უგოს პასუხი კომისიას. ისიც უნდა გევიგო, იმ „ტანტაროზის" რედაქციაში ხომ არავინაა ქუთაისელი! აპა, არა მცალიან ამდენი, ნახვამდის!

— მეიცა, კაცო, მეიცა!..

— აჰ, შენ არ მომიკვდე! ჩისტის კრებაზე დამაგვიანდება და დევიღუპები!

გოდოი.

## ქ ვ ი შ ხ ე თ ი

კოოპერატივში ქურდებმა ჭერი ამოსჭრეს ღამითა;
წავიდენ დატვირთულები ფართლით და სხვა რამითა.
თუმცა თვალით არ აკლდა საქონელს დანაკლულება,
მაგრამ გამართლდა სწორედ დღეს ბრძენი კაცისა თქმულება,
შალიკომ ჩოთქი ჩააგდო, აუხდა გულის ბუმანი.
და დანაკლისი დუქნისა გახდა სამასი თუმანი.
აღელდა სოფელ - ქვეყანა, აჯვიხმაურდა გლეხები:
ვინაა ხალხის გამფუქვნელი, ან ვინ შეგვადგა კეხები?
თვით გოგი კარზედ მოგვადგა მილიციელთა ამალთი,
კოოპერატივის სიკეთეს სოფელი მაშინ დარდობდა,
როცა ღონღაძის ოჯახი სულყველა შიგ ნავარდობდა;
ჰაცო არ მიკვირს თუ იცი, სად გაგონილა ეგები:
ნოქრის ოჯახსა ქონოდეს დუქნისა გასაღებები.
რა საჭიროა. ეჭვი მაქვს ამ სამას თუმნის კლებაზე;
ნუ თუ არავინ იფიქრა ეთქვა რაიმე კრებაზე.
საქმის მიჩქმალვას ლამობენ სანდრო, ნიკალა, სოგრაი.
ნეტავი მართლა თუ შესძლონ იმათ გაუხმეთ გოგრაი?
სოფელში ხმები მიმოქრის თითქოს მომქმედნიც იციან.
მაგრამ შიშობენ პირში თქმას, მყის ცხადად გადაფიციან
ჩანგალი ყველას უშველის ნალესი, ბასრი ფხიანი;
უნდა მოვნახოთ ვინც ამ ხალხს კარს მიაყენა ზიანი.
კოოპერატივის ზავ-ნოქარს ეყოფა თ გასისინება...
„ეპო"ვ მოხედე ქვიშხეთლებს, თორემ შენც გხვდება გინება.

„ამირასთან".

## ხ ო რ გ ა

### ალმასკომის თავმჯდომარეს

პილატე—ჯან, შენსა მზესა,
ეს რა მოხდა, ან რა ჰქენი;
ასე როგორ ამოაშრე
ხორგა ლაფით დამამშვენი?
გზები გაგყავს, „(ტაძრებს ანგრევ".
თვითონ იცი დანარჩენი!),
მე თვით ვნახე, რომ გყოლია
„დარდასმული" ლაფშა ცხენი!
მაგრამ მითხარ, სკოლისათვის
მოტანილი თეთრი ქვები
ასე უნდა გქონდეს წლობით
დაზორვილი, როგორც მთები?!
ამ საკითხზე მსურდა შენთან
მეგობრულად საუბარი...
„არ გეცალა"!.. ზუგდიდს იყავ,
ენატკბილად მოუბარი...
შენი ძებნით დავიქანცე,
ვერ გიპოვე ცოცხალ მკვდარი,
და ჩემ სურვილს გაბრაზებით
ზორბა წიხლი ამოვკარი!
ამ დროს გზაში მიხა შემხვდა
მხრებში ხელი ჩამატანა
და ეს ლექსი, გულსაკლავი
გესლით, ღვარძლით დაატანა;
—„ამ სკოლასა... იმ დუქანსა..;
ნახევარ გზას... იმ ბაქანსა..;
უქმად ჯდომას და ყაყანსა,
ალარ ვცემო მე თაყვანსა"
დამერწმუნე: მითქმა-მოთქმა,
ჩვენს სოფელში ასე ივლის.
ჰო და, ძმაო, სჯობია, რომ
გადმოსკუპდე ისევ ტფილისს!

ან—ი.



**ნაგვის ყუთი, ნაგვის ყუთი,**
**თვე გავიდა უკვე ხუთი.**
**არვინ ფიქრობს მის გაწმენდას,**
**ნაგავია ათი ფუთი.**

# ცნობათა მიღება

ფოთში. **ვალიკო ოგოლისშვილს.** ჩვენც სწორედ ობოლისშვილებისა, ქვრივების და ღარიბ-ღატაკის ერთგული ხალხი ვართ, თორემ ამდენად თავსაც არ შევიწუხებდით თქვენი შარადის გულისთვის. შარადის ახსნა-განმარტებას თუ დავუჯერებთ, თქვენ სავსებით მართალი ხართ და თქვენი საშარადე სიტყვაც: „აგარაკი" მართლაც სეზონის შესაფერი სიტყვაა. მაგრამ ამ თქვენს ახსნა-განმარტებას თქვენვე არღვევთ იქვე, თქვენსავე შარადაში.

ჭიათურაში. **თეკლეს გიჟს.** თეკლეს დაურჩეს თქვენი თავი და ჩვენ კი იგი ჯერ-ჯერობით არაფრად გამოგვადგა. ხუთი თქვენი გმირიდან ჩვენ ერთიც კი ვერ ავირჩიეთ ისეთი, რომლის ჩვენს ჟურნალში მოთავსებაც შესაძლებელი ყოფილიყვეს.

ჩოჩხათში. **შანცს.** თქვენი გლეხკომის გამფლანგველები უეჭვოდ დასაგმობი ხალხია, მაგრამ დასაგმობი და საძრახი პიროვნება რომ საძრახივე ლექსით მოიხსენიოთ, უთუოდ წინააღმდეგს მიაღწევთ. მაგალითად ასეთი ტაეპი თქვენი ლექსიდან:

**„მან სიტყვა ასე წარმოსთქვა::**
**„გლეხკომს ვზრდიდი ვით შვილსაო,**
**მე იმან გადამაცდინა**
**ღმერთი გაუწყრეს ფულსაო"...**

როგორ ფიქრობთ? აშავებს თუ არა ეს ტაეპი მელიტონს, როგორც გამფლანგველს?! იქნება, კაცი ფულმა გადააცდინა და არა გლეხკომმა. თქვენი ლექსიდან კი ეს ასე ნათლად არა სჩანს არც ლოღიკურად და არც შესაფერი სასვენი ნიშნებით. მაშასადამე, შორეული მკითხველი მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას იქონიოს მელიტონზე ნათელი და გარკვეული წარმოდგენა.

აქ. **ცისკარას.** თქვენი ნაკაზები „სახკინმრეწვს" უფრო საახალწლო მილოცვებს მოგვაგონებს. და რადგანაც ახალი ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის „სახკინმრეწვიდან", ამიტომ ვბეჭდავთ მხოლოდ ერთად ერთს ტაეპს სანიმუშოთ:

**„ნიჭი გაქვს, ალაც ხელს გიწყობს,**
**ბევრი მრუდი გაქვს დღიურში,**
**მშრომელ თაობას აღზრდა სწყურს,**
**„ნავასტრი", მიშა, შენ „უში"...**

ზაჰესში. **„უიძა"-ს.** თქვენი იშხნელი, ამდენი კაცის მიმფშვნელი თუ კი არის, როგორც ამას თქვენ იწერებით, ნუ თუ ახლო-მახლო ამას თქვენს მეტი სხვა ვერავინ ხედავს? მაშ, ჩვენს „ზაჰესს" სინათლე ჰკლებია. უფრო ადრე იმას დავიჯერებთ, რომ თქვენ ლექსს გარეგანი შნო აკლია, ხოლო შინაგანი შინაარსი, კონკრეტულობა და სიმართლე, ვიდრე იმას, რომ „ზაჰესს" სინათლე აკლდეს.

ქუთაისში. **თეთრა-მიწელს.** თუ თეთრა-მიწას მევახშეები აწვალებენ და მათ ხელში ჩაყრილი ღარიბი ხალხის ხვედრი თქვენ კი გაინტერესებთ, ეცადეთ დაუკავშიროთ ისინი ახლობელ საკრედიტო ამხანაგობას. ასეთი ლექსების წერას ისევ ესა სჯობია.

ბათომი. **წვეტს.** იწერებით:

**მე კი მიკვირს: როგორ იტანს**
**ამდენ ძრწოლას ტროტუარი?**
**სტრიჟკიან ქალთ, მოელვარეთ**
**გააქვთ ყველგან რიტუალი"-ო.**

მამა გიცხონდებათ, რომელ რიტუალზე ლაპარაკობთ? ასეთზე ხომ არა:

**ლექსში—„რიტუალი",**
**თავში—ბიტუალი?!**

ლანჩხუთი. **გ. ლანჩხუთელს.** რა საჭიროა ჩვენი გულის მომარბილებელი სიტყვები და გრძნობები თქვენს ლექსში „ვაჭრის გოდება" შემარბილებელი სიტყვები იმდენია, რომ არცერთ აზრს, შიგ გამოთქმულს, აღარ შერჩენია რაიმე სიმკვეთრე: ყველა, ასე ვსთქვათ, ფლამუშივით იდღლაბება. ეს, რა თქმა უნდა, იუმორი არ არის. არც ის მართალი, რომ, რადგანაც თქვენც ლანჩხუთელი ხართ, და ის ვაჭარიც, რომლის შესახებაც თქვენ სწერთ, ალბათ, ლანჩხუთელია, ყველა უბედურება თითქოს ამისაგან წარმოსდგებოდეს. აქედან წარმოსდგა ჯერ-ჯერობით ერთად ერთი უბედურება: ესაა თქვენი ლექსი!



— მიგიღებთ იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეწერილი არ გქონდათ.

— არ გვქონდა შეწერილი... ჩვენებრ ღარიბი სხვა არ არის სოფელში...

— რაო? სოფელიო?! სოფლელებს ჩვენ არ ვღებულობთ.

# „ცუდი დრო“



— ვაი დედასა, რა დრო დადგა! ესენი მიდიან აგარაკზე, და ჩვენ კი—ამ სიცხეში უნდა დავიხრჩოთ.

## ახალი „თაო ჩემო“

რა უბრალოთ მოვიპარსე წვერია,
ულვაშებიც აღარა მაქვს ღერია.
ქუჩა ქუჩა უპორტფელოთ ვმღერია;
თავო ჩემო, ბედი არ გიწერია.
ამაზე მეტს რაღას მიზამს მტერიქ;
ჩამომართვეს ანკეტა და სერია.
კომისიავ, შენ დაგემტვრა კერია.
თავო ჩემო, ბედი არ გიწერია.
ამას იქით ჩემი ჯიბე მკვდარია,
ცოლმა ხელათ ჩამიკეტა კარია.
რომ გამცოცხეს იმან სულ გადარია,
და ოჯახი დომხალივით არია.
ჩანგო ჩემო, დარდისაგან ყლერია,
ატუზული ბირჟის წინა ვმღერია.
ვზომოთ ქუჩა, აწი ვყლაპოთ მტვერია.
ოჰ, მუშებო თქვენ დაგემტვრათ კერია.

ვ. როინიშვილი.

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.

№ 29 (213) ტარტაროზი ფასი 10 კაპ.
კვირა 14 ივლისი 1929 წ.

# ნატვრა

## ზოოლოგიურ მუზეუმში



—რა კარგი იქნებოდა, რომ ასე გრძელი კისერი მქონდეს! ჩვენს გამგეს მოსახვევიდანაც შევამჩნევდი და სალამს მივსცემდი!

# ფურცელ-ფურცელ კალენდარი

**ივლისი 8 ორშაბათი**



1919 წ. საფრანგეთის ფლოტმა ყუმბარები დაუშინა ქ. ოდესას.

ბურჟუაზიული და იმპერიალისტური საფრანგეთი, მიუხედავათ ობლათაიებისა, რომელიც ფრანგთა სირაინდესა და თავისუფლების მოყვარეობაზე არსებობს, ყუმბარებითა, ცეცხლითა და მახვილით ემასპინძლდება ყველა იმათ, ვინც მის ურჩობას იჩემებს. ამისი მაგალითია რიფები და მაროკოს სხვა აჯანყებული ხალხები. რუსეთის ხალხი ხომ რიფები არ იყო, ეს მშვენივრად იცოდა საფრანგეთის საზღვაო ძალების სარდლობამ. მაშასადამე რუსეთის დამორჩილებასა და ურჩობის ამოფხვრაზე ლაპარაკიც მეტია. მხოლოთ მეფის დროინდელი ვალები აწუხებდა საფრანგეთის ბურჟუაზიას მაშინ, აწუხებს დღესაც და მომავალშიაც კაი ხანს დარჩება წუხილად,

**ივლისი 9 სამშაბათი**



1920 წ. შეთანხმება სპაში გერმანიის განიარაღების შესახებ.

შეთანხმდენ ისინი, ვინც გერმანიაში თავის ყოველმხრივ მეტოქეს ხედავდენ, სხვათა შორის შეიარაღებულ მეტოქესა და საშიშ მტერსაც. ასეთი მტრისთვის კლანჭების შეკვეცაში გერმანიის მტრები, რა თქმა უნდა, შეთანხმდებოდენ. მით უფრო, როცა, ამის შემდეგ, რამდენიმე წლის გასვლის უფრო ფართოდ დაისვა განიარაღების საკითხი. მხოლოთ აქ ერთია საკითხავი: წარსულ წელში რათ მისცეს, მაგალითად, იმავე გერმანიას ნება დადებითად გადაეჭრა საკითხი ახალი დრედნოუტის აგების შესახებ? —იმიტომო—ირონიული სიცილით ამბობს ამაზე ტარტაროზი—რომ ამ დრედნოუტის ზარბაზნები გერმანიის ადრინდელი მტრებისაკენ კი არ იქნება მიშვერილი, არამედ სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით. თუ, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებასაც არ შეუცვალა ვინმე სხვა ახალმა ძალამ მიმართულება!..

**ივლისი 10 ოთხშაბათი**



1905 წ. ქ. ტფილისსა და ტფილისის მაზრაში გამოცხადდა სამხედრო წესები.

მაშინდელი მთავრობაც სამხედრო წესებს იმიტომ აცხადებდა, რომ რევოლიუციონურმა ხალხმა კიდევ უფრო ადრე გამოაცხადა ასეთივე! წესები სწორედ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „სესხი გადახდითაა“-ო, ნათქვამია და თვითმპყრობელობაც არ ფიქრობდა მაშინ ხალხის ვალში დარჩენას. 1905 წელი, როგორც ვიცით, დასრულდა ამ ვალდებულებათა მეფის სასარგებლოდ გადაწყვეტილებებით. ახლა ხალხი დარჩა მეფის ვალში, რომელიც ამ უკანასკნელს გაუსწორა მან 1917 წელს, უფრო კი—ცოტა შემდეგ, 1918 წელს.

**ივლისი 11 ხუთშაბათი**



1918 წ. თეთრგვარდიელების აჯანყება მურომსა, არზამსსა, როსტოვსა და რიბინსკში.

რევოლიუციის შემდეგ „სითეთრემ“ განსაზღვრული უარყოფითი მნიშვნელობა მიიღო. თეთრები—ეს რევოლიუციის ყველაზე უფრო საშიში მოწინააღმდეგენი იყვნენ. თითქმის ასევეა აჯანყებაც. როცა მუშები და გლეხები აჯანყდენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, 1917 წელში, ეს გასაგებიც იყო და უაღრესად რევოლიუციონური მოვლენა. მაგრამ, როცა თეთრგვარდიელები აწყობენ აჯანყებას მუშურ-გლეხურ საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, ეს უკვე კონტრრევოლიუციონური მოვლენაა,

**ივლისი 12 პარასკევი**



1920 წ. ხელშეკრულების დადება ლატვიასთან.

ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე განსაკუთრებით—თვით ლატვიისათვის. მაგრამ, სამწუხაროთ, ზოგ თანამდებობის პირთ ეს ასე არ ესმისთ. მაგალითად, ლატვიის ყოფილ ელჩს რუსეთში, ოზოლსს. მას, ალბათ, ეგონა, რომ სიტყვა „ხელშეკრულება“ საკუთარ ჩემოდნებში სხვადასხვა საეჭვო ხასიათის ნივთების შეკვრისაგან არის წარმომდგარი. ამით აიხსნება ელჩისათვის ის სამარცხვინო ქცევა (ქურდობა), რომელშიაც ოზოლსი არა მარტო ხელებით იქნა დაჭერილი და შეკრული, არამედ, ხელებთან ერთად, ორივე ფეხებითაც.

**ივლისი 13 შაბათი**



1793 წ. ცნობილმა შეთქმულმა შარლოტა კორდემ ხანჯლით გაუგმირა გული პარიზის ღარიბ-ღატაკთა წარმომადგენელს და რევოლიუციონერს, მარატს.

მარატი საფრანგეთის რევოლიუციაში ყველაზე უფრო ტემპერამენტიანი, ცეცხლისა და გზნების პატრონი რევოლიუციონერია. მის წინაშე ქედს იხრიან ისეთი სახელები, როგორიცაა დანტონი და თვით რობესპიერიც. მისი მოსვენება არ იყო, საფრანგეთის ღარიბთა არა ერთი მტერი გაისტუმრა მან იქით, საიდანაც უკან არავინ არ ბრუნდება. მას ყველგან შეთქმულება ელანდებოდა. ერთი ასეთი მოჩორილი შეთქმულების შესახებ მარატისათვის სასწრაფო ცნობათა გადაცემის მოშიზეზებით, შარლოტა კორდემ მიიღო ნებართვა მარატთან შესვლის შესახებ, როცა ეს უკანასკნელი აბაზანას ღებულობდა. და აი, აქ მოჩორილ შეთქმულთა შესაპყრობათ ბრძანების ქაღალდზე ხელის მოწერის დროს კორდემ შეაპარა მარატს ხანჯალი იმ გულში, რომელიც ამ წუთს სწორედ სხვების სიკვდილისათვის ჰფეთქავდა.

# „აქტიური ურწმუნო“

## ამაღლება

(ქუთაისის მაზრა).

პარტიის წევრები: შალვა ტყეშელაშვილი და მინაგო ხურციძე; კანდიდატები: დომენტი ხარაბაძე, სტეფანე მესხი და პეპიკო ხვანაძე ჩვენი სოფლის „დღესასწაულზე“ (ამაღლება, წელს 15 ივნისი, მეორმოცე დღე აღდგომიდან) დაითვრენ და აურ-ზაური ასტეხეს. ტყეშელაშვილი რევოლვერიდან ისროდა და ხალხს აშინებდა.

შაში-ჩარი.



— შალვა, როგორ არ გრცხვენია, რომ პარტიული კაცი საეკლესიო დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობ, ითვრები და...

— უკაცცცრააად! მმმმე მთვრალი არ ვარ... ოც ფუთ ღვინოს კიდევ დავლევ და ასსსსე ფფფფხიზლად ვვვვიქნები... მე ანტირელიგიურ ბრძოლას ვაწარმოებ.... ხომ ხედავ — რევოლვერს ვსროლიილობ ცაში, ამაღლებული ქრისტე უნდა მოვკლა; აი აგერ არის ღრუბლებში ის სუნკისინი!

---

ის მოქალაქენი, რომელთა შესახებ ჩვენს ჟურნალში თავსდება ბრალდების წერილი, ხშირად მოგვმართავენ წერილობით და ითხოვენ კორესპონდენტის სამედიატორო სასამართლოში გაწვევას.

რედაქცია აცხადებს, რომ დაზარალებულებს შეუძლიათ მიმართონ სახალხო სასამართლოს, სადაც რედაქცია პასუხს აგებს. თუ სასამართლოში ბრალდებული გამართლდება, განაჩენი გამოქვეყნდება ჟურნალში.

„ტარტაროზი“-ს რედ.

# გამგის წვეულება

## მიბაძვა კრილოვის

გამგემ ლხინი გადიხადა,
მოიწვია თვის ამქრები.
ლამაზებიც ბევრი ჰყავდა,
(იქ არ ახლდათ იმათ ქმრები).

სუფრის თავში დააჯინეს
სავარძელში დირექტორი,
და მას გვერდში ამოუსვეს
იქით - აქეთ ქალი ორი.

უკეთესი მასპინძლობა
არ ნახულა, არსად თქმულა:
რა საჭმელი! რა სასმელი!
რა იყო, რომ იქ არ დგმულა.

შამპანიურს ისე სვამდენ,
თითქოს არის რუს წყალით.
სათითაოდ ჩამოუდგეს
კალმახი და ცოცხალით.

გადაჰკრეს და სადღეგრძელო
ხათითაოდ გააჩინეს.
სამადლობელს სავსეს სვამდენ,
წვეთი არვის შეარჩინეს.

გახალისდა ჩვენი გამგე—
ბედნიერი მასპინძელი,
და მოსინჯა ხაცეკვაოდ
იატაკზე ფეხით ძელი.

თვისი ბოხის მაღალ ხმით
„სუფრულიც“ კი შემოსძახა;
(სიმღერის დროს ერთ მტკაველზე
დაღებული ჰქონდა ხახა).

უცბად ხელი გაიქნია,
რაღამც თავში გაუარა.
გადმოახტა სუფრას თავზე
და ლეკური დაუარა.

საქმმართველმა ტაში დაჰკრა:
ფოკსტროტია ნამდვილით.
ჩვენს გამგისთვის ყველაფერი
კარგია და ადვილით.

თანაშემწემ წაიჩურჩულა:
ვერა ხედავ ნასმია?
სასაცილოდ დაძუნძულებს,
თითქოს თავ-ბრუ დასხმიათ!

საქმმართველმა უპასუხა:
ეს შეც ვიცი, ძამიაო.
ისე ხტება მაღლა-დაბლა
თითქოს აქ კლდე - ხრამიაო.

რას დავეძებ მაგის თამაშს,
ეს ფეხებზე მკიდიაო.
მაგრამ ქება ამნაირი
ჩემის საქმის ხიდიაო.

მოვუწონებ და შევაქებ,
გაბრიყვდება ამითაო,
და ხშირ-ხშირად დაგვპატიჟებს,
ჩვენ გავძღებით ჭამითაო.

— ჰო, მაგ აზრით, მართალია:
ვერავინ სჯობს ცეკვაშიო!
და სხვებსავით თანაშემწემ,
დაჰკრა ფაში და ტაშიო.

ზმუკი.

# „რეზოლიუცია“

კაცო; თუ სადმე რამე ნაკლი შევამჩნიე, ყოლიფე-რი უნდა წამოვროშო. ვატლიკინებ ენას წალმა-უკუღმა და ამ ტლიკინში ვინცხა თავზე ხელაღებული რაცხას მფრიწებს თავში და ქი გამათავებს კაკალ კაცს. გულახ-დილობაში სულ (ცხონებულ ბაბას ვგევარ)—თუ ვინმეს რამე ნაკლს დაუნახავდა, პირში ეტყოდა: „ჩემო ძამია ეს შენ კარგათ ვერ გააკეთე, ეს ასე არ უნდა გაგეკეთე-ბია“-ო.

მეც ასე ვიქცევი.

ამას წინაზე, კაცო, რაღაც თხოვნის ქაღალდი მიუ-ტანე პლატონ კვირველიას განათლების განყოფილება-ში. ჯერ შეყოყმანდა, ვერც ვარი მითხრა და ვერც კი, მე-რე წამოუსვა კალამს და ჩემს განცხადებაზე წითელი მე-ლნით დაეწერა: **სასურველია რომ მიეცესო.**

ვაფრინე ქაღალდი კანცელარიის გამგესთან. მან და-ხედა რეზოლიუციას, გაიცინა და მითხრა: — ჩვენ ვერ დაგაკმაყოფილებთ. მიმართეთ სოსიანსო.

სოსიანმა წაიკითხა რეზელიუცია, გაიცინა და მით-ხრა: მეც დიდი სურვილი მაქვს, რომ თქვენი თხოვნა და-ვაკმაყოფილო, მაგრამ რომ ვერ დავაკმაყოფილებთ, ეს პლატონმაც კარგათ იცისო.

— თუ იცოდა მაშ რისთვის დააწერა ეს რეზელიუ-ცია და პირდაპირ არ მითხრა?

— თქვენც მოგიმადლიოთ და თითონაც არაფერი დაკარგაო. თქვენ პირდაპირ ბერიძეს მოელაპარაკეთო.

გამოვბრუნდი ბერიძის სანახავათ, მაგრამ მას „პრიო-მი“ გათავებოდა და მოლაპარაკებაც მეორე დღისათვის გადაიდო.

მეორე დღეს 2 საათამდი ლოდინის შემდეგ მივაღ-წიე ბერიძესთან და განცხადება გადავეცი. მან განცხა-დება წაიკითხა, რისთვისაც დიდი მადლობელი დავრჩი, რადგან სხიიბმა არც ამაზე შეიწუხეს თავი, და ზედ რა-ღაცა წააწერა. გამორთმევის შემდეგ ჩემს განცხადებაზე ასითი რეზელიუცია აღმოჩნდა: **„აღეძრას შუამდგომლო-ბა საფინგანის წინაშე“.**

ქაღალდი ვაფრინე ბუჰხალტერიაში. იქ მუშაობა უკვე გათავებულიყო. საქმე გადაიდო მეორე დღისათვის. დილა ადრიან მივაკითხე ბუჰხალტერიას. მთავარმა ბუჰ-ხალტერმა შემდეგი დააწერა: „ამ რეზელიუციების დამ-წერებმაც კარგათ იციან, რომ თქვენი აქედან დაკმაყო-ფილება შეუძლებელია“-ო-.

ეს არც კი წამეკითხა, რომ ბუჰხალტერს შევეკითხე:

— ვის უნდა გადავცე.

— თქვენთვის შეინახეთო! — მომიგო მან.

სხვა რა გზა იყო. მეც ასე მოვიქეცი.

**უსინდისო.**

# „გამოცდები“

**(სად. გარდაბანი)**

**შალიკო:** — ბიჭო ილარიონ, დევილუპე კაცი, საცაა კომისია მოვა ჩვენთან და... მარა ნუ გეშინია არ უნდა ჰაჩერდე მხოლოდ, თუ ენა დაგება, ისაა უბედურება.

**ილარიონი:** — ნიკიფორე, შენ რავა ეხლავე წაგსვ-ლია ფერი! ვერ უყურებ შალიკოს და ვასოს რავა ყოჩე-ბივით არიან?

**ნიკიფორე:** — კაცო, წუხანდელი ნადეჟურნები ვარ. ეხლა კომისია და გამოცდა? ჩემი ხნის რელსი არ არის რკინის გზაზე და მე რაღა გამოცდა მესაჭიროება? წამო, ბიკენტის ვკითხოთ, თუ რას ეკითხებიან ეგზამენზე. მა-რა ის ოხუნჯია და საცინლად აგვიგდებს.

**ბიკენტი:** — დედის სულს გფიცავართ, მართალს გეუბნებით. ვეზირიშვილისთვის უკითხავთ: — ძაღლი რომ მოგივიდეს ბაგაჟათ და გამოჭვირთის დროს გაგექცეს რას იზამო? გაჩერებულა თურმე ხარივით და არ უპასუ-ხებს. მერე რომ დააჯინდენ, ასე უთხრა თურმე:

— ბატონო, სადგ. რუსთავში ბაგაჟის მიღება და გა-გზავნა არ სწარმოებს და მაგისანა მაგალითი არ მომიხ-დებაო.

**ვახო:** — დევილუპე ილარიონ, მაგის პასუხი არც მე ვიცი.

**ილარიონი:** გაჩერდი თუ ძმა ხარ, თუ მეძებარი ძაღლი იქნა, ხომ კარგი, თუ თათრის ბომბორიკა ნაგაზი იქნა, შენი მტერია... რაო? უნდა დავიჭიროო? დავიჭირო კი არა, შევეხვეწები ჩქარა გაიქეცი-მეთქი... თავი დასაგ-ლეჯათ კი არ მინდა.

**ბიკენტი:** — არა ბიჭებო, უსტავში ასე სწერია; უნდა სდიოთ სიმოფორამდე და თუ ვერ დაიჭერ, პასუხისმგე-ბელი არა ხარო.

**ილარიონი:** კაცო, ბიკენტი, როდის მოიშლი მაგ მასხრობას? იქნება სემოფორისკენ არ გაიქცა? თუ გაიქცა ამ კეროსინიპროვოდისკენ, სად გადავიტანო მე იქ სემოფო-რი თუ ძმა ხარ?

— მე წავალ ერთს გადავკრავ და მერე ძაღლის გა-ქცევაზე კი არა, რაზედაც უნდათ იმაზე მკითხონ.

**ვარდაბნელი.**



ლევარსის გამოგონება მეზობელ მოჩხუბარ ქალების გასაზავებლად.

# შემოსავლის წყარო
## (ლანჩხუთი)

— აღმასკომმა დაადგინა: „მემუსიკეებს ხელფასით დაკმაყოფილებლად მიეცეთ დასაფლავებიდან შემოსული თანხა“.

მარტისა.




**ალმასკომის თავმჯდომარე:** — ვინ გარდაიც ვალა თქვენს საბედნიეროდ? ვის მიასვენებთ?
— ამდენი ხანია არავინ მომკვდარა.. ისევ და ჩვენს ხელფასს მივასვენებთ!

---

# ჩვენი შეფი

ერთ დღეს სოფ. ქსოვრისში არაჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა.

— ვაი, ვაი, ჩვენს დღეს უბედურს! —ღრიალებდა ოთხწლედი და მასთან არსებული პიონერთა ორგანიზაცია.

— ჩემს საქმეს საშველი მაინც არ ჰქონია!— იძახდა ქოხ-სამკითხველოს გამგე, რომლის ხელფასი თემის ბიუჯეტში არ არის შეტანილი და მგონი არც შევა, ვინაიდან თავს არავინ იწუხებს ამაზე.

— ფუი ასეთ გაჩენას! — იძახდა ქერ და კედელ ჩამონგრეული საკლუბე შენობა.

— დავიღუპეთ, აღარ გვეღირსება წყაროს გაყვანა, ისევ ბინძური ქსანი უნდა ვსვათ!—მოსთქვამდენ სოფლელები.

მდინარე ქსანი კი დაცინვით ბუტბუტებდა:

— ახია თქვენზე რომ იძახდით: ქსანის წყალი არ დაილევაო, წყაროს გამოვიყვანთო და მას არც კი შემოვხედავთო. ეხლა.

— ხალხი ბობოქრობდა, ხალხი ღელავდა, ხალხი სტიროდა.

— რა არის ხალხო? რა გატირებთ? რა ამბავია თქვენ თავს?—იკითხა გამვლელმა.

— რაღა ამბავია, თქვენი ჭირიმე, —უპასუხეს ერთხმად,— ერთი კაცი გვყავდა მადლიანი, რომელიც სოფლის აყვავებას გვპირდებოდა და იგიც წასულა იქითკენ, საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

— ვინ იყო ეს კაცი?

— ჩვენი შეფი.

— შეფი! მერე ვინ იყო ეს შეფი?

— ვინ იყო და მადლიანი მიწსახკომის თანამშრომლებიდან გამოყოფილი საშეფო კომისია.

— მერე რა იცით რომ მკვდარია?

— როგორ არ ვიცით! შარშან დაგვიბარა: პირველ მაისს აუცილებლად მოვალთ თუ ცოცხლები დავრჩითო. ალბად დაიხოცენ და აღარ არიან, თორემ აგერ მაისი გავიდა და არ სჩანან. ისინი ტყუილს არ იტყვიან ისეთი ხალხია. ვაი ჩვენს დღეს, ვაი!—დააბოლოვა ხალხმა. პიონერთა ორგანიზაციამ კი სამგლოვიარო ჰიმნზე ააჰყივლა შეფის მიერ შეწირული საყვირი და ამავე ნოტაზე ააბრახუნა დოლი იმავე შეფისაგან ნაყიდი.

— დაფიქრდა მგზავრი. შემდეგ ხალხს უთხრა:

— იქნებ მკვდარი არ არის. გაგზავნეთ დელეგაცია; შეიტყვეთ: მკვდარია თუ ცოცხალი. თუ ცოცხალია, რაღას გლოვობთ, და თუ მკვდარია, მაშინ შესაფერისი გლოვა გმართებთ, საპატივცემული კაცი ყოფილა. სიტყვით ხომ დაგპირდათ საქმის გაკეთება!

ყველას მოეწონა ეს აზრი. აირჩიეს მაშინვე დელეგაცია და გაგზავნეს თბილისში. ყველა იძახოდა: „ღმერთმა კარგი ამბით მოგიყვანოსო“.

დელეგაცია მარდი გამოდგა. მერცხლების ფრთებით ჩაფრინდა თბილისში. მიადგა მიწსახკომს. დაიარეს ყველა ოთახები და ყველას კითხავდენ შეფის შესახებ. არავინ არაფერი იცოდა: „რა შეფი? რის შეფი?— უკვირდათ მიწსახკომში. ბოლოს, როგორც იყო მიაგნეს. თურმე შეფი ძალიან დაიღალა ლაპარაკით და რომ დახარჯული ენერგია აღედგინა დაიძინა ექვსი თვით.

ჩამოვიდა დელეგაცია თბილისიდან. მიეგება მთელი სოფელი. ყველას ეინტერესებოდა შეფის ამბის გაგება.

დელეგაციამ გადასცა ხალხს საქმე როგორც იყო.

დაფიქრდენ. ვერ გაიგეს, თუ რას მოასწავებდა ეს ექვსი თვის ძილი.

ბოლოს წამოდგა ერთი პატარა ბავში, ეტყობოდა მოწაფე იყო, და სთქვა:

— ჩვენმა მასწავლებელმა გვასწავლა, რომ შემოდგომაზე მწერები იძინებენ ექვსი თვითო. შეფი ხომ კაცია, მას მეტი ძილი ესაჭიროება.

ქსანი კვლავ ბუტბუტებდა და პის ამღვრეულ ტალღებს მიჰქონდა ყოველგვარი ნაგავი.

ქოხ-სამკითხველოს გამგემ გამოკეტა სამკითხველოს კარები::

— გიჟი არ ვარ. ოთხი თვე ვემსახურე უფასოთ და აწი რაც გინდათ ის ქენით.

სამკითხველოს გაზეთი კოოპერატივში მიდის და ნოქრები შიგ შაქარს და მარილს ხვევენ.

საკლუბე შენობამ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ღმერთს ევედრება შველას.

შეფი კი განაგრძობს ხვრინვას.

ჯუჯა.

# „პროტესტი“

არა, ძველ მოსამსახურე ხალხს სულ ტყუილად აბრალებენ, ჩემის აზრით, წინ წამოწეულ მუშათა ჩაჩრდილვას, ჩაწიხვლას, ჩაჩქმალვას.

აი, მაგალითად, გვიგზავნიან ჩვენ ასეთ წინ წამოწეულ მუშა-მოსამსახურეს და, მასთან ერთად, ასეთ ცნობას: „ამასთანავე მოგავლენთ თქვენს განკარგულებაში ამხ. კ. ვ. უხანოვს და გთხოვთ მისცეთ მას შესაფერი სამუშაო“.

ყველას მოეხსენება, რა თქმა უნდა, რომ ამხ. უხანოვი ჩვენთან არ გამოუგზავნიათ. 1921 წელს ამხ. უხანოვი უბრალო დაზგის მუშა იყო, შემდეგ ის წამოყენებულ იქნა წითელი დირექტორის თანამდებობაზე; ხოლო ამჟამად სათავეში უდგას მოსკოვის საბჭოს. მაგრამ დავუშვათ, რომ ამხ. უხანოვი დაზგიდან წამოყენებულ იქნა არა წითელ დირექტორად, არამედ ჩვენთან.

— ასე, ჩემო ამხანაგო — ვეუბნები მე მას — მეფის დროს თქვენ დიდხანს იყავით უბრალო მუშად და დარჩებოდით იმადვე საუკუნოდ, რევოლუცია რომ არ მომხდარიყო. მაგრამ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ასე არ არის, ეხლა თუ ვხედავთ, რომ კაცი ნიჭს იჩენს, მას ჩვენ ვსწევთ წინ, მიუხედავათ განათლებისა თუ სხვა რაიმე ცენზისა. ამასთანავე, ჩვენ განგვითავისუფლდა საქმის მწარმოებლის ადგილი. უწინდელს დროში ასეთ თანამდებობებზე მსახურობდენ ტიტულიარული სოვეტნიკები, რაიცა სამხედრო რანგის კაპიტანსა ან როტმისტრს უდრიდა. რაც შეეხება განათლებას საშუალოზე ნაკლები წარმოუდგენელი იყო. ახლა კი, აი, მე თქვენ გნიშნავ! ხვალიდანვე შეუდექით სამსახურს, ამხ. უხანოვო!

წარჩინებაში მოხვედრილი იწყებს სამსახურს. ხოლო, რამდენიმე დღის შემდეგ, შემოიჭრება ჩემთან აღელვებული კანცელარი და ვეუბნება:

— მე ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნი თავიდან! თქვენი წარჩინებული უხანოვი — ეს თქვენი „საქებარი ხიახური“ სრულიად უვიცია ამ საქმეში. მას წარმოდგენაც კი არ აქვს საქმის ქაღალდის ფორმაზე.. სწერს, თითქოს სატეხით ამტვრევდეს. საჭიროა, მაგალითად, მიმართვის უმაღლეს ინსტანციაში მიწერა; ის კი ოქროპირობს: „წინადადებას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო“... ასეთი საქმის წარმოებისაგან ხომ უსამოვნების მთელი უძიროება არის მოსალოდნელი! უკვე არაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ქაღალდის მოძრაობაზე მას წარმოდგენაც კი არ აქვს, და არც საკანცელარიო სტილი გააჩნია. ერთი სიტყვით, აბა თითონვე გასინჯეთ, რა ჯანდაბის საქმის მწარმოებელი უნდა იყვეს ასეთი კაცი! მაგრამ, აბა, რა უნდა ვქნათ?

თვითონვე კარგათ ხედავთ, რომ წარჩინებულ ამხ. უხანოვისაგან საქმის მწარმოებელი არასმიქინით არ გამოდის. და გადამყავს ის მოანგარიშის თანამდებობაზე.

მაგრამ გადის რამდენიმე დღე და მეორდება თითქმის იგივე ისტორია:

— მაპატიეთ, მაგრამ მაგას წარმოდგენაც კი არა აქვს!.. წინადადებას აძლევ მას, რათა აწარმოოს სარევიზიო კონტორო წიგნი-აჟური, მას კიეს სიტყვები სილოცხლეში პირველად ესმის! არც ჩაწერათა ფორმებს არის გაცნობილი, დებეტსაც კრედიტში ურევს და ჯუმლთა შედგენაშიაც შეუწყნარებელ შეცთომებს უშვებს. არა და არა, რა მოანგარიშე უნდა დადგეს ასეთი კაცისაგან. არაფერს ვამბობ უკვე იმის შესახებ, რომ ამ სამუშაოში იოტის ოდენ ერთგულებასაც არ იჩენს ის!...

რას იზამთ ასეთ შემთხვევაში?

უხერხულ მდგომარეობაშიც ვვარდები და არც წინ წამოწეულის უკან დაწევა მინდა. მაგრამ მეტი გზა აღარ არის, მრჩება ერთად ერთი... მრჩება ის, რომ მოვიხმო ამხ. უხანოვი და ვუთხრა:

— აი, რა, ამხ. უხანოვო! ე-ე-ე!... ამ!.. თქვენ შეურაცხოფილად არ იგრძნოთ თავი, მაგრამ... როგორ გითხრათ!.. ესე იგი... ხე-ხე... აი, თუ თქვენაც საწინაამდეგო არაფერი გექნებათ, გვაქვს ჩვენ შინა მიკრიკის თანამდებობა: მოგეხსენებათ, ჩაის მიმოტანა და სხვა ასეთები...

რაღა თქმა უნდა, რომ ამასაც ვეუბნები მხოლოთ იმიტომ, რომ უცბათ, ერთი ხელის მოსმით გენანება წინ წამოწეული მუშა კაცის სრულიად უადგილოდ დატოვება, თორემ თითონვე მშვენივრად იცით, რომ ამხ. უხანოვი ჩაის დამტარებლადაც ისევე არ ვარგა, როგორც საქმის მწარმოებლად ან მოანგარიშედ. კაცი მიეჩვია ფოლადის იარაღების ხმარებას და აქ კი შენ მას ხელში აჩეჩებ რაღაც მეტისმეტად სათუთ-მათუთ მუშის ჭიქებს, ცხადია, დაფშვნის... ვერც თუ სათანადო თავაზს გამოიჩენს თანამშრომელთა მიმართ, თავისი ჩვევების გადამკიდე. გულს ამ სამუშაოსაც ისევე ვერ დაუდებს ის, როგორც მოანგარიშეობას.

არა, წინ წამოწევით წარჩინებულ უხანოვისაგან არაფერი ამ შემთხვევაში არ გამოვა. და არა მარტო მისგან, სულ ერთია, ვისაც არ გამოგვიგზავნით: იქნება ეს, მაგალითად, მიხეილ ივანისძე კალინინი, ყოფილი მუშა-ზეინკალი, ვლასი იაკობისძე ჩუბარი, ისეთივე ყოფილი მუშა, ხოლო ჩამომავლობით — გლეხი, თუ ვინმე სხვა, სულ ერთია, არაფერი მშვიდობიანი არ გამოვა. თუმცა მე მათ შევხვდები სათანადო კეთილგანწყობილებით და ვეცდები გამოვაჩენიო ფხა და უნარი რომელ საქმეშიაც გინდათ: მოანგარიშეობასა, საქმის მწარმოებლობასა, ტეხნიკურ მდივნობასა, ბუჰგალტერიასა, მანქანით მწერლობასა, რეგისტრატურასა, არქივარიუსობასა თუ სხვაში.

და ჩემის აზრით და რწმენით, მიწოდეთ მე ბიუროკრატი, „კონტრი“, „ელემენტი“, თუ რაც გნებავთ, მხოლოთ მე მაინც პირუთვნელად გეტყვით, რომ უმჯობესი იქნება თუ აღნიშნულ მუშა-მოსამსახურეთ თქვენ ჩვენსკენ „წინ არ წამოსწევთ“ და არ გამოგვიგზავნით. არც უხანოვები, არც კალინინები, არც ჩუბარები და პროლეტარიატის არც სხვა უნიჭიერესი წარმომადგენლები, რომელთა სახელიც ლეგიონია, ასეთი „წინ წამოწევისათვის“ არ გამოდგებიან.

რა თქმა უნდა, წინ წაწეულები უწინდელ დროშიც ყოფილან. მაგალითად, თავის დროზე მაქსიმ გორკი, როგორც მე წამიკითხავს, ნაფიც ვექილის გადამწერლადაც ყოფილა წინ წაწეული.

აი, კაცმა მიიღო წინ წაწევის წარჩინება! მაგრამ რა გამოვიდა? აბა, თითონ განსაჯეთ, რა ნაფიცი ვექილის გადამწერალი უნდა ყოფილიყვეს მაქსიმ გორკი?!.

**ბრამინტი** (თარგ. რუსულით მაჩაბლისა). /

# გაწამაწია

სოხუმი — ქართ. დრამის თეატრის ადმინისტრატორი და დირექტორი ერევიან რეჟისორის მუშაობაში.





## იმერული სცენა

არა, რომ იტყვიენ, სულზე მუუსწროო, სწორეთ ეგია.

ვენაცვალე ჩემს გამხმარ ეფროსინეს გულმკერდში. დეიჩემა: უნდა დევიჟიხო აბრეშუმის ჭიაო; ხომ ხედავ ბაღნები სულ დაღლეტილი დაგვიარებაო; რაცხა ორი პარკი რომ აახვიოს, კარგია, ბაღნებს ჩავმოსავთო.. ი ახალოხი რომ შემოგვეხა, ეხება ჩვენ გვერგოს რამეო.

მე ფვალდაფსებულმა კინაღამ დავღუპე ოჯახი და კინამ ვარი უთხარი. დოუწყე ყვირილი. იმას ავაბუდგნიებ ოჯახს; ლეტარეიაში ჩევიგდებ თავსთქვა. უძვალო მატლებში კი არა, ძვლიან საქონელში არ გვინახავს ხეირი-თქვა.

რაცხა პეტერეი ბჟოლის ფოთოლი მაქვს ძროხას დოუბელავ უფრო მადლია-თქვა.

შენც არ მომიკვტე; ფაფარი არ შეიდრიკა ჩემმა ეფროსინემ. ყველაფერს შენ რომ გიჯერავდი, იმიზაა ჩვენ რომ ავშენდითო, ვინცხა ი ინდუქტორია თუ რაცხა, ქუთეისიდან, რომ ჩამევიდა, იმისთანა დარიგება მოგვცა, რომ ნახევარი თუ შევასრულე, მაინც წინ მექნება საქმე.

დაადვა თავი და წევიდა საცხა. ხელად მოაჩინთა ერთი კოლოფი თესლი და ერთი პეტერე წიგნი.

რას ვიზამდი. დავჩუმდი. ვიფიქრე: ახლა ქალების დროია-თქვა. მარა იგი მაკვირვებდა— წიგნი რათ უნდოდა.

გადაფურცლა, დუუწყო ლექვა (არ გაამტყუნოთ, შარშან ძალათ ასტავლეს, ჩემო ბიძია); იმდენი იკითხა, იმდენი იწვალა, რომ თლათ კაჭკაჭივით გეიზეპირა: ამ სისტემაზე უნდა მოვაწყო და მოუაროო. ამიყოლია მეც. მოდგა: იწმინდება, იხვეტება, იფხეკება, მოაწყო და გააფოკუსა ჩელტები; ისე გაასუფთავა, რომ მეც კინაღამ დავწევი ზეთ. სახში დააყენა გოგირდის ბოლი აგი დეზიფექციააო. შეყარა ბოლში საჭირო ხელსაწყოები. ამას რომ მორჩა, მაყიდია რაცხა თერმომეტრიაო, სიცხე-სიცივე ამით უნდა გუუზომოვო. გადვირიე კაცი. ბალნე მიკვტებოდა და იმიზა ვერ ვიშოვე სიცხის გამოსაზღმავი და ამან მატლებიზა მაყიდია.

ერთი სიტყვით, ჭიას ახალი წესით დუუწყო მოვლა. ამის ჯავრმა მომკლა, რომ თლათ გაკომუნისტკდა. რომ ჩამევიდოდენ მეზობლები და იტყოდენ: ჯვარი მიწერია ჩემი თვალით საუცხოვო აბრეშუმი გყოლიაო, იგი სიცხით ეტყოდა: ჯვარი კი არა, ხატნ არ გინდა. ასე თუ კი მოუვლით, თქვენიც კარგი იქნებოა. არც ლოცვა რომ იციენ ქალებმა ჭექა ქუხილის დროს, ის არ შეულოცია, მარა ამისთანა იხეირა, რომ უკაცრავათ პასუხია, ცერის სისხვანი დაშთიქინდა. აახვია კენჭივით პარკები და ბარე ხუთი ფუთი გამოვხიკეთ. ბაღნები წითელ ყვითელში გამოვარფირფიჩე, ჩემი ქალი დედოფალი მგონია და მეც ძველი კნიაზივით ვარ ახალ ახალოხში გამოპიწკული; ისე ვარ, რომ მნახოთ ვერ მიცნობთ. აწი მე მიყურეთ რაფერ მოვამრავლო და მოუარო ბჟოლის ნერგებს და აბრეშუმს, რაფერ დოუჯერო აბრეშუმობაზე ჩემს ეფროსინეს.

ხანი.

## აჭარული სცენა

ეიდა, ჭოვ, ინსანი ვდელდები, იმისთანაი იბრეთი საქმე დამემართა, ამირჩიეს, ჭოვ, დეპუტატათ. მოქცეს უფროსობა. ჩამაენეს ავტომობილში და მითხრეს:—ბათომში კრება უნდა დაესრო თავი კაცების ასარჩევადო.

ეფეჯა გამიხარდა, ტოლრი უნდა გითხრა ჩემი ცხენი ხუთ დღეში ვერ ჩევიდოდა შეჰერში.

მევედი შეჰერში, მომცეს კაი ჰადილი, ვახშამი, მე მეგონა—ფასით, თუ რმე იყო უფასოთ. გეიმართა, ძიაე, კრება. მთელი დუნია იქ იყო. დეიწყეს ამბავი, ილაპარაკა ერთმა, ილაპარაკა მეორემ; გამევიდა ერთი აალგაზრდა ბიჭი და ზოვლი ილაპარაკა: აჯაბა, აი ვინცხაა ვინ არის მეთქი, ქობლეთელიაო, თქვეს, პა პა, პა, პა! სტავლა რა ყოფილა. ჩვენი მუსლიმანი თუ ასე ილაპარაკებდა, არ მეგონა. ინსანი გავდელდი. მეკადრა მე ლაპარაკი, მარა ვერაფერი ვერ ვთქვი. ტყუილაი გამომაძღეს და ასე სირცხვილი ვჭამე მთელ მილეთში.

მე აწი რა ვისტავლო, და შვილს კი უსტავლელს არ დავტიებ.

ბუჯგუტი.



— ღმერთო ჩემო! ეს რა მოგსვლია, კაცო?! გაგონილა ასე დათრობა?
— მწუხარებისაგან, ჩემო კარგო... მწუხარებისა და დარდისაგან... უკანასკნელია, უკანასკნელი.

# პარტწმენდაზე

**თავ-რე:** თაღლითაძე პლატონ?

**თაღლითაძე.** მე ვარ პარტიის წევრი 1925 წლიდან. ღარიბათ ვცხოვრობდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიაკვნობას დავანებე თავი, რადგან ეკლესია დაგვიკეტეს თავხედმა კომსომოლებმა. ეხლა კი, მადლობა ღმერთს კარგად ვცხოვრობ. ავაგე ორ სართულიანი სახლი, მოჯამაგირეც მყავს. გასულ წელს ხელზე ვაჭრობა დავიწყე. ბედმა გამიმართლა, ფულებიც მაქვს გასესხებული გლეხებზე, საწყლებს ვეხმარები, ხელს უმართავ. ეხლა არ ვმუშაობ, რადგან ფულისაგან აღებულ პროცენტისაგანაც კარგად ვცხოვრობ. დღემდი არც მიწა მქონდა საყოფათ. მაგრამ ამას წინად ისიც ვიყიდე მეზობლიდან. რაც შეეხება პარტიულ მუშაობას, ეს ყველა ამხანაგმა იცის მართალია ერთ წელზე მეტია კრებას არ დავსწრებივარ და საწევროც არ გადამიხდია, მაგრამ სამაგიეროთ საწევრო გადასახადი დღეს ყველა ერთად გადავიხადე.

**კომ. თავ—რე:** კარგი კმარა. დაჯექი... (იძახის) ურწმუნოშვილი.

**ურწმუნოშვილი:** აფხანიკებო! მე ვარ პარტიის წევრი 1917 წლიდან მგონი.

**წამოძახილი:** სიცრუეა... სიცრუეა...

**ურწმუნოშვილი.** აბა რა ვიცი... ალბათ არ მახსოვს, კარგათ... მხოლოდ იგი კი ვიცი რომე პარტიული ვარ... ჰო, ახლა გამახსენდა მგონი 1917 წლიდან ვარ პარტიაში... ჰო, იმას ვჩიოდი, მე ვარ პარტიაში 1917 წლიდან. ოქტომბრის რევოლიუცია ჩემ ზურგზე იდგა მთლად... მე რომ არ ვყოფილიყავი მგონი არც კი მოხდებოდა, მაშინ ჩემთან თაღლითაძეც მუშაობდა მგონი...

წინად კარგად ვიყავი, მაგრამ ჩემი ქონება კარტში წავაგე სულ და წარმოიდგინეთ ვერც ეხლა მევიშალე ის. ოჯახი უუკე დევიყვანე. აი ეხლა ვარ ნამდვილი პროლეტარი. ნათქვამია „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და თამაში ვერ მევიშალე. რომ წავაგებ ფულს, საცოდავი ჩემი ცოლი კესარიე მეჩხუბება, მარა ხანდისხან ისე ამეშლება ნერვები, რომე, გულმოსულს რამდენჯერ მიმიბეგვავს საცოდავი. მარა ღმერთის წყალობით, დეილოცა მისი დიდება, ვათრევ სულს სანამდის არ ამომძვრება. ჩემს ოჯახს კარგათ თუ ავათ მე ვარჩენ. ჩემს მეტი ქრისტიანი კაცი არაა ჩემი მომხრე...

**ს. კომკავშირელი:** იყავი თუ არა მიცემული პასუხისგებაში როდესმე?

**ურწმუნოშვილი:** რაიო? პასუხისგებაშიო! ერთი ქურდობაზე კი დამიჭირეს, მარა ამნისტიამ და თანაც დაზარალებულმა მაპატივა... ასე რომე, აგი არაფერი არაა.

**ს. გლეხი.** რომ ამბობ, მიწა არა მაქვს ნორმაო. მიყიდე თუ არა შენ მიწა თაღლითაძეს?

**ურწმუნოშვილი:** რაიო? მიწაო? იგი მე არ გამიყიდია ვაჩუქე.

**თემკომის მდივანი:** ბევრჯერ მოგვიცია დარიგება მაგისათვის, მაგრამ კარტის თამაშობას მაინც განაგრძობს.

**ურწმუნოშვილი:** მოიცა, ამას არაფერი დაუჯერო. მას კერძო ინტერესი აქვს ჩემი... ამას წინად მაგი შემომელახა თურმე, მაგრამ რა უყოთ, არაფერი არ მახსოვს დამთვრალი ვიყავი მაშინ... ჰო, იმას ვჩიოდი რომე, რევოლიუცია ჩემ ზურგზე ტრიალებდა და...

**კომ. თავ-რე:** კარგი, კარგი, თავისუფალი ხარ დაჯექი... (იძახის) გულდიდაძე.

**გულდიდაძე;** მე რაც მართალია მართალია პარტიის წევრი ვარ 1922 წლიდან. უნდა ვთქვა ისიც, რომ მამაჩემი მღვდელი იყო, ნათლია კი ეპისკოპოსი. ოჯახური მდგომარეობა ასეთია: საშუალო შეძლება, აბა რაღა ვიქნები, ჩამომართვეს ყველაფერი, ცოლიანი. მყავს 4 შვილი. 1 პიონერია, 1 „ოქტომბერშია" ჩაწერილი, 2 დანარჩენები ძალიან პატარეებია. ამას წინათ მოვნათლე ორივე. ნათლობა ძალიან ძვირი დამიჯდა. თუ არ დამიჯერებთ, აგერ კითხე ალმასკომის თავმჯდომარეს, მას მოვანათლიე ბავშვები. თვითონ მან მისცა მღვდელს მონათლის ფული. კრებებზე სისტემატიურად დავდივარ. პარტიის წმენდა კარგია, რაც მართალია მართალია, ეგება გავწმინდოთ პარტია ზოგიერთებისაგან, რომლებიც არ მუშაობენ ჩვენ ხოშზე.

— რამდენი ხანია არ გადაგიხდია პარტიული გადასახადი?

**გულდიდაძე:** რა მოგახსენოთ. არ ვიცი კარგად. დღეს მინდოდა გადამეხადა, მაგრამ უკანასკნელი კაპეიკები მკითხავს მივეცი. ისე გადავიხდი მალე...

— რატომ მღვდელს მოანათლიე ბავშვი, ან როგორ უყურებ ამ საკითხს?

**გულდიდაძე:** ჩვენ ხომ ებრაელები არ ვართ, რომ ბავშვი არ მოვნათლოთ? აბა ქრისტიანები რით უნდა განსხვავდებოდეს სხვებისაგან?!

(შემდეგი ახლო ხანში)

ტალი.



— ქალი: შეგიძლია დილის ცხრა საათის შემდეგ მოხვიდე!

— ვაჟი: — როგორ!? თქვენი ქმარი ხომ ჩვეულებრივად თორმეტ საათზე მიდის სამსახურში?

— ეს ერთი ხანია, რაც აპარატის წმენდაზე ლაპარაკი დაიწყეს, რვა საათზე დგება ყოველთვის და სამსახურში ნიდის!

## ახალი ტექნიკაში. სალიბაურის (ბათომი) მამული

ნაჩალნო მამულში ახლად გაკეთებული სახლი ქარმა რამდენიმე საჟენზე წაიღო, ...ილა.



—რატომ დაგიბამთ ეს სახლი ხეზე?
— ქარმა რომ არ წაიღოს.

# წკიპურტები

## საბუთი

ერთ გლეხს ხარი მოუკვდა. წავიდა დამზღვევ სალაროში და დახმარება ითხოვა.

— დახმარებას მიიღებ, ამხანაგო, მაგრამ ამისათვის საჭიროა თემალმასკომის მოწმობა, იმის შესახებ, რომ შენ ხარი მართლა მოგიკვდა! — უპასუხეს დამზღვევ სალაროში.

— იმე, ყმაწვილო, რავა გეკადრება. მართლა მომიკვდა, აპა ტყუილა სიკვდილი ქე სად გაგონილა?!

— საჭიროა თემალმასკომის მოწმობა, მოქალაქევ. წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარებას ვერ მიიღებთ.

გლეხი მიდის თემალმასკომში, უხსნის თავმჯდომარეს თავის გაჭირვებას.

— კი, მარა რით მოკვდა, აფხანაკო? — ეკითხება თავ-რე.

— რით მოკვდა და სიკვდილით.

—მარტო სიკვდილი არ კმარა, აფხანიკო, საჭიროა საბუთი.

— შე მამაცხონებულიშვილო, სიკვდილზე მეტი საბუთი კიდო გინდა სხვა რამე?

## „პოეტური დიალოგი“

ერთი პოეტი ეუბნება მეორეს:

— შენ არც არას სთესავ და არც მკი. მე კიდევაც ვთესავ და კიდევაც ვმკი.

— ეგ მართალია, — უპასუხებს მეორე, — მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ შენს დათესილს არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. მკით კი ჰონორარს საწელგამში გვარიანად მკი.

## „წერკუმსის თავმჯდომარე“

— ბევრია თქვენში წერა-კითხვის უცოდინარი? — შეეკითხა ინსტრუქტორი წერკუმსის თავმჯდომარეს.

— ძალიან ცოტაა, — მიუგო თავ-რემ, — სულ თითებზე ჩამოითვლება.

— ნუ თუ მართლა, აი მალადეც წერკუმსო.

— მე მეტი თვლა არ ვიცი, თვარა.

— აგაშენა ულმერთოთა კავშირის წევრობამ, კაი თავმჯდომარე ყოფილხარ, კაი მოგეცა!

## გამართლებული ეჭვი

— ბიჭო, ამ ჩვენ დამზღვევ სალაროს გამგეს, ამბობენ, რომ ამ ბოლო დროს მუცლის ტკივილი დასჩემდა.— ეუბნება ერთი მოქალაქე მეორეს.

— მეც არ გამიკვირდა, კაცო, რამდენჯერ შევედი მის კაბინეტში, მუდამ უდგას არაყი; დახე, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული.

## „ზოგი ჭირიც მარგებელია“

— ანგელინა პავლოვნა. — მიუბრუნდა ქმარი ცოლს. — გითხრა სიმართლე: მუშგლეხინმა ფეხზე დამაყენა.

— რას სულელობ, ადამიანო?

— კი არ ვსულელობ, მართალს ვამბობ.

— ფეხზე დაგაყენა, თუ პირიქით?!

— რატომ პირიქით და რატომ პირაქეთ არა? სანამ სამსახურში ვიყავ, ავტოთი ვსეირნობდი მუდამ და როცა „შემკვეცეს“, ავტოც ჩამომართვეს და ახლა ფეხზე ვდგევარ.

**დონ-კიხოტი.**

# გაწმენდილის ალსარება

პარტიის წევრად გახდომას
ადვილად იტყვის ენაო:
შევკრიბე ძველი ბიჭები,
ლხინი უმართე მენაო.

პარტ-ბილეთს ხელი შევაკლე,
არავინ მომცა წყენაო.
ძველი ცოდვები რომ შევჩრჩე,
ალბად მეწვევა ზენაო.

კარგ სამსახურში მოწყობილს,
პორტფელიც მქონდა თანაო.
ავტოში გვერდს მიმშვენებდნენ
ტერეზია და ანაო.

მეგონა: მოხერხებული
ვინაა ჩემისთანაო,
თურმე—„ტარტაროზ“-ს ჩანგალი
სუყველგან დააქვს თანაო.

გამკაჩა, ზედ წამომაგო,
წმენდაზე მიმიყვანაო:
— აბა, მოყევი წარსულთ,
ტყუილი არ სთქვა თანაო,

თორემ დაბნელდა დღეს შენთვის,
იცოდე, ეს ქვეყანაო.
კრიჭა შემიკრეს კბილებმა,
მთლად დამიდუნდა ენაო.

შემდეგ დავთარი გაშალეს
მითხრეს: შენა ხარ განაო?
რისთვის წაართვი ძველ დროში
ლუკა საწყლაძეს ყანაო?

ნიკო და პეტრე ციმბირში
შენგნით არ გეიგზავნაო?
მასთან კოლია გმირაძეს
შენ არ დაარტყი დანაო?

გადასახლებულ მელიტონს
რაზედ დაუწვი ბინაო?
ან ხტრაფს რად მოაკვლევანე
ნემსიწვერაძე მინაო?

ბილეთი ხელად წამართვეს
და სამსახურიც თანაო.
ბოლოს წყეულმა გეპეუმ
გამ-სახლშიც გამაქანაო.

ის ჩემი ძმებიც იქ დამხვდნენ,
ძველი ცოდვებით თანაო,
მსუბუქმა კავალერიამ,
კინწის კვრით მოიყვანაო...

ახლა ის მაინტერესებს
და ჯავრადა მაქვს თანაო,—
ნეტავი ყველგან გასწმინდენ
ბიჭები ჩემისთანაო?

**კირილე ხაფიჩხიძე.**

## ვინ გამოიცნობს
### (სადგურ გათოზისათვის)

**1919-1920 წელი**

მენშევიკურ დაზვერვაში დადიოდა ჩუმად;
კომუნართა ფარულ კრებებს ამხელდა ერთგულად.
რომ ღვაწლი არ დაუფასეს — არ ასწიეს ზევით,
გულზე ნუშტა დაიხალა, ხმელი თავის ქნევით.

**1921-22 წ.**

წითელ დროშამ, ბრძოლის დროშამ „აუტოკა" გული;
არ იყოვნა, გამოერკვა, შეიცვალა სჯული;
ალაქუცდა, ვით ფინია კუდი დაიგრძელა,
წითელ კავშირს მიეტმასნა ფლიდი გაიმეერა.

**1922-26 წ.**

ერთგულება დაიჩემა ტრანსპორტელთ კავშირში;
საბჭოების „მოტრფიალეს" არვის ჰქონდა შიში;
მეფე-გამგეთ მოევლინა საქონლის ანგარანს
ვალიუტებს აგროვებდა და მღეროდა ნანას.
თანამშრომლები დასახა ყმებათ და მონებათ.
„ტარტაროზი"-ს და „ფუხარა"-ს მკითხველთ ეხსომებათ,
რომ მუშები მოითხოვდნენ გაძევებას „ზავის".
სანაგვეში გადაგდებას გაუხეხავ ყვავის,
ადგილკომმა და კავშირმა, გეპეუმ ფხიზელმა,
საქმის გარკვევას შეუდგენ,—და ძლიერმა ხელმა.
ხვრელს მიაგნო ბნელი საქმის, ამოჰკრა პანღური,
გაუმრთელდათ თანამშრომლებს, გული დადაღული.

**1926 წ. — დღემდე**

„ნაზავარსა" „დეესპობა" აღარ მოეწონა,
მიზნისათვის რომ მიეღწია, მანც არ დააყოვნა,
შექმნა ჯგუფი ბიჭ-ბუჭების—მექრთამე-ოხრების,
მთელი სადგური გახვია ქსელში ინტრიგების.
ტარტაროზჯან, შეჯიბრის დროს ამათ არ გვცალიან,
წვეტიანი ნაცად შუბით გვესტუმრე, ძამია.
დაყოვნება არ იქნება, საქმეს ავნებს მეტად.
ბიჭ-ბუჭების ვინაობას აქ გაგაცნობ ერთად.

**„ჭანგი"**

## ფიზკულტურელის სიყვარული



**ქალი!** — ვაი თუ ამ ყრუ ადგილას ხულიგნებმა და გვესხენ თავს!

— სრულიადაც არ მეშინია! ისეთი გაქცევა ვიცი, რომ... დადევნებასაც ვერ გაბედავენ!

## „ჩ ი ხ ლ ა ძ ე თ ი"
### (გორდის თემი, ქუთ. მაზ.)

— გამარჯობა, როსტომ, რაშია საქმე? ყველაფერი მიამბე.

— კი, ბატონო, გიამბობ, ყველაფერს, მხოლოდ არ გამამხილო.

— გეკარდება როსტომ! ბოვში ხომ არა ვარ!

— ბოვში კი არა, მარა ვილაცამ მითხრა: ის ყველაფერს გაზეთში სწერსო, და, — ვერ გეტყვი.

— მეტი ნდობა თუ არა გაქვს, კარგი, მასე იყოს!

— რაკი აგრეა, მიგდე ყური და გეტყვი ყველაფერს. მე შვილო 57 წლის კაცი ვარ და ტყუილს არ ვიტყვი. ამ ჩვენს გორდში არის ერთი არა სასიამოვნო ამბავი: ყველა დაწესებულებეში ჩიხლაძეებია. აფთიაქის გამგე — ჩიხლაძე, ქოხ - სამკითხველოს გამგე — ჩიხლაძე, ფოსტის გამეგ — ვ. ჩიხლაძე, სას.-სამ. საკ. ამხ.-ბის თავ-რე — ს. ჩიხლაძე, აქვე ამხანაგობაში ბუღალტერი —ან. ჩიხლაძე. აქვე ამხ-ბაში საწყობის გამგე—ბიქ. ჩიხლაძე, უჯრედის მდივანი — ბ. ჩიხლაძე და მისი ტეხნიკური მდივანი კიდევ — ს. ჩიხლაძე...

— აქ ყველა ჩიხლაძეები ყოფილა! ეს მითხარი, ალმასკომის თავ-რე და მდივანიც ჩიხლაძეები ხომ არიან?

— ბატონო, მოგეხსენებათ, რომ გორდში ყველაფერი შეიცვალა: თავ-რეთ ევირჩიეთ ჩიხლაძე და მდივანი კი სხვა გვარის, მაგრამ გუშინ მიგვიწვიეს საბჭოს წევრები და გვითხრეს: ვინაიდან ალმასკომის მდივანი არ არის გამოცდილი სხვა ევირჩიოთო. საბჭოს წევრებმა ჰკითხეს: რომელი გყავთ თქვენ მხედველობაში მდივნათო? ჩვენ გვყავსო წინეთ, რომ აქ მდივნად იყო ვ. ჩიხლაძეო: და მართლაც გეიყვანეს მდივნად ისეთი კაცი, რომელიც ნიკოლოზის დროს გარადაოი იყო და მუშებსა და გლეხებს აფრთხობდა.

— ყველაფერი კარგი, როსტომ, ეს კარგი ამბავი გევიგე. ეხლა პარტწმენდა მიდის და საამისო ხომ არაფერი იცი?

—რადგან გაგიტყდი, ყველაფერს გეტყვი პარტიულების შესახებაც. ერთი პარტიული კაცი დადის სოფ. ღვედიდან ლუკა გოდერიძე, რომელმაც მიწა გაყიდა და სასამართლომაც დაუმტკიცა. ამისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია. მეორე პარტ-წევრმა ბიქტორ გახოკიძემ მღვდლით და ეკლესიის დროშებით გაასვენა მიცვალებული და მღვდლით მონათლა შვილები.

— კიდევ გამაგებინე რაც იცი.

— ყველაფერი ყველაფერია და კომუნისტი კაცი მღვახშეობას ეწეოდეს, სირცხვილი კია. მე რომ ზევით მოვახსენე: ბ. ჩიხლაძეზე, საწყობის გამგეათქო, მან ფული გაასესხა პროცენტებში 10 მანეთი თვეში 1 მანეთად.

— კიდევ თუ რამეს დასძენ.

— მოგახსენებ, ბატონო, ერთ პატარა ამბავს, მხოლოდ დაწვრილებით არ ვიცი. აქ სამ. სკოლაში მასწავლებელი კომკავშირელია და მან ქავთარას შვილი მოუნათლა მღვდლით. მეტი არაფერი არ ვიცი. რაც გითხარი, თუ კაცი ხარ, ნურსად გაამხელ.

— ტარტაროზს გარდა, არსად, ჩემო როსტომ, — ჩავილაპარაკე და, აჰ, გიგზავნი, ტარტაროზო, ამ ამბავს.

**მამულ-გურიელი.**

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

## პარტ-წმენდის შემდეგ

პრ. მითაგვარია. ფოთი



— მეძველე: — ტაკოი ვეშ კამუ ესტ პრადაჟ ეშჩო პაკუპაიმ... პორტფელი პაკუპაიუ!

## მძინარა მილიცია

გ. ლაშხია. ლანჩხუთი.



— ქურდები: — წყნარად, შე ოჯახქორო, თორემ გაეღვიძებათ მილიციელებს და დავიღუპებით!

— რისი გეშინია? ასეთი ხმაური კი არა ზარბაზნის სროლაც ვერ გამოაღვიძებს მაგათ!

## ჩვენი სამკითხველო

დ. ნახტაძე. სამტრედია.



ბავში: — ნეტავ მოვესწრებოდე იმ დღეს, რომ ჩვენი სამკითხველო თავის დროზე ილებოდეს!

მოხუცი:— შენ რა გიშავს, შვილო, მე ვრკითხე თორემ.

## მიგოზრული შარჟი

ვ. ფხაკაძე ს. გომი.

ს. გომში (გორის მაზრა) საკრედიტო ამხანაგობის თაოსნობით დაარსდა მექათმეთა კოლექტივი, „ჯიშიანი ქათამი“.



ი. პალდასტანიშვილი: — ჩქარა ნაბიჯით კოოპერატივისაკენ—იარრრ!

## ჭკუა დახედული

დ. მიქაძე. სამტრედია.



— ასე აპირებ კლუბში წამოსვლას?

— დიახ! თუ გაწვიმდა, ქოლგით თავს დავიფარავ დარბაზში წვიმისაგან. ცხვირსახოცით კი ცხვირს — ცუდი ხუნისაგან.

---

# ვაი ჩემო დღეო

ნათქვამია: „თუ ღმერთი გწყალობს, ეშმაკი რას დაგაკლებსო“. კი არა, წმინდა გიორგი, ლავით-კონსტანტინე და მთელი წმინდათა-წმინდა გუნდი შენსკენ რო იყოს, თუ „ტარტაროზი“ გადაგეკიდა, შენი მტერია: არ გაგახარებს. არა! ეს ტარკორები რომაა, უნდა გითხრა, ქვესკნელში არაფერი გამოეპარებათ. აპა, რაცხა, კაცო, წინათ ვაჭარი ვიყავი, ახლაც ვაჭარი ვარ, მარა, ვითომ თავი გავანებე ვაჭრობას, ავსწიე ჩემი სავაჭრო პატენტი და ჩავაბარე ინსპექტორს; დუქანი — ვანო წითაძესა და გრამიტონ ბარაბაძეს გადავეცი, მე ვითომ მათი პრიკაშიკი ვართქო და ასე ამგვარათ საიუზნიკი გავხთი, თავიც ხელათ დევიზღვიე. საქმე ასე მოვაკვარახჭინე, მარა, ვაი ამისთანა მოკვარახჭინებას! ვიღაც ტარკორს გაუგია ყოველივე ეს და ქე არ გამოუქვეყნებია „ტარტაროზში!“—„ილია წულაძემ ვითომ თავი დაანება ვაჭრობასო, დუქანი სხვას გადასცა, ეს მხოლოთ ფორმალურათ, თორემ თვით ილია არის ხაზეინი, წითაძე და ბარაბაძე ამხანაგათ ყავსო. — ამრიგად ილიამ მათ პრიკაშიკათ თავი ჩაეწერა და კავშირის წევრიც გახთა. ვაჭარმა ასეთი ხრიკები ვერ უნდა გაატაროსო“. ვაი, ჩემო დღეო, რას ხედავს ამას ჩემი თვალები! რავა დევიღუპე კაკალი კაცი!..

ჭედმაღლიშვილი.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## პასუხია: „სამ-ოთხ დღეში“: არ უშვებენ სამოთხეში

მართალია ამ ამბავს „შარიანი“ გვატყობინებს, მაგრამ შარი არ არის — სინამდვილეა ბატონო.

შვილს დაზღვეული ჰყავდა მამა გლახუნი, რომელიც უდარდელად მოკვდა:

— კიდევ კარგი, რომ დაზღვეული ჰყავდა შვილს... ეს დალოცვილი მთავრობა მიყიდის კუბოს, თორემ დაუმარხავი დავრჩებოდი. შვილი ყურადღებასაც არ მომაქცევდა! — ასე ფიქრობდა გლახუნი, მაგრამ არ გამართლდა სავსებით მისი შიში.

გარდაიცვალა გლახუნი. (ეს ოზურგეთში მოხდა).

მიმართეს ოზურგეთის დამზღვევ სალაროს სამარხის ფულისათვის.

— ვინაიდან მისი შვილი ტფილისში მსახურობს და იქ არის დაზღვეული, ფულიც იქ უნდა მიიღოს. — იყო პასუხი.

რა ექნათ! გლახუნი დაასაფლავეს.

შვილი დაბრუნდა ტფილისში და მიმართა დამზღვევ სალაროს.

— ვინაიდან მიცვალებული ცხოვრობდა და გარდაიცვალა ოზურგეთში, ამიტომ ფულიც ოზურგეთმა უნდა მოგცეს! — იყო პასუხი.

აი, აქედან იწყება სიარული ოზურგეთსა და ტფილისს შუა.

გლახუნ შარშან აგვისტოში გარდაიცვალა. მალე იქნება წლის თავი.

საწყალი მოხუცი თურმე სამოთხის კარებთან სდგას, მაგრამ შიგ არ უშვებენ. ვიზას სთხოვენ ოზურგეთის ან ტფ. დამზ. სალაროდან.

წლის თავზე მაინც მიეცით ვიზა მიცვალებულს!

## ტარიელი სწორია მოკლა ორი ლორია

სრული ჭეშმარიტებაა ის გარემოება, რომ მთვრალ კაცს საგნები სხვანაირი ეჩვენება.

აი, მისი ცოცხალი მაგალითი, რომელსაც შემოქმედიდან (გურია) გვატყობინებს — „აში“.

**გალოგრე თოფით ხელში გამოვარდა. თავში ჰქონდა ხუთი ტყვია, თავში — არყის ოხშივარი, მუცელში— ხუთი ბოთლი ღვინო, ხოლო ჯიბეში — პარტბილეთი. გამოვარდა და დაინახა იორაშვილის ღორები.**

**— თუ წინედ აზნაურები იჰერდენ და ჰკლავდენ გლეხების საქონელს, ეხლა ჩვენი რიგია!**

სთქვა, მან და „დასცხო“. სოფელი ფეხზე დადგა. კიდევ კარგი, რომ მთვრალი იყო და სწორად ვერ ისროდა, თორემ ხალხსაც დახოცავდა.

ბრძოლის ველზე ორი ღორი აღმოჩნდა მოკლული.

**— დალახვროს ღმერთმა და შემოქმედის მონასტრის ძალმა, ეს ღორები ლომებად მომეჩვენენ!** — თავი „იმართლა“ „ტარიელ“ გალოგრემ, როცა გამოფხიზლდა.

ოდნავ მეტი გამოფხიზლებაა საჭირო გალოგრესათვის, რომელსაც თავისებურად ესმის „კლასიურ მტერთან ბრძოლა“.

## — „ატვეჩაიტ“ ანაგაო! — ქარუმს უნდა ანაგვაო

— არა მოდიან: ჯანაბას მათი თავი! — გაიფიქრა ქარუმ სიმონიშვილმა და ადგილობრივ კომუჯრედში განცხადება შეიტანა პარტიაში მიღების შესახებ.

მიიღეს კანდიდატად.

— აწ არა მიშავს; კულაკიაო, ჩემზე თქმას ვერ გაბედავენ. რომელი ადგილია ჩემთვის ხელსაყრელი? ჰო, საკრედიტო ამხანაგობა. ნათესავებსაც დავეხმარები და თავისთავსაც! — გაიფიქრა ქარუმმა, გაძვრა-გამოძვრა, ახლაფორთა და, მართლაც ანაგის გლეხობას ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ მოევლინა.

**ერთი დღით რომ საქმე მქონდეს, —**
**მთელი კვირით ქალაქს რჩება.**
**მივლინების ფულს იჯიბავს,**
**და ქეიფსაც გამორჩება**

**(„მსუბუქი კავალერია“).**

მოქეიფე, ბიჭია ქარუმი და ქალაქში ყველა მიკიტანი იცნობს.

— „ატვეჩაეტ“ ანაგა! — იძახის სუფრაზე და თხოულობს მოხრაკულებს.

მაგრამ ქარუმ თავი ისახელა იმ საქციელით, რომელიც მას შეემთხვა გლეხთა ცენტრალურ სახლში. გადმოდგა მეორე სართულზე, თავი საპირფარეშოში ეგონა და... და სამილიციო კომისარიატში წაიყვანეს. (იხ. ოქმი, სადაც დაწვრილებით სწერია ქარუმის საქმენი საგმირონი).

## ვანო კვანტალიანი— კაცი არის „ჭკვიანი“.

ბიბლიური დრო რომ იყოს, ალბად, ვანო კვანტალიანი წინასწარმეტყველი იქნებოდა. მან იცის — რა მოხდება მომავალში და ამისდამიხედვით მოქმედობს.

წინასწარმეტყველობის რა მოგახსენოთ, ხოლო ვანოს რომ ძალზე განვითარებული აქვს ინსტიქტი, ეს აშკარაა.

— ვიცოდი, რომ პარტწმენდა მოხდებოდა, — პარტიის ყოველ წევრს ფილტრაციას უზამდენ... ისიც ვიცოდი, რომ ჩემისანებს მიაბრძანებდენ პარტის რიგებიდან, — და ამიტომაც მოვიქეცი ასე, ჩემო კარგო! — უთხრა ვანომ ერთ ღრუბლიან საღამოს თავისს ცოლს, რომელსაც გაეგო — პარტწმენდა იწყებაო, და ყურები ჩამოყრილი ჰქონდა.

— რა ვქნათ, ვანო, თუ პარტიიდან გაგაგდეს? — ნერვიულობდა ცოლი.

— რა გადარდებს არ ვიცი! პარტიაში ყოფნის დროს ისე მოვაწყე აქაც და სოფელშიაც ოჯახი, რომ „კეთილი ცხოვრება“ არ მოგვაკლდება! — ანუგეშა ვანომ დაღონებული ცოლი და მიუმღერა:

**ჩემო კარგო მითხარი,**
**რაზე მოგიწყენია?**
**პარტიიდან გამრიცხეს,**
**ქონება ხომ ჩვენია!**

**(„ისარი“).**

— ჭკვიანი კაცი ვარ, მედაჩემმა ღმერთმა!— ხშირად გაიფიქრებს ვანო და გადახედავს თავის ბიოგრაფიას:

**სამიქაოს თემში** ალმასკომის თავმჯდომარეობის დროს ოთხი წლის განმავლობაში ბევრი „საქმე საგმირონი“ გააკეთა: გაქაფვა საექიმო პუნქტისა და ალმასკომის ბიუჯეტისა. „სხვადასხვა შემოსავალმა“ ოჯახი მოაწყობინა კულაკურ ყაიდაზე... გლეხების აღშფოთებამ გამოაძუნძულა სამიქაოდან და, თავი შეაფარა ტფილისში საარეწკოოპის კომუჯრედში... ეს იყო უკანასკნელი რეისი...

აქედან საკონტროლო კომისიაში და მუშგლეხინში. აქ რაც მოუვიდოდა ვანოს, ყველა მიხვდება.

— ქე იყო დრო... ან მაინცდამაინც არ მესაჭიროებოდა პარტია! — გაიფიქრა ვანომ, როცა მას პარტიიდან გამორიცხვის შესახებ გამოუცხადეს.

— ქე იყო დრო... აწ მაინცდამაინც არ მესაჭიროება. ამბობენ: ამით საქმე არ დასრულებულაო.

# ანასუნი მის საქმეს

ვინცხამ ქალის თხოვა მე მირჩია და მაჭანკლათ მომივიდა, იმისი არაფერი გეიშვა; იმას გოუწყდა ერთი წყება ცოლ-შვილი და თვითონაც მალე მიყოლებია თან; ჩემმა ცოდვამ ტანჯოს მის სიცოცხლეში.

რა ვიცოდი როგორი ბოლო ექნებოდა ჩვენ ცხოვრებას, თვარა ნიკოლოზე ხენმწიფეს რომ ებრძანებია ჩემთვის ქალის თხოვა, მაინც არ ვითხოვდი.

მეც გავბრიყვდი უბედური და ვითხოვე ქალი, მარა ქალი კი არა, თურმე ქაჯია კრასკაში და მასკაში მორთული.

პირველ ხანებში ქე ვიცხოვრეთ გუგულებივით და ერთმანეთის სიამოვნების და ალერსის მეტი არაფერი უკმაყოფილება გვქონია.

სიყვარული პირველად ძალიან მქონდა. რავარც სამსახურს გავათავებდი, დამდუღრული ძაღლივით გავრბოდი სახლში.

რაღა ბევრი გავაგრძელო. სოფლიდან ქალაქში გადამიყვანეს. პირველათ რომ გამომიცხადეს გადაყვანა, ვახარე ცოლს. გადამეხვია კისერზე. გედევედით ქალაქში და დევიწყეთ ახალი ცხოვრება.

ახალ ცხოვრებას მოყვა ახალი მოთხოვნილებები. ამ მამაძაღლის შვილს გათხოვებამდი საცვლები არ ეცვა და ფეხშიშველა დატენტერობდა სოფლის გოგეებში; დედამისი ქადს ერთ ბოვშს რომ მოუტეხავდა, მეორე ბავში ხელში სტაცებდა და სტიროდა—იმას დიდი მოუტეხე და მე პატარაო. შიმშილით კუჭი ქონდა გამხმარი. ახლა რომ დეინახა ეფროსინე ჭირიანმა ქალაქში კარგი გამოწყობილი ქალები, რომლებიც ზოგი სპეცების ცოლებია და ზოგის ქმრები თუ ჯერ არ დაუჭერიათ გაფლანგვისთვის, აწი მაინც დაიჭერენ, დაიწყო მათი წაბაძვა და წამოაყენა მოთხოვნილებები. მშვიდობიანი პოლიტიკით მოვინდომე შერერება და უთხარი: ჩემო ფროსიკო, (ფროსიკოს ალერსის დროს ვეძახდი). ჩვენ მათი აყოლა არ გვარგია-თქვა... როცა შემატყო ჩემში არაფერი ხეირი გამოდნებოდა, წამომიყენა ულტიმატუმი. რავარც ბოლშევიკებს ბურჟუაზიის მტრობას ვერ მოაშლევიეფ, ისთე ეფროსინეს მისი ულტიმატუმი ვერ მოვაშლევიე.

დეიწყო სიცხეები და შეუძვრა ბუზარა ეფროსინეს, მოუშვა გრამაფონივით და იძახის: აგარეკზე წევიდეთ, დეიცალა მთელი ქალაქი და სირცხვილია ჩვენც რომ არ წევიდეთო. მე ვეუბნები—დაჩა ჭლექიანებისთვის არის, ჭლექი შევიდა მამი-შენის ოჯახში-თქვა, თუ მაინც და მაინც არ მოიშლი წასვლას, წადი შენს სოფელში და თუ არ დაბრუნდები ძალიანს კარგს იზამთქვა, აშიზა გედეერია და ეიშილა: შენ თუ ჩემთან ცხოვრება არ გინდა, არც არც მე მინდა შენთან ცხოვრება; დედიშენის შვილი ხარ და 'არჩოს მომაკლებო! —და გამომიცხადა გაფიცვა, მეგონა მოუბრუნდება გული და თლათ უჩემოთ ვერ გაძლებს-თქვა, მარა არც სადილს მიკეთებს და არც ვახშამს. ვნახოთ სანამდე გაგრძელდება მისი გაფიცვა.

მაღაროელი ტანკა.

## კბილდამძვრალნი

ჭიათურა



ᲛᲣᲨᲐ: — გვალირსეთ, ბატონო, კბილის გაკეთება! დავბერდი უაცო აქ სიარულში... დაულეჭავმა საჭმელმა კუჭის ტკივილი გამიჩინა!

— ᲡᲐᲨᲐ ᲓᲐ ᲥᲔᲗᲝ: — ინდაურიც კი ჰყლაპავს დაულეჭავად, მარა კუჭი არ სტკივა!..

## რამე-რუმე

(ამაღლება (გურია)

აქ გლეხკომის სასადილო
განთქმულია კიდით-კიდე;
საწყალ გლეხებს დაცლილი აქვთ
ჯიბე მისი გადამკიდე.
გამგეობის თავმჯდომარე —
დათიკოა, კაცი ძველი.
გლეხური აქვს მას მიდგომა,
ტყისაც არის „კარგი მცველი"
წარმოების „გარაღებით"
მან ხულ ყველა გაალა,
და გლეხკომის მცირე სახლი,
ბესარიონს მიულოცა.

*
* *

სამებაში წყალსადენი
სურდათ „ზოგს" რომ გაეთხარა.
მაგრამ ტეხნიკს ჩვენს შერმადინის
წყალი გზაში გაეპარა.

*
* *

არტისტების თავმჯდომარე,
სანდროა და ვენედიქტე,
ნუნუას თუ უქნეს ყლაპი, —
გაეხსნებათ იის კლიტე.
რადიოც ხომ დაგვიყრუეს,
არცა სტვენს და არც ხრიწინებს.
(შეჯიბრში თუ სხვამ გვაჯობა,
მტერი მაშინ გაიცინებს).
სერგო, ჩვენი რედაქტორი,
სიტყვას იტყვის ერთობ „მქუხარს",
ხევერო კი კალმის წვერით,
ქვასა ხეთქს და აპობს მუხას.

აფრიკელი ცეცე.

# კონკურსის შედეგი



პირველი ჯილდო 15 მანეთი

— კაცო, მაგ ფუღუროში რომ შემძვრალხარ, ცოტა სივიწროვეს არა გრძნობ?

— მართალია, სივიწროვეა, მაგრამ მაინც საკუთარი კაბინეტის ილიუზიას ქმნის... ილიუზიაც კარგია, როცა ნამდვილ კაბინეტზე საბოლოოდ ამაღებინეს ხელი.

დომენტი კიკნაველი.

ტრანსპორტის მუშა, ტფილისი.

## მეორე ჯილდო 10 მანეთი
## საშიში თავშესაფარი

— ასეთ სიცხეში კარგი ადგილი მოგინახავთ თავშესაფარად!

— დიახ... ისე, როგორც კაცი წმენდის დროს პროტექციას ეფარება!

— კი, მაგრამ, სიცხეს ქუხილი მოჰყვება და, ვაი თუ მეხი დაეცეს თქვენ თავშესაფარსა და მასთან ერთად, თქვენც გიმსხვერპლოს!

ალექსანდრე ჰინჰარაძე.

ქ. ზესტაფონი. უმუშევარი, მუშა, დარაჯი.

## მე-3, მე-4-ე და მე-5-ე ჯილდო — წლის ბოლომდე ჩვენი ჟურნალ-გაზეთი

— რას კითხულობ მაგრე გაცხარებული?

— დიდ რევოლიუციონერების ბიოგრაფიას. ეგებ წმენდის დროს ავტობიოგრაფიის თქმაში გამომადგეს.

ნიკოლოზ ბ. შარვაძე.

ტ. ს. უნ-ის სტუდენტი, კრილოვის ქ. № 1.

— რისთვის ხის ბუღუროში შესულხარ?

— აგარაკზე ბინები ძვირია.., აქ კი უფასო ბინა მაქვს!

ვასილ ფ. ჯაკობია.

სამტრედია. რკ. გზ. სახლი № 10 მოწაფე.

— რას აკეთებ, კაცო, მანდ ხის ფუღუროში?

— მოხსენებას ვამზადებ... სახლში ცოლი მეჩხუბება... აქ კი მყუდროებაა და ხელს არავინ მიშლის.

ლეონიდ ნიორაძე.

სადგ. ძირულა. სოფ. აჭარა (შორაპნის მაზრა)

პრემიები გაიგზავნება: აღნიშნულ მისამართებით.

# მამის წერილი

შვილო ივანიკა!

ჩემ ამბავს თუ იკითხავ, მე ქე ვარ გვარიანად. მარა შენი უნახაობა, ძალიან მაწუხებს.

შვილო, რაღაი მაქანე სასწავლებელში წაი, საქმეებით მოსვენება არა მაქ. ფიქრებით ხომ გული მიფართხალობს, მარა რაღაი შენ სასწავლებელში გხედავ, თავიან ფეხიანათ, რომ ვალში გევიშელიპო, მაინც გამოგიგზავნი გვარიანათ და ჩემ წვალებასაც არათ ჩავთვლი. თუმანი ქე გამოგიგზავნე მაქანე და აბა შენ იცი რავა მოუვლი. ცოტა-ცოტა ხარჯე, თორემ უცფათ გაგითავდება.

აქანე გავიგე, რომ შენ პაპიროზის წევაც დაგიწყია, მარა არამც და არამც აწი პირში აღარ ჩაიკარო, თორემ სირცხვილია შვილო. ძღაბების შესახედათ იქონიე ცოტა და ისთე ნუ მოსწევ. ახალგაზრდობისას მეც კი ვწევდი, მარა ხანდისხან.

შვილო, ერთს გთხოვ მამა-შვილურად და დამიჯერე, ჭკვიანი ბიჭი ხარ და ჭკუა მოიხმარე, მამას სახელს ნუ გაუტეხ. შენ რომ აქ იყავი ჩამოსული, მაშინ რაცხა ლაზღანდარობა დაგიწყია ძღაბებში და ასეც გავიგე: ერთ გოგოს უჩქმიტაო. შვილო, გოგო უჭკუო და ხეპრეა, მარა შენ რომ დაკვირვებული კაცი ხარ, არ უნდა ეიყოლიო ძღაბი. ჩვენი ნიკოია ხომ სულ დალუპა ძღაბმა და ის არისრჭენა იმაზე შენც გაიგე რამე, მარა მე შენ მაინც გეტყვი, რომ უფრო დაუკვირდე ცხოვრებას და არ შეცდე რამეში.

თურმე ჩვენ ნიკოიას ზე გიორგობა ღღეს, სართიონის ქეტა პარდუქციით წაუყვანია და შუა-ღამემდე აღარ დაბრუნებულან. სოფიომ რომ ეს ამბავი გაიგო, კინაღამ თავი დაიკლა ნაჯახით, მარა ჩვენ შევაჩერეთ. ქე აჭკიდეს კურტანივით ეს მახინჯი ქალი ორქოსავით ბიჭ ნიკოიას, ასეა შვილო, გიჩხევ—ხელს არ გადაყვე თვარა დევილუპებით, ყველამ იცის, რომ შენ მაქანე უნივერსიტეტში ხარ და ბოლოს სანაქებო კაცი უნდა გამოხვიდე. იმ გოგოზე არაფერი იფიქრო, დედიდან სად შენ და სად ის. არა შვილო, ჭკუით იყავი და დეცტიე მაქანე — შენს ტყავში. ქალსაც მოესწრები და ყველასაც, მარა ჯერ პაწია მოიცადე.

გუშინ მატრონის მამასთან ვიყავი დაპატიჟებული და იქანე, რომ ვნახე ქალი, ისეთი მის დღემჩი არ მინახავს, სიმღერა, ცეკვა, გიტარის დაკვრა, სულ ერთმანეთში ოურია. ბოლოს მატრონია გვერძე გევიყვანე და ვკითხე იმ ქალის შესახებ. თუ რძალი გინდა ამფერის შენ ვერ იშოვი შვილისათვისო. ერთე მზითევზედაც ჩამოუგდე სიტყვა, მარა ქე არ გედვირიე კეკალი კაცი. ხუთასი თუმანი ფულიო, დუჯინი ლებ-საბანი, დუჯინი კუშეტკაო, კრაოტი, შკაფი, სარკე-სავარცხალი, სინი, სტაქანი, ხულა, ბეღელი, ხარი, კამეჩიო და ვინ მოსთვლის რა არ ჩამომითვალა, სულყველაფერი ექნებაო.

პირდაპირ ზედგამოჭრილია, შვილო, შენთვის. პაწიას ოჯახსაც ქე უნდა წეეხმარო. სახლი მაინც დავხუროთ ყავარით, თვარა ისლი თლათ დალპა და სახში წყალი წურწურით ჩამოდის. ძალიან უნდა დაუკვირდე, შვილო, თორე თვარა ხომ იცი რავა ვცხოვრობთ? ის თუმანიც ფარნას ვეჭესხე გუშზნლამ. მეტი რაღა მოგწერო.

შენი მამა ნესტორი.

ყლ. ტევრილი.

# ცნობათა მიღება

**შრაპნელს** (სადგ. ყარაიაზი). ნიკოს სიფრთხილე მართებს, რომ მისი „ღიღინი“.

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ
იქით გორასა ძრას ვუზამ.
ჩემს გადამკიდე მუშკორებს —
სამსახურიდან ძრას ვუზამ, — პირიქით არ ახდეს და არ გამართლდეს შებრუნებით.

**კლანჭს** (ყარაიაზი). სხვა რომ არა იყოს რა, თავისთავზე წერა უხერხულობაა. ხომ გაგიგონიათ: თავის ქება კიტრად და, კირტი კაპეიკად, თუმცა კიტრი ეხლა შაური ღირს, მაგრამ არც შაურიანი თავის ქებაა დიდი სახარბიელო.

**ჩოხატაური**: ვათავსებთ თქვენი ლექსის ნაწილს:

ახალი გადარეული

ზრავსტვუიტე კიტაია, დავაი ჩანკაია,
ძმაო ამერიკა, ყანები კაკაია?
აქში, აქში, აქში.... რაა ეს ყვავები?
ჩებემრლენი ვნახე და ხელით შევები.

ფრთხილად, მონოკლი არ დაუმტვრიოთ. დანარჩენი დაიბეჭდება როცა ჭკუაზე მოხვალთ.

**ბანდიანს** (ს. ვანი, გურია) აქ არაფერიც არ არის მიუხვედრომელი.

კულაკი ბარნაბ იხევ
ყიდულობს სხვების მიწას
სად არის ალმასკომი?
ნეტავი, მას ვინ იცავს?

ალმასკომში, ალბად, ვიღაც „დიდი კაცი“ ჰყავს.

**„კომსომოლას“** (გომი, ქუთ. მაზრა). კომკავშირელ ანდრო თევზაძეზე გვწერთ, რომ მან უჯრედში:

შექმნა დიდი კინკლაობა,
ცმაყოფილი იყო ამით,
მან სახელი მოიხვეჭა
რემედასის ფულის ჭამით...

და თქვენ ის გადაგირიცხავთ გამფლანგველთა სიაში კანდიდატად. თავის მხრივ ჩვენ ვაყენებთ მას პარტწმენდის კანდიდატად.

**ნუსტის** (ს. ჯვარცხმა, ჩოხატაური). მოვისმინეთ თქვენი „ჩემი პროექტი“ და ორიგინალური ფილოსოფიური შეხედულება.

მუცელი ჩვენი ექსპლოატატორი და დაუნდობელი მტერია. დავაპატიმროთ იგი მილიციაში, მივსცეთ პირველი და უკანასკნელი გაფრთხილება, რომ ჭამას თავი დაანებოს. თუ მოიმიზეზებს: თავი არა მაქვსო — ვუთხრათ: თავი არც ზოგიერთ გამგეს აქვს, მარა საქმეს კი უძღვებიან, უთავობა და უშლის“...

ჩვენი მხრივ ასე დავუმატებთ: უთავობა ზოგიერთებს არც კორესპონდენციის წერაზე უშლის ხელს.

**„ხლოპუშკას“** (ვანი ქუთ. მაზ.) მიზეზი იმისა, რომ:

ლამპის შუშას ნომერ თერთმეტს
„ეპო“ „ყიდის თვრამეტად,
მაშინ, როცა საბითუმოდ
არ ღირს ცხრაზე მეტად, — არის ის, რომ
თქვენი მოსე, რომ ატარებს
მშვენიერს პორტფელსა
და პროცენტებს მეტიხ-მეტად
ადებს საქონელსა.

**მახარეს** (ველის-ციხე). აი, ალმასკომის თავმჯდომარეც მასეთი უნდა, როგორიც თქვენ გყოლიათ:

როცა კლუბში კინო მიდის,
ვანო მოდის მთვრალი.
სვრის მავთულებს და იძახის:
„მომეცით ჩემი ვალი“!

**პაიკს** (ჩოხატაური) თუ:

მუშკოოპის ნოქარი
ცინცაძე სანდრო,
არხფერში არის
ზრდილი და სანდო, — ამის შესახებ
სჯობს მიმართოთ მუშკოოპის გამგეობას.

ხოლო რაც შეეხება ნიკოფორეს ლიუბას, რომელიც იკლებს მთელ უბანს, — არც ეს არ არის ჩვენი საქმე. მილიციას მიმართეთ.

**გრ. მთიულს** (სოფ. ქვიშხეთში). რა გადარდებთ? წმენდას რომც გადაურჩეს, ერთი თვის შემდეგ თავისთავად წავა კომკავშირელი დავითი, რომელიც

აგვისტოდან რომ დაიწყებს
დეკემბრამდე მუდამ ვაჭრობს.

აგვისტო ხომ მალე დადგება.

**კატი ბუს.** წერილი უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე და გარკვეული ხელით სტრიქონების ერთმანეთზე დაშორებით. დაამუშავეთ ასე „პოეტის მარცხი“ და დავბეჭდავთ.

**ფასკუნჯის** (ოზურგეთი). ვერ უშველის საქმის გამოსწორებას, თორემ დავბეჭდავდით. ჟურნალ - გაზეთების დაკარგვა - დაგვიანება, ეს ჩვეულებად გადაექცა ფოსტას.

მაკალათიაშვილი ამბობს: „ტიტეს ჰკითხეთ, ან დათიკოს“.

ტიტე ტკბილად გიპასუხებს: „დავარგული და რა ვიცი“.

აბა ვნახოთ, ამიერიდან თუ ცოტათი მაინც გაიბერტყონ ყური.

**ბ-ჩის** (ქუთაისი) ზდანოვიჩის ქუჩის შესახებ სწერთ, რომ:

ალბად საფურთხებლები
იმისათვის ჩაამწკრივეს....
ნაგავი კი შიგ არა,
როგორც ფული ჩემს ჯიბეს.

უკანვე გიგზავნით ამ თქვენს წერილს იქ მოსათავსებლად. შეიძლება თქვენს მაგალითს სხვებმაც მიჰბაძონ და ყოველივე ნაგავი შიგ ჩაჰყარონ.

**ტერკოლს** (ახალდაბა) მიწა-ტყის კავშირის მდივანზე (აბრამიშვილი) სწერთ, რომ:

გლეხებს უყვირის, როგორც თავადი,
აწეული აქვს არშინზე ცხვირი.
მის ნახვას უნდა სამი დღე ძებნა
კობერიძისას მისვლა აქვს ხშირი.

არშინიანი ცხვირი მართლაც სახიფათოა (და ისიც მაღლა აშვერილი). სავსებით გეთანხმებით, რომ საჭიროა ცხვირის ძირს დაშვება“. ეს აბრამიშვილისთვისაც კარგია, რადგან ცხვირს ასეთი თვისება აქვს: როცა აწეულია, მაშინ არის არშინიანი; ხოლო როცა დაწეულია — მაშინ ჩვეულებრივი სიდიდისაა.

**კიტიანს** (საყუდი, ქუთ. მაზრა). ალმასკომის თავმჯდომარეზე გვწერთ, რომ ის ხშირად ქეიფობს კულაკებში და აზნაურებში, ამის დასამტკიცებლად მოგყავთ სხვათა შორის, ის ამბავი, რომ:

კომკავშირის უჯრედმა
დაავალა მოხსენება.
მაგრამ ჩვენმა იუსტინემ
გადვპირდა და... არ ინება.
გადაცოცდა შუშანასთან,
მოგვატყუა, გვაცდევინა.
ამისთანა პარტიულმა
ტარტაროზმა შეარცხვინა.

— მუშგლეხინსა და საკონტროლო კომისიასაც დავუმატებდით ჩვენის მხრივ.

**უავტოროს** (სვირი): კიდევ კარგი, რომ შეგრცხვენიათ ასეთი ლექსის დაწერა და ზედ თქვენი ვინაობა არ მოგიწერიათ.

ეს კარგი ნიშანია.

# საზაფხულო კანცელარია ლევარსი როჩხროჩხაძის პროექტით,




რომელსაც მხარს უჭერს გამგეების უმრავლესობა.

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. 68.